

新亞

11

1979



ჩიღეება საქართველოს კომუნისტურის !

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს ახალგაზრდობის
ლენინური კომუნისტური კავშირის
ლენინის ორდენით დაჯილდოების
შესახებ

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონა-
წილეობისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით ნაყოფიერი
მუშაობისათვის საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კო-
მუნისტური კავშირი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 22 ოქტომბერი.

ტყეა

270

გაერთიანებული ოცდაშესამე წელი

11

ნომერი

1979

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პრეზა, პოეზია

- 3. ჩვენო მარადიულო და უპირველო კომედიონი
- 4. თეიმ გოდამე — რწმენა და თავდადება; დალი-
ლა ბედინიძე — ვულგარე თანატოლებს ლექსო
თოკამ — გელეგა კარბისა მალვინა ჯაფი-
ვილი — უმალესი ჯიღლო
- 6. თეიმურაზ მალეფშიძე — ცხრაპარა. რომანი.
გაგრძელება
- 36. დავით კვიციანი — ლექსები
- 38. აბაგი ბაჟრაღია — მოთხრობები
- 62. ალექსანდრე ტახტაძე — ლექსები
- 64. რომან ჩახანიძე — მოთხრობები
- 82. ვახე დოღვაია — ლექსები
- 84. რევაზ დანელია — ლექსები
- 86. გურამ ბიორგოზიანი — ლექსები
- 88. ბიორგი მინდიაკური — ლექსები
- 89. ჯანერი გრეგოვილი — მრთულთა ახირებას მინ-
დობილი ცხვრება. მოთხრობა
- 96. სოლომონ სანჯარული — გვრნალი. მოთხრობა
- 105. თამაზ ჩხენკელი — ლექსები

70 — ირაკლი აბაშიძე — 70

- 114. ირაკლი აბაშიძე — შვიდანი წილიტ... ლექსი.
ანდრია ბალანჩივაძე, მახანა ბირიძე, ანა კა-
ლანდიაძე, მანუჩარ მახაიძე, რომინ მებრევილი, გუ-
რამ შანჭიკიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ
მანტუჩია. მილოცვები

ჩვენი თანამედროვე

- 126. კახაბ ნაცვლიშვილი — ვიოლინოები მინის
ფირფიტებზე ანუ ლეონკარდის კუდი

პრინტიკა, კუბლიცისტიკა

- 134. სოსო სივუა — მწკანი ცხენი
- 146. შალვა ამისულაშვილი — ტრადიციების ერთგუ-
ლი კოეტი
- 151. როლანდ გარეულაძე — მძი სიფიქსე და და-
ფიქრება

განხილვა

- 154. შოთა ძიჭივური — ალექსანდრე ჯანელიძე
საბირა. იუშორი. პაროდია
- 159. ბათუ მელია — ლექსები
- 160. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

შთავარი რედაქტორი მორის შოთენიშვილი

სარედაქციო კუბეგია:

- მამუკა ამირჯანიანი
- ვიქტორ შიშინაძე
- გურამ გვარდამიანი
- რისუბა გორდუნიანი
- გიორგი გუბლია
- ნოდარ დუმბაძე
- მირაზ ელიოზოვილი
- ელეონორ მინაია
- ირინა მრგონიძე
- ოტია კაპაშვილი
(შთ. რედაქტორის
შოთენიშვილი)
- გურამ შანჭიკიძე
- ნუგზარ შატაიძე
- ჯანსუღ ჩარკვიანი
- გივი ანუაძე
- ნუგზარ წიკრიძე
- თამაზ წიჭივაძე
- ტარიელ ჯანელიძე
- რევაზ ვაიშვილი

ჩვენო გარდაღულ და უპირატესო კომკავშირო!

შენ ძაბრულა ქუდებში დაიწყე სიცოცხლე, მამის თუ უფროსი ძმის გამო-
ნაცვლი დახეული ფარაჯა გეცვა, ხელში ხმალი ან შაშხანა გეჭირა; წინ კი იყო
გრძელი და ფათერაკიანი გზა, ყინვა და შიმშილი, სისხლი და ოფლი, ცრემლი
და სინანული. დანგრეული და მოლიპული იყო გზა. ეს გზა შენი საკუთარი გზა
იყო. ან გზას შენი მშობლიური ქვეყანა ერქვა. ამ გზას შენ ბედნიერებისა და
თავისუფლებისაკენ მიჰყავდი.

არნახულად მხნე და ძლიერი იყო შენი ლტოლვა და ენის. განუყოფელ-
ლად ძლიერი იყო შენი შემართება, არავითარ ტყვიას და სილუბჭირებს არ
შეეძლო შენი მოქნეული ხმლის შეჩერება. არავითარ მტერს არ ძალუძდა შენი
ამაყი მკერდის შენგრევა და დამარცხება. შენს პრილა ხმალზე თვით მშხის ათი-
ნათს აღებეჭდა თავისუფლება, ძმობა, ერთიანობა.

შენ მაშინ უსაშველოდ ძლიერი და ამაყი იყავი — შენ მაშინ ბორის ძნე-
ლაძე და პავლე კორჩაგინა გერქვა.

ბერე ცოტათი დაცხრა შენი ქვეყანა, სისხლი და ცრემლი მოაკლდა შენს
გზას. თუმცა უმეტესად გადაშფავრიყო ხოლმე უფრო გულსაკლავად,
დანგრეულიყო და განადგურებულიყო შენი ქვეყნის სიმდიდრე და სინახები.

უკვე აღარ იყო ხმლისა და შაშხანის დრო და შენც ბარი და ნიჩაბი აიღე.
მშვირბა და შეცივულმა, ათგზის ნაჭრილობებგმა, მაგრამ კვლავაც უსაშველოდ
ძლიერმა და ამაყმა დაიწყე შენება.

ძნელი იყო მეტად შენება, ვაგლანი და დატაკი იყო ქვეყანა, არ გყოფნი-
და დღის სინათლე — ლამისტეგვით შრომობდი და იღვწოდი. თესავდი და მკი-
ლი, ხნავდი და სიკეთის მარცვალს აღვივებდი. პირველად იმღერე მაშინ, ლაღი
და უშურველი იყო შენი ხმა, გადამდები და ბედნიერი — შენ მაშინ მეჭი ვა-
ნაიძე გერქვა, ჩვენო კომკავშირო!

დაპურდა და აიგო ქვეყანა, ნათელი და კრიალა გახდა ცა.

თუმცა არ დაგცალდა შრომა და სიხარული. მეხვივით გასკდა მოწმენდილ ცა-
ზე დიდი სამამულო, უცერად მოიღრუბლა და ჩაპირქუშდა წმინდა და კრიალა
ზეცა.

შენ მაშინ ტრაქტორის საქუს უჯეჭი, ხარაჩოზე იდგე, ხელში კალამი გეჭი-
რა და ბედნიერების სიმღერას თხზავდი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ტრაქტორიდან ტანკს მიამურე, ხარაჩოდან ჩამოსულმა სანგრების თხრა
დაიწყე, კალამი ხიშტიო შეცვალე და სწორედ მაშინ მიმართე მშობლიურ ქვე-
ყანას, — „მე დაებრუნდები, პო, დაებრუნდები, მე დაებრუნდები გამარჯვებულ
ლაშქართან ერთად“...

ისევე დაიწყო სცხლთა და ცრემლთა დენა, ისევე დაიწყო ნგრევა და ხან-
ჩარი, მაგრამ შენ იყავი არნახულად მხნე და შემტევი, დაუნდობელი და თავგან-
წირული, მომთმენი და შურისმძიებელი, შენ გამარჯვებული გამოდი ამ ბრძო-
ლიდან. შენ მაშინ მირზა გელოვანი და ოლუგ კოშევი გერქვა, შენ მაშინ მი-
ლიონობით გმირის სახელი გერქვა, ჩვენო კომკავშირო!



შენ ამ ომიდან უფრო ძლიერი და დავაჯაცებული გამოხვედი, კრწანთის გადივიწყე და დალილობაც, ისევ შველა-აღდგენა უნდოდა ვახუშთის მსახურს თებ და მიწასთან ვასწორებულ ქვეყანას.

ისევ დაიწყე თესვა და მკა. ისევ აღმართე ხარაჩოები. კვლავ მკურნალივით მიაშურე მშობლიური ხალხის სატკივარს და სასალბუნოს.

მერე ასარეზი გეპატარავა და ყამირისკენ დაიძარი ხალხის სამსახურში მის ჩასაყენებლად. შორეული აღმოსავლეთისკენ დაიწყე გზის გაკვლევა. დღეს უდიდესი ელექტროსადგურების ელექტროგენერატორები შენა დამისტეხითა და ჯადვით ნოპოვებული ენერჯია.

შენ მაშინ მილიონობით წაღვედა კურჩენკო და ნოდარ ნოდია გერქვა, ჩვენო სახელოვანო კომკავშირო!

ჩვენი მაღლიანი შინდერების, ზერებისა და პლანტაციების ბარაქა და სიკეთეც შენი დამსახურებაა, საქართველოს კომკავშირო!

ახლახან უაღრესად სასიხარულო ცნობა მივიღეთ — პარტიამ და მთავრობამ დირექტორად დააფასა შენი ნამუშაური და ღვაწლი, დღეს შენ ლენინის ორდენის საპატიო კავალერი ხარ.

შენი საყვარელი სამშობლო ზეიმით ეგებება ამ ღირსშესანიშნავ ფაქტს. შენი მაღლიანი რწმენის ქვეშ გამოწრობილი და დავაჯაცებული ადამიანები მხურვალედ გილოცავენ ამ უაღრესად საპატიო და მაღალ ჯილდოს.

ეს უდიდესი და უმაღლესი ჯილდოა. ბედნიერია საქართველოს ახალგაზრდობა, მუშა თუ მეცნიერი. კოლმეურნე თუ მშენებელი. სიამაყით ავსილა ახალგაზრდა ქართველი მწერლობაც. ეს ჯილდო ხომ კიდევ უფრო მეტ თავგანწირვას, შრომასა და რუდუნებას მოითხოვს თითოეული მათგანისაგან, რომ უკეთესი გამსახურონ სამშობლოს, ხალხს, ჩვენი დიდი ქვეყნის ურყევ და ნათელ მიზნებს.

ყველა ქართველი ახალგაზრდა შემოქმედი და ეურნალ „ცისკრის“ მკითხველთა მრავალათასიანი არმია შენთან ერთად ზეიმობს და დღესასწაულობს შენს ესოდენ დიდ გამარჯვებას.

დალოცვილი და მარადიული იყავ ოქტომბრის შუქით განათებულთ, ჩვენო უბერებელთ ახალგაზრდობავ! ჩვენთ დიდებულთ კომკავშირო!

რწმენა და თავდადება

სწინარშლით ამევსო ვულა, როცა საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების ამბავი შევიტყვე. სიტყვებით ძნელია გამოვხატო ის ამაღლებული განწყობილება და სიამაყის გრძნობა, რაც იმ რუფებში დამეღულა.

ბევრ რაშეს გვაჯალებს ეს საპატიო ჯილდო, იმედსა და რწმენას გვინერგავს გულში, ახალი სიმაღლეების დასაპყრობად გვიზივს.

ქართველო ახალგაზრდებო — კომკავშირლებო, ბორის ძნელადებსა და მირზა გელოვანის გმირული საქმეების გამგარძელებლნო, სულითა და გულით გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას. რწმენა და თავდადება მოხაჯაო გამარჯვებების საქინდარი, მტკიცე რწმენასა და თავდადებას გისურვებთ!

თაშო გოცამე

ვულოცავ თანატოლებს!

სულით და გულით ვულოცავ საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას, მის ცენტრალურ კომიტეტს მაღალი ჯილდოს, ლენინის ორდენის მიღებას. ეს ჯილდო საფასურია ზღვაზე თუ ვენახში, ლაბორატორიაში თუ — დაზგასთან, საწერ მაგიდასთან თუ საჯავდმყოფოში მორიგეობისას გათული ყოველი ღამისათვის; იმ უარგარო შრომისათვის, რაც ქართველმა კომკავშირელებმა გასწიეს.

მინდა მივულოცო თვითველ კომკავშირებს, რადგან ჭილღო ყოველ იმ ჩვენთაგანს ეკუთვნის, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის გამარჯვებაში. მინდა ხაზი გავუსვა სტუდენტთა და მოსწავლეთა დამსახურებას მესამე შრომითი სემესტრის განსაჯ-ლობაში, როცა ისინი აქტიურ დასვენებას შესანიშნავად უთავსებდნენ სასოვადობრივ სახარ-გებლო შრომას.

ვულოცავ ჩემს თანატოლებს — ახალგაზრდა მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, მო-ქანდაკეებს, შრომის გმირებს, შინაკეთებელთა კი — კომკავშირის პრემიის ლაურეატებს. უუ-ლოცავ ეიტერან კომკავშირელებს და მათ, ვინც ასაკით გამოვიდა ალკვ რიგებიდან, მაგრამ გული მაინც ახალგაზრდული და კომკავშირული დარჩა.

ეს ორდენი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა საქართველოს კომკავშირის მარადიული ახალგაზრდობის, მისი სიმტკიცის, ერთიანობის და ძლიერებისა.

სულ ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო!

დალილა ბედიანიძე

მადლობა პარტიას!

საპარტიულო კომკავშირი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, რადგან საამაუთა და სა-სიხარულო, რამდენ პასუხისმგებლობას და მონდომების გაორკეცებას მოითხოვს ჩვენგან. პარ-ტიის ეს უმაღლესი ჭილღო თანაბრად ეკუთვნის ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოწინავე ახალ-გაზრდას: — მუშასა და მეჩაიეს, მევენახესა და სტუდენტს, ახალგაზრდა შემოქმედს, — ყველას, ვინც ძალა და ენერჯია არ დაიშურა, ვინც თავისი წვლილი შეიტანა მეთვლეწილი შრომით მიღწევებში.

დიდი ზეიმიად დღეს საქართველოში, ეს ზეიმი მხოლოდ ახალგაზრდებს არ ეკუთვნით. მას თანამებრად ინაწილებენ ჩვენი საბელოვანი უფროსი თაობები, ისინი, ვინც ჩვენ გამოგვზარდებ, გამოგაწვრთნენ და დიდი ასპარეზი გადაგვიშალა თვალწინ. ახალგაზრდა მუსიკოსების სახე-ლით მინდა მსურველედ მივულოცო საქართველოს კომკავშირის ესოდენ დიდი ჭილღო და მად-ლობა მოვასწინო პარტიასა და მთავრობას ამგვარი ნდობისა და დაფასებისათვის!

ლევსო თორაძე

უმაღლესი ჯილდო

პარტიულ მეჩაიეთა წლებანდელი მიღწევა მართლაც რომ საარაკო გახლავთ; სიხარულითა და სიამაუთ აღსაყვ ვარ იმ შეგრძნებით, რომ მეჩაიეთა წლებანდელ წარმატებებში უდიდესი წვლილი ქართველ ახალგაზრდობას მიუძღვ: ს.

საქართველოს კომკავშირელები სამშობლოს საქირბოროტო უბნებზე ყოველთვის მერწინა-ვენი იყვნენ. მართლაც რა აღწერს ქართველ კომკავშირელთა გმირულ თავდადებასა და საქია-ნობას.

დღეს ჩემი და ჩემი თანატოლებს სიხარული და სიამაუე გაასკეცებულა. ჩვენი დიდი ქვეყნის პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა საქართველოს კომკავშირელთა ბეშმარ-ტად მსულიშეადღური საქმიანობა — საქართველოს კომკავშირი ლენინის ორდენის კავალერი გახდა.

ქართველი კომკავშირელები მოწინაველშიც არ დაეშურებთ ძალასა და გარჯას ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად და საკეთილდღეოთ.

ჩემი და ჩემი თანატოლების სახელით გულმსურველედ ვულოცავთ მშობლიურ კომკავ-შირს ამ უმაღლეს ჭილღოს.

ნალვინა ჯაჭიფიძე

მეჩაიეთა კომკავშირული ბრივადის ბრივიადიო საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატა





თაიმურაზ მაღლაჭავჭავაძე

მ ს რ ა კ ა რ ა

რომანი

06ბერლადონია

„ბერლადონია იყო უიფიანის ქუჩაზე, ჩვენი სახლის წინ, ეტლი გაჩერდა, ხიდანაც ბიპარემმა თითქმის სწელით გადმოსვა თბილად ჩაქმული ახალგაზრდა კაცი და თავის ბინაში შეიყვანა. ფანჯრიდან დაღვინებ ფერწახული სახე. ეს იყო ავადმყოფი მირზა ეგლოვანი, რომლის შოვლა ლადომ იკისრა. მირზა რამდენიმე დღე დარჩა აქ. სივრიფიანა კედლებში ატანდა საუბრისა და სიცოცხლის სმა, ფანდურის მელოდია (პორტი გამბრიელ ჰაბუშანური უკრავდა), მნახველების მიხვლა-მოსვლის ხმაური. მიუხედავად დიდი ხურვილიხა, მე და ჩემი მეგობარი ქალაშვილები ავადმყოფთან შესვლას ვერ ვებედავდით.

მოქობინდა თუ არა, მირზა თავის ბინაზე გადავიდა. მისი წასვლის შემდეგ, როდესაც ლადოსთან შევედი, მაგიდაზე მირზას ხელნაწერები ეწყო. ეს იყო ნაწევრები პოემა „შავნაბადადან“.

სახლში იწვნენ, დაწვა ისიც, ძილი საღდაც გაპარულა.

მანამდე „ჩვენ თაობაში“ გამოქვეყნებულ მისი რამდენიმე ლექსი წაშეთობა და როგორც პორტრე, წარმოადგენა მქონდა.

გამოკეთების შემდეგ მირზა ლადოს ბშირი სტუმარი იყო და ჩვენც უკვე აღარ გვეკრძალებოდა მათთან შესვლა. საუბარს, რომელშიც მონაწილეობის მიღება არ შეგვეძლო, გულისხ-

1. ეს მოგონებანი, რომლის ჩართვაც აქ საჭიროდ ვცან ერთგვარი კუბიურებით, ვად- მომცა ცნობილმა ეთნოგრაფმა თ. თრიალურმა. რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 9, 10.

უფრო ვუსმენდით და თუ შეიძლება ითქვას, გარკვეულ ლატერატურულ ზიარებას ვიღებდით. მალე საქმიად გაეშინაურდით, ლექსებიდან გამოსულებს მირზა ქუჩაში ვხვდებოდა და როგორც წესი, უფრო მივეყვებოდით გზას მთაწმინდამდე.

მოსულადნეულად მან უნივერსიტეტის დაუხ- წრებლად დამთავრება განიზრახა და შემოგთავა- ვაზა საგამოდო საგნების ერთად მომზადება. პოლიტეკონომიის კურსი უნდა ჩაგვებარებინა. მირზამ არც აცია, არც აცხელა და ამავე სა- განზე დაიწყო მუშაობა. ცოკრიბეზოდით მას- ოთახში. ეს ოთახი სახტუმრო „საქართველო“- ადგილას იყო მოთავსებული და სახელოსნო დარბაზს უფრო წააგავდა. ვმეცადინეობდით სამნი: მირზა, ჩემი კურსის ამხანაგი ქეთო აღ- საბაძე და მე. ერთი ჩვენგანი ხმამაღლა კა- თისულობდა, ჩაგრამ სხვა ორი უფრო არ უნდებ- და. უფრო მეტს ვლაპარაკობდით, ვხუმრობ- დით. ხოლო მირზა სახელდახელო ლექსებს თხზავდა ჩვენი მეცადინეობის შესახებ.

მირზას უნივერსიტეტის დამთავრებას სურ- ვილმა მის მეგობარ პოეტებს ოხუნჯობის სა- ბაბი მისცა. დამამასოვრდა ერთი ასეთი შეე- თხვევა: იმხანად მირზა ფატალი ახუნდოვის იუ- ბილეს იხდებდენ. ერთხელ სხვებთან ერთად მირზასთან პოეტი გრიგოლ აბაშიძეც შემოვიდა. ჩვენ პოლიტეკონომიის ვუსხედით. ჯერ ბევრი იცინეს, როდესაც მაინის რენტაზე ვადაშლილი სახელმძღვანელო ნახეს, შემდეგ გ. აბაშიძემ უთხრა: მირზა ხომ გქვია და გქვია, ფატალი- სტი ქე ხარ და ახლა სახუნტოვიც სხვები, ნამ- ვდელი მირზა ფატალისტი სახუნტოვი ხარო.

მე და ქეთომ ხაჯანი ჩავაბარეთ და მირზას უნივერსიტეტში სწავლის სურვილიც ამ მე- ცადინეობით ამოიწურა, ერთი ნაბიჯიც არ გა-

2 სახუნტი: სახელმწიფო უნივერსიტეტი.



დაუდგამს, რომ მის სტუდენტობას ოფიციალური სახითი მიეღო. ადრე იგი ლექციებს ესწრებოდა აურში, როგორც თავისუფალი მსმენელი, პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა კი უკანასკნელი იყო მისთვის ამ სარბიელზე.

მამინ მირზას ბევრი არაფერი მქონდა. გამორჩეუნივრული. წიგნის გამოცემის რისკსაც შედეგით იყო. ამ დასავლურ სტუდენტთა „კრებულში“ გამოცემით ვაყვებოდა. მალეწიგნისთვის იფიქროდა პატარა, ხავერდის უღარი ჩასმული წიგნები, ისინი შევიძინეთ და მირზამ, გ. ჯანუშაშვილმა და ა. შენგელიამ შეგ თავისი ლექსები ჩაწერეს. მხატვრობა მე ვიყავი (ხატვათან არაფერი მქონდა საერთო). ერთ ახლ წიგნაში, რომელიც ჩემთვის გაეკრდა, მირზას და გ. ჯანუშაშვილის ლექსები მოთავსდა. ბოლოში დასრულებული მქონდა სია: რედაქტორის (მ. ანდრონიკაშვილი), კორექტორის (თ. ონიანური), ასოთმწიქარის (გ. ჯანუშაშვილი) და მ. გელაშვილის ქ. № 54 (მირზას ბინა). ლექსები სრულდა და შენახული, მათგან ბევრი გამოუქვეყნებელია.

საბჭო, ხოლო ერთხელ იქვე დაწერა ლექსი, რომელიც ჩემთან ინახება:

სიყვარული არ ჩამიქრდა,
თუმცა დღეები გარბის,
შენი თეთრი ლენჩი და
შენი შავი წარბი
მაგონდება, როგორც ჩრდილი
ყურ და უმოსალო,
მაგონდება ყოველ დღე
ქაშუთის ასლო.
ზოგჯერ ანტილს ვეკონები,
დავიღვრები გლოვად,
ღვთისმშობელი მეგონები
და ლოცვისთვის მოვალ.
თამარ, ოხერა დამყვა ბედად,
დაიღუნა ფრთები,
შენი თმები მენატრება
და წუხილით ვთვრები.

ახლვე სახელდახელოვ დაწერილია მისი „სახალწლო მილოცვა“. ეს იყო 1939 წლის ახალი წელი. ლექსის ფუნქციით ნაწერი დედანაც მე მაქვს.

მირზას ლექსების კრებულში „უბის წიგნიდან“, გამოქვეყნებულია ლექსი „ჩემი თუმინანი“. მისი დაწერის ისტორია ასეთი იყო: წტიქნელია მივიღე. ერთ-ერთი ფულზე ქალის სახელი ეწერა. მირზას ვაჩვენე და ლამაზი იმანე ვაგაბით, თუ ვინ უნდა უთვლიყო ამ სახელის პატრონი, სადაური, ალბათ ახალგაზრდა და ლამაზი, ვამბობდი, რომ ოდესმე ეს ფული იხვე მას დაუბრუნდებოდა. მირზა ჩავიჭრებოდი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ იგი უკვე დაშორებულ ლექსს გავითხოვდა, რომელიც „ჩემი თუმინანი“ დაარქვა.

რამდენიმე ჩემმა ახლობელმა და შენაურმა ქალიშვილებმა გადაწყვიტეს ვაშაში გავემართა და ჩემი ნაცნობი პოეტები მოვეყვინა. „ღია-სახლბაგნიდან“ თვრამეტ წელზე უფროსი არაფერი იყო. საღიასახლსო პრაქტიკად არავის ვქონდა, მაგრამ წარბიც არ შეგვიბრია და გამოუცდელი ხელთ ვაშლი სუფრასზე სტუმრების დაგვით. უცხოებიდან მ. აგიაშვილი დამამახორდა, რომელიც ადვილად და მირზამ მოიყვანეს. მთელი დღე ვაჯიდა ლექსებში, მასველიტუვაობაში, მხიარულ ბასში... ამ საღამოს ბევრს ლამაზად დღენ ლადო აწითანზე, საგანგებოდ შეხვეს მისი სადღეგრძელო, როგორც პოეტისა, ალალი და კაი ბიქისა. მამინ იგი ნაკლებ ცნობილი იყო და მეც ბევრი არაფერი ვიცოდი მასზე... ამ საღამოდან განსაკუთრებით ჩამრჩა მესხიერებაში მირზას მიერ გათენიხას ნოტივანი ლექსი:

ქართველი მხატვრიდან განსაკუთრებით ლადო გუდიაშვილი უყვარდა. რაღაც თავისებურ, შეკაცად ესახებოდა. ხიბლავდა, რომ იგი როგორც ხელოვანი, სხვებს არ მგავდა, რომ ძალიან თეთრი თმა და ახალგაზრდა სახე მქონდა. ერთხელ, სამხატვრო გალერეის წინ მივიღიოდი. ირგვლივ უყვლოფერი თეთრად იყო დაფარული. უცებ, მირზამ წინ მიმავალი ლადო გუდიაშვილი შენიშნა. ეტყობა, მოუღდა მისი ყურადღების მიქცევა. აკისრია — გუნდა ესროლიყო. გვარწმუნებდა: არ ეწყინება, პირიქით, გაუხარდებო. ბოლოს, ქეთამ გაბედა, გუდიაშვილს გუნდა მიართვა, მხატვრმა მოიხედა, გაიღმა, მირზა კმაყოფილი იყო.

პოეტებიდან გარდა ახალგაზრდებისა, რომელთა ნაწერებს გულმოვლავინდ ადევნებდა

ნუ გაოცებს ცის წითელი ფერი,
დამიქრე, ღვინო დაღვარა...
ისინი შთამბეჭდავი იყო, თითქმის იმ დღის ალისფერმა ალიონმა შთაგონა ეს სტრიქონები.

ჩემმა მეგობარმა ე. ბუგრატიონმა მანუქა ნიკოლოზ მიწაშვილის მეუღლეს — თამარ ბუგრატიონს ქართულ ტანსაცმელში გადაღებული სურათი (იმეამად იგი საქართველოში არ იმყოფებოდა). ეს ფოტო კედელზე შეკადა. მირზა სწორად უყურებდა თამარის მშვენიერ

თეიმურაზ მარტოვიძე
ცხრაპარა



თვალუურს, ხშირად გვიყოთხვავა ვიორგი უსონის და ხიმინ ჩიქოვანის ლექსებს. უყვარდა ირაკლი აბაშიძის „პირველი თოვლის სიმღერა“, სიზღავდა ტიციან ცაბაძე. რომლისადმი მიძღვნილ ლექსს „უგონარების ასლი წერეთი ქეთულაობადა, სილო ჯალაქიონი პოეზიის ღმერთად მიაჩნდა.

რუსი პოეტებიდან ძალიან უყვარდა ხ. ტენისი, რომელთანაც თავის მსგავსებას ხედავდა. იგი ცოტათი გარეგნობითაც ჰგავდა ტენისს. ამის გამო ბიჭები ეხუმრებოდნენ კიდევაც და ხანდახან დაუძახებდნენ: „ლამაზო ბიჭო, ხუჭუხა ესენინ...“ უნდოდა ეთარგმნა მისი ლექსები, მაგრამ ამ მხრივ არაფერი გაუტეხია.

იმ წამთარს თბილისში დიდი თოვლი მოვიდა. ხშირად ბარდნიდა. მირზას უყვარდა თოვლში ხეტიალი: ჭერაში, ბოძებზე დაპარებულ ელექტრონა-ურებიდან მყვარ წრედ ეშვებოდა შუქი; წივის უყუნადან გზაბნეულივით იკრებოდნენ ამ წრემა თოვლით ფიჭვები და ერთმანეთს დახორიალებულან ფარფატი ეშვებოდნენ ძირს, მიჩრა ნაბიჯს შეანელებდა და ფიჭვების ცვენას კარგა ხანს ადევნებდა ხოლმე თვალუურს...

მეგობრებთან თბილი და სათუთი იყო, მათ

ხაზოვალეობას ეძებდა, მაგრამ ხაზოვალეობა ბეზრდებოდა...

ხშირად ექცოდა წაყთბულის გავლენას. უნდოდა თვითონაც ცხეთი ყოფილიყო, რამაც მასზე შთაბეჭდილება მოაბინა. სურდა ყოფილიყო რაღაც თავისებური — ხან „ჯოჯოხეთის ხმა“, ხან კი „გულწრფელის მართვე“, მაგრამ ეს ყველაფერი გარეგნული იყო, ახალგაზრდაობით, მძაფრი განცდას სურვილით ნაყარნახევი, რასაც მის პოეტურ შემოქმედებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. როგორც პოეტი, იგი მკაცრი და სიმბოლური იყო საყუთარი თავის მიმართ და პოეზიაში სიყალბეს ვერ ითმენდა. იგი თანდათანობით ხვეწდა, სრულყოფდა ლექსის ხელმოვლებს, ეღიწებოდა ადრინდელ ლექსებზე. მასსუს, ერთხელ, პატარა ყუთიდან ანთავაჯა ძველი, ბავშვობისდროინდელი ხელნაწერები, ჭერ კიდევ ხუხტი, გამოყოფილი ხელით ნაწერი. გვიითხვავა და თითქო ერთდებოდა, არ შეურაცხყოლო, კეთილად ხუმრობდამათ შუე, შეწყნარების უაღვილი უტკეროდა მათ სიხუხუტებს. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ ვუკაცუდებოდა, როგორც პოეტი და ვაი, რომ ხწორედ მაშინ შეწყდა მისი სიცოცხლე, როცა ლექსის საიდუმლო ხელთ ჰქონდა.“

თავი მერვე

I

დადა 1929, უმძიმესი უამი კაიონბრობის ესტორიასა. ამ წელს მოხდა მოვლენები, რამაც შენდვამ წარუხოცილი კვლი დაინინა მლიონობით ადამიანის ცხოვრებას, დაუნდოებელი ვაწვლებით დაასახინრა მათი სული და ხორცი, ამ წელს შთახსნა კაცთა გრანდიოზული სასაკლო. საოცარია, რომ მირზამ იმთავითვე ხწორად აუღო ალლი შექმნილ ვითარებას და ლექსში „1929“, უზუსტესი სიტყვებით გაზიხადა ის კატასტროფა, რომლისკენაც მიეჭანებოდა მოდგმა აღმიათა: „ეხ იყო წელი ოცდაცხრამეტი, გემთა მღერვაი და გამრთავი. როცა დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი და დამნაშავე ჩვენ არ ვიყავით ჩვეა პუფდენი მათ ბიჭები, და ზღვაში შავი ჩაწვიენ ნაღმები... გულის წაშლბად სტრიდენ დრუბლები, გროვლიც ჰქროდა გულისწაშლები. იფა რდილებში სიკვდილის სვეტი და მრისანებას სედიდა ცელობას, ოცდაცხრამეტი, ოცდაცხრამეტი, ბევრს აიწონის შემდეგ წელიწადს. ეს იყო წელი ოცდაცხრამეტი, გადყოლილი ცეცხლსა და დემონს, როცა დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი — სამარადისო წამებავ ჩემო. როცა წამოდვა ზმორებით ქარი და დასავლეთში ფრთები გაშალა, როცა ჩამოჰკრეს ბრძოლების წარს და ომის ღმერთებს შეტხნეს ავშარა. თვალთ სინჯადენენ ერებს ერები, სიხუმრ სცე-

შლა გარუქულ ძარღვებს, წამოდგენ ღურჯი კრეისტრები, ზღვა გააბეს და ეძებდნენ ნაღმებს. ტყვიაც ეძებდა სისხლიან წერტილებს, ცაც ჩამოწედა და სისხლს პოეტი... ასე დამთარგდა ოცდაცხრამეტი და მეორმოცე ასე დაიწყო“. ეს ლექსი ცოტა მოგვიანებით, 1940-შია დაწერილი და მასში რუმ ზრიალად თუ ცანცაბადა ჩამდგარი რაღაც მძიმე კატასტროფის მოლოდინი. შე არ შეგულება ქართულ პოეზიაში მეორე ლექსი, რომელშიაც ასე განოვადებულადა, პლანეტარული მასშტაბით იყოს ასახული ის აპოკალიპსური საშინელება, აგორებული ზვავივით რომ დაატყდა მრავალტანჯულ ადამიანთა მიწას და გზადაგზა ყველაფერი გადალკა. მაგრამ 1929 წლის დასაწყისში ფულკანის გუგუნი მარცხ ნაკლებად იგონებოდა, თბილისი, ისევე როგორც მთელი საბჭოეთი, ჩვეულებრივი, მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა და დაუცვადებელ შრომასა და შენებაში ხედავდა მომავლის აზრს. ისეე მირზას მოხდენილი სიტყვებით თუ ვიტყვით, ადამიანთა „თბრიადა მარად გაუთხრელ მიწას და ვოლისის ტალღებს აწვიდა უდაში. ის აშენებდა შტუცარზე თუ ღერარზე, ის ანათებდა ცეცხლის კაფით. ის ადოდა აუვალ მთებზე, სახეშეცვლილი, როგორც წრიაში. ის აქოთებდა ტიკვას ტიკიანს, რომ დაესხიბა სახლებსი რიგით და ჩამოსხუ-

ლი შაშახის ტყვიად ჩემს სამშობლოსაც იცავდა იგი. ასე ცხოვრობდა ჩვენი ქვეყნის ადამიანი, იგი ჭერ კიდევ ვერ ხელდავდა ღრუბელს, რომელიც წელს. მაგრამ ვითარდ შობაწელიდან ცახ, ჭერ კიდევ შეიძლებოდა სუნთქვა. და ამ ერთ მშვენიერ დღეს, ნაცნობმა ქალიშვილებმა მირზა სახალწლო ბაღ-ნაკარაღზე მიიწვიეს უნივერსიტეტში. მას არ უყვარდა ისეთ ადვილებში ტრიალი, სადაც ბევრი საღი იყრიდა თავს, უხერხულობას ვრძნობდა, იზნეოდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მაგრამ მაშინ რატომღაც ისე მოხდა, რომ მიწვევა სიამოვნებით მიიღო, მხოლოდ ვერაფრით ნიღბის გაკეთებაზე ვერ დაითანხმეს, ამა, რომელი რომელი მე ვარო, ამბობდა სიცილით; ჩივიდა შავი ვაღიშვებული ბლუზა, „გაღიფი“ და შავივე უძირობები, ეს მისი საყვარელი ჩიცმულა იყო, რაკილა იცოდა, რომ ძალზედ უხლებოდა. ხოლო ყოველივე დაბთავრდა გრძელწევრიანი მეცხვარული ნაბლითა და ფაფახით, რამაც ერთბაშად მიანიჭა დაღესტნის მთებში მონავარდუ აბრაგის იერი. ასეთნაირად გამოწყობილი, იგი მართლაც რომ გამოირჩეოდა და უხეზლით იქცეოდა ურადლებას. კუთხის აუდიტორია გაეცალათ და დიდი ნაძვის ხე აღეშარათ, ისმოდა მუსიკის მხიარული ხმები, დაწყვილებული, ნიღბისანი, ახალგაზრდები ტრიალებდნენ გაუთავებლად, იყო ერთი გნახის და უვიღ-ხივილი. მირზამ ამაჟი, ირიბული ნაბიჯით შიარ-შიოთა დერეფნები და აუდიტორიები, ნაცნობ ქალიშვილები თავაღსა და ხელს შუა გაუქრნენ საღაფ და აღარ იცოდა, ვის გამოლაპარაკებოდა, ახლა, ცოტა არ იყოს, ნაწობდა კიდევ: აქ რომ წამოვიდა, ამა, რა მისი საქმე იყო მასწარდები? ფანჯარასთან მიღმა, პაპიროსის ვაზიოლა, მოსწევდა და კვლავ სახლს შიამურებდა, წიგნს მანაც წაიკითხავდა რასმე. მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებ ელოდა: წინ დახახაფარებული ქალიშვილი გაუჩრდა და ისეთი გამოიწვევი გაბედულებით დაუწყო ლაპარაკი რომ მირზას თავგზა აეხნა. პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად სიყვარულზე ჩამოუფლო სიტყვა, უთხრა, რომ ვარგა ხანია, მის ასავალ-დასავალს ადევნებს თავს, იცის ვინც არის, რასაც აცემებს, სადაც ცხოვრობს... წაიკითხული აქვს მისი ყველა დღესი... ნახებელიცა და ხელნაწერთა სახით გაგრცელებულიც, იცის სხვა შრავალი წერილმანიაცა და მსხვილმანიც... მაგრამ ყოველივე ამას ისეთი გაღიზანებული — შურისმაძიებლური ტონით ლაპარაკობდა, რომლის მიღმაც ბავშვური უზრუნოა და სინჯივე იხლებოდა. ეს წახვედრ ფარწანი მირზამ, პირველმა ძლიერმა ადვილებმა გადაუარა და ახლა უწერო გულნისყურით შეათვალიერა თეთრებში გამოწყობილი ქალიშვილი, რომელსაც ნატიფი, მრგვალი მკლავები და იდაყუებამდე ხელთათმანები ეცვა, ხოლო წომიერად ამოქრილი გუ-

ლისპირიდან გახაგივებლად თეთრო, ამაღელვებელი შეკრები ხაზი მოჰყარდა. მაგრამ ყველაზე უფრო თვალმისაცემი მაინც სიმინდის ხაზარისფერი, ვაშლილი, წელსკვეთილად დაწვდილი თმა იყო, მიემდ მის გარეწობას ნამდვილი ზღაპრული ფერის იერს რომ აძლევდა. ქალიშვილის გაღიზანებული ტონი, სულ მალე, ყელში ამოწოლილმა კვითინმა შესცვალა და მირზამ სხვა ვიღაფაფერი მოიფიქრა, ნაბლის კალთა შემოახვია და იქვე, ცარიელ აუდიტორიაში შეიყვანა. ქალი ახლა ჩუმად, ოდნავ გახაგონად ღღუქუნებდა, თოლად მიეკრა და მიჭეშუქა ვაჟს, ჩიზმა და გინანა. ასე ოდნენ ცარიელ აუდიტორიაში, მირზა მთელი არსებით ვრძნობდა, რომ რაღაც ნამდვილი და ყოვლისმომცემი მრვიდა მასთან სრულიად მოულოდნელად და ეგების დაუშინახურებლადეც კი. ვინ იყო ვე გახაოცარი გოგო, ასე უწურველად, ასე გულწრფელად და ღამაზად რომ სთავაზობდა თავის გულს? ვინ იყო? მირზამ ხელი გააპარა და ნიღბის ახლა სცადა, მაგრამ ამან ქალი ძუვეუხვივით გაააფროს, იარა ახა ახა თქვენ რომ სულაც არ ვუყვარვართ, რად ვინდათ ჩემი ხაზე? რომ დამცინოთ და მასხარად ანიგლოთ? ჩემს უმწიროზე იქირკილით? არა! მირზა, დიდად ადვილებული, მკლავებს უჭერდა ქალის აცხცხცხულზე, გაუჩნულ სხეულს, წონასწორობადაქარგული ჰყოცინდა ხელბზე — ჭერ იმიტომ, რომ დეწწნარებიცა, შემდეგ კი, გნებით აუვანილი, შოშითა და კრფომით ეწვაფიოლა მის ტანსაცმელსა და მხრებს, მაგრამ ქალი ისევ ცახცახებდა მოკრუნხული და შეკრდილან მოწოლილი კვითინს, მიემლი ძალ-ღონით იკავებდა. „სახელი, სახელი მაინც მითხარო! — ბუტბუტება მირზა, — „სად გნახით, როგორ გნახით“. მაგრამ ქალი მოულოდნელად დაუსხლტა ნაბლიდან, დერეფანს შიამურა და არყოფილივით გაწინარდა. გოგონებში მირზა, როგორც იქნა — გამოერკვა, პაპიროსის მოწვევა სცადა, მაგრამ ვერაფრით ახანით ვერ იპოვა ვიშეში, თუმცა რამდენჯერმე შიარხრია. თავში ახრი არ უჭკანებდა, ისეთ დაქანცულობას ვრძნობდა, თითქო მთელი დღე ქვა ეკოდოს. მერმე უტებდ გაიფიქრა, რომ ის გოგო შეძლებდა ვეღარაოდენ ეპოვა და სამუდამოდ დაპარგოდა... სწრაფად დაბჟვა დერეფანს, აუდიტორიებში შეიხედა, შესამე ხართულზეც ავიდა, მაგრამ გოგოს ღაღადაც ვერ მოჰყრა თავი. ამანობაში ნაცნობ ქალიშვილები მოკვაკვდნენ, როკვიხავან ღოუკბი აბეცეოლაო, ხეცოლ-კიკისით შეწოხვივენ მირზას, მაგრამ წახვედრ ნაცხრენ მის ქალადღვით გაფიქრებულ სახეს რომ შეხედებს. რა მონღა? მირზა უძღური აყო ვინმესთვის რაიმე აეხნა. წამით ისიც იფიქრა, იქნებ ეს ყველაფერი სინამდვილე

თინიშნავს მგლელაშობრემ
ცხრბაპარ



კი არა, სწორედელი მოლანდებაო, მაგრამ რა მოლანდება, როცა მკლავებში ახლაც გრძნობდა ქალის აცხცებებული სხეულის თრთოლას? თავის ტკივილი მოიმაზრება და ხანკაროდ დატოვა ბალ-მასკარადი, ახლა მარტოობის გარდა არაფერი უშველიდა. გარეთ ზამთრის წვიმა დახვდა — ცივი და მჩხვლტავი. გული ვადიდდა და ხამოვნებით უშვრდია სახეს წვიმას, თითქო უნდა გამოფხზღებულყო, მაგრამ ისე იყო ჩანთქმული ფიქრებში, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. ცოტა უფრო დაკვირვებულად კაცი ე უმძველად შენიშნავდა ეზოს ქიშკართან ნიბლიასავით გაწუწულ, მომლოდინე გოგონას... რა იცოდა მაშინ მირზამ, რომ სწორედ ეს უცნაური, ექსცენტრიული ქალიშვილი შეუფარდებოდა ერთადერთი, ნაღვლიანი, მწიფე სიყვარულით და მისგანაც საზღაურად იგივეს მიიღებდა? რომ მისი ბოლოდროინდელი ლექსებისა და საერთოდ ცხოვრების კეთილი მკვლევ იგი იქნებოდა? რომ სისხლიან ჭოჭოხეთში ვადაშვებული, მისი მოგონებით გაითბობდა შეციებულ სულს? არ იცოდა და არც შეიძლება იცოდა, ერთი რამ ადარებდა მსოფლივ: როგორ, რა გზითა და საშუალებით ეტოვა იგი. მთელი დამე თვალი ვერ მოსუქა, ხოლო დღითი, ადრეა თუ არა ღოგინიდან, იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში რაღაც სრულიად ახალსა და უჩვეულოდ მომხიბვლელს, ღრმად გაედგა ფეხვი. სავარაუდოა, ქალიშვილი უნივერსიტეტის სტუდენტის ყოფილიყო, ამიტომ, პირველ რიგში, იქნა ძებნა საქარო, მაგრამ ერთადერთი, რითაც მისი ცნობა შეუძლებელია — ჩანჩქერავით ჩამოშლილი, დატალღული, ოქროსფერი, გრძელი თმაა, ჩამოშლილ თმას კი არავინ ატარებს, ასე ხოლოდ მასკარადზე შეიძლება გამოჩენა და იმ უცნაურ გოგონასაც თმა ახლა ალბათ მსხვილ მორგვად აქვს კეფაზე დამაგრებული. ესაა და ეს, წაღი და იცანი, ათასობით სტუდენტში. მირზამ უსწირა უნივერსიტეტში სიარულს, თინაინი დაკვირვებით აცქირებდებოდა გოგონებს, მაგრამ ამაოდ, იმედლოდ ქალიშვილი არა და არ ჩანდა. სწორედ იმ ხანებში დაიწერა ლექსი „მასკარადი“, ხადაც ყოველივე თავსებადმსდარი ასეთნაირად არის გარდასახული: „მსუბუქი ბინდა, თითქოს ჩურჩული, ფრთხილი ნაბიჯით მომყუა კარამილის. ბაღიდან ლურჯი, როგორც უარჩხული, მტრებს მამვენებდა მე მასკარადი. ერთიან ხსვედღს და შრიალს შორის შეხვედრას ჩვენსაზ იცრიდა ბაღი, მე — აქილევსის ნიღაბით შავით, შენ — უთფერისი ლღის ნიღაბით. ო, ეს შეხვედრა სხვის ზარალონ ვედრებასავით ხელში შეიტანს. თითქოს საარი, თითქოს ალილო, დავდულულუნდა მხრებთან ფლურტა. სცემდა მუსიკა ღამეზ კოსტუმებს, გოფ ციკვებს, მკლავებს, გადღვას ღილის, მე მაგივრდა შენი დესტურტი, მაგრამ ნიღაბი გიწვლიდა დიმილს. ბოლოს დაემორღით... დათენთილს, დაღლილს

დამრჩა სედლა და მხრებით დეჟერედო... და აქილევსა დატოვებ ბაღი — ქუჩისმუსიკისმუსიკა გულში დატრიალდა. შენ კი საღ წახველ? გულისხმადევი ვის გავუშვილო, როგორც ვედრება, ყოველდღელი მასკარადები მიჰქრინა უმზღლ, შეუხვედრებოდა. მიჰქრინა, როგორც ირმის ფეხები, სტებენ ღამეს და ისმის ღაანდგარი... დღეს ფერს და ხალისს დავესხსებდი და შიგნით ერთად მთაზე ამგვარი ვუვირე, რომ ხაგაწვა პირიქით, რომ დღე შეხვედრის ჩენიდან გარბის, რომ დამეკარა შენი ბილიკი და მწამებელი წარაბი — წარბი. ოცნების რტევა იმედებს შევიღის, დავიწიო ბაღებს, როგორც კულიტებს, არხად შემხვდება ნიღაბი შენი და უშენოა გამაგულიტებს. არხად შემხვდება... ხაღლ პროფილებს ქარი არხებს და ხეებს ანებებს, არც შენზე ფიქრი მაქმეყოფილებს, არც დღენი მოაქვთ შემოდამებებს. მხოლოდ სურვილი შორით იაღებს და შეხვედრისთვის იმდეს მიქეჭებს და ვაბობ: ზიზღი ყველა ნიღაბებს, როგორც გათიშვის პირველ მიზეზებს... იმედი ჰქონდა, ლექსს ხაღმე დაბეჭდვდა და ამით მაინც დამეყარებდა კონტაქტს იფუხალ ქალიშვილით, მაიხვედრებდა, რა განცდებიც აწვალბდა და აფორაქებდა, მაგრამ რედაქციებმა საკმაოზე მეტი თავშეკავება გამოიჩინეს და ლექსის დაბეჭდვა, რამეთუ ქაბაღ ინტამურ-დეკადენტურში, ცდილობდა ყველა ადგილი მოეხილსათვის გადადეს. ასე, რომ, მირზას ეს იმედოც გამოეცალა ხელოდან. დადიოდა, დაუხტიბოლოა ქალიქის ქურებში, ბაღებში, იხედებოდა თეატრებში, ცდილობდა ყველა ადგილი მოეხილდა, ხადაც ხალხის თავშესაური იყო, მაგრამ სულიხა და ხორცის თავმეკრელი გოგო ვერც კი დალანდა. ახლა უკვე ბოღმა მოქალა, უიდაჭობისა და დაუკმაყოფილებელი წადილის ბოღმა. მივიღოდა და დეიან ღამე თავის ცივ, გამოყრუებულ ოთახში, დაეგდებოდა და ბორგავდა გაღააში გამომწყვდეული ნადირივით. აქ უნდა მოეხილს ლექსი „ჩემი ოთახი“, რომელიც მირზას იმდროინდელ განწყობილებაზე ნათელ წარმოდენას გვექმნის: „ო, რამდენ დღეთა დამიღღელი რიგი ვათე შენთან, ოთახი ჩემო. ცრემლებიც იმე გაწვიმდა შიგნით, როგორც წვეთები სახურავს ზემოთ. ვიწეკი ცივი ხირუმის გვერდით, ხატრფოს მაგიერ ყინვასთან ვიწეკ და ხიბნელეში დაღლილი გედი ჩუნი-ნულა ყორნის ბახხალე ვიქვცე. და როცა ჩემი სიკვდილი მიყმობს, მიყმობს დღმილი და სასაფლაო, მოვლენ, იტყვიან, ან, აქ იყო, ვინც შემდეგ ყველგან დეახხალო. მოვლენ მაგ ვიწრო კედლების უღაში, გეთოხვევენ ღამით დეკარგულ ამბავს. მაშინ დაღუღი, ნუ გამცემ მაშინ, ჩემი ლექსების ფარული სტამბავ. ნუ გაიცემ, ოხვრა ცრემლად ნაღენი რამდენჯერ ნახე, რამდენჯერ ვეცხა. ნუ გამცემ, კაცნა მახხივს რამდენი, ან ვნებიაში რამდენი კაცნა. თვითონ იგრძნობენ ლექსების იქით, ფრანგების იქით როგორც რა

ხდება, იგრძნობენ, როგორ კვდებოდა იგი, ვინც შედეგ უყვლვან დაესახლება. ეს კაცები ხიწუმიან გვერდით, სატრფოს მაგიერ ყინვითან წოლა იყო, რომ აგებებდა ვენებშით კელთამდე გატენილ ში წლის ქაბუკს და თითქო იმუჭრებოდა: მიდე შოვა ის დრო, როცა მე უყვლვას გულებში დაესახლები" და მაშინ ხომ იხანებოთ კვირს უგულობასო... რაღა თქმა უნდა, არც აი ლექსს უნახავს მისი სინათლე თავის დროზე და იქით ის „იღუმელი ქალიშვილი“ იხერხებოდა მკვირა და სიყვარულით, აქეთ კიდეც — მირზა... ასე გადიოდა დრო, თვეს თვე ცვლიდა და ხანატრელი გაზაფხულიც მოვიდა როგორც იქნა. თხილისის ტბილეში გაბედვრიალდა აპრილის ფერებით, ზეცის თავანი აიწია, აიწია უსაზღვროდ მაღლა და გალურჯდა ზღვასავით. ახფალტის ნახაზარებში ბალახმა ამოჟყო თავი... 1939 წლის აპრილი მრავალმხრივ, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მირზასთვის. მერს იყო და, მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს, რაც კია ხნის სურვილი იყო მისი. სხვათა შორის, შემოარჩენილია წესადხდება დათარბებული 16 აპრილის 1939 წლისა, სადაც იგი ვისაც ჯერ არს აცნობებს, სამი წელია ვიბექტები სხვადასხვა ფურნალ-გავრთებში და გათხოვი, განხილეთ ნემში კავშირის წევრად მიღების საკითხიო. ეს განცხადება, როგორც იქნა, შეტყველებს, მწერალთა კავშირის წევრად. მერმე კიდეც, რქენი თაობის" № 4-ში „შესაბადა“ გამოქვეყნდა და ბოლოს, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მწერალთა სახალის კლუბში გაიმართა მისი შემოქმედების საღამო. ამ საღამომ დიდი სიხარული მანიჭა მირზას, სული სიეთით, რქმენითა და სიყვარულით აუცხო. რაღაც სამიოდე წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც პროვინციიდან ჩამოსული ქაბუკი კართობით შიადგა მწერალთა სახალხეს ლექსების რვეულით ხელში, მაგრამ მათი გამოჩენა ვერ გაბედა, სამი წელი გასულიყო, მაგრამ რამდენ წყალს ჩაველო ამ სამ წელიწადში, რამდენი რამ შეცვლილიყო, რაც შთავარია, როგორ დაევაკებულყო ქაბუკი სულიერად, როგორ გავრდილიყო, რომ მწერალთა მაღალ ტრიბუნაზე შედგომის ზნობრივი უფლება მოეპოვებინა. მოეპოვებინა და ათასნაირ ინტელექტუალურ ბროლიტში ნაწრობი მწერლებიც დაეჭრებინა, რომ მართლა ჰქონდა ამის უფლება. და აი, იგი ტრიბუნაზე დგას, ქვემოდან კი, დარბაზიდან, გამოიმცდელი თვალთა მთელი ჯგრო უმჯერს. ამ თვალთა პატრონებს ვერც მოატყუებ, ვერც შეადენ, ვერც რასმე გამოაპარებ — იმდენად კარგად იციან სიტყვის აბრუნდოცა და ცხოვრების ავან-ჩავანი, ისინი შეიძლება მუქარით გააწურო ან დააშინო, მაგრამ ცოლით კი მაინც უყვლადერი იციან. სხვათა შორის, ე. ბერუქელია შემოგვიანსა პატარა მოგონება: „1939 წელს მოწყობილ-

მა მირზას ლიტერატურულმა საღამომ ნათელიყო, თუ რა დიდი სიყვარული მოეპოვებინა ბალახი პოეტური ნიჭით დაქალიდოებულ ახალგაზრდას სულ რაღაც სამიოდე წლის მანძილზე ქართულ მკითხველთა შორის. ამ საღამოზე მირზამ რამდენიმე ლექსი და ბალადა „იონ“ წაიკითხა, აქვე უნდა აღვნიშნო, იგი ლექსებს ისე შთამაგონებლად კითხულობდა, მსმენელი პირველი წუთებიდან დასრულებამდე სულ განაბული უხმინდა ხოლმე“. ამ მოგონებებიდან კარგად ჩანს, რომ უყვლადერის მცოდნე ლიტერატურული „ახსები“ მართლაც მოხიბლულან ქაბუკის უშუალო, გულწრფელი პოეტიკით და უნდა ვივარაუდოთ, აღდრისაც არ დაკლებდნენ, მაგრამ ტრიბუნაზე შემდგარ მირზას განსაკუთრებულ ძალას ანიჭებდა დანახვა თმაგდა-ბოტრილი, ხანებთებული ლალო ასათიანისა, რომელიც ყოველი ლექსის დამთავრების შემდეგ აწეული ცერით ანიშნებდა ხოლმე — კარგია, მიდი, მისცეთო. იგი მართლაც დვიდელულად ხარობდა მეგობრის წარმატებით. ზო, კადდე ერთი ვინმე გახლათ უსაზღვროდ ბედნიერი: იგი სულ ბოლო რიგის კუთხეში იყო ნიბლიასავით მიყუებული და თითქო რცხვენიას თავის მაღლა აწევია, ჩუმ-ჩუმად, უფარკით უცქეროდა მირზას. ხოლო როცა მან „მასკარადი“ წაიკითხა და „ჩემი ოთახი“ მიაყოლა ქალიშვილმა კიდეც უფრო ჩაღუნა თავი და ჩუმად ატირდა ნეტარების ცრემლით... დამთავრდა საღამო, იყო ტაში, ითქვა ბევრი საქებარი სიტყვა, მაგრამ არაფერს ისე არ აუფორიაქებდა მირზა, როგორც ნიავით წყნარმა ხმამ აწუროაქა;

- გამარჯობა, მირზა. მე გვანცა მქვია.
- ქაბუკს ერთდროულად გადაველო ყინული და მდულარც.
- გვანცა...
- მიცანი?
- კი... მე...
- მომილოცავს გამარჯვება.
- მე...
- ნურაფერს მეტყვი. ისედაც ვციო ყველაფერი.
- უყვლადერი?
- ზო, მირზა, უყვლადერი. მშაბტიე. თუ გაგაწვალე?
- გვანცა... მეც მშაბტიე.
- უცქერენ ერთმანეთს და მირზა ქვეცნობიერად ფიქრობს, რომ სწორედ ასეთად ჰქონდა წარმოდგენილი მისი თვალები — წყლიანი, კილოებგაიფილელი, მოაღერსე უსაზღვროდ... თითქო სახელიც იმთავითვე იცოდა — გვანცა, გვანცა... უცქერენ ერთმანეთს, უცქერენ და უსიტყვოდ გრძნობენ ზიარ სურთელს — წავიდენ აქედან, მარტონი დარჩნენ, ერთად

თიიშურს მაღლაფარნიმ
ცხარბარბ

იყვნენ სულ, ხაშუღამოდ... ბერებს აღარ ფიქრობენ, მართლაც იპარებინა და ნაცონ-მეგობრებს ხასტად ტოვებენ.

მაღე გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ (№ 13, 1939), ასეთ ინფორმაციას გამოაქვეყნებს:

მირზა გელოვანის შემოქმედების ხალაშო...
ახლაზან მწერალთა კავშირის წევრად მიღებული მირზა გელოვანი ეკუთვნის ამ ახალგაზრდა პოეტთა რიცხვს, რომელთა ლექსებში ჩანს უტყუარი ნიშნები იმისა, რომ გულშაღვიგინე მუშაობით მათ შეუძლიათ თავიანთი სიხალღე შეიტანონ ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ის ხალაშო, რომელიც მირზა გელოვანის ლექსების მოხასივნად და განსახილველად მოაწყო პოეზიის სექციამ 20 აპრილს, ამ პოეტის შემოქმედებისაგან მიღებული პირველ შთაბეჭდილებათა ერთგვარი შემოქმედა იყო. მ. გელოვანმა აუღიორიას წაუთოხა ლირიკული ლექსები, მაღადა „იონ“ და ნაწყვეტები სორის ძნელაბის რეგულაციური მოღაწეობის თემაზე დაწერილი პოემიდან „შენახაბა“. ამ ლექსების მოსმენამ და გარჩევაშ დადასტურა ის აზრი, რომ მათი ატორის სხილ ქართულ საბჭოთა პოეზიას ემატება უშეველი ძალა. აღსანიშნავია ის, რომ მოსმენილი ლექსების შეფაბება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ს. ჩიქოვაშია, დ. ბენაშვილია, ტრ. ასტავაძე, გ. აბაშიძე, ალ. გომიშვილია, ახალგაზრდა პოეტებმა გ. ჯაბუშვირმა და უბილაგამ, მიუღვამელი და პირუთველი იყო, ზოგერთმა ამხანაგმა ახალგაზრდა პოეტის მამართ ზედმეტი სიმკაცრეც ე გამოიჩინა, მაგრამ ერთ საკითხში ყველა შეთანხმდა: სახელდობრ, ყველამ გაიზიარა ის აზრი, რომ მ. გელოვანი თავისუფლად ატლობს ლექსის ფორმას, რომ მ. გელოვანის ლექსი არის რიტმულად მრავალფეროვანი, მელოდიური, რომ ენა მისი პოეზიისა არის საქმიოდ ლიტერატურული, მაგრამ ფორმალურად კარგად შესრულებულ მის ლექსებზე ზოგჯერ აკლია განწყობილებათა უშუალოება და იდეური სიღრმე. გელოვანი ირენს აშკარა ტენდენციას ხალხურობისაკენ, მაგრამ ზოგჯერ მისი ლექსების ხალხურობა არის არა უშუალო, არამედ მწიგნობრული, სტილიზებული, არა ცხოვრების უშუალო ცოდნიად, არამედ ჩვენი ცნობილი პოეტების გავლენიდან გამომდინარე ხალხურება. მირზა გელოვანზე არ შეიძლება ითქვას — განაცხადებს ამხანაგებმა, — რომ მისი პოეზია აქტუალური თემატიკის, ჩვენი თანამედროვეობის გარეშე ვითარდებოდეს, მაგრამ ყველთვის ორგანულად არ არის განცდილი ის, რასაც იგი თანამედროვეობაზე დაწერილი ლექსებში უმდგრის. მიზეზა ის არის, რომ პოეტი საქმიოდ არ იცნობს ჩვენს სინამდვილეს და საზრდოს შემოქმედებისათვის უშთაურესად ლიტერატურული წყაროებიდან ლებულობს. თავისთავზე მეტი შევადგინება, თერაიული

დონის ამაღლება, მეტი დეკორაცია ჩვენი სინამდვილის ცოცხალ ფაქტებზე, მისი ნიშნების აღმანიშნებზე, მირზა გელოვანს გამოიყვანს შემხარბი საბჭოთა პოეტის დიდ გზაზე — ამ ამხანაგური რჩვეული ლაშობერეს თავიანთი სიტყვები გამოაზრდა ორატორებმა.

ეს უკვე, არც მეტი და არც ნაკლები, მირზა გელოვანის შემოქმედების ოფიციალური აღიარება და დადასტურება იყო. მართალია, ზემორე ინფორმაცია გერაფერი შეილი ოსტინილით ეხლდებოდა, ქარბად უხედად ხარკს უგვერე შტამებს, მაგრამ ერთ რასზე კი ნამდვილად ვერ წაართმედი: ჩვენს პოეტს გზავთილს უსურებდა პოეზიის ძნელად ხავად ბილიკებზე. ერთი სიტყვით, მირზა „შუნოზ კაცად დაიძინა და ცნობილ კაცად გამოიღვიძა“, მაგრამ ღირსეულობა და პატრიოსტეაც აღბაბა ის გახლდათ, რომ ყველივე ამას, მირზაზე ბილიკებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მან საქმიოდ იცოდა თავისთავის ფაბი — როგორც ოფიციალურ დაიარებაშიღისე შემედგავ და, საყუთარი სინდისისა და პოეზიის დიდი ღმერთის გარდა, გუნდისა და მსჯაერის გამოტანის უფლებას არავის მისცემდა შინაგანად.

2.

მშო ნიკა! ეს რამდენიმე დღე — შოვი გარბებული, იმდეს იძლევა, რომ ჩამოსვლისს გეირ მიცნობ. მაღაღ, ნადებობი შემოსილი მთებს დასწერებთან მარადთოვლიანი მწვერვალებში თუ ამის დაეუმატებთ რივიან კამასა და ძილს, მიხვლები, რანიარად უნდა ვიყო.

უმეტეს წილად ვარ ტყეში, რომელიმე ხის ქვეშ ვინაბები, ანდა ყვავილებს ვგვრკობ.

და აი, უკვე ზეფი დღე გასულა...

წამოსვლისას დავიფიციე: ბევრი მეწერა, ჩამოვედი და არც კი ვიცი, წერა თუ შეიძლება. აქ, ჩემის აზრით, არაფერს სწობს არ არის, გარდა სიყვარულისა!

აბა რა გგონია შენ?

ნიკო, თუ ძმე ხარ, ეურნალი რომ გამოვა, როგორმე გამოიზიავენ, საღამო ყველას. ხალხს გადაეცი, რომ მირზა ბედნიერი კაცია!

მშვილობით: მირზა გელოვანი ჩემი მისამართი: ონის რაიონი, შოვი, 1 სანატორიუმი.

6/VII-39 წ.

როგორც ამ მოკლე ბარათიდან ჩანს, საქართველოში ყოფნის უთანასწოელი ზაფხული მირზას შოვი გაუტარებია. მაგრამ ბარათი სხვა რამეზეც მეტყველებს: ილიი მისახვედრია, რომ ჭაბუკი მართლაც ბედნიერად გრძნობს თავს და ამ ბედნიერებას თვედითავი მიწეში სიყვარული გახლდათ, დიას, სიყვარული, სიყვარული გეანცხადში, რომელიც მასთან ერთად იმყოფება.

1 ბარათის აღრესატი ნიკა ავიაშვილია.



ფეროდა შოგში. ახლა, რა თქმა უნდა, ძნელია და ალბათ შეუძლებელიც იმის დადგენა, თუ რა გზით აღმოჩნდნენ გვანცა და მირზა შოგვის ერთდროულად, მაგრამ აქვს კი ამის დადგენის რაიმე მნიშვნელობა? შთავარი ის გახლავთ, რომ გულმოწყალები ღმერთმა თავისი უსიკეთაობითა ერთხანად დააბრტყა თავზე ჩვენს ახალგაზრდებს და მივიღოთ ორი თვის ერთდროულად შეპყრობის ხანი, რაკილა მშვენივრად უწყობდა, რომ ეს ზაფხული მირზას საქართველოში ყოფნის უკანასკნელი ზაფხული იყო. როგორც ერთი პოეტი ამბობს, „არც იხე შეცვრა ყოფილა ღმერთი“... და დიწყო გრძელი, ბედნიერი რიგი დღეებისა, რაცა დაკარგულია დროის შეგარძნება და როცა აღამიანი გამბუღული სიხარულით არსებობს მხოლოდ. მზე წვერს ამოჰყოფდა და თუ არა, გვანცა და მირზა ხელიხელიაქედნული მდინარე ჭანჭახისაკენ მიიქაროდნენ. რიყეზე კერცხებივით სუფთა და თეთრი ღვინოები ეყარა, აქაფებულნი, მღირო მდინარე მხელით აყრუებდა არენარგს. მუქმწვანე ნაქნარიით შემოსილ მთას სარტყელავით მჭონდა შემოკრული ნიხლის ცრაბტი პარმაში. დღლის სიცივე ტანზე ხორკლებს აზარდა გვანცასაც და მირზასაც, მაგრამ ჭანჭუკი შეუპაუებელი იყო, მინც იხიდა და შედარებით მდორე ჩქერაღვნილი დელფინივით ყურყუმალობდა. გვანცა იცოდა, კისკისებდა გაუთავებლად და ამოღი, გეყოფა, ვაცვიდებო, უძახდა მირზას, მაგრამ ბიჭი მანამდე არ იცვლიდა წყლიან ფეხს, ვიდრე მთლად არ გალიგვდებოდა. მერგე კი ამოყარებოდა ცახცახშემდგარი და გვანცა მჭრუნველად უმშრალბდა მარგალიტის მძივებადყრილ, დაკუნთულ, ბიანიჭაოსფერ სხეულს. უმშრალბდა და ძლივს იკავებდა სურვილს, რომ დაწვით მიხსუტებოდა ციფ, მაგრამ ბეჭებზე და კონიით გაუთბო იგი. იკავებდა ამ სურვილს, მაგრამ სოკაჭერ ვერც იკავებდა და მაშინ მირზას რკინის მკლავებში მომწყვეტული, ბედნიერი და ხაფხუბით მიწდობილი, ჰკოცნიდა, სულის შეგუებამდე ჰკოცნიდა მას. ამასობაში მზეც ამოდიოდა და რიყის სითერგე, ხოლო მდინარეს სიღრმეზე ემატებოდა. ნაქნარიანი მთაც იშორებდა ნიხლის საბურველს. გვანცა და მირზა წებოდნენ ამორჩეულად, უზარმაზარ, გრილ ღვინოზე. მზეს მიფიცებულნი თვალებს ლულავდნენ და სახამოვნოდ მოთენითილი, გარინდლნი, გრძნობდნენ სხივთა მოაღერსე ფათურს სხეულსა და სულში. მდეროდნენ შუას სხივები, მდეროდნენ აღამიანისა და ბუნების გაუყოფლობის გამო, სიუფარების მარადი ღტოვლით მიჩიქებული სიხარულის გამო, მდეროდნენ და გვანცას და მირზას ესმოდათ ეს სიმღერა. თითქო უკმით გაითვისებაც კი ეშინათო, მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთზე მიხსუტებული, მირზა დროდადრო ახლდა თვალებს, შეფრთხივით უშვებდა მიხი პროფილის ძვირფას ხეველებს, მაღალ ველს, ღვინოზე ტიპრად და

ფენილ თავთუხიანდერ ვარცებს თმებისა და ჭაჭაუთა მცრეც ბორცვებს. უშვებდა და წაშლილი ლეკვა ბედნიერება ეუფლებოდა: შექმნილი მთელი მოცელდა მისთვის, დაღამარცხდა მოფრებოდა და გვანცას თვალებში სიხარულის სხივი დაენახა მხოლოდ. ვარდნებზე უფრო ჩიხს მოდა მისი მზურვალე ჩურჩილი: „მე წყარო ვარ, მირზა, მხოლოდ შენი წყარო, დალიე, დაშეწავი, დაცადე. მე უკეთეს წყალს ჩიხეულებ და სულ მუდამ შენი ვიქნები“. არა, ეს სიხარობი არ იყო, არც მოლოდინი, ცხადი იყო ეს და გადიოდა რიგი ბედნიერი დღეებისა, როცა დაკარგულია დროის შეგარძნება და აღამიანი გამბუღული სიხარულით არსებობს მხოლოდ. მერგე დიდ ხანს იყვნენ წაოწოლილი ადრდზე და გვანცა ფრანგული პოეზიის ნიჭებებს კითხულობდა მომცრო ანთოლოგიით, შემდეგ კი სიტყვასიტყვით თარგმნიდა ქართულად. ეს ძალიან მოსწონდა მირზას, ფრანგული პოეზია მისთვის საქმიად უცნობი საყარო იყო და განაკუთრებული გულისხურითა და ინტერესით უსმენდა კადეც: ქალის ბავუბიდან მომდინარე ფრანგული სიტყვები მერცხლის ელვრტულივით გამოისმოდა და უთარგმნიდაც ხილავდა ჭანჭუკს. ლაფორგი და როლიან, კორბიერი და რენი, ვამი და ფორი, მორგისი და ვალერი, რომენი, ვილდრაკი და აპოლინერი... რა მრავალფეროვნება, ორიგინალობა და სიღრმე იყო პოეტური აზროვნებისა, ფორმალურ მდწივებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორი ფუნქცი, მომზობილი ფერებით აქაბახებული სამყარო... რაც შთავარია, მირზა უსმენდა გვანცას და შეათვალ გრძნობდა რომ არავითარი მარად აღამიანური ღირებულება არ შეიქმნება ამ ქვეყანად. თუ საუფლებლიანად არ ენახებ იმას, რაც კაცობრიულ გულსა და გონებას შენამდე მოუტანია. გვანცა კი ელვრტულბდა: „მე ვოცი, ჩემი სიყვარული დიდი ქალაქის ქუჩებში დაღის, ვანა სულდრითი არ არის ჩემთვის, თუ ხაით წავა, ანდა ხაით გაეშურებ? დაარდებულია დროის კავშირი. და ახლა ჩემი საყვარელი არ არის იგი. დღეს შეიძლება, საუბარი ყველამ გაუბას. მან დაივიწყა ყველაფერი და აღარ ახსოვს, ვინც მისთვის სულს არ დაიშურა და ვინც შორიდან გზას უნათებს, რომ არ დაეცეს“. გვანცა გარუმდა. დღემდა მირზაც, სინამდვილე გავრძელდა კადეც და კადეც: ამ რამდენიმე სტრიქონმა მირზას კვლავ გაუღვიძა ის შტანჯული წინათგრძნობა, რომელიც ბოლოს ხანებში სიციველენ უწამლავდა: წინათგრძნობა გარდაუვალად მოახლოებული კატახტროფისა... მას თამაზზე ჭიუტად არაფერს ამბობდა გვანცასთან, არ უნდრდა შემოღვრეკელი ბედნიერება ჩაემწარებინა. არ უნდოდა, მაგრამ რა ექნა, რით ნაერუმებინა წინაგანი მზა, გამუდმებულად რომ

თეიმურაზ მამლუზბერიძე
ცხრაბარბ



ჩანსურლებდა: დღეს თუ ხვალ, დღეს თუ ხვალ, დღეს თუ ხვალ დაღუპვა მოგეჩინოს? ისევე გავიდა ადრისი ავიწყებდა ყველაფერს. როცა მის მუხლებზე ედო თავი და მის მოღუღლურზე სმას ისმენდა, უნებლად ავიწყდებოდა, რომ გარდა უნაბირო ბედნიერებისა, სხვა რაიმეც არსებობს ამქვეყნიად. ასე მისდევდა დღეს დღე. ერთბაშად, ახლომანამ. სოფლებს — ელთონის, ჭოჩიხისა და დეშის დაფარული მთები მოიწვდიან. ტყეებისკენააგან ცხენიც კი იშოვა მირზამ და ბევრი აღარ უფიქრიათ, გაუდგნენ გზას. გივლან ხანი, 1940-ში ხარკოვში ყოფნისას მირზა დავერს რამდენიმე პროზაულ ფრაგმენტს, რომელიაგან ერთს — „გზაში“ ეწოდება და რომელშიც, ჩემი ღრმა რწმენით, მათი იმჟამინდელი მოგზაურობაა გარდასახული. აი, ისიც:

... უცრად ჩამობნეულა ტყეში. არსიდან ხმა არ ისმოდა. ზილიც უკვე აღარ ჩანდა და ენებ აღარც იყო ზილიც. არჩილმა ქალს უჩინა, რომ საქმე იყო ცხენიდან ჩამოსვლა, რათა ბნელში ტოტებს არ შეხვებოდნენ. კარგა ხანს ეძიებოდა იარეხს. ვაჟი ჩერდებოდა, ეძებდა მელიკს, იშველიებდა მონადირის გამოცდილებას, მაგრამ ამაოდ, არა ხანდა გზას.

— აქ უნდა დავჩრდიო — თქვა ბოლოს, — დასწყველოს ღმერთმა, ხალხად ჩამობნეულა. — წავიდეთ, გზა გამოჩნდება, ველზე მაინც გავივით! — ემუდარებოდა ქალი, მაგრამ ვაჟმა დაარწმუნა, რომ ასე აქვთებდა.

შენერდნენ. არჩილმა ცხენს უნაგირი მოხადა, თოკით წინა ფეხები გაუმა და გაუშვა. თვითონ დატრიალდა, ხელების ფოთლებით მოავრთვა ფონი და შერა. ხუთი წუთის შერე კი ტყე განათა მშვენიერმა კოცონმა. ქალმა შენიშნა: ცეცხლის ანთებაზე რომელიაღაც ფრინველა აფრინდა მასლობელი ხიდან და გასწია შორს. კუნძუზე ჩამოქდა ქალი, ვაჟმა კი პაპიროსს მიუქცადა.

ქალი სდუმდა, მიხვდა არჩილი დუმების მიზეზს. ეს იყო ტყეში ვაჟის წინაშე მარტოდ დარჩენილი ქალწულის შიშა.

რომელიაღაც მწერი ბზულით დაეკა ძირს. — ცეცხლს ღამეში უდადესი ანდამატი აქვს. აი, შეხედეთ, მწერები მოდიან შორიდან, რათა ერთბაშად იგემონ უდადესი სიმწვავე, ისილონ ნათელი და დასტოვონ სიცოცხლე. ამ ხეების წონასწორობის გაწომა რომ შეიძლებოდადეს, დარწმუნებული ვარ, ისინი ცეცხლისაკენ რამდენიმე გრადუსით გადაიხარნენ უკვე.

ქალმა გაიღიმა. როდენი კარგა ხანს სდუმდნენ. შერა შიშინებდა და ტაცუნებდა. არჩილმა დააუკრა ხის შიშინს და განავრძო:

— ფშავის მთებში მონადირია. ღამით მთის ძირას მარტო ვმჯდარვარ და საღმე, შორს, ცეცხლი რომ შემიანთავს, წავსულვარ მისკენ, თუმცე ეს ღიბი რისკი ყოფილა ჩემის მხრით,

— ცეცხლის აღმორენიდან იწყებთ კრძეხვანჯი ბაო, გვეუბნებოდა ერთი მასწავლებელი, სხვა თქვა ქალმა.

მოღრუბლული ცა უკვე იცრიადა მსუბუქ წვიმას.

— ბევრი გამოვიცდია ცხოვრებაში და წავიკითხავს, მაიმე რამე, — უთხრა ქალმა და მიიწია ხის ძირში, ვაჟის ახლოს.

— შეფხვს ერთი ხუმარა მევადო. ეს უცნაური კაცი დანიძლავა შეფხვს, იანვრის ღამეს ტიტველი გავატარებო მასთან მოაზე. დაუშენა მეფხვს თბილად ჩამოსული გუშაგები. იღვა უდადეს სიცოცხლე დედამოხიდა. იყინებდა კაცი, მაგრამ ამ დროს თვალის მოქცა: გადალმა მთაზე ცეცხლი აინთო ვიღაცამ. გაუწოდა ხელები შორიდან მომავალ უსუსურ ნათელს და თუმცა ეინვაშ უფრო ძძაღო, მაინც გათბა კაცი. შერე დღეს უშარა მეფხვს — რად სთბებოლიო შორიდან ცეცხლზე და წავაგებინა ხუმარას ნიძლევო.

— ხად წაიკითხე ეკ ამბავი? — ხალხში.

წვიმა ჭრე ვერ ატანდა ხეებს. შორს მიკოტი გასძახოდა ღამეს და წვიმას და ცხენი ფრუტუნებდა მის მოძახილზე, არწყედა თავს და ფრუტუნებდა.

ქალს მუხლებზე დაეწყო თეთრი მკლავები, მობუზულიყო, შეეცოდა არჩილს ქალი. წვიმა უხშირებდა. მიუახლოვდა, აიღო მისი მარცხენა და საათს დახედა. თერთმეტი სრულდებოდა. — დაძინებდა საქმეო, — თქვა მან.

უნაგირი ახლოს მოათრია, ცეცხლის პირას ნაბადი გაფინა და ქალს სთხოვა დაწოლილიყო. ქალი უარზე იღვა — ასე გავათენებო. არჩილმა გაუნიშო: თუ არ დაწვები, მე წავალ და მარტო დავტოვებო. ქალი გაწოდა ვაჟის ხუმრობას, ცხენზე ჭდომამ დადლა იგი და ახლა თუმცა გულთი უნდოდა დაეძინა, თუნდაც ერთი საათით, მაინც არ წებოდა, ვიღაც ვაჟმა არ დაიფიცა: თუ არ დაძინებ, მარტოა წავალ აქედანო. ქალი წამოწვა ნაბადზე და უნაგირს ბალიში ნამდვილზე რბილი მოეჩენა.

იზრდებოდა ცეცხლის ხმაური წვიმის ხმაურთან ერთად. ქალმა ნაბადის ქვეშეიდან დაინახა, როგორ ჩამოქდა ვაჟი სწორედ იმ კუნძუზე, რომელზედაც თვითონ იქდა ხუთი წუთის წინათ. ის ხალხის ამბა იყო.

არჩილმა ისევე მოუკიდა პაპიროსს, შორს ისევე კიოდა მიკოტი და ნეკერჩხლის ფოთლები ტელაშუნობდნენ წვიმაზე.

ასე გაიარა მთელმა საათმა. მთის სიცივე უკვე მსკვლავდა ვაჟის ნახევროდ სველ მხრებს, სადღაც ახლოს კი ფრუტუნებდა მათი ცხენი. — შეგვივა, არჩილ! — წამოიწია ქალმა.

— არაფერია. ამაზე კარგი ღამე ბევრი არა მქონია ცხოვრებაში. რატომ არ გძინავს? მე მეგონა, უკვე გეძინა. — და განუმდა. შერა შე-



ასწორა კოცონში, ალმა წვიმის წვეთები გაუშუ-
ქა საფეთქლებთან.

ღუმელი გრძელდებოდა. სდუმდა ღამეც,
მხოლოდ ცეცხლი ფშვინავდა და წვიმა ტლა-
შუნობდა ნექერჩხლის ფოთლებზე.

— მოდი, დაწვი, — უთხრა ქალმა ბოლოს,
— ორივეს ვაეყოფა ეს ნაბადი.

— არაფერი მიჭირს.
— შეგაცოცა.

— არ შემიცოცა.
— ნუ მერიდები, არჩილ, — ახლა ქალმა
დაუწია.

მეტი გზა არ იყო, წამოწვა ვაფი. ხელი ამოი-
ღო თავქვეშ. ქალის თმები მის ბაგეებს ეხე-
ბოდა, მისი სუნთქვა ენ ეწეოდა უღიტინებდა.

— ღამე მშვიდობისა! — უთხრა ქალმა.
— ღამე მშვიდობისა! — გაეცინა ვაფს.

მიუწერდა მიყოფი. ნელ-ნელა აკლო წვიმა,
გადაღებას აპირებდა და ცეცხლი სუნთქავდა
სწორად ისე, როგორც წაფხულის სადამოციბი
სუნთქავენ მდინარეზე.

დაღლა და სიბოძო იმუქმედა. ქალს ჩაეძინა,
უფრო ახლოს მიეკრა ვაფს და არჩილი გრძნო-
ბდა მისი მკერდის ხაზებს.

მიუხერხებულად იწვა. სისხლი თითქოს გაუ-
ჩერდა ფეხებში, მაგრამ ვერ იძრებოდა. ეშინოდა
ძილი არ დაეფრთხო მძინარე ქალისათვის.

დაიკუნთა მძინარე. ნახევრად გადატრიალ-
და ისე, რომ მისი მკლავი ვაფს გადაეხვია.

არჩილმა იღროვა და შეისწორა სხეული. ღამე
თვორდებოდა. ნელ-ნელა გაიყარნენ ღრუბლის
ცხენოსნები. მთვარე გამოცურდა უსასრულო-
ბიდან და მძინარე სახეს დაეცა სხივი. მშვიდად
ურჩა სიკვდრლს გუნჩხას ალები დროსო. რეკლამა დამატებით იტყობინებოდა, მთელი სანახაობა ქეშმარტ სიამოვნებას მოგვკრით და სულ ერთი ფრანკი-ა დავიჯდებათო.

თეთონ იფიქრეთ, ვითარ ვაგულისებდა „ფიგაროს“ განცხადება პარიზის სასტუმროში ხანმოკლე დროით ჩამოხტარ ნამდვილ მუჰამედ-შაფის, გაბრაზებამ მტკიანა თვალეზი მთლად დაუვიწროვა. კარლპოფს მცირედი ჯაფა როდი დაადგა თავდაქერილი, მაგრამ საჭიროების დროს ფიცხი და უშიშარი გენერლის დასაშოშმინებლად და შესკავებლად: ვაითუ შურისმაძიებელმა ხასიათმა წასძლიოს, ცხელ გულზე ვიგინდარასთან მიიჭრას პასაჟში და მისი სახელით მოვაჭრეს სული გააფრთხობინოსო.

როცა მუჰამედ-შაფის აღელვებისა და სამაგიეროს დაუყოვნებლივ მიზღვევის უნჩი გაუნელდა და დაუცხრა, კარლპოფმა და მან „ფიგაროში“ მითითებული მისამართით სენ მარტენისაკენ გასწიეს.



პირველ მოსახვეწივე კარტა დაიქირავეს და კარლპოფმა კოფოზე მდომს ფრანგულად უკარნახა დათქმული ადგილისაკენ გაერეკა ცხენები. სულ მალე იმ პასაჟს მიადგნენ, სადაც მეორე მუჰამედ-შაფი უნდა ენახათ. პატარა ბაზრის ზედ შესასვლელთან, სენ მარტენის თეატრის შენობის მახლობლად სახელდახელოდ აგებულ ფარდულს მოჰკრეს თვალი. ფარდულს ახლოს ვილაც მამაკაცი ფულს იბარებდა, კარების ფარდებს გადასწევდა ხოლმე და სანახაობის მსურველთ შიგ უშვებდა.

მუჰამედ-შაფიმ და კარლპოფმა საეგვო პირს ორი ფრანკი გადაუხადეს და ფარდულში შევიდნენ. კედლები აფიშებით იყო დაფარული. მათზე შეხმეტ-შეფი მრავალნაირ პოზაში იყო გამოხატული: ზეზე მდგომი, ხმალომწვდილი,

სკამზე-მჯდომარე, დამბინის მსროლელი... სადგომში ჭერიდან მისის შუტი უხვად მოედინებოდა. ფარდულს ბოლოს ფიცრულსავე ავანსცენაზე ამაყად მიმოდიოდა კაცკასურ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, აღლუტური აღნაგობისა და ნაჯახის შესახედიობის მქონე შავ-გვრვანა მამაკაცი, დახუჭუჭებული შავი წველითა და სქელი უღვაშებით. მექმებთან დაწვებზე ორჯან ნახმლევი აჩნდა, შორიდან ასე მოჩანდა. თხემით ტერფამდე შეიარაღებულს თეთრი ქისეიამემიოვლებულა ვეება დოღბანდი ეხურა თავზე, თუმცა ჩაღმა ყურებთან გადმოფენილ თმებს ვერ უშალავდა. როცა სისხლით სავსე და გადმოკარკალულ თვალებს მიაპყრობდა ფარდულში შემოსულთ, ზოგიერთს შიმისაგან ტანში სცრიდა. მეხმეტ-შეფის მძიმე ნაბიჯებს ქვეშ ფიცრული იატაკი კრიჭინებდა, რაც მაყურებელთა შიშს უფრო აძლიერებდა. უაზროდ გაცინების დროსაც (მეხმეტ-შეფი ბროლივით წმინდა და თეთრ კბილებს აჩენდა, იგი ოცდაათი წლისა თუ იქნებოდეს), ღმერთო შეგვცოდეთ და, მთიელი გმირისა კი არა, უჯიშო და უღაზათო კაცის იერი ედო. ახალუხის საქილეებში ქილები არ უჩანდა (მუჰამედ-შაფის კი თავისი ჩინებული და ძვირფასქილებიანი ახალუხი ყაზანში აქვს შენახული). სარტყელში უშრო სარტყარი და ორი დამბახა გაეჩარა, გრძელი ხმალი ეკიდა, რომლის ვადაზე მარჯვენა ხელი ედო (მუჰამედ-შაფი კი ცაცია იყო მამასავით). თუ ვინმე ფრანკი ავანსცენის ახლოს მდგომ ჯუჯა თარჯიმანს შეეკითხებოდა რასმე, იგი ხმადაბლა და ფარდულში თავმოყრილებსათვის უცნობ ენაზე უთარგმნიდა მეხმეტ-შეფის და მოსმენილ პასუხს ასევე ხმადაბლა და ცუდი ფრანგულით გადასცემდა ცნობისმოყვარეებს. ხალხს კი ეგონა, ისინი მთიელთა რომელიღაც ენაზე ესაუბრებიან ერთმანეთსო.

ახალი ნა. მ. მ. მ. მ.
მოთხრობები



მეხმეტ-შეფი ღრთადრო ხმალს იშ-
 იშვლებდა, პაერში ვაქკატურად შეატ-
 რაილებდა, მერმე ისევ ქარქაშში ჩა-
 გებდა და ჩვეულებისამებრ ამაყად გა-
 ივლ-გამოივლიდა სცენაზე. როცა სკამ-
 ზე დაჯდებოდა, ხმალს ლაყებს შორის
 მოიქცევა ხოლმე.

...მუსიო ქანი: ერთი ფრანკი დსანა-
 ნია განა ნახმლევი და ტყუათ ტანდაც-
 რილული კავკასიელი გმირის საჭერტ-
 საცქერლად?! ყაჩაღს უფრო მიაგავ?!.

...აბა რასა ბრძანებთ, თქვე დალოც-
 ვილო, დღისტინის ღრანტეებში დაბა-
 დებულს, ღმერთი ვით მიუბრძებდა სენ
 ყერმენის უბანში აღზრდილის გარეგნო-
 ბას?!

და მამაკაცები ცილინდრს იხდიდნენ,
 ფერადოვანი ბაღდადით შუბლს იშრა-
 ლებდნენ, ხოლო ქალებს ლორწებები
 ჰქონდათ მომარჯვებული საზარელა შე-
 სახედაობის მქონე ველურის სამზერ-
 ლად, დასახსომებლად და შედიოდა-შეი-
 ლებისთვის მოსაყოლად სიბერეში ჩა-
 ვარდნის ქანს...

მუჰამედ-შაფი და კარლოფმა ხალ-
 ხი მისწი-მოსწიეს და სკამზე მჯდომ
 მეხმეტ-შეფის მოუახლოდნენ. გენერა-
 ლი მშვილად იდგა მის წინ და სტეფანა
 თვალები მიეპყრო სახელსა და ვინა-
 თობის მიმტაცებლისათვის. მეხმეტ-შეფის
 კრაზანასაგან დაკუნთილი სოკოსებრი
 ცხვირის ნესტოები დაჰბერვოდა... არც
 მისი ხმალი და ხანჯალი მიაგავდა ხუთ-
 მეტი წლის მუჰამედ-შაფისათვის მამის
 მიერ ვედენოში ნაჩუქარ ტაბასარანულ
 ხმალსა და სატევარს!.. ორდენის წარ-
 წერას კი აქედან ვერც გავარჩევდა...

მუჰამედ-შაფიმ რაღაც გადაუჩუქ-
 რულა კარლოფს და ამანაც ფრანგუ-
 ლად მიმართა თარჯიმანს:

— ხომ არ მოიღებს წყალობას ბატო-
 ნი მეხმეტ-შეფი და გვეტყვის, ვინ და-
 აჯილდოვა იგი ორდენით და რა საქმი-
 სათვის?

თარჯიმანმა გადაუთარგმნა. მეხმეტ-
 შეფიმ ხშირი წარბები შეჰკრა და რაღაც
 ჩაიბურტყუნა.

გუნბის-გმირული დაცვისათვის და-

უჯილდოვება მამასო, — ჩაუქცა თარ-
 ჯიმანმა კარლოფს აუტანელად მუხუდ-
 ლით.

— ეგებ ორდენის წარწერის წაკი-
 თვის ნება დაგვართოს... ამ ფრანგმა
 არაბულ იცის! — უთხრა კარლოფმა
 თარჯიმანს და მუჰამედ-შაფიზე მიუთი-
 თა.

მეხმეტ-შეფი უფრო მოიღუშა, მაგრამ
 ხალხს თვალზე უჩერებულობა! დასა-
 ფრანგად ორდენი მოსანა და თარჯი-
 მანს გადასცა დაათვალერონო! ფული
 აქვთ გადაბდილი, ყველაფერი უტყუ-
 არად უნდა იყოდნენ!

თვალურო, უხეშად ნაკეთები ვერც-
 ლის ორდენი მართლაც შამილის მიერ
 ნაიბისათვის ნაბოძები აღოჩადა.
 მუჰამედ-შაფიმ სწრაფად ჩაკეთა ორ-
 დენზე წრისებრ გამოყვანილ არაბუ-
 ლი წარწერა და წარწერა იგი დაღაღებ-
 და:

„არავინაა აიტემირის ბა-
 დლი და არავის ხმელი არ
 სქრის უკეთ, ვიდრე მისი“.

მედლის მეორე მხარეს არაბულად-
 ვე იყო ამოტიფრული ერთადერთი
 სიტყვა:

„შამ ულ“

კარლოფმ: ორდენი უკანვე დაუბრუ-
 ნა თარჯიმანს, ამან მეხმეტ შეფის გადა-
 სცა, ხოლო მეხმეტმ მედიდური გამო-
 მეტყველებით მარცხენა საქილეს ზე-
 მით დაიბნა იგი მამს!

— რამდენი ჰქრილობა აქვს მიღებუ-
 ლი და სად? — არ ეშვებოდნენ თარჯი-
 მანს.

— რვა ჰქრილობა... მთაში!

— სახელდობარ სად? — ჩააცვიდა
 ქეხსავით ცივად მდგომი მუჰამედ-შაფი.
 ჯუჯა თარჯიმანიც ვულმოღვინებდა:

— ოხოლოგოში... ვადენში... გუნბში!
 როგორ უმოწყალოდ ამახინჯებენ და-
 ლისტინისა და საჩანოს ისტორიულ ად-
 გილთა სახელწოდებებს! ახულო გენერალმა
 გრაბემ დაარბია ათას რეაას
 ოცდაცხრამეტ წელს, მუჰამედ-შაფიმა-
 შინ დაბადებულაც არ იყო... ვედენ-
 ნი დან ღუნბში ლტოლვამდე კი მას

არც ერთ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია... ღუნ ბ ბ შ ი შაფი მამის მთელ ჯალბთან ერთად იყო გარემოცულ აულში ჩაყვრილი, როცა მუხთალმა ლაზარევმა მარტოოდენ ერთი მსღებლის, იანუსის ამარა გაიტყუა შამილი აულის მახლობლად დაბანაკებული ბარიატინსკისთვის წარსადგენად... არც ხმლით, არც ტყვიით მუჰამედ-შაფი არასოდეს არ დაუტყრიათ!..

კარლოფმა ღიმილი დაჰფარა და ახლა მარტომ მიმართა თარჯიმანს:

— ეგებ ტანზე მიღებული ტყვიის ჭრილობა ან ნახმლევი გვიჩვენოს!

(„ეს აბეზარები ვინ მოაგდო ამ ცისპარე დილით?“).

მეხმეტ-შეფი ნაიარეც ადგილებს ხალხის თხოვნით ისედაც ხშირად აჩენდა. ყელიდან ჭიამდე ახალუხი შეიხსნა და შავი ბანჯგელით დაფარული მკერდი გაიღვია, გაილაჯა და რამდენიმე ადგილას წითლად ამომწვარი ღრმულეებზე დიდო ორივე ხელი. შემდეგ ბალნით დაფარული წვივების იარები მოისინჯა. ყოველივე ამას თავმომწონედ აკეთებდა.

ფარსები გოცუბული შეჭურვებდნენ უჩვეულო სანახაობას, მხოლოდ კარლოფი მიმხედარიყო: არც ერთი ჭრილობა და იარა ნამდვილს არა ჰგავდა. მუჰამედ-შაფის ფერმკრთალი და ს. ს. რისფერი სახე ყი არც გაკვირვებას აწვლავებდა. არც გულისწყრომას, ამგვარ რასმეს პირველად წააწყდა ცხოვრებაში. მაგრამ გულისნადები არაფრით გაუშხელია. ოღონდ ეწადა გეგო, ვით გალაურჩა შამილის ქე ამდენ ნახმლევისა და ნატყვიარს!

რას ჩასცივებიან შემილი ს შეილს?

ფულგადახდილთა თვალის ასახვევად მეხმეტმა წინანდელი ზვიადობა შეინარჩუნა და თარჯიმანს პირით გააგებინა ორ აბეზარს, რომ თუკოში საბოტყვია მოხედრია; მეოთხე კი შიგ ჩარჩენია.

„მედინაში გარდაცვლილმა მამაჩემმა ერთი ტყვია მართლაც ჩაიტანა საფლავში“, — გაიფიქრა მუჰამედ-შაფიმ. სახე

ერთბაშად შეეცვალა აქამდე თავშეკავებულს, გვერდზე გაიხმო კარლოფი და დაბეჭდილებით სთხოვა, ახლავე ეცნობებინა ყველაფერი აქაური პოლიციისათვის, თვითმარქვია უნდა დაეპატიმრებინათ და რუსეთის საელჩოში მიებრძანებინათ, თვითონ კი აქედან ფეხს არ მოიცივლიდა მის დაბრუნებამდე.

კარლოფი შეუმჩნევლად გაძვრა ხალხში. მუჰამედ-შაფი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა, ავანსცენაზე ზვიადად მდგარს პირდაპირ რუსულად შეეკითხა:

— Вы, действительно сын Шамиля?

რუსულის გაგონებაზე მეხმეტ-შეფი შეეცბა, მეჭეჭიანი ლაწვი აუცახცახდა, მაინც გორფში სახითა და ოკრო-ბოკრო რუსულით დაიბუხუნა:

— დილაც... იმან ირალ შემოილი ს შეილი!..

(„ისევ და ისევ... მამაჩემის სახელსა და ზედწოდებასაც ამახინჯებს ეს ურჯულო!“).

— სადა ცხოვრობს თქვენი უფროსი ძმა ყაზი-მუჰამედ?

მეხმეტ-შეფი თნდათან იბნეოდა.

— კაზი-მეხმეტ?!.. გუნებში მოჰქვს გიაურებმა! — მოკლედ მოსკრა სცენაზე გამოვიძულმა.

სტრობოთ. იგი ისტამბულში დარჩა ქალაქ შედინიდან დაბრუნებული, როცა იქ სულთმოზრძავი მამამისი ინახულა!

მეხმეტ-შეფის გადმოკარკულული თვალები უფრო დაებრცია, ხშირი წარბები ზევით აეწია. ხმლის ვადაზეც არ ედო. მარჯვენა და მხრები ჩამოეკარდნოდა.

— თქვენი დები ნაფისატო და ნაჯავეათი სად იმყოფებიან? — არ ეშეებოდა მუჰამედ-შაფი სახელის მოცილეს.

მატყუარას გულის კოვზი დაეწვა, ცოცმა ოფლმა დაასხა, ტანმა უაზრა, მგონი ფარსაგად ფათერაკს რასმე გადაეყარეთ და სკამზე დაეშვა. როცა გაბ-

აკავი დასრულდა მოთაროვანი



რუხეული ძლივსა გონს მოეგო, იხტი-
ბარი არ გაიტეხა და ხალხის თვალში
შეცდომის გამოსასწორებლად ესა აღ-
მოხდა:

- ხტამბოლში არიან... ძმასთან ცხოვ-
რობენ!..

- - ი რა კარგად უწყით თქვენი დე-
ბის თავდადასვილი: ისინი დიდი ხანია
ქლუქით გარდაცვლენენ კალუჯაში,
ნეშტები დაღისტანში ვავზენეს და იქ
არიან დაკრძალული!

მე "მერ" - შეფი უკვე აღარ გამო-
იყურებოდა გორიზად. არც ხმალს იქ-
ნევდა, სკამზე ეგდო საწყალობლად.

- - მამათქვენის შესაძე და ყველა-
ზე სკაყვარელი ცოლა შეუანე-
თა სადა, სოქები უოლხანაინია ასუ-
ლი, ნაბ ახვარდისგან მოხდრიდან მო-
ტაცებული?... მონათვომდე ანა რქვე,
მზეთუნახავია. მისგან ხომ არ ისწავლეთ
სომხური?!

მესმეტ - შეფი უახროდ მიშტე-
რებოდა ცით მოვლენილ მკრებელს.
მუჰამედ - შაფი კი განავრძობდა,
ცდიდა და ცდიდა უნებურ მსხვერპლს:

- - შეუანეთაც სტამბოლშია, კარგად
იცოდეთ! - ცოტა დაყოვნა და ჰვითხა:
- - ცოლი თუ გყავთ ან შვილები?

ილაჯაწყვეტილია მეტეტი კვლა-
ვად აღუდღუღლა, უმატა და უმატა
ტყუილებს უტრფრად:

- - ხამი ცოლი მყავს... არა, ოთხი...
ცხრა შვილი... მუსულმანი ვარ! - გა-
იძახოდა მეხმეტ-შეფი ისეთი რუსუ-
ლით, დარღულში თავმოყრილი ხალხი
თუ აიტანდა ამას.

- - არც მუსულმანი ხართ და არც
ოთხი ცოლი გყავთ! მუჰამედ-შაფის
პირველი ცოლი ამინათი, აგრეთვე კა-
ლუჯაში გარდაცვალა ქლუქით, მერმე
გიორში წაასვენეს. მისგან ერთი ვაჟი
დარჩა, ზახელი, და ისიც ამამის დაბა-
ტიმრებს წელსვე გამოთალმქებია წუ-
თისოფელს თემირ-ხან-შურაში... მუჰა-
მედ-შაფი ახლა მეორე ცოლთანაა ყა-
ხანში ორ ქალიშვილთან ერთად.. შესა-
მე ან მეოთხე ცოლი მესმეტ - შე-
ფის არა ჰყოლია! - დამცინავი კილო-

თი წარმოთქვა მუჰამედ-შაფი
რა ორეულის სახელი.

მეხმეტ-შეფი იკადრა ზეზე წამოდ-
გომა, ხმალს ჩასჭიდა ხელი და თარჯი-
მანს უთხრა:

- - ვილაც ქალი-მამაძალი მოთრე-
ულა აქ... შეგილის შევილსა ლან-
ძლავს და რალაცას შიედ-მოედება... თა-
ვიდან მომამოროე... გააძვეე... - იძხნდა
და ხმლის ვადას ანჯღრევდა.

მუჰამედ-შაფი, რომელსაც ყახანში
ესწავლა ორეულის ენა, მკაცრი ტონით
დაუყვავა:

- - დაწყნარდით და ნუ ჰყვირით.
ხმალსაც უშვით ხელი, გირჩევთ. კავ-
კასიელ გიორს უშვერი სიტყვა არ უხ-
დება. აქაც არავინ მოთრეუ-
ლა. თქვენი წინაშე ახლა პარიზში ჩა-
მონული მუჰამედ-შაფი დგას,
იმა მუღლა-ზამცის ნამდვილი ძე!
საბუთი ვნებავთ?

და მუჰამედ-შაფი გულის ჯიბიდან
პასპორტი ამოიღო და გაუწოდა.

თვითმარქვია მოცილილივით კვლავ
სკამზე დაეშვა. ფარდულში თავმოყრი-
ლი ფრანგები ყველაფერს მიხვდნენ და
აყაყანდნენ. ვილაც მანდილოსანმა შე-
ჰკრელა და ლორნეტი ხელიდან გაუვარ-
და. ზოგი ხმამალა გაიძახოდა: „ათი
დღეა ხალხს ძარცვავს. ფული დაგვიბ-
რუნოს მაგ სალახანამ... პოლიციას გა-
მოუძახეთ, პოლიციას!“

პატრონი ძალმხიდილი რომ დაინახა
თარჯიმანმა, საღდაც თავი დურთა.

ფარდულში პოლიციელებიც გამო-
ჩნდნენ მართლაც, მათ წინ კარლსოფი
მოუძღვებოდა. ავანსცენას აღყა შემო-
არტყეს და ილაჯაწყვეტილ ჩოხა-ახა-
ლუხანს ხელი სტაცეს მკლავებში.
„მეხმეტი“ არც განძრეულა, და ბან-
დი თავიდან გადაყრდნოდა და გრუხა
შავი თმები შუბლზე გადმოწვლიდა.
აკი დაღისტანში მარტო იქ-
ანი და ნაიბები ატარებდნენ
ჩალმას თავგადაპარსულნი?

საელჩოში არ გსქირეებით დაპატემ-
რებულის ვინაობისა და ერთენების გა-



მორკვევა. რუსეთის ქვეშევრდომი აღ-
მოჩნდა, პარიზის გარდა ევროპას სხვა
ქალაქებშიაც უსახელებია თავი, მაგრამ
ნათქვამია, კოცა მუდამ წყალს ვერ მო-
იტანსო.

დროებით დასტოვეს საელჩოში, მერ-
მე რუსეთში გაგზავნიდნენ სასჯელის
მოსახდელად. თვითმარქვეიას ამფსონე-
ბის კვალსაც მიაგნებდნენ, სენ მარტე-
ნის „პასაჟსაც“ მოშლიდნენ.

ისიც დაადგინეს, არაბულენოვანი ვე-
რცხლის ორდენი მუჰამედ-შაფის ორე-
ულს ხასაე-ფურთში შეუფენია გარდა-
ცვლილი ნაიბის აიტემირის სახლელუო-
ბისაგან გროშის ფასად...

სენ მარტენის ფარდულში მომხდარი
ამბავი „ფიგარო“ თავის მკითხველებს
აუწყა და გააფრთხილა: ამიერიდან მა-
ინც მიამიტურად ნუ ენდობთ კარიდან
კარზე მოხეტიალე ყველა „კავკასიელ
გმირს“. მუჰამედ-შაფის კი ახალი საზ-
რუნავი გასჩენოდა: შ.მილის ნამდვილი
შვილის მისამართს გაიგებდნენ პარიზე-
ლები და ხალხი ახლა მის სასტუმროს

მიწყდებოდა ისევე, როგორც თდესლაც
ხიმინისა და კულონის სასტუმროს
აწყდებოდნენ ცნობისმოყვარენი პეტ-
ერბურგსა და კალუგაში, იქ დროებით
დაბინავებული პატიმარი იმამის სანა-
ხავად. ამის გამო მუჰამედ-შაფიმ კარლ-
პოფთან ერთად რამდენიმე დღის შემ-
დეგ პარიზი დასტოვა და ყახანში დაბ-
რუნდა.

●

შეგონება. მთავრის ქვეშ არა-
ფერია ახალი. მაინც, სასაცილო და
საძრახისია, როცა ვინმე თვითმარქვია
მოთვისებული ან ნაქურდალი ორდენით
იმშვენებს გულმკერდს ან შეუფერებელ
თავზე იდგამს გმირის ჭილას!

არც ყალბი გარდერობით გასტრო-
ლიორობა მირთებთ მავანთა და მავანთ
ყველას როდი ხელეწიფების მბრონცხე-
ბულთა პატის ფრთის ხელთ პყრობა,
თვალთა პატიოსანთაგან შემქული გვირ-
გვინი, ხმალი, პორფირი და ბისონი!

ნაზარის უკანასკნელი ღოგვა

კოცა გაწერელას ვუძღვნე
ა. ზ.

პოლკოვნიკი ნიკარაძე ამალით-
ურთ ქალაქში შემოდოდა.

ყველანი ცხენებზე ისხდნენ.
ნიკარაძეს თავი ოდნე მალა აეწია
და შხერა მიეპყრო ქუთაისის მთავარ
მოედანზე ამართულ ამა-სოფავს ტიპის
დიდი ტაძრისათვის. ნიკარაძის მიწურუ-
ლის საღამო იდგა. თეთრი და შეცვივ-
ებული მტრედები გუმბათის ორგვლე
ისვენებდნენ, გირლანდად შეპორტყ-
მოდნენ გუმბათის ყელს. გირლანდი
დროგამოშვებით ირხეოდა, დაგვიანე-
ბით მოფრენილი მტრედი ცდილობდა
ადგილი დაეკავებინა ჭუფთებს შორის
და წამდაუწუმ ფრთებს შლიდა. თანდა-
თან ბნელში ინთქმებოდა თვითონ გუმ-

ბათიც და მარტოოდენ ტაძრის ოქროს-
ფრად მოვარაყებულნი ჭვრის სილუეტო
კიაფობდა ყომრალი ცის ფონზე.

ქუჩებში ერთი სულიერიც არ ქაქა-
ნებდა.

პოლკოვნიკი და მისი მხლებლები ქა-
ლაქის გარნიზონის შტაბში დაბინავ-
დნენ. ნიკარაძისათვის განკუთვნილი
ვრცელი ოთახის სარკმელში ახლა შავი
ლანდშაფტის მხოლოდ ფრაგმენტიღა
ეკიდა.

პოლკოვნიკი მძიმე მისიით იყო ჩამო-
სული ქალაქში.

პაპი გაწერელია
მოთხრობები



წიფასთან მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ კავკასიის ხელისუფალთ სასწრაფოდ ეცნობა, რომ ექვს მემამბოხეს ქუთაისის სობოროში შეეფარებინა თავი, ერთის გზა-კვალი კი არ ჩანდა. აქაური გუბერნატორის ბრძანებით მათ აღვილსამყოფელისათვის უმაღლვე მიუგნიათ, მიტროპოლიტ ნაზართან ერთად შეუპყრიათ და ქალაქის გარნიზონის შტაბის ბნელ სარდაფში მოუთავსებიათ. მეფისნაცვლის გალაყვანებით თბილისიდან დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო გულქვა ოფიცერი, რომელიც ტუსაღებს და მათს შემგვრდომ ხუცესს სასტიკად დასჯიდა. მთელი ეს ოპერაცია ეგზარხოსთან შეუთანხმებლად და სასწრაფოდ უნდა განხორციელებულიყო. თავისთავად სიხონის მიერ კავკასიაში დანიშნული უმაღლესი იერარქის აღმფთვებებს არავინ მოელოდა, რადგან კარგად მოეხსენებოდათ, ეპარქიის ერთი ქართველი მოძღვრის დასჯისათვის იგი თავს არ აიტყუებდა. მაგრამ ხელისუფალთ ფორსულური პროტესტის გაგონებაც არ სურდათ, ფიქრობდნენ, სიხონის წარმოგზავნილი სიტყვიერად მაინც გამოთქვამდა გულისწყრომას წმინდანად მიჩნეული ნაზარის ბედის გამო. ყოველივე ამას ის გარემოებაც ზედ ერთვოდა, რომ ალპერის ამ სისხლიან დღეებში მაღალი რანგის საეკლესიო პირის სიკვდილით დასჯის არც ერთი შემთხვევა არ იყო ცნობილი. განათლებული მღვდელმთავრის სხვა ღირსებებსადმიც ეგზარხოსი ძალაუწებური პატივისცემით იყო გამსჭვალული, თუმცა მისთვის დაწერილებით უამბნიათ თუ რას უქაბდაგებდა ნაზარი მრევლს წირვის შემდეგ ასე თუ ისე, არავინ უწყოდა უმაღლესი საეკლესიო მოხელე როგორ შეხვდებოდა სახელგანთქმული ხელქვეითის დღეებს...

ქალაქში უკვე ციოდა, ქროდა ძლიერი ქარი, ცა კუბრისფერად იყო მოღრუბლული. თითხს ანათებდა ვეება ლამფა, რომელიც ბუხრის თავზე დაედგათ. დუმელში ცეცხლი გიზგიზებდა. პოლკოვ-

ნიკი ხალათის ამარა იჯდა მუშაობადად ფარებულ მაგიდასთან და თვითნებურად ეოდა. მისი ქურჭი, სერთუკი და ქუდი ღია კარადაში ევიდა. ერთ კედელზე ყრულ რეკდა საათი, რომლის გრძელი ციფერბლატი დროის მონაკვეთებს იოცლიდა...

ნიყარაძე ორმოც წელს მიღწეული თუ იქნებოდა, მაგრამ უკვე მხრებში მოხრილიყო. მუქწაბლისფერი პირისკანი ჰქონდა, რომელზედაც გაჯავრების დროს გაუმხელებელი ბოღმა აღებულებოდა ხოლმე. ჩვეულებრივ არავის უყვიროდა, მაგრამ გულლიაც არავის უნახავს. ღრმად ჩავარდნილი წვრილი და მკვდარი თვალები თუ ოდესმე გაუწყინებოდა, ნაოკებოდა შეუგროვდებოდა უბევბთან. დახვეწილი გარჯვროსა და თავშეკეცება რწვიითად ღალატობდა. დაწვის ზემოთა კიდური უთრთოდა. ეტყობოდა, ოდესღაც ღამაში ჰანუკი უნდა ყოფილიყო, ახლა კუმტი გამოძეტყველება მიედო და უნდობლად გასოიყურებოდა. ბუხართან ატუხულმა ადუტანტმა კარგად იცოდა, მისი უფროსი საუბრის დროსაც მთლიანად არ აჩენდა კბილებს, არასოდეს იღიმებოდა და არ იცინოდა. პოლკოვნიკის თვითთელი გამოხედვა რკინისკუბური გარსით იყო შემოზღუდული და საშინელ სიმკაცეს ამჟღავნებდა, რითაც საყოველთაოდ იყო ცნობილი, განსაკუთრებით უკანასკნელის რევოლუციონერთა დახვრტაში წინაწილეთბის მიღების შემდეგ. თანაც ნიყარაძე საშიში დამკვირვებელი და ულმობელი დიალექტიკის ოსტატი გახლდათ პატიმართა დაკითხვის დროს, უფრო იმათთან, ვინც მის წინაშე თავის მართლებას შეეცდებოდა. სატახტო ქალაქში მიღებული განათლება ერთობ შევლოდა, ქუთაისის სემინარიიდან გაძეებულს პეტერბურგში სამართლის ფაკულტეტზე უსწავლია, მერმე ისტორიულზე. ფილოსოფიაშიც ყოფილა ჩახედული. რამდენიმე ხანს თურქეთსა და სპარსეთშიაც უმსახურია რუსეთის სენლოების წევრად. ბუნებით ავანტურისტსა და დევილიანტს არც მეფის ში-



ნაგანი დაზგერვის ორგანოებთან თანამშრომლობა უთაკილია. სწორედ ამგვარ გულმოდგინებას დაეწინაურებინა იგი სამხედრო სამსახურში, ამიტომ რთული, მაგრამ მისთვის იოლი მისიის შესასრულებლად სასწრაფოდ გამოუგზავნიათ კავკასიაში, სადაც ამბოხების აღი ჯერაც არ ჩამქრალიყო. თერგის ოლქში ჩატარებული რეპრესიების შემდეგ ნიჟარაძის მშობლიურ ქალაქშიაც უნდა ესახელებინა თავი, ვათარცა მეფის ერთგულ პირს. პოლკოვნიკი არც კი შეეყოყმანებულა, უთვისტომოს არავინ ებრალებოდა.

ეს მარტოსული გრძნობდა, პირველსვე შემხვედრში რომ მისგან განშორების სურვილს აღძრავდა. ნიჟარაძეში ყველაფერი ჩამკვდარიყო, გაშეშებულიყო, იტყოდით, სამხედრო პირის ნახევრად ქაჩალი თავიც ყინულის ქერქში მოუთავსებია ბუნებასო. თხელი თმა მხოლოდ კეფასთან შერჩენოდა.

და ეს კაცი ჩინებულ მოქართულედ და დახვეწილი ასოციაციებით მოსაუბრე ოფიცრად ითვლებოდა. ძალიან დიდი ხნის წინ კი დაეტყვებინა იმერეთის მხარე და რუსეთში გადახვეწილა, ქართული მაინც არ დაიწყნია სატახტოში მოსწავლე თანამოქმედებთან ურთიერთობის შეშვეობით. თავის ნახევარ ცოდნას ისტატურად იყენებდა. ქუთაისში ბევრს სმენოდა ნიჟარაძის ზნელი წარსულის გარშემო, ოდესღაც იგი თურმე თითოთ საჩვენებელ და გარყვნილ ქაბუჯად მიანდათ. და აი, ოცი წლის შემდეგ განგებას ისევ აქ მოვადო, თუმცა საზოგადოების მაღალ წრეებს ჯერაც არ შეეტყობ ოდესღაც ჩრდილოეთში გადახვეწილ ერთომან კატოლინას მშობლიურ ქალაქში ინკოვნიტოდ ჩამოსვლა.

პოლკოვნიკი ხანგამოშვებით თამბაქოს ეწყოდა, ზოლი მის პენსნეს ეფინებოდა. ნიჟარაძის ხორხის ტყავქვეშა ძვალი ბოლის ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის შესაბამისად მოძრაობდა. იდაყვით დაბჯენოდა მაგადას, წინ თხელი პორტფელი ედო და დროდადრო. სათვა-

ლენ ისწორებდა შავ ტყავში გაყრილი სანეგნებელი თითით, რომლის ხახვევარეთი დუღელს ღრთს დაპკარგოდა. ღუმელთან გამოქიმულიყო ლოყებლადუჯა აღუტანტი და ბატონის სატყუავხე ისე შეიარხეთოდა ხოლმე, გეგონებოდათ თოჯინა ამოძრავდათ. პოლკოვნიკი მხოლოდ სახელით იმძირთავდა მას და ამით ხელქვეითს ბატონკაცურ პატივს მიიგებდა.

— ანატოლ! ჯერ პატიმრები შემოიყვანე. ანაფორიანმა დაიცადოს

ბუდიანი რევოლვერით აღშურვილი ანატოლი თვალის დახამხამებზე გაუჩინარდა, ოთახში კი ჩექმების ხმაური დასტოვა.

ოთახის იატაკის ქვემოდან მოისმა ძლიერი ჩოჩქოლი, იატაკი შეზანზარდა, კარადაში დაკიდებული ქურქი შეაქანავა. სარდაფიდან პატიმრები ამოჰყავდათ. კარი გაიღო და ტუსაღები ოთახის ზღურბლის წინ ჩამწკრივდნენ.

ექვსნი იყვნენ.

გაბურძგვნილთმებთან და სახგამურულ პატიმრებს დახეული მაზარები და ასეთივე ჩექმები ეცვათ, ზოგი კი მთლად ფეხშიშველი იდგა. ვიწრო საკანში, სადაც თავიცი კულს ვერ მოიბრუნებდა, მათ მკვდრის ფერი დასდებოდათ. თავჩაქინდრული იდგნენ და მხოლოდ ოთახში შემოსვლისას გაუსწორეს თვალს პოლკოვნიკს.

ნიჟარაძემ ტყავის თხელი პორტფელიდან ქალაღლი ამოიღო და პატიმართა გეარების ამოკითხვას შეუდგა. თვითულის დასახელებისას რომელიმე წარბშექმუხენილი ტუსაღი თავს მაღლასწევდა.

— ხელმწიფის უზენაესი ნებისა და კავკასიის მმართველობის სახელით... — დაიწყო ახლა პოლკოვნიკმა სასიკვდილო განაჩენის კითხვა, სადაც პატიმართა სახელმწიფო დანაშაულებანი იყო ჩამოთვლილი.

აბაჰი ხაფიზოღლი
მოთხარობაში



არც ერთი ტუსადი არ შერბეულა და არც ერთს კრინტი არ დაუძრავს.

ნიჟარაძემ პორტფელი დაეცა.

— თქვენი მეშვიდე ამხანაგი სად იმყოფება? — იკითხა პოლკოვნიკმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს გვიან გაახსენდა ერთი დამნაშავის შიშაღვის ამბავი.

თორმეტი ცივი თვალი ისევ გაუსწორდა დამკითხველის პენსნეს, მაგრამ ე! თვალები არაფერს ამბობდნენ. ლერძლიანი თვალები!

— განმეორებით გკითხებით: სად იმყოფება გაქცეული ან ვინ იცის იმ დედაკაცი! გვარი?

ტუსალებმა კვლავ ჩაქინდრეს თავები. ნიჟარაძემ ისინი თხემით ტერფამდე ჩაათვალიერა. ნაძირალების სროვა!

პოლკოვნიკი წამოდგა. ყელთან პერანგის დილი შეიკრა და პატიმრებისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მთელი მისი ფიგურა ერთსა და იმავე დროს ამხელდა დახვეწილ არისტოკრატს და უღმობელ ტირანს.

— თქვენს რაინდულ სიმტიციცეს მაშინ დაეიჯერებ, როცა ხმის ამოუღებლად მიხვალთ საღორიის ტყემდე. იმედი მაქვს, ქალაქიდან ვასვლისას არ იყვირებთ, ხალხს ძილი არ ვაუფერთხოთ.

ისევ სამარისებური სიჩუმე.

— ჯერ არ მინახავს რევოლუციონერი სასჯელს ლაჩრულად შეხვედროდეს, — პოლკოვნიკი თავის ცინიზმს ხოტბის ფორმაში ხვევდა. იგი მარცხნით სულ ბოლოს მდგომ ტუსაღს მიუახლოვდა, სახეში ჩააცქეოდა და მისი გვარი ხმადაბლა გაიმეორა, თანაც მტკივნა თითოეულ ტუსაღის ნიკაპს შეეხო და სახე აუწია.

— გიცნობ. ვეპატრონო, პეტერბურგში ჩაგოთრიე! ამხანაგებმა შეამბოხეთა წრეში. მშობლებმა ძილტომ გაგხვანენს სატანტოში სასწავლებლად, რომ შემდეგ იმპერატორის ტახტიდან გადაგდებანზე ვეფიქრა?

ნიჟარაძემ ტუსაღის ნიკაპს თითო მთაშოთა და ზილით შეიწმინდა ჯაბბხელსახოცი.

პატიმარმა თავი დახარა. პოლკოვნიკ-

მა მას ყურთან თდნავ მიუტყვევებ და წასჩურჩულა:

— საღორიისთან!!! მანამდე კი — adieu! — პოლკოვნიკი მაგიდისაკენ შეტრიალდა და ანატოლს უბრძანა: — გაიყვანეთ!

2

როცა პატიმრებმა ოთახი დასტოვეს, ნიჟარაძემ მიტროპოლიტის შემოყვანა უბრძანა მსახურს. ანატოლი ამჯერადაც სწრაფად გაუჩინარდა, მაგრამ არ დაუგვიანებია. სულ მალე ოთახის კარებში გამოჩნდა ბრგე, თეთრწყვროიანი და ანაფორიანი მოხუცი, რომელსაც ხელთ კვერთხი ეჭურა.

— მიტროპოლიტი ნაზარი, თქვენო აღმატებულებავ! — წარმოსთქვა აღვლზევე გამოჭიმულმა ანატოლმა. ღირსი იყო თუ არა, აღუტანტი ასე მიმართავდა უფროსს.

— აქეთ! — უბრძანა ნიჟარაძემ შემოსულს.

ნაზარი მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა მაგიდასთან მდგომ პოლკოვნიკს. მოხუცის წაღები მორიგეობით ჩნდებოდნენ გრძელი ანაფორიდან, რომლის უკანა ბოლო იატაკს მოხვეტავდა. მისი რკინის კვერთხი კი რიტმულ ვუგუნს გამოსცემდა. ნაზარი შეჩერდა. ნიჟარაძემ შეეცქვიანი ნაღრძობი თითოთა და ცერით კარგად მოირგო სათვალე და ცივად დაეცქერდა მის წინ მდგომს. ძლივს იცნო, მაგრამ არ გაუმხევილა, უნდოდა ვლგრილად და თანაც ჩვეული უღმობობით დაეკითხა იგი. ამ სულიერ მოძღვართან ნიჟარაძეს ჭაბუკობის დროინდელი ანგარიშები ჰქონდა, თუმცა დარწმუნებული იყო, ნაზარის ხსოვნაში სემინარიის შეგორდყოფილის სახელი და გვარი სავსებით წაშლილი იქნებოდა. მაგრამ პოლკოვნიკის წინაშე აღძმართა მოულოდნელი, დაბრკოლება, ნაზარის მყუდროებამ ანაზდეულად განაიარაღა, ლამფის შუქზე მღვდელმთავარი სადა და დიადი ჩანდა. ნიჟარაძეს გაუჭირდა მოხუცის გარეგნობაში სრულად აღელ-



გინა ოდესღაც რუხი წვერის მქონე მასწავლებლის სახე. არც ის ახსოვდა, ელამი იყო თუ არა, რადგან ახლა ამჩნევდა, ნაზარს მარჯვენა თვალის გუგა არაპრობორციულად ზემოთ გაქცეოდა, თუმცა სახეს არ უმზახინებდა. მაინც უცნაურ წინააღმდეგობას ჰქმნიდა ეს მარჯვენა თვალი მარცხენასთან შედარებით, რომელიც მრგვალი და სახეებით ნორმალური ჰქონდა. პატიმრის სახეში ამოკითხულმა ამ წინააღმდეგობამ ლამის დააზინა დამკითხველი: ნაზარის პირდაპირ მაცქერალი თვალი თითქოს სწავლობდა პოლკოვნიკს, მეორე კი სხვა მხრით ჰქონდა მიქცეული და პატიმრის გულთამხილაობას ჩქმალავდა. მიუხედავად მღვდელმთავრის მუყურად და ორპოეული მზერისა, ნიჟარაძე მთელი არსებით ვრძნობდა, რომ ნაზარის გონებაში თავსდებოდა, მოხუცი მგონი სავსებით ისრუტავდა მას და პოლკოვნიკს სახეზე აფარებული ყინულის ჯავშანიც ვერ იცავდა. ნიჟარაძე პატიმრის დანახვის წამიდანვე განიცდიდა ფსიქოლოგიურ პრესს, მიტროპოლიტის გაჩეხობა რომ ავრცელებდა მასზე. ნაზარის თვალების განუშვივრავლე შესახედაობას პირისპირ მჯდომთა როლები შეეცვალა. მოხუცის ნამდვილი ფიქრის ამოცნობა პოლკოვნიკს ალბათ გაუჭირდებოდა.

ნიჟარაძესაც ბევრი სმენოდა მღვდელმთავრის განათლებასა და სათნოებაზე, მაგრამ ისიც კარგად დაუხსომებია, რომ სწორედ ამ ანაფორიანს მოეწერა ხელი ქუთაისის სემინარიიდან მისი გარეცხვის ბრძანებაზე, რის შემდეგ ქალაქიდან გულანაბადი აუკრავს. ახლა პოლკოვნიკის წინაშე დიდი ხნის უნახავი ნაზარი იდგა, რომელსაც, უეჭველია, ოდესღაც მისი შეგორდისა და დღეს აქ ჩამოსული გადამთიელის სახედისწერო თავგადასავლის გახსენებისა და ცნობის უნარი აღარ შესწევდა.

ნიჟარაძე ფარული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა გაცოცხლებულ და იერშეცვლილ მოძღვარს. ნაზარს ახლა ბამბის ქულასავით თეთრი და სპეტაკი,

ალაგ-ალაგ დამრგვალებული, საშუალო ზომის წვერი და პერგამენტით თხელი პირისკანი ჰქონდა. თავზე ეხურა შავი მაულისაგან შეკერილი კუჩუკულა, საიდანაც მხრებზე ძაძისფერი და ფართო ტოტი ეშვებოდა. გულზე ეკადა ვერცხლის ჯვარი მაცხოვრის გამოსახულებით, მარცხენა ხელის ნატიფი და სალუქი თათები ამ ჯვარზე ედო, ხოლო მარჯვენა ხელში ის კვერთხი ებყრა, რომლითაც პოლკოვნიკის მისაღები ოთახის კარიბჭესთან გამოჩნდა.

ნიჟარაძეს მაინც ნაზარის თვალებისათვის ვერ მოეწყვიტა მზერა, თანაც ლამობდა, ყინულის ნიღაბი არ ჩამოეხსნა სახეზე.

— მაშაო, შენ მოუწოდე სობოროში ხალხს აფაჯების დასახმარებლად? — შეკვებულ სიბრაზით შეეკითხა იგი ნაზარს. ნიჟარაძის ხმა ცივ ობერტონებს გამოსცემდა, თანაც „მაშაოს“ დამცნავად წარმოსთქვამდა.

— განწირულთა დასახმარებლად! — მშვილად გაუსწორა ნაზარმა. ნიჟარაძის მჭირდავი ტანა აინუნშიავ არ ჩაუვლია.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩვენს ხელთა უტყუარი ცნობა, რომ წირვის შემდეგ სამჯერ მიმართე ტაძარში შეკრებილთ, ამბოხებულთა დასახმარებლად მოუწოდე მათ და იმპერატორის სახელიც აუგად მოიხსენიე!

— ო რ გ ე რ! — ისევ გაუსწორა ნაზარმა. — ხელმწიფეზე კი ჩემს ბაგებს სიტყვა არ დაუძრავს.

— აქედან მიღებული ბარათი არ ეთანხმება შენს სიტყვებს. იგი მოგვაწოდა... — პოლკოვნიკმა დააყოვნა.

— ყოველივე გაცნობათ საყურთხევის მსახურმა! — შეეშველა ნაზარი.

— საიდან იცი?

— მოწაფეთაგან ერთი ყოველთვის გამცემია! — უპასუხა ნაზარმა.

— სოქვი, ვის წინააღმდეგ ლაღადებდი?

ბაკვი გაწაფლია მოთხარობაში



— შეკლელთა და გულზვიადთა წინა-
აღმდეგ!

— ისინი იმპერატორის ბრძანებას ას-
რულებდნენ!

— ჩემს თვალებს ხელმწიფის ბრძა-
ნება არ წაუციოთხავს! — განმარტა ნა-
ზარმა.

— ცრუობ!

— სული ჩემი განრინებულთა სიცრუ-
საგან! — ნაზარის სახეზე ერთი ნაკ-
ვითი არ ირხეოდა და ყველა პასუხს
მაშინაღურად და ტემბრშეუცვლელად
წარმოსთქვამდა.

— ამ ნაძირალებს რატომ მიეცი თავ-
შესაფარა?

— მე აღამიანები შევიფარე,
შვილო! — ნაზარის ხმის სიღბო და-
ეტყო.

— მე შენი შვილი არა ვარ!.. — სი-
ტყვა გააწყვეტინა ნიჟარაძემ.

— მომიტყვეთ... თქვენო აღმატებუ-
ლებავ! — გამოასწორა ნაზარმა. აკი
მან შემოსვლისას გაიგონა მსახურის მი-
მარტვა უფროსისადმი.

მღვდელმთავარმა ისევ აღიდგინა სა-
ხის გაქვავებული, დიადი და განუშკვირ-
ვალე გამომეტყველება.

— როდის გამოცხადდნენ ავაზაკები
შენთან?

— სამი დღის წინ!

— მერმე სად დამალე ისინი?

— ყველას იქ მივუჩინე ბინა, სა-
დაც ვწირავ, თქვენო აღმატებულებავ!..
საკურთხეველის გვერდით, ორ ეკვდერ-
ში...

— რამდენმა კაცმა შეაფარა თავი სო-
ბოროს? — განაგრძობდა დაკითხვას ნი-
ჟარაძე.

— ექვსმა!

ნაზარი არ სტყუოდა.

— დაჯექი! — უბრძანა დამკითხველ-
მა ბრალდებულს და ანატოლს თვალით
ანიშნა როგორ მოქცეულიყო. ხელქვე-
ითმა პატიმარს სკამი მოუბრუნინა. ნა-
ზარი დაჯდა, კვერთხი მკერდზე მიიღო,
ხელები კი მუხლებზე დაიწყო. აღუტან-
ტი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა გა-
ოცებული, რადგან ერთი შემთხვევაც

არ ახსოვდა, გულქვა პატრონი
ვისას ტუსადისათვის სკამი შეეთავაზე-
ბინა.

— აღიარებ თუ არა დალატს? —
იკითხა ნიჟარაძემ იმ ხმით, რომელიც
მიტროპოლიტს მოკლევ და გულწრფელ
აღსარებისაკენ მოუწოდებდა, თანაც
თვალები ჩაესო სულეირი მამის მარტო-
ოდენ ზემოთგაქცეულ მარჯვენა თვალ-
ში და ცდილობდა გაეგო, იცნო თუ არა
სემინარიის ყოფილმა მასწავლებელმა
მეკარდყოფილი. მაგრამ... ამოდ!

— კარგად არ მესმის, რომელი დალა-
ტის გამო მეკითხებით. ისინი მშვიერ-
მწყურვალე და შეციებულნი იყვნენ!

— განა სობოროში თბილა?

— ამ ქვეყნად მხოლოდ ტაძარში
თბილა, თქვენო...

პოლკოვნიკმა ისევ მიტროპოლიტის
მარჯვენა თვალზე შეაჩერა მზერა. მაგ-
რამ ეს თვალი კვლავინდებურად განუშ-
კვირვალე აღმოჩნდა.

ნაზარი პატიმრების ჩვენებას ადასტუ-
რებდა.

— ხომ უწყყოდი, მამაო, რომ ისინი
ხელმწიფის მოღალატენი იყვნენ?

— ამის გამო ჩემთვის მათ არაფერი
უთქვამთ! — მიუგო ნაზარმა. — არა
საქციელთა მათთვის შევიფარე ისინი,
თქვენო...

მღვდელმთავარმა მარჯვენა ხელი მა-
გიდაზე დასდო. ხელის კანიც პერგამენ-
ტივით თხელი ჰქონდა, ოღონდ დამკუნა-
რი და ლურჯი სიმების მსგავსი ძარღვე-
ბით დასერილი.

— რომ ეთქვაფ, თუ მიიღებდი?

— მივიღებდი, თქვენო აღმატებულე-
ბავ!

— რატომ? — ხმაუმაღლებლად გა-
ნაგრძობდა დაკითხვას ნიჟარაძე.

— გზაბნეულთათვის ღმრთის კარები
ყოველთვის ღიაა, თქვენო...

— და როგორ მოექცეოდით მათ? —
პოლკოვნიკმა აღარ დააცალა ნაზარს
წინადადების დამთავრება.

— მათი სულისათვის ვილოცებდი,
თქვენო...

ნიყარაძემ ჩვეულებრივ სათვალე გა-
ისწორა და მოთმინება არ დაუკარგავს.

— და ეს იმპერატორის ღალატი არაა?

— ღმრთის ღალატი უფრო მძიმე და-
ნაშაული იქნებოდა, თქვენო აღმატებუ-
ლებავ!

— ვისთვისააა დახურული ღმერთის
კარები, მამაო!

— ჯალათებისათვის.

პოლკოვნიკმა ამჯერადაც მოხერხებუ-
ლად დაფარა გაბრაზება. მარტოოდენ
ზარცხენა ღაწვი უფროთოდა.

— არც ახლა გამოტყდები, რომ ხელ-
მწიფეს უღალატე?

— ღმრთის ერთგული რწმენას არ ღა-
ლატობს, თქვენო აღმატებულებავ! —
ნაზარმა ისევ ბანზე აუჯდო სიტყვა.

— ღმერთო!.. რა ჰქვია შენს ღმერთს,
მამაო! — ნიყარაძე ცდილობდა სარკას-
ტული ტონი არ ვაპარვოდა და არ გაე-
ხილა, რომ მის არც ღმერთისა სწამდა
რამე, არც სატანისა.

— ღმერთს სახელი არა აქვს, იგი...

პოლკოვნიკმა ისევ გააწყვეტინა სიტყ-
ვა.

— ხშირად მომისმენია ეგ ქართული
აქაურ სემინარიაში, საიდანაც შენმა
ძმებმა გამოაძევეს! — ნიყარაძემ ბოლოს
და ბოლოს გასცა თავისი წარსული.

ნაზარს მარჯვენა აღმაცერ თვალში
წამიერად უჩვეულო შუქმა გაუელვა,
მაგრამ თვითონვე ჩააქრო იგი.

— სემინარიიდან გაძეგებულნი ან
ხელმწიფის ერთგულნი დარჩნენ, ან მი-
სი დამხობის მოსურნენი. დიდი განსხვა-
ებება როდია, თქვენო აღმატებულე-
ბავ! — კვლავ მშვიდად განმარტა ნა-
ზარმა.

ჭერისაკენ სახემიქცეულმა ნიყარაძემ
გააბოლა, მერმე საფერფლეში ჩააქრო
პაპროსი და ნაზარს პირდაპირ შეხედა.
კრიჭაში უდგას ეს ბებერი!

— ყბედობ! — ვითომც გულგრლად
წარმოსთქვა პოლკოვნიკმა.

— ღმერთს ყბედი არ უყვარს! —
კვლავინდებური სიმშვიდით მიუგო ნა-
ზარმა.

როგორ არ ეთანხმებოდა სულეირი

მამის ღამაში და ბამბის ქულასივით
თეთრი წვერი მისივე თვალების შემზა-
რავ წინააღმდეგობას. ნიყარაძე ხელაე-
და, რომ მოხუცი ძალაუნებურად ით-
რეკდა უსიამოვნო პაექრობაში და უნ-
დოდო მალე მოეშორებინა თავიდან, მაგ-
რამ წართაული პასუხები აიძულებდა
ძალაუნებური დავა განეგრძო. ნამდვი-
ლი დუელისათვის ანაფორიანი ხომ ისე-
დაც არ გამოდგებოდა.

— მაგ ჯერზე გამოსახული ღმერთი
ვინ იხილა, მამაო! — იკითხა ნიყარაძემ,
თუმცა წინასწარ მოელოდა ობმოკიდე-
ბულ გამოთქმებს. ასეც მოხდა.

— მამაზეციერმა თავის სახისამებრ
შექმნა ძეხორციელი და ღმრთის სძალ-
მაეც კაცის სახით გვიშვა უფალი ჩვენ-
თა ცოდვათა სატვირთველად! — წარ-
მოსთქვა ნაზარმა.

— და შენ მისი მონა ხარ? — ნიყარა-
ძე დარწმუნებული იყო, ნაზარის დაზე-
პირებულ გამოთქმებს დაბოლოებას
უპოვიდა, მაგრამ... რატომ აიტკივა აუტ-
კივარი თავი?

— არავის მონა არა ვარ, შვილო... —
ნაზარმა სწრაფად გამოასწორა — თქვე-
ნო აღმატებულებავ! საღვთო წერილი
გვასწავლის: შვილნი ღმრთისანი ვართ!

ნიყარაძეს მოაგონდა სემინარიაში გა-
გონილი ქადაგებანი, რომელთაც თავ-
მომბეზრებლად ჩასჩიჩინებდნენ შე-
გირდებს. ახლაც ღიმილსა ჰგვრიდა მის
ოდესლაც მოსმენილი გამოთქმები, ზო-
გიერთს რომ იზიდავდა სემინარიაში მა-
თი სიძველის გამო. სიტყვებს ზომ და-
ვისთავად არც სიძველე ჰმატებს სილა-
მანეს, არც სიახლე.

პოლკოვნიკი ისევ ნაზარისაკენ გადა-
იხარა და იკითხა:

— და მეც ღმერთის შვილი ვარ და
მისი სახე მაქვს?

— შენც! — მიუგო ნაზარმა.

ასეთ პასუხს ნიყარაძე მაინცდამაინც
არ მოელოდა. იგი ზურგით სკამს მიეყ-

აკაკი ზაქარაიძე
მონაწილეობით



რდნო. ნაზარის ზემოთ გაქცეული თვალი კვლავ განუშვებიალად აყო.

— ამ ღამით ყველაზე სულს დაღვეთ, მამაო! — ნელა წარმოსთქვა პოლკოვნიკმა, თუმცა წინასწარ დარწმუნებული იყო, ეს დროზეც ნაზარისათვის თავზარდამცემი არ აღმოჩნდებოდა. მღვდელმთავრის მყუდროება მართლაც მოწმობდა, რომ პოლკოვნიკის მუქარას მის სახეზე წარბიც არ შეურხებია.

— მთლად არავინ კვდება, თქვენო აღმატებულებავ! — აუხსნა ნაზარმა.

ნიუარაძემ ხელი უდიდოდ და მსუბუქად ჩაიჭინა, ისე, რომ მაგიდაზე დაბჯენილი იდაყვი არ შეურხებია.

— შენ მორწმუნე ხარ, მამაო, მაგრამ ამ არამზადებს არც ხელმწიფისა სჯერათ რამე, არც ღმერთისა! — და მზერადაძაბულმა დაუმატა: — არც ისინი მოკვდებიან მთლად?

— არც ისინი!

— როგორ?

— მე ვიხსნი მათ, თქვენო აღმატებულებავ!

პოლკოვნიკის ღრმად ჩავარდნილი და წვრილი თვალების უწამწამო ქუთუთოები ოდნავ გაუფართოვდა, რაც მისმა პენსნიამც გამჟღავნა.

ნიუარაძემ წამით ბუს დაემსგავსა.

— მაინც როდის? თქვენი აღსასრულის ეამი დგება!

— სიკვდილის წინ ვიხსნი მათ, თქვენო აღმატებულებავ!

ნაზარის სიტყვები რაღაც ფარულ ზრახვებს ამტკიცებდნენ. პოლკოვნიკმა პირდაპირ დაუსვა კითხვა:

— რა განგვიზრახავს, მამაო, როგორ უნდა იხსნა ისინი?

ნიუარაძეს მოჰგებებოდა ამ ანაფორიანთან გაბმული საუბარი. სიკვდილის წლებმაც გაიფიქრა მის ხსოვნაში, სემინარიიდან რომ არ გაეძევებინათ, შეიძლება ახლა მასაც ძამისფერი ანაფორა სცმოდა, რაც მამამისს ეგზომ სწაღდა, შევირდს კი თავიდანვე ქირისდღესავეთ ეჯავრებოდა იგი.

— წესის თანახმად დასჯის წინ სულიერმა მამამ შეცოდებულთა სულებისა-

თვის უნდა ილოცოს ამ წესს რულებ და თქვენც მოიხდით ვალს ღმერთისა და ხელმწიფის წინაშე!

ნიუარაძემ ასატად დარჩა: ავი მის მართლაც უნდა დაერთო ნება დასახვრეტად გაყვანილი ტყვეებისათვის უკანასკნელი ცერემონიის შესრულებისა.

— ამ ღამით და საღორის ტყესთან! — გოროზი გამომეტყველებით წარმოსთქვა პოლკოვნიკმა.

— ამ ღამით და საღორის ტყესთან! — უმაღლეს დაუდასტურა ნაზარმა.

ისევ წამიერი სიჩუმე. საათის ციფრბლატი მონოტონურად რეკდა. უცბად ქარი ჩამოჰქრა ბუხარში, დაფერფლილი ნალექრალი ააფორიაქა და კვამლმა ნახევრად დაფარა ოთახი. ყუბდაბერილმა ანატოლმა ბუხარს ჩაჰგებრა და კვამლიც ნელ-ნელა გაიფანტა.

პოლკოვნიკმა ისევ მოიკრიბა ყურადღება და ნაზარს მიმართა:

— შენი სულისათვის ვინ ილოცებს, მამაო, უზიარებელი სულიც ღმერთს მიაშურებს?

— მართალს ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ! სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული ჩემი სამშობლოს, ხოლო... — ნაზარმა აღარ დაასრულა წინადადება.

— მითრი კი ჯალათებს, არა? — შეეშველა ნიუარაძემ.

ნაზარს ამჯერადაც მთელ სახეზე თეთრი ღიმილი გადაეფინა. მაგრამ წინანდებურად თვითონვე ჩააქრო იგი და ნაკვთებუძოძრათ სახე დაიბრუნა. მან ორ-აზროვნად იმართლა თავი:

— ეგ მე არ მითქვამს, თქვენო...

— მაშინ თვითონვე დაამთავრე სათქმელი.

— გვამი ჩემი ეკუთვნის... მიწას! — დაასრულა ნაზარმა.

— ეშმაკი ყოფილხარ, მამაო, ეშმაკი! — გაისმა პოლკოვნიკის ნიშნისმომგვრელი კილოთი წარმოთქმული სიტყვები. ანაფორიანმა არც ამქამად დააყვანა:

— მხოლოდ უდანაშაულოთა მკვლე-



ლია, ემშაყთან წილნაყარი, თქვენო აღმატებულებავ!

გულქვა მონარქისტი თავს ძალას ატანდა, გულმოსულობა არ დასტყობოდა ნაზართან კამათში, დაუბოლოებელი სიტყვიერი ჭიდილი შინაგანად აღიზიანებდა. ანაფორიანი მოხუცი თვითველ შეკითხვაზე სწრაფად პოუსობდა პასუხს, რაც ასე იშვიათია ორთა შორის ვაბმული საუბრის დროს. ნიყარაძეს პირველად შეხვდა პატიმარი, რომელიც მან რამდენიმე რეპლიკით ვერ დააბნია, ნაზარი არც ერთხელ არ წაბორძიკებულა. ნიყარაძე ვერ მიმხვდარიყო, სად იწყებოდა წმინდანი და სად თავდებოდა ქალათი: ნაზარი უფრო და უფრო ჰკარგავდა მის თვალში სათნო არსების შთაბეჭქულებას. ესლა მოახერხა ეკაოხა:

— ამას უქადაგებ შენს მრველს?

— ამას! — ხმადაბლა და მტკიცედ მიუგო ნაზარმა. ნიყარაძემ კვლავ ყინულის ქაგშანი აიფარა სახეზე და მშვიდად განუმარტა ნაზარს გარდუვალი ხვედრის მოახლოება:

— დღესვე ზოგე ყოველივეს გამო!

ნაზარმა ჰერს მიაყრო თვალები (პოლკოვნიკმა შეამჩნია, რომ მღვდელ-მთავრის თვალის გუგები წამით გაწონასწორდნენ და მათი განუშეკვირვალე წინააღმდეგობაც ჩაქრა) და თავისთვის წაიდუღუნა:

— ოჲ, ნება შენი, უფალო!..

ნიყარაძემ ახლა სარდაფში დამწყველულ პატიმარებზე გაავრცელა მუქარა:

— მათ იქუხეს! და მათვე უშვეს კვამლი, კვამლივივე ჩაიდორიბიან!

— მართალს ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ, ქუხილი აუწყებს წვიმას და კვამლი ხანაარს! — და მღვდელმთავარმა მუხლებზე დაიდო რკინის კვერთხი.

ნიყარაძემ ერთი ყურრიდან მეორეში გაუშვა ნაზარის სიტყვები. ახლა მას დაშქანცველი ფიქრი აპკვიატებოდა, უნდოდა გაეგო, მართლა ვერ იცნო იგი მიტროპოლიტმა თუ ისიც დამკითხველვით ინიღებოდა. უნებლიე პაეჭრო-

ბაში ჩათრეულს ეწადა ნაზარისაგან მოესმინა, ახსოვდა თუ არა მისი სიტყვები ამბები ბედგანწირულს, როცა ბიძაშვილის მიმართ ჩადენილი სისამაგლისა და სხვა დამთხვეულობათა მიზეზით გააძევეს სემინარიიდან.

პოლკოვნიკი შორიდან უვლიდა. ქალაქიდან ტუსალების გაყვანამდე საკმომი ხანი დარჩენილიყო, ოთახის საათი ათს უჩვენებდა. ბოლოს და ბოლოს დროს მოკვლა ხომ საჭირო იყო და შეეძლო მოხუცთან საუბრით თავი გაერთო.

— მაშასადამე, ამ ქვეყნად არავინაა დამნაშავე, მამაო?

— ბოროტს ზიარებუღია დამნაშავე, თქვენო...

— რატომ მოავლინა ბოროტი ღმერთმა კეთილმა?

— იგი არაივის მოუვლენია, თქვენო აღმატებულებავ! ადამიანი თვითონ აირჩევს ხოლმე მას უფლის ნების უკეთ წარმოსაჩენად!

— ღმერთმა რატომ დართო ნება ადამიანს ბოროტს ზიარებოდა, შემდეგ კი მის დასათრგუნად მოგვევლინებოდა? — ნიყარაძე თავისავე კითხვებს ისმენდა კმაყოფილი, მგონი ახარებდა, სემინარიიაში ნასწავლი ქართული რომ არ დაჰვიწყნოდა, თუმცა გულის სიღრმეში სასაცილოდ მიაჩნდა გაცვეთილი სიტყვების ხმარება.

— ღმერთი მაშინაა სასტიკი, როცა მონიჭებულ თავისუფლებას ბოროტად ვიყენებთ. უფალმა ჩვენ მოგვანდო, ან მხეცად დაერჩეთ, ან ადამიანო.

— მაინც რაა ადამიანი, მამაო!

— ღმერთამდე აღმართული კიბე თქვენო...

— ვინც კიბის ქვემოთ ვრჩებით, ვინა ვართ?

— უფლის ვარდა ეგ არავინ უწყის! სული ჩვენი მის ხელთაა და ადამიანი მძინარეა და გამოუტყნობი აწ და მარადის!

— ძილში თუ წმინდაა ადამიანის მო-

აპაქი გაწარეღია
მოთხრობავად



დგმა, მაშაო! ძილი ხომ სიკვდილივით მღუპარება, როცა თვალებს ვხუჭავთ? — პოლკოვნიკს უნდოდა, ნაზარს გაეგო, რომ ამ ღამით ყველა პატიმარს სამუდამო წყვდიადი დაეუფლებოდა მარადიული ძილის სახით. ნაზარე არც ახლა შევთქმანებულა

— არა, თქვენო აღმატებულეზვ. ღმრთის ნათელი ბნელშიაც ჩანს და სიკვდილის სუღარა ისევე არა ფარავს ნათელზიარებულს, როგორც ღმრთის ნათელს მისი ბნელი სამკვიდრთ.

— და კაცი ბნელშიაც ნათელია?

— ბნელშიც!

— და ღმერთის სახით?

— ღმრთის სახით!

— და ნათელი მადგას ბნელშიაც?

— ეგ თვითონ უწყით, თქვენო... —

მიუგო ნაზარმა და კვერთხი ისევ მკერდზე მიიღო.

ნიკარაძეს თითქოს არც ახლა გასუგონია ნაზარის გამომწვევი პასუხი და ცოც შეგონებას მიმართა.

— ცდები, მაშაო! ყველა ადამიანში მხეცი ზის და ღმერთამდე ამართულ კიბეზე არავის უდგას ფეხი. არც ერთი ადამიანი არაა ხანდო. როცა ვინმე მოღმიძრი გვიახლოვდება, უნდა ვატყობდეთ, რომ მგლის თვალები შემოგვცქერის. ხაფანგი ყოველ ნაბიჯზეა დადგმული და რაც უფრო სახიფათოა იგი, უფრო ვერაგულად და მარჯვედაა მომზადებული. ადამიანისადმი მოწყალე და კანონიერი ღმერთი არ დაუშვებდა, რომ მისი სახის მატარებელი არსებობს ფიქრები და ფარული საქმენი სიბინძურითაა აღსავსე. ამ დღეებში ხომ დავრწმუნდით, მთელი საზოგადოების ცხოვრებაც რაოდენ მყიდვა და ყოველ წამს შეიძლება ნაცარტუტად იქცეს იგი. ადამიანში არაფერია ღვთაებრივი, ხუცესო! — და მცირე დუმილის შემდეგ დასკვნა:

— ადამიანი ნაგავია და ნაგავად ჩივა საფლავში!

— მაცხოვარი ადამიანად მოგვევლინა, რამეთუ ყველა ძეხორციელი ღმრთის

ტოლია და ძალითა უფლისათა უპყრია საქუნი ამა სოფლისანი!

— აჰ, — აღმოხდა ნიკარაძეს. — ქუჩაში ანაზღეულად გასრეცილი ძალღუფრო შესაბრალისია, ვიდრე ადამიანის ცხედარი, რომელსაც გახარებული ჭირისუფალნი მიაცილებენ! — წარმოსთქვა მან.

პოლკოვნიკის კაცთმოძღვრებით აღსავსე ტირადაც ნაზარმა გულგრილად მოისმინა და მოულოდნელად შეეკითხა:

— შვილნი გმოსავთ?

ნიკარაძე არ შემკრთალა, თუმცა ნაზარმა მის იარას დაადგა კბილი.

— აგი შენ აღრე მიგიტოვებია ოჯახი! — არაპირდაპირ უპასუხა შეცბუნებულმა.

— თქვენ საერთო პირი ბრძანდებით!.. — ნაზარი ხან შერობით მიმართავედა მას, ხან თქვენობით. — თანამეცხედრე გიზოთ? — განაგრძობდა დაკითხვას ნაზარი.

ნიკარაძე მოიღუშა, მას სული ყელში მოებჯინა. გამხვრეტი მზერა შეაჩერა პატიმარზე, ხმა არ გაუღია, მაგრამ გაიფიქრა: „ყოლი?.. ერთი ინგლისელი ჭოჯო გადამეკიდა პეტერბურგში. ახლაც შინ ავლია. აიკვიატა, შვილი ავიყვანოთო. მერმე? ბოთე გამოდგა... დემენცია პრეკოქს... მაგრამ ჩემი ოჯახის ამბავი რას ეკითხება ამ გადაჩულებულს?“

— ეს საქმეს არ ეხება! — ცივად წარმოსთქვა ნიკარაძემ.

— საერთო პირისათვის ძნელია შარტობა ხანდაზმულობის ქამს. უშველონი და უძირონი სასტიკნი და დაუნდობელნი არიან... საზოგადოდ მოგახსენებთ...

ესეც თქვენი სათნო ნაზარი!

ნიკარაძეს არაფრით გაუმეღავენებია მისი პიროვნების დახასიათებით გამოწვეული სიბრაზე. დიან, ყველაზე დიდი ხანძარი თვითონ ადამიანში შეიძლება დავანთოთ და არა მის გარეთ. და არც ერთი რევოლუცია არ შეედრება ადამიანის სულში ავარდნილ გრიგალს, რადგან ცხოვრების კონტრასტები ისევე ამოუცნობია, როგორც დამნაშავეს



ნამდვილი ფიქრის გაგება. ბრალმდებლისათვის. ან დღემდე ვინ გასცა პასუხი კითხვას: რა უფრო მწვევე და მომაკდინებელია, აზრის წიაღში აღმოცენებული კატასტროფები თუ ისინი... სხეულს რომ ეწვევიან შუბანს, ხმლი... ან ტყვიის სახით? ხუცესს შურს იძიებდა თავისი მონავალი ხვედრის გამო, ამიტომაც სულში ხელს უფათურობდა მრასხანე დამკლავებელს. ეს ანაფორა... მოსტე... გავლა მწვეალბლას ადგაღლს დაანს... ენებდა.

— ჩვენი ხასიატიცეზე მსჯელობ, ხუცესო. მაგრამ თუ გიფიქრია, მაგ ნაძირალებს ჩვენი ჯგუფობა რომ დღეებშინათ, მთლად სასხოლან... მამეღნი და ავახანი აღმოჩნდებოდნენ?

ნაზარი სდუმდა.

— ..და ისინი დაგიქცევდნენ ტაძრებს, ცხვრების ფარებებად გადაგაქცევდნენ ეკლესიებსა და მონასტრებს და თქვენს ძმებსაც იმ ცხვრებივით გაკრეჭდნენ. როცა ბრბო ხელისუფლებას დაეპატრონება, ასე იქცევა. ლაქებებს ჩამომავალი მდიდრულიც მორთულ სასახლეებში გამოიშუბობდნენ, საიდანაც ნამდვილ სილამაზეს გააძევდნენ, თუმცა ლაქის სილამაზე ისედაც ხელიდან უსხლტება. და ცხოვრება უფერული და უღიმღამო აღმოჩნდებოდა, ნელინელ კედლამა და ჩუმი სასოწარკვეთილება დაეუფლებოდა ტირანით დაშრნებულ, დაქანცულ და პირუტყვებად ქცეულ საზოგადოებას. აღოქმული ზღნიერების მოლოდინში ხალხს დაამშვიდებდნენ ერთი ლოზუნგით „ზეგ“, მაგრამ ეს „ზეგ“ არასოდეს არ დადგებოდა და ლოზუნგი დაუსრულებულ „მასზეგად“ გადაიქცეოდა. არა გჯერა?

— არა გჯერა, თქვენო...

— ვითომ რატომ?

— ყველა ტაძრის შემუსვრა შეიძლება, მაგრამ უფლის მიერ ადამიანის სულში აგებული ტაძრისა კი არა.

— შემტსრავენდნენ! — დაბეჯითებით წარმოსთქვა ნიყარაქემ. — აკი პროკლამაციებში თვითონ აცხადებდნენ, ეკლესია სახელმწიფოს უნდა გამოეყოს და

მონასტრების მამულები ხალხს გადაეცესო, ეკლესია ხომ მაგ ჯვარცმულის სიტყვას ასწავლის ხალხს? ბრბო ამ უღებებში შეუფერდა სამეგრელოს მთავრების სასახლეს და ლამის არ გადაბუგა იგი. ან ის დემონსტრაციები თუ გახსოვს, აქ რომ გაიმართა? ეგებ „მარგელიოზას“ გუგუნე ესალბუნებოდა შენს ყურს? დემაგოგივით გაბრაყვებული ბრბოები მარადეამს თავისუფლებისა და ერთობის ძახილით აყრუებდნენ მიდამოს, კარგად ვიცით, რაც იმალება მაგ ბუროვლათების ბღავილის მიღმა, ფრახგების შჩატე ჭკუამ გამოიგონა ისინი და ყველას გვისწავლია, რით დამთავრდა მრავალწლიანი ვაჭხანალია: ხალხის ბელადები ჯერ ბურბონებს სჭრიდნენ თავს, შემდეგ კი ერთმანეთი აპყავდათ გილიოტინაზე. მგლების ხროვა მაძინ გაერთიანდება, თუ საკბილოს მოჭკრა თვალი, მარტოდ დარჩენილნი და დამშუღლნი კი ერთმანეთს დაესვიან ხოლბე. ტახტზე წამოსკუებულ მეტიჩარას მეორე მეტიჩარა გადმოავდებდა, მეორეს მესამე და ტირანების მიერ ერთმანეთისათვის თავების ჭრა არასოდეს დამთავრდებოდა. დემოკრატია შეიძულეზდა ჭეშმარიტად ნიჭიერებს, ჭკვიანებსა და სწავლულთ. რა იყო მაზეზი ციციერონის დაღუბვისა, თუ არა მისი სიბრძნე და სწავლულობა? ბუღბუღების გალობას თუთიყუშთა ამოძახილები შესცვილიდა... ნუ აღიღებ ადამიანს, ხუცესო, ადამიანმა თვითონ გამოიგონა თავი ისეთად, როგორადაც სხვას ეჩვეუნება. და ყოველი ადამიანი სილამაზის წაბილწვის სურვილითაა გამსკვალული. ადამიანი მზაკვარია და მუხანათი, მამაო. ტყვია და მათრახია საჭირო, ტყვია და მათრახი!

და პენსნედან გამოიყურებოდა წყვილი თვალი ველზე გამოსული მშვიერი მგლისა, რომელსაც პოლკოვნიკი თვითონ ადარებდა ადამიანს. ნაზარს ხშირად წაეკითხა მონარქისტების ფელე-

ააააი გაწარეღია
მომხარება



ტონებში რეგულაციონერთა ანალოგიური ლანძღვა, ქუთაისში ყოველდღიურად იყიდებოდა სუფორონის გაზეთი. ნიჟარაძეს სწორედ თუთიყუშებით დაუზღებირებია იგი. პოლკოვნიკის არც ერთი სიტყვა არ იყო ორიგინალური.

— თუ ღმრთის მიერ შექმნილი სოფელი აზრსა და სულს დაკარგავს, უფალი იაგარყოფს თავისივე ქმნულს, თქვენო აღმატებულებაჲ!

— რით?

— მეორედ მოსვლით!

— არა, ისტორიას მოცდა არ უყვარს და მესიის მოსვლამდე იგი თავის საქმეს განაგრძობს. ნაძირალღებისათვის მხოლოდ ორი აქტია რეალური და ქეშ-მარიტა: შურისძიება და სიკვდილი... მათთვის კი არა, ჩემი სულისათვის ელოცე, მამაო! — მცირე პაუზის შემდეგმ დასძინა ნიჟარაძემ.

— ვილოცებ, თქვენო... — პასუხი არ დაუყოვნებია ნაზარს.

პოლკოვნიკმა ღრმად ჩაისუნთქა თამბაქოს ბოლი და ბოლიდან ამოყურყულმაღავებულმა გააბა:

— აქ მისწავლია ცნებები „არა იმ-რუშო“... „არა იქურდო“... „არა ცილი სწამო“... „არა ჰკლა“... — ნიჟარაძე ძლივსა იგონებდა სახარების გამოთქმებს. მან თვალი თვალში გაუყარა ნაზარს და ხელმეორედ შეეკითხა: — მამასადამე, არავის მოკვლა არ შეიძლება, ხომ?

— დადგა ყამი, ოდეს კლავენ ბატონის ერთგულებისათვის ან წინაშე მისისა შეცოდებისათვის. და ღმერთი არც ერთ ასეთ სიკვდილს არ იწყნარებს.

— ვის სიკვდილს იწყნარებს ღმერთი, მამაო!

— იმ მცნების დამრღვევის სიკვდილს, რომელიც დაგვიწყნიათ, თქვენთ აღმატებულებაჲ!

— რომელია იგი მცნება? — იკითხა გაოცებულმა ნიჟარაძემ.

— არა გული გითქმოდეს ცოლისა მოყვასისა შენისასა!.. — უპასუხა ნაზარმა. — კატეხიზმოშიც ისე სწერია.

მხოლოდ ამ მცნების დამრღვევის სიკვდილს იწყნარებს უფალი, თქვენო...

ღიას, ნაზარს ყველაფერი ახსოვს! აქი ნიჟარაძეს ყოველ ყამს თვალწინ უდგას ახლად ცოლნათხოვარი ზიდაშვილის ბედი, რომლის გამო გადაიხვეწა რუსეთში. ან შეიძლება იგი ნაზარს დაჰიწყებოდა თავადებულთა თავადიშვილის დამთხვეულობანი, რომელთა ირგვლივ მაშინ მითქმა-მოთქმა არ წყდებოდა ქუთაისში? ან ის აქტი, სასწავლებლის მაშინდელმა მღვდელმა რომ მოაწერა ხელი? ღიას, ნაზარს არაფერი დაეწყნია. პოლკოვნიკი აქამდე გულის სიღრმეში მინც ყოყმანობდა მრევლისთვის ეგზომ თავდადებული და სათაყვანებელი სულიერი მამა არ გაეწერა და ხელისუფალთა ფარული დავალების შესრულებისათვის გვერდი აეღო. მაგრამ ნიჟარაძეს მოთმინების ფილა ავსებოდა. მინც არაფერი შეიმჩნია.

— შენი ღმერთიც სასტიკი ყოფილა, მამაო! განსხვავება სადაა? — წარმოსთქვა ნიჟარაძემ.

— არა, თქვენო აღმატებულებაჲ, განსხვავება დიდია. საღეთო წერილი გვასწავლის: ვინცა აღიღოს მახვილი, მახვილიავე დაეცეს!

— აქი სობოროში თავშეფარებულებმა აიღეს პირველად ხელში მახვილი?

— არა ვუწყი, თქვენო აღმატებულებაჲ, ვინ აღმართა პირველად მახვილი და მახვილი მარტოდენ რკინისა არაა!

— ხელმწიფეს სდებ ბრალს?

— არავის არ ვდებ ბრალს, რამეთუ ბრალის დადება განკითხვის დღეს ხდება!

— მაგ იმედით ცოცხლობ?

— იმედით სასოწარკვეთილი ცოცხლობს, თქვენო აღმატებულებაჲ!

— და არ გეშინია, რომ სიცოცხლეს ჰკარგავ? — შეეკითხა პოლკოვნიკი და ვერ შეამჩნია, რომ ეს კითხვა ორჯერ დაუსვა ნაზარს.

— არა მეშინის, უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქი... — ნაზარს

რო მხრებში გაიმართა, კვერთხი ხელთ იპყრო და ხმამაღლა, მაგრამ შთამაგონებლად წარმოსთქვა მოციქულის სიტყვები: — ...რამეთუ ქრისტეს თანა ჯვარცმულ ვარ და ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა იესუ!

ნიჟარაძეს არასოდეს უხილავს რომელიმე პატიმრის ასე უცნაური, მწვანე შუქით ანთებული და მრისხანე თვალები. წამით უკან დაიწია და ისევ სკამის ზურგს მიეყრდნო, მერმე მსახურს გადახედა და ისიც წინ გამოეჭიმა ადგილზე დაძრულა.

— გაიყვანე! — უბრძანა პოლკოვნიკმა.

ნაზარი ადგა და გასასვლელისკენ გაემართა. მისი ანაფორის ბოლო იატაკს მიხეცტავდა, კვერთხი კი წინანდებურად რიტმულ გუგუნს გამოსცემდა.

პოლკოვნიკმა თვალი მოჰკრა ნაზარის კეფასთან შეგრძობილი თმის პატარა წნულს.

3

ნიჟარაძე ოთახში ბოლოს ცემას მოჰყვა. შემდეგ ქალაქისაკენ გაიხედა. ქუჩაში ქარი ფარნებს არხევდა, ზოგიერთ სახლში შუქი ჯერ არ ჩაქვროთ, მოსახლეობას არ ეძინა; მაგრამ სულ მალე მყუდროება დაისადგურებდა. როცა ტუსადებს სალორიის ტყისაკენ გაიყვანდნენ, ქალაქში არავის უნდა დაენახა ისინი.

პოლკოვნიკმა შეწყვიტა ბოლოს ცემა და ისევ მაგიდას მიუჯდა. ადუტანტს მისთვის წინ არყით სავსე ბოთლი დაედგა, თეფშებზე ქართული პური და ზუთხის ნაჭერი ელავა. ნიჟარაძე პატარა ჭიქას არყით ავსებდა და ხანგამოშვებით ცლიდა. ოთახში ახლა მარტო იმყოფებოდა და მისი ხორბი ისე მოძრაობდა ლუქმის ყელში გადატანისას, როგორც თამბაქოს ბოლის ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის დროს. პენსნე

მოეხსნა და მისი ნაკვალევი ცხვირით ირთვე მხარეს აჩნდა.

ნიჟარაძე ფიქრებს წაედო. თვალები დაეხუჭა და სკამის ზურგს მიყრდნობოდა.

...ხუცესი გულთამხილავია. რატომ გაუბა საუბარი? სულერთია, ვერაფერი შეუმსუბუქებს ხელმწიფის ლალატის ტეირტს.

და ნიჟარაძე ცდილობდა თავისი გონების სარკიდან ჩამოეხსნა ნაზარის სახე, განსაკუთრებით მისი მარჯვენა თვალი. ფიქრები უწყესრიგოდ ირეოდნენ პოლკოვნიკის თავში.

...ნაძირალებსათვის ულოცნია და მასვე მპირდება სალორიის ტყეში... მონარქიაც არაფერი ბედენაა, მაგრამ რით უნდა შესცვალონ იგი? ბრყიყენი.

პოლკოვნიკმა თვალები გაახილა და არყით სავსე ჭიქა ისევ დასცალა. კიდევ და კიდევ მიეძალა არაყს. შემდეგ ჭიქა დაყნოსა და პენსნეს დასწვდა, ჭიქის ნატიფი ორნამენტი ალივილიედა ორ პაწია ოვალურ მინაში. პენსნე ისევ მოიხსნა და თავის ადგილას დასდო.

...რამდენი სახე ტრიალებს ჩვენ სულში და ყველა ჩვენგანი ამ სახეთა კრებულია. დავეხსნათ ბებერს. ქარი გულგამაწვრილებლად ზმუის და უმოწყალოდ ანჯღრევს ფანჯრის დარაბებს. აჰ, ანატოლ, ანატოლ, ზარმაცი ვინმე მყევხარ. ერთი ვნახოთ და დარაბებმა მინები ჩალეწონ, მაშინ პირლია ქარს ვინ გაუძლებს?

ისევ ეძალემა არაყს და ეროსის დემონი რალაცას ჩასჩურჩულებს ყურში შავი ფიქრების გულიდან გაქასაყრელად.

...ეჭვის თვის წინ დასტოვა პეტერბურგი. ისაკის საყდრის გულმბათი. ადმირალტეისტეო და ზამთრის სასახლე. მდიდრულად მორთული ბინა მოიყაზუ. ნატალია. მამის სახელი? პაპიროსს ვუკიდებ, ნატალია ივანოვნა ოქროცუტრვებული და მრგვალჩარჩოიანი სარკის

ააააი გაუაფლია მოთხოვრება



წინ დგას. ხელთათმანებს ისდის და ძვირფასი ქვეებით მოთქვილ ვარდიგულას ისნისი მკერდზე. კანდელაბრები ჩამქრალია, ერთი სანთლის ალიდა კიაფომს შანდალზე. ოთახის კუთხეში ბერძნული შიშველი ქალღმერთის ქანდაკება აღმართულა ხის კვარცხლბეკზე და ხელთ იფარავს გენიტალიურ ზონას. დიახ, ეს ამგზნები რამაა. ღამის პერანგისამარა ახალგაზრდა მანდილოსანი ჩემს ღონიერ მკლავებშია. ინაბეზა. თედავიწყების წუთები. „გემუღარბები, მერმე, მერმე, დღეს იკმარეთ“. დიაცის ლიტონი სიტყვები. უფრო ძლიერ მეკვრის... ისევ მზადაა და ისევ ნეტარების წუთები. ოდნავ სუნთქავს, მერმე იძინებს და ნესტობიდა უთრთის... დღისით კვლავ მარხილით ვასი-რნება ნუვის პროსპექტზე და შინ მიბრუნება. მერე სხვა, მაგრამ რომელი?.. ეგებ ამ აჩრდილებმა ჩაკლან ჩემში გაუბედურებული ბიძაშვილის სახე, გულთამხილავმა რომ გამოცოცხლა.

და ნიჟარაძის გონების სარკეში კვლავ ჩნდება ნაზარის შემზარავად უმოძრაო, დამკვირვებელი და თან განუშკვირვალე მარჯვენა თვალი.

ყველაფრის ცოდნის მოხერხებული და სატანური სიმულაცია... ჰზლაკს, უთუოდ ჰზლავს...

ნიჟარაძე ნაღობი თითითა და ცე-რით ისწორებს პენსნეს ცხვირს ზემოთ, მაგრამ ამჩნევს, რომ პენსნე მაგიდაზე ძვეს.

...ეს ქერაა... სადად მორთული ბინა ვასილის კუნძულზე. აქ არც ღმერთქალის ქანდაკებაა, არც სარკე, მხოლოდ შეზღონი და პატარა გობელენი კედელზე. მშობლებისა და დიდების სურათები. მამა სასამართლოს მოხელეა. ქალი ურცხვად განრთხმულა ტახტზე. ლიფში მოუჩანს ძუძუები, ერთი ვაშლის ოდენა, მეორე კი ოდნავ-ლა აჩნია... უძუძო... ამაზოს... სარმატელ ქალებს ერთი ძუძუ არ ჰქონდათ. ოდეს-ღაც პროფესორი გვიამბობდა, სარმატელი დედები თურმე თავიანთ ასულებს სპილენძის გავარჯერებული შანთით

უწყავტუნენ მარტენა-ძუძუს, რამა მკლავს დევ იგი არ ეზრდებოდათ, მკლავს მკლავს მარჯვენა მკლავში უგროვდებოდათ, რძის მარაგე ამ მკლავს ემატებოდა, ამიტომაც მარჯვედ ხმარობდნენ შუბებს... სარმატელები მგონი სკვინების მონათესავე ტომი ყოფილა... ეს ქერა მათი ჩამომავალია. იგი თვალს ჰკიდებს ჩემს ზიზნარევე ღიმილს, ხელთ მწვდება ყურზე, ტუჩთან მიაქვს იგი, მსუბუქად მკბენს და ჩამჩურჩულებს: „ვი, ვლადიმერ ვასილიჩ, ბესპლოდნი მუშჩინა, ოჩენ ბესპლოდნი-ს“. სვკაცს მართვეს სისინი!...

და ისევ ნაზარის მარჯვენა თვალი და ისევ დაქინებული ცდა ქვეცნობიერების სარდაფში მღვდელმთავრის უმოძრაო და საშინელი მზერის ჩატანისა.

...მხოლოდ ქვერთხი, ხან მკერდთან, ხან მუხლბეზე... და კვერთხი რკინისა... დალაზეროს ეშმაკმა... აზრის ძაფი გამოიწყდა...

...ღმერთქალის ქანდაკე კი ორივე ძუძუ იდეალურად იყო ამოკვეთილი... ბუსუსი ქეაში... მათ ტახტის დამზობა ეწადათ. მერმე? ნიჟარაძის ერთგული თავიცი მიჰყვებოდა იმპერატორის სხვა ერთგულთა თავებს. არც სტოლიპინია ჰკვიანო, სიპიაგინი უფრო გამბედავი გახლდათ... ის გაქცეული არამზადა სად იმალება? ვიდაც დედაკაცთან. აქაური პრისტავები დასაჰერია. მეამბოხეებს რევოლუციის კოცონზე რომ დავეწკოთ, შეშას ის დედაბერი წაუმატებდა პირველად კოცონს... ო, სანკტა სიმპლიციტას!

ნიჟარაძემ ღრმად დაამთქნარა.

...სტამბულის საელჩოში სამსახური... მაშინ სულს ბალზამივით ეპყურებოდა თურქი გოგონების როკვა სულთნის ვეზირის სასაზღეში წვეულებისას, როცა მათ ცისფერ ფუსტანელებში გაჩრდილი შიშველი ფეხები უჩანდათ... სულისწამლები ღიმილს აფრქვევდნენ ირგვლივ... ოსმალოები ბედნიერი ხალხია... დალოცვილი პოლიგამია, დალოცვილი პოლიგამია!

ქარი ხანგამოშვებთ ჩამოიჭრება ბუ-



ხარში. ანატოლი არა ჩანს. კარადიდან ისევ ობლად გამოიყურებიან პოლკოვნიკის ქურჭი, სერთუკი და ქუდი.

...სპარსელებიც სტუმართმოყვარენი არიან. ჭკვიანი და თან ცეტი ხალხი. საქმიან ლაპარაკს უცბად სწყვეტენ და ნადირობაზე ჩამოგვიდგებენ სიტყვას. ჩაფიქრებულნი და მდუმარენი, თუმცა ბუზის ბზუილს ან ჩიტის გაფრენას შეუძლია მათი მყისვე გამოფხიზლება... უზომოდ "ზარმაცნი და უზომოდ საქმიანი" სპირობების ქამს... ყოყოინი და პატივმოყვარენი... ჰარემში თავქარიანნი... გულადნი და ყურდგელივით მზღანნი განსაცდელის მოახლოებისას. მოგზაურობის მოყვარულნი და ცრუმორწმუნენი. ენით უთქმელი ვერაგნი, როცა სიმღიდრის ან სახელის მოხვეჭაზე მიდგება საქმე... პირფერნი... ერთმანეთთან დანასისხლად არიან, შეხვედრისას კი ერთგულების ფიცს სდებენ... ტუბილმოუბარნი და ლექსების მოყვარულნი... უყვართ ცხენები, რომელთა მშვენივრად მოვლილი ტანი და კობტად დაწული ძუები ზოგჯერ ამ პირუტყვებს მათივე ქალებს ამსგავსებს. ტურფებს კი თმები წვივებამდე წვდებათ. მავკლისფერი თვალები და სწორი ცხვირი აქვთ... სასვე მთვარესავით მრგვალი პირისახე... ესოდენ პაწია და მეწამული ტუჩები აქვთ, როგორსაც მთელს დედამიწაზე ვერ შეხვდებით, ბეჭდისოდენა მრგვალი ტუჩები. ფაქიზად მოვლილი ფრჩხილები და სპილოს ძელისფერი კანი. კრავის სიმშვიდე. და როცა მასპინძელი მასთან ღამის გასათევად დარჩენილს საძინებელ ოთახში მიგზავნის ათრთოლებულ გოგონას (სპარსეთში. ეს სტუმრის დიდ პატივისცემად ითვლება), პატარა ლამაზმანი ქაშვირის საბურავს ნაზად აოხდის, ოქროს ქინძისთავით დამაგრებულ სარუბანდეს ჩამოხსნის შუბლზე შემოხვეულ ცისფერ ლენტს და ბალიშებით მოფენილ ხალიჩაზე ჩემს ფეხებთან წვება სულგანაბული და გულატოკებული... მომჯადოებელი ავაზა, რომელსაც სულ მალე დაჰქნობა ელის... და

ვგრძნობ, როგორ მშიმედ და ნასოწარკვეთილად სუნთქავს იგი. ყრუ კნავილი-ლა აღმოხდება და ვნოლივით კანკალებს. და კმაყოფილი ვარ, როცა ძლივს მტოვებს და ისევ ხალიჩაზე განმორებს თითქმის ღონემიხდილა. სიფრთვანა პერანგი ოდნავ-ლა უფარავს ერთ თემოს, მეწამულ ტუჩებს ახლა შაბიამნისფერი გადაჰკვრია, ისინი ღიად დარჩენია, ხშირი წამწამები კი ღაწვებზე დაჰვენია...

ეროსის დემონმა იმძლავრა და მრუში პოლკოვნიკის ცნობიერებაში ნაზარის შემზარავი გამომეტყველება სასვენით წაშალა.

ნიქარაძეს ჩაეძინა.

4.

პატიმრები ღამის სამ საათზე გაიყვანეს ქალაქიდან. ცარიელ ქუჩებში პროცესია არავის შეუმჩნევეია.

ტუსალები ქვეითად მიდიოდნენ. პატიმართა ჯგუფს მარცხნით ექვსი ჯარისკაცი მისდევდა, მარჯვნივ კიდეც ექვსი. ცხენზე მხოლოდ პოლკოვნიკი იჯდა, რომლის წინ ქვეითად მიაბიჯებდა ვარნიზონის შტაბის ოფიცერი და დიდი ფარნით გზას უნათებდა ცხენოსანს. მთელ ჯგუფს აგრეთვე ქვეითად მისდევდა ერთი ჯარისკაცი და ისიც წამდაუწუმ არხედა ფარანს, გზის ოღორ-ოღორებებს აკვირდებოდა.

ბალახვანს ვაცდნენ. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტყემდე სამი ვერსტი-ლა რჩებოდა.

ნაზარი ბორკილებით ხელბეშკრულ ტუსალებს შრის მიაბიჯებდა. მოხუცი მღვდელმთავრისათვის ხუნდი არ დაუდვიათ. იგი გრძელი კვერთხით მიიჭლევდა გზას ღამეში.

ცივი ქარი ზმუოდა და არემარეს იკლებდა, ხან ჩადგებოდა.

დალლილი პატიმრები მხოლოდ ერთხელ დაასვენეს გზად. მათ შუაგულ ბრეგ ნაზარიც იჯდა და თავისი სიმშვი-

აპაჰი ნაჰრიალი
მოთხრობები



დით ამხნევებდა პატიმრებს, პოლკოვნიკი ცხენზე არ ჩამომხტარა, ქურქიდან მოუჩანდა სერთუქის ღილები, ისინა მკრთალად ციმციმებდნენ ფარნის შუქზე. მისი ზაფრანისფრად მოსირმული ქუდის სილუეტიც ეკიდა ბნელში. ტუსალები ხედავდნენ ანთებული პაპიროსის. მოძრაობასაც, წითელი წერტილი ხანგამოშვებით წრეს აკეთებდა მრუმე სივრცეში.

არავითარი ურთიერთ გადაძახილი.

უცხად ქარმა ღრუბლები გადარეკა, მთვარემ გამოაჭყიტა და არემარე გააშუქა. საღორის ტყეც გამოჩნდა. ერთხანს ტყის განაპირა მხარეს მიუყვებოდნენ. ყველაფერი რძისფრად იყო განათებული და თუ ქარი ხანდახან ძლიერად დაუბერავდა, ტყის ხეთა კენწეროება ხან მარცხნით იზნიჭებოდნენ, ხან მარჯვნივ.

აქა-იქ წითლად ღვიოდნენ გამხმარი და ფუტურო ხის ფესვები.

ბოლოს მთელი პროცესია ტყეში შევიდა. როცა ტყეს გაივლიდნენ, იმ თხრილის წინ შეჩერდებოდნენ, სადაც პოლკოვნიკს ხელისუფალთა დავალება უნდა შეესრულებინა. შემდეგ თორმეტი სალდათი დარჩებოდა აქ გვამები-სათვის მიწის მისაყრელად და თხრილის ამოსავსებად.

ჯგუფის წინამძღოლი ოფიცერი აქაც კარგად მიიკვლევდა გზას. ანაზღვეულად ამოვარდნილი ქარი ველარ იჭრებოდა ფარნების ჭუჭყრუტანებში და პატრუქს არ ატოკებდა. მთვარე ხან ღრუბლებში იმალებოდა, ხან ლიბრედ სხივებს აბამდა ხეებს შორის.

...დაწყველილი ამინდი! ამ სიციხიან მხარეში გვიან შემოდგომითაც იშვიათად თუ დგებოდა სუსხიანი დღეების ხუცესი ალბათ ღვთის განგებას მიაწერს ქარისა და ტყის გმინვას. მარტოოდენ უგნურებს პკონიათ, თითქოს ბუნება ვისმეს ხათრით დაიწყებს ბობოქრობას ან ვინმეს დაეგება ფიანდახად... პოლკოვნიკს გული მოსდიოდა უამინდობაზე, ხანდახან ღრუბლებში მოსრიალე მთვარეს შეხედავდა. ეს

ქურდბაცაცა მნათობი არც პეტრე...
გში ალოლიავებდა მას!

ნიჟარაძეს არც ერთხელ არ მოუხედაეს ნაზარისა და დანარჩენი ტყვეებსაცენ.

როგორც იყო, დათქმულ ადგილს მიადწიეს. ტყე დამთავრდა, ირგვლივ მკრთალი ნათელი იდგა. პოლკოვნიკი ბორცვთან შეჩერდა. აქედან იწყებოდა დამრეცი ფერდობი, ფერდობის დასასრულს კი ვეება თხრილს ხახა დაელო. თხრილის გვერდით მიწის დიდი ზეინი იდგა.

პატიმრები თხრილის ნაპირას გაამწყრივეს, ხოლო ნაზარი ცალკე გამოყვეს. ტუსალების წინ ოცი ნაბიჯით დაშორებული ჯარისკაცები იდგნენ და მიწაზე თოდის კონდახები დაეშვათ.

პატიმრებს შორის ჩოჩქოლი სულ არ ისმოდა.

პოლკოვნიკი ცხენზე ჩამოხტა, ბორცვზე მდგომმა ნაზარის მიმართულებით მათრახით მიუთითა გარნიზონის ოფიცერს და რაღაც უთხრა. მანაც თვალის დახამხამების უმაღ ჩაიბრუნა ფერდობი დაკალების გადასაცემად და მღვდელმთავართან მიიჭრა.

ნაზარს თმა აშლოდა და თეთრი წვერიც გასწეწოდა, ეტყობოდა, თავსაბურავი ტყეში დაჰკარგვოდა, რომელიმე ხეს ეკლიანმა ტოტმა თუ აცალა იგი თავზე.

როცა ოფიცერი ბორცვზე დაბრუნდა, ნაზარი პირველ ტუსადს მიუახლოვდა, მის წინ დადგა და ლოცვას შეუდგა.

არც პოლკოვნიკს, არც მის გვერდით მდგარ ფანრიან ოფიცერს არაფერი ეუგონია ნაზარის ხმადაბალი ლოცვა. მიტროპოლიტი მორიგეობით მიდიოდა ტუსალებთან და რაღაცას დუდუნებდა, შემდეგ თავზე ადებდა ჯვარს და კვერთხზე დაბჯენილი ცდილობდა თხრილის წინ მიწიდან ამოყრილ ქვებზე არ წაქცეულიყო. როცა ლოცვა დაამთავრა და წამით განზე დადგა, პოლკოვნიკმა ხელმეთრედ შეარხია მათრახი და ჯარისკაცებმა ტუსალებს თოფები მიუღერეს.

ისინი ზალპის დაწყების ბრძანებას უცდიდნენ.

მაგრამ მოულოდნელად წესრიგი დაიშალა: ფერდობზე ამოდიოდა თემბაყის ნაზარი და პირდაპირ პოლკოვნიკისაკენ მოეშურებოდა კვერთხის დახმარებით. მისი ჯვარი სივრცეში ვერტიკალურ ნაპერწკლებს ჰყრდა.

ნიჟარაძე პირველად შეკრთა და უკან დაიხია, ნაზარი ზევივით მოემართებოდა მისკენ. ყველანი ხმაგაყმენილი იდგნენ და გაშტერებული შეჰყურებდნენ ფერდობზე ამოძვალ ანაფორიანს. ბოლოს ნაზარი პოლკოვნიკის წინ შედგა. კვერთხი განავდო და ჯვარი მალა ასწია.

— სულისათვის შენისა ვილოცებ უკანასკნელად, შეილო ვლადიმერ, რამეთუ არღარა ცოცხალ ხარ!

პოლკოვნიკს თავზარი დაეცა, ნაზარს მისი სახელიც არ დაეიწყინა. ნიჟარაძე ისე გადაიზნია, როგორც საღორისა ტყე იზნიქებოდა ქარიშხლის შეტევისას.

მღვდელმთავარი უკვე დაღადის აღუვლენდა უზენაესს გარდაცვლილის გვამის შესანდობლად და ლეტანიას ამთავრებდა:

...უფალმან იესო ქრისტემან... ღმერთმან ჩვენმან... რომელმან საღმრთონი საიდუმლონი მისცა წმინდათა მოწაფე-

თა და მოციქულთა თვისთა შეკვრინა და განჰსისისა...

...ხელმწიფებთა ცოდვათა ზედა კაცთათა... განგებულებითა მით საღმრთოთა და აწ მათ მიერ ჩვენცა მოგვცა მრავალმოწყალემან ღმერთმან...

...შეგინდენეს შენ, სულიერო შეილო ვლადიმერ... რაოდენიცა სცოდეს სოფელსა ამას შინა ნებისით თუ უნებლიეთნი აწ და უკუნისამდე...

...მოგიტევენეს უფალმან ყოველივე მცოხებითა ღვთისმშობლისათა და ყოველთა წმიდათა მისთა.

...ამინი!
და ნაზარმა სამჯერ გადასახა პირჯვარი პოლკოვნიკს და ბავესთან ჯვარი მიუტანა საამბორებლად.

შეძრწუნებულმა ნიჟარაძემ ჯვრისაგან პირი იბრუნა და ცხენისაკენ წაბარბაცდა... ფანრის შუქზე მან ძლივს მობრუნა სახე ნაზარისაკენ. მღვდელმთავარი ფერდობზე ჩადიოდა აფიისი კვერთხითურთ, კეფასთან შეგროვილი თმის წნული დაშლოდა, დაჰსაყვლა ამასლა მოჰკრა თვალი ბინდ-ბუნდში.

როცა ყველაფერი დასრულდა ცოცხალმკვდარი პოლკოვნიკი ძლივს აზიდეს ცხენის უნაგირზე.



აკაკის ღოცვა

თუ საქართველოვ, ოდესმე
შენს მზეს ავბედმა უმუნთლოს,
ჩემს გულს დავკიდებ შენს ცაზე,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო.
თუ მტერმა შენი ტყე-ბადი
გადაწვას, გააჩანაცოს,
ხეებად ამოიყაროს
ჩემი მკლავები და ჩანგი!
თუ შენს ჭალებში ფრინველი
არ დარჩეს თითო-ოროლაც,
ღმერთო მაღალო, მაქციე
ათას მგალობელ ტოროლად!

თუ თოვლი არ მოგივიდეს,
უთოვლოდ ველარ გასძედი,
თოვლად აქციე, მაღალო,
ჩემი ჭალარა თმა-წვერი!
თუ გვალვა დადგეს დიდი ხნით,
გადაწვას მთა და ველები,
მატირე, დიდხანს მატირე
შხაპუნა წვიმის ცრემლებით,
თუ შენს იარაღს, მამულს,
მტრის თვალწინ ბედმა
უმუნთლოს,
უთვალავ ტყვიად ვიქცივი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო!

ქ ა ნ ი

ყოველ საღაშის
შვიდ საათზე ბღუნდება სახლში,
ჩაფიქრებული
მოუყვება განიერ ქუჩებს,
ჩრდილში შესცივა,
მზეში ქოლგად გაზეთებს გაშლის
და: „გამარჯობათ“
ნამოსცდებათ დროდადრო ტუჩებს.

ეზოში ისე ფრთხილად შედის,
თითქოს და შიშობს
შემთხვევით ფეხი არ დაადგას
ვიღაცის აჩრდილს,

ნათვალენ იხსნი,
ქუდსაც იხდის — ეს იმას ნიშნავს,
სადღაც შორიდან
როგორც იქნა დაბრუნდა სახლში.

კიბეზე ადის...
ფიქრით შორ გზას მიჰყვება სადღაც,
უსასრულოა ეს გზაც და ფიქრიც...
ცალ იღლიაში
თბილი პური უჭირავს ამ კაცს,
მეორეში კი
ბუკინისტთან ნაყიდი წიგნი.

ღაშნი — შაერი

„გათავდა ლექსი...“

წოდარ ალანას უკანასკნელი სიტყვები.

ბალიშთან გედო ლექსების წიგნი,
როგორც ჟანგბადით სავსე ბალიში,
აუმღვრველი დაგქონდა ფიქრი
და გქონდა მუდამ სულ სხვა ხალისი.

გულზე გეხატა საქმე საერო,
ეფერებოდი მამულის სერებს...
მერე გათავდა ლექსი — შაერი
და ყველაფერი გათავდა მერე.

ს. ნადიმაშვილს

ეთნოგრაფიულ მუზეუმს ერთხელ
შვიდკაციანი
კომისია თავზე დაადგა,
თანამშრომლები,
რა თქმა უნდა, დაიბნენ, შეკრთნენ,
უფრო იმიტომ,
მხოლოდ ხუთი სკამი გააჩნდათ.
ერთ კვირას დარჩნენ,
იტუტუნეს, ჩხრიკეს, იწერეს,
დიდხანს იდავეს
დირექტორთან და ქალაქდებთან
და ბოლოს,
როცა თითის ქნევით გული იჯერეს,
დანერეს აქტი,
აქტში იყო ერთი ბრალდება:
„ნუთუ არა ჰყავს
დირექტორი მუზეუმს, გვიკვირს?
ადამის დროის
ძველმანებით სავსეა იგი!“

უქანასკნელი სურვილი

ციკლიდან: „2000 წელს დასაწერი ლექსები“.

შევნატრი გამჩენს,
ამიხდინოს სურვილი ერთი:
როცა ყველაფერს
დაესმება ბოლო წერტილი,
ყველა მნათობი
დაბნელდება როდესაც ჩემთვის,
ჩამილამდება
ორთავ თვალი შუქდანრეტილი,
როცა არავის
არ ექნება მცირე იმედიც
ჩემგნით სულ ოდნავ თვალის

გახელის,

როცა წამოვა

ჩემი წილი ცრემლის წვიმები
და ყორნისფერად დავითალხები, —
გამახელინა
ერთი წუთით ორივე თვალი,
წასვლის წინ თავი
ერთი წუთით ამაწვეინა,
მომამბოვინა
ერთი ჭიქა ხმამალა წყალი
და თავზე მდგომთა
სიხარული განმაცდვეინა...

შევნატრი გამჩენს,
ამიხდინოს სურვილი ერთი.



რედაქცია ჩაქაძეძე

ღმრთა მტრობა



ტარიზა პირს იბანს

რიფიბამდე მიცურვა იოლი საქმე როდი იყო... ატლანტის ბათქუნა ტალღები ძალას სწორედ ნაცრისფერი მარჯნის ამ ბრაგებზე კარგავდნენ, აქეთ უკვე ძალაგამოცლილი და უღონონი გადმოდიოდნენ და ყვითელი სილის მეჩეჩზე საბოლოოდ ქრებოდნენ. მეჩეჩიდან ნაპირამდე ორასი მეტრი მაინც იქნებოდა.

სანტიაგო მიმტკიცებდა, რაც თავი მახსოვს, აქეთ შემოსული ზვიგენი არ მინახავსო. სანტიაგო კი სულ ოცდახუთი წლისა იყო. რიგ საშუალო სიმაღლის ხალდი თეთრკანიანი გახლდათ. თუმცა კარგად თუ დააკვირდებოდით, დარწმუნდებოდით, რომ ამ სუბიექტის შექმნაში ოდესღაც ვიღაც შავსაც მიუძღოდა წველია. ერთხელ, როცა სანაპიროზე ვეყარენით და წყალს ენაყავდით, სანტიაგოს გენიოლოგია ნაცარივით გამოგვექვით და ხელში მისი პაპის მამა, გერვასიო შეგვჩჩა, რომელსაც აქ ნათქვამის

მის საფუძველზე ზანგობა დავაბრალებო. კარგად მახსოვს, ამის თაობაზე თვით გერვასიოს პროტესტი არ განუცხადებია. ძალიანაც რომ მოექაჩლებინა თავი, მაინც ვერაფერს გააწყობდა, ანტილის სასაფლაოს ახლა ისეთი სულწაწმედელი პადრე დარაჯობდა, მიცვალებულს კი არა, ცოცხლებსაც არ გამოატარებდა სასაფლაოს რკინის მოღრეცილ ჭიშკარში.

ჰოდა, ვეყარეთ ახლა ყვითელ ქვიშაზე და ზვიგენებზე და გერვასიოზე ვეზედობდით.

სილვესტრო რომ მოვიდა და წყალიც მოგვიტანა, მე არც კი გამიგია. სახე სილაში მქონდა წარგული, კობივით ამობურცულ კეფაზე კი შავი სომბრერო მეფარა.

სანტიაგომ მხარზე ხელი დამკრა, წყალი არ გინდაო?

წყალი კი ძალიან მინდოდა, მაგრამ, ვიცოდით, რაც უნდა დამეღია.



სომბრერო მაინც მოვიზადე და წამოვეჭე.

სილვესტრომ დაეხვეწა ჩაიდან მომავლად. მოვეცი თუ არა, მაშინვე სილაზე გაეპურე.

— სილვესტრო, სულ მზის გულზე მოდიოდი? ერთი ლიტრა სიგო მონტერო მაინც წამოველო.

სილვესტრომ გაიცინა.

— რა ვქნა, კომპანიორა, ეს ოხერი, თავიდანვე თბილი იყო. სიგო მონტერო კი ამ დასახლებაში არ იშოვება.

— თბილია? — ისე მკითხა სანტიავომ, თითქოს თვითონ უკეთ არ სცოდნოდეს, რა სიტხესაც მოგვართმევდნენ ამ გახურებულ პლაჟზე.

— თბილი კი არა, ცხელია! — დაეუძახე მე.

— რას იზამ, ტროპიკებია. წყალი მიწიდან გეიზერებით ამოიხეჩხეხება.

სანტიავოსკენ გადავბრუნდი, თავი ცხელი სილის ღუნღულა ბალიშზე დავდე.

ტერეზა და ავრორა ერთად მოვიდნენ. ავრორა ერთადერთი ქალია მთელს ამ დასახლებაში, სათვალეს რომ ატარებს. მზის დაბურულ სათვალეს კი არა, ჩვეულებრივს. ავრორა სხვა კუბელებს ისაგან უწნო, სქელე ტანთაც გამოირჩევა. აქაური ქალის ჰაეროვნება ხომ მთელს ღუნღულა ცნობილი. ავრორა კი სხვაა, მსუქანი ბატონით დაბაჯბაჯებს და ფეხსაც აჩაბაჩად ადგამს.

გოგონები მოვიდნენ და ჩვენს წინ დადგნენ. მერე ავრორამ კაბა გაიხადა, სანტიავოს გვერდით დაჯდა.

სანტიავომ წინ გაიხედა და ყვითელ სილაზე გააპურე.

— არ მოგშივდა? — მკითხა ტერეზამ.

არა-მეთქი, ვუთხარი.

— გაიხადე, — უთხრა ტერეზას სანტიავომ.

— შეზარება...

— აბა, აქ რისთვის მოდიოდი?!

— ჰო, კარგი, ვავიხდი...

ტერეზამ ყვითლად მოჩითული კაბა ზანტად აიციტრა მუნღისთავებზე.

კობტა, ჯიშიანი წვეიები გამოუჩნდა მერე მოქანდაკის სახელოსნოში ჩამოსხმული ტანი და ბოლოს საფეხკეობა დამაც გამოანათა.

ტერეზამ კაბა უდღერად მოისროლა და ყვითელი საბანაო ტრუსისა და ასევე ყვითელი აზღუდის ამარა დარჩა.

— დაჭეკი, — უთხრა ავრორამ.

ტერეზა არ დამჯდარა. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ავრორას ნათქვამი არც კი გაეგონოს. ლამაზ ტროპიკულ პალმასავით გამართული იდგა. შავი, მუგუნზალივით ანთებული თვალები ოკეანისკენ მიეპყრო.

ავრორამ კიდევ რაღაც თქვა და სანტიავომ მაშინვე ძალლივით დაიღრინა. მერე ტერეზა შეინძრა, სანტიავოსთან მივიდა. მალე იქიდან ისეთი კომპლიმენტები მომესმა, კაცის ყურს არ გაეგონებოდა.

ასეთ სპექტაკლს პირველად არ ვესწრებოდი...



ორი კვირის წინ პორტში რომ შემოვიდიოდი, ამორდაყის დროს ასხლეტელი საბმელის ბოლო ზედ კოჭზე მომხვდა. თითქოს ურო დამარტყესო. ფორშტევენთან დიდი, სასაგამშრალი სულს ძლივს ვითქვამდი. ნახევარ საათში მუხლქვემოთ ფეხი რუმბივით გამიხდა. გემის ექიმმა ეჭვი გამოთქვა, ძვალი არ იყოს დამსხვრეულიო. ამორდაყს მოვრჩით თუ არა, დანჯღრეული „მერსედესით“ ჰოსპიტლისკენ მაფრინეს.

იმ მანქანას „მერსედესი“ ალბათ ამ ათი-თხუთმეტი წლის უკან ერქვა, ახლა კვლავ ეს სახელი რომ გეწოდებინანთ, დიდი შეუსაბამოა იქნებოდა.

ორი უკანა კარი სულაც არ ჰქონდა. სანახევროდ ავარდნილი სახურავი კორპუსს ეხახუნებოდა და მთელ გზაზე — პორტიდან ჰოსპიტლამდე — ისეთი საზიზღარი მუსიკა ისმოდა, წყა-

როლაჟი ჩანანძიძე
მონტეროგამი



ლში გადახტომა მოგიწოდებოდა. კიდევ კარგი, რომ მოვიფიქრე და ყურებში ბამბა ჩავიჩუქეთ. ბამბა კი იმ დალოცვილ ჩვენს ეჭის ფეხზე ბლომად შემოეხვია ჩემთვის.

პალატაში რომ შემეიყვანეს, ბამბა ყურებიდან მაშინლა გამოვიღე. ბედად, იოლად გადაერჩი, კოჭი დამსხვრეული არ აღმოჩნდა. ექიმებმა მასაუბები დამინიშნეს. მესამე დღეს პალატაში სანტიავო შემოვიდა, მე მაშინ ისიც არ ვიცოდი. ამ მხიარულ ახელგაზრდას სანტიავო ერქვა თუ სანაულო. სახელი მერე თვითონ მითხრა.

შემოვიდა ეს ტიპი. თავზე თეთრი კოვბოური ქუდი ეხურა. ქუდს კვადრატული საჩეხი და ძალიან მაღალი ცაჰქონდა.

ქუდი მაშინვე მოიშვლია და სკამზე დადო, მეორე სკამზე კი თვითონ ჩამოჯდა. ისიც უნდა ვთქვა, ჩემს პალატაში სულ ორად ორი სკამი იდგა. ამ სკამების წინ კი ყანჩასავით აწოწოლიყებული ჩემი საწოლი იყო გამართული.

— გამარჯობა, კომპანიონო! — მითხრა მან.

ტივილები უკვე დამცხრალი მქონდა, ენა შეც მექავებოდა. თავი ცოტათი გადმოვებრუნე.

- გავიმარჯოს, ამიგო!
- წვერი გაქვს გასაპარსი! — საქმიანად თქვა სანტიავომ.
- ჰო, მაგრამ ახლა მაგის თავი არა მაქვს.
- მე ვაგპარსავთ.
- არა, რა საჭიროა. ზედმეტი ფუფუნება იქნება.
- რას ამბობთ!

სანტიავო ადგა და გავიდა. უქულოდ წავიდა. ის კოვბოური ქუდი ისევ იმ მეორე სკამზე დარჩა... უკან რომ შემობრუნდა, თავისუფალი სკამი ჩემკენ მოაჩოჩა, ჩამოჯდა და საპარსის გამართვას შეუდგა.

მას ფეხდაფეხ ტერეზა მოჰყვა. ხელში ცხელი წყლით სავსე უშველებე-

ლი ფინჯანი ეჭირა. სანტიავოს უხმოდ ჩაუარა და ფინჯანი ტუმბოზე დასველია — სად დადგი! — რაიღრინა სანტიავომ.

ტერეზას არ უპასუხნია. ფინჯანი აიღო, ლამაზი ტანის რხევით ეშხიანოდ გაიარა და ის მსუბუქი ტვირთი ახლა სანტიავოს კოვბოურ ქუდზე დადგა.

აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა. სანტიავომ საპარსი გვერდზე მიაგდო, ერთი ისეთი დაიღრიალა, ნაღრძობი ფეხი ბალიშიდან ჩამომოციურდა.

ტერეზას არც ახლა უპასუხნია, ეშმაკურად გაიღიმა, ნაკვევრცხალივით, ანთებული თვალები მომანათა და პალატიდან გავიდა.

სანტიავო ბოზოქრობდა. ამ რთულ სიტუაციაში მე მეტად პრაქტიკული რჩევა მივეცი: სანამ ქუდის ცა მთლად არ ჩაეცილა, ფინჯანი აიღე-მეთქი.

ღმერთმანი, ამ ფინჯანს მე თვითონ ავიღებდი, მაგრამ რუმბივით გასიყვებული ფეხი ბალიშის გვერდით მედო და აბა, ამის თავი სადღა მქონდა.

ჰოდა, იმ დღიდან მოყოლებული სანტიავოსა და ტერეზას საზოგადოებაში აღმოვჩნდი. ავრორაც აქ გავიცანი და სილვესტროც, კიდევ სხვებიც, რომლებიც თავიანთი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს ჰოსპიტალში, ავადმყოფებთან ფუსფუსში ატარებდნენ.

ათ დღეში ისე გამოვეყვითი, სიარული შემეძლო. ახლა ჰოსპიტლიდან სანახევროდ გამოწერილი ვიყავი, ჩემს ნებაზე დავდიოდი. სანახევროდო, იმიტომ ვთქვი, მკურნალობა უკვე დამთავრებული მქონდა. დღე-დღეზე ჩვენი ტანკერი ჰავანიდან უნდა მობრუნებულყო და მის მოლოდინში გახლდით.

საქმე არაფერი მქონდა, მუქთად ვსვამდი და ვჭამდი, ღამესაც მუქთად მათევიანებდნენ, მთელი დღე პლაჟზე ევგდე და თორნის პურივით ვიბრაწებოდი.

ხანდახან იმათაც ავიყოლიებდი ხოლმე: მე, ტერეზა, სილვესტრო, ავრორა და სანტიავო ერთად მივდიოდი საბანაოდ.



სანტიავომ ცერად გამოხედა. მერე წამოჭდა.

- არ წამოხვალ?
- გავცუროთ? — ვკითხე მე.
- ჰო, აბა რისთვის მოვედით?
- მოვდივარ!..

ტერეზა ისევ ფეხზე იდგა. სანტიავომ დამცინავი ლიმილით ახედა. მე თუ მკითხავთ, ასეთ ირონიას სრულებითაც არ იმსახურებდა ტერეზა. პალმასავით გამართული იდგა და ლივლივთ სივრცეს ვაკუურებდა. სახეზე შეხედავდით თუ არა, მაშინვე მიხვდებოდით, რომ კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასი.

სანტიავო ადგა. მეც მაშინვე წამოვხტი.

— წამოვიდე? — იკითხა ტერეზამ. სანტიავომ ცერად ვახედა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ჩვენ ორნი ნელა წავედით ოკეანისკენ. ცოტა ხნის შემდეგ ტერეზას ფეხის ხმაც გავიგონე. მაგრამ სანამ ის ჩვენამდე მოაღწევდა, სანტიავომ წყალში შეცურა. მეც მივყევი. ყოველ ნაბიჯს ძალიან ფრთხილად ვადგამდი. ვიცოდი, ფსკერი სავსე იყო ზღვის ზღარბებით, უცბად ფეხი რომ დამედგა, შხამიან ეკლებს გამოყრბდა და მერე უყარე კაკალი, კიდევ დიდხანს უნდა მეთელა ჰოსპიტალში ლოგინი.

სანტიავო უკან არ ბეჭურებოდა, რიფებისაკენ არხეინად მიცურავდა.

ტერეზა წამომეწია და ვაწვა. მისმა მათრახებით მოქნილმა, ბრინჯაოსფერმა ტანმა სარკეში დანახულივით გაივლვა და მერე სილურჯავში შთაინთქა.

კროლით გავცურე. ვხედავდი, სანტიავოც კროლით მიცურავდა, მაგრამ ვაი ასეთ კროლს! თავი ძალიან უხერხულად ეკავა, ხელებსაც ჩქარ-ჩქარა უშატქუნებდა. აშკარად ვგრძნობდი, ასე ცურვით ძალა დიდხანს არ ეყოფოდა. მერე, როგორც იყო, იმ ყვავილ მჩჩეჩამდე მივიდა და მუხლებამდე წყალში ფეხზე დადგა.

ტერეზა ერთხანს ჩემს გვერდით მოცურავდა, მერე ვიგრძენი, ისევ უკან გაბრუნდა. ტერეზა, საერთოდ, გვარჯიხად ცურავდა და გამიკვირდა, რატომ აღარ გამომყვამეთქი.

სილინიასზე ფეხზე რომ დავედქი, სანტიავომ ხელი მომიკიდა.

— გინდა, ფსკერზე ჩავეშვათ? მე თავი დავეუქნე.

პირველად სანტიავომ ჩაყვინთა და ჩემს თვალწინ წყალში ზამბარასავით დაეხვია. მე პირდაპირ სილის ფერდობზე გავწექი და ისე ვიწყე წყალქვეშ ჩაშვება. ფერდობი ერთბაშად ექანებოდა და მეც სწრაფად მივსრიალებდი წინ.

სანტიავოს უკვე ვეღარ ვხედავდი. თბილ წყალში თვალსა და ხელს შუა გამიქრა. პირველად მხოლოდ დიდი, ჭურის გვიმისოდენა ასთაკვი დაეინახე. შუქი ყვითელი ბელტივით იღო ფსკერზე და შუბებშივით გაშვერილ უღვაშებს აცამაცუნებდა.

თვალი მომკრა თუ არა, მაშინვე შლამში გაუჩინარდა. ცოტაც რომ ჩაყვინთე, მოზრდილი რვაფეხა შევამჩნიე. იატაკის საწმენდი ჩვარივით ეგდო. ცაცები წყალმცენარის ყლორტებშივით აღეშართა, ხოლო ამ ცაცებზე მოფენილი საწოვრები ლითონის აბაზიანებშივით ჩანდნენ.

რვაფეხას რომ ჩავუარე და შორიდან საღამოც ვტყურობე, ხავსიან ველს წაეაწყდი. ხასხასა მწვანე ხალისაზე ხანტად მოძრაობდნენ ნიყარიანი კიბორჩხალები და ლოკოკინები. დიდი თუ პატარა, სისხლივით წითელი და ვარდისფერი ნიყარები მკრთალ შუქზე ელავდნენ.

ერთბაშად თვალი უშველებელ კბილიან ნიყარას მოვკარი. სულმა წამძლია, თუმცა თავი დროზე შევიკავე. ქამდე ჰაერი კი მეყოფოდა, მაგრამ შემდეგ ამოსვლისას, საშიში იყო, არ გეგუდუღოყავი.

როლა ჩაპინი
მომხრობანი



ფეხები დავიქნე და სწრაფად გავქანდი ზევით. ისარივით რომ ამოვეარდი, დავინახე, იმ მეჩენიდან შორს წამოვსვლიყავი და უმაღლე უკან გავცურე.

სანტიავო მეჩენზე იდგა. მივედი თუ არა, ბექზე ხელი დამადო.

— ამივო, აბა ერთი ქვევით ჩაიხედე! ჩაიხედე. ყვითელ სილაზე მსუქანი კახური ჩურჩხელებივით გაწოლილიყო ექვსი გრძელი აჩრდილი. მონუსხულეზივით ერთ ადგილზე იდგნენ, არ მოძრაობდნენ.

— ზვიგენებია? — ვკითხე სანტიავოს. ისე, ყასიდად ვკითხე. თორემ თვითონაც კარგად ვიცოდი, ვისთანაც გეჟონდა საქმე.

— ჰო, ჩენს სანახავად მოსულან.

— ერთიც ენახოთ და, ფეხებში გვეძგერონ?..

— შეგიძლია მშვიდად იყო. ზვიგენი მზღალი ცხოველია. ასე უცბად არ იწყებს ომს. ჯერ წრეს დაარტყამს შენს ირგვლივ. ერთხელ. ორჯერ, სამჯერ და მერე უტყე, ამივო.

— მგონი უკვე დროა, ნაპირს მივაშუროთ!

შემობრუნდა და წყალში გაწვა; მეც აღარ დამიყოვნებია, უკან ავედგენე.

ცხელ სილაზე ფეხი რომ დავადგი და თავიც სამშვიდობოს ვიგრძენი, ავრორა დავინახე. გაძეძვილი რუმბივით იდო და მძიმედ სუნთქავდა. მის გვერდით ტერეზა დაკოტრიალებულიყო. ორივე ხელი ლოყებზე აეფარებინა; გეგონებოდათ, პირს იბანსო.

— მშვენიერი კბილებიანი ნიჟარა ვიპოვე... — ვთქვი, როცა ტერეზას გვერდით ჩამოვკეჭი.

ტერეზამ თვალი გაახილა და შემომხედა.

— აბა, მანახე!

— არ წამომიღია, შორს ეგდო, იქმთ რომ წავსულიყავი, პაერი აღარ მეყოფოდა.

— გული იწყობა? — მკითხა სანტიავომ.

— რასაკვირველია. ჩემს სანტიავომ მუზეუმს დაამშვენებდა.

— ხელს რიო მაესტრას ხეობაში წავიყვან.

— მერე?

— მერე შეხვალ მდინარეში და რამდენიც გინდა, ამოიღე.

— რა, ნიჟარა?

— ჰო, ნიჟარა, აბა, სხვა რა? სპორტული შარვალი ჩაიცვი, კედლებიც გეცვას. ისე წყალში ვერ შეხვალ.

გაკვირვებით შევხედე.

— მდინარე ბარაკულათია. საესე, იყბინებინა.

— რას ამბობ, ბარაკულა ხომ შეგვახრამუნებს?

— განა დიდებია? პატარები... დიდები მხოლოდ გასამრავლებლად შემოდინ მდინარეში, დაყრიან ამ ნაბიჭვრებს და მერე ისევ უკან ვარბიან. ისე, კბენა პატარებმაც მაგრად იციან. შარვალი იმიტომაც საჭირო.

— იახტა სად გიყენია? — იკითხა ტერეზამ.

— სენიორა გაბრიელასთან. იქამდე ჩემი ავტომანქანით მივალთ.

მანქანა ისეთი ჰქონდა სანტიავოს, მანქანის ვარდა, ყველაფერი შეგვექლოთ გეწოდებინათ. მაგალითად: ურიკა, საგორავი, უხარო ურემი და სხვა ათასი რამ. მხოლოდ უანგიანი კორპუსი იყო და მეტი არაფერი. არც კარ-ფანჯარა ჰქონდა, არც საბურავი... მობტორი მაგარი მავთულეზით იყო დამაგრებული ცხვირზე და ისეთ მყარად ბოლს უშვებდა, სადაც კი გაივლიდა იმ მიდამოებში ბალახი სამ წელიწადს აღარ ამოდითოდა.

სილვესტრო და ავრორა ვერ წამოვიდნენ. პოსპიტალში საქმე ჰქონდათ და თავი ვერ გაითავისუფლეს. ტერეზა, მე და სანტიავო წავედით. ვხა დამსკდარ, გადახრუქულ ველზე მიიკლანებოდა. ირგვლივ ისეთი ბული იდგა, სუნთქეა მიჭირდა. მერე, როგორც იქნა, ოკეანის სანაპიროზე გავედით და ცოტა გვეშველა. სიერა მაესტრასკენ რომ შევეუხეით, მაგელანის დროინდ-



ელი ციხის იქით წყალში ჩადგმული სახლები გამოჩნდა. მაგრად გამოშვრალი ხის პატარა, კობტა სახლები ყანებივით იდგნენ წაგრძელებულ, ნედლ ხიმიჩებზე. ყოველი შენობა ნაპირს ოცდაათიოდე მეტრის სიგრძის ხის ვიწრო ხიდივით უკავშირდებოდა.

სახლებს რომ გაეუწიორდით, ოკეანის ნაპირზე დაყრილი ტიტლიკანა ბავშვები წამოიშალნენ. საშინელი სტვენა და ყვირთა ატეხეს. მერე სიქის გავარდნამდე გვედიეს, მხოლოდ მაშინ დაგვეშორდნენ, გაბრიელას სახლის წინ რომ ჩავუხვიეთ.

ორმოციოდე წლის გაბრიელა, ჯერ კიდევ სახე ხორციითა და ცეცხლით, შუა ეზოში ნავთქურის გვერდით ცომახელდა. გობი აჩაბაჩად დაწყობილ აგურებზე დაედგა, გაფოფინებული კაბის ქობა აეკეცა და მაგრად შემოქერილ ქამარში ჩაეჩურთა, ჯიშინი წვივები უჩანდა.

ჩვენ რომ დაგვინახა, ცომახი ხელები მალდა აღმართა და დაიყვირა.

სანტიაგო დაწინაურდა. ქამრიდან კაბის კალთები ფაცაფუცით ამოუყარა, თვითონვე ჩაუცურა მუხლისთავეებს ქვემოთ და მერე აკოცა.

გაბრიელა მაჯით ოფლს იწმენდა და აცუნდარუკებული მტრედვით ლულუნებდა.

მე რომ მივედი, სანტიაგომ რიხით წარმადგინა.

— ქოქოსის კაკალო, იცნობდე, ეს რაულია.

თუმცა მასპინძელს ჩემი სახელი ბერს არაფერს ეუბნებოდა, მაინც ყურადღებით შემომხედა, კეთილად გამიღიმა და მარჯვენა ლოყა მომიშვირა.

მე იმ მარჯვენა ლოყაზე ვაკოცე და განზე გავდექი, რომ ახლა ტერუზა მისალმებოდა.

გაბრიელას ეზოში კარვად მოვლილი კონდარი ბიბინებდა. ოკეანის ნაპირს პალმების ხეივანი გასდევდა. თებერვალი იყო და ტოტებზე ჩიქნებოვით ეკიდა ჯერ ცდევ ლურტყი ქოქოსი.

კონდარზე ცოტა რომ გავიარე, უკნიდან გაბრიელას ელურტულა ხმა შემომესმა. სანტიაგოს უჯვარდებოდა: ამ სისხამზე უცხო სტუმარი თავს რად დამასხიო. ისე, ყასიდად უჯვარდებოდა, თორემ ჩვენი სტუმრობა, მგონი, გაუხარდა კიდევ.

წყალში ჩადგმულ სახლს ახლა მეორე მხრიდან შემოვუარე და უმინო ფანჯრის წინ დაბმული ნავიც დავინახე. ეტყობოდა, საკმაოდ ძველი იყო. სანტიაგოს მთლად ფისით გაეთხიზნა და მზის შუქზე ბზინავდა.

შემოვბრუნდი და ისევ იმ ნავთქურისკენ წამოვედი. გაბრიელას რომ დაედგა შუა ეზოში. მასპინძელს კეცზე აური უყვე დაეგო, ხელების დაბანვა კევრ მოესწრო და ოდნავ ჰოხრილი გობთან ცოდვილობდა.

— შენი ნავი დავინახე, — ვუთხარი სანტიაგოს.

სანტიაგოს არაფერი უთქვამს. გაბრიელას მისჩერებოდა. მერე ხელი შავი თმით დაფარულ კეფაზე დაადო.

— წყალი ხომ არ დავცხსა, ქოქოსის კაკალო?

— მოუხერხებელი კაცი ხარ, ვერა ხედავ, რომ ვწვლობ? დაიხსი, რალას უცდი?

სანტიაგომ დოქი აიღო და წყალი დაუსხა.

ხელის ბანას რომ მორჩა, გაბრიელა ჯაიმართა, დონიჯი შემოიწყყო და სანტიაგოს ცერად გახედა.

— აბა, სახლისაკენ მოუსვი, მაგიდა და სკამები გამოიტანე!

სანტიაგო მართო არ გამიშვია, მეც თან გავვეყვი. ხილზე რომ შევედექით, სახელოზე მოვქაჩე.

— აქ ატლანტის ტალღები არ შემოდის?

სანტიაგო გაჩერდა, ჩემკენ შემობრუნდა.

— ხომ ხედავ, პატარა ყურეა. აქამდე ტალღები არ აღწევენ, რომ შემო-

გ. მ. დავითაშვილი
მ. შ. ბერიძე

აღწიონ, კარგ დროს გაატარებინებენ ჩვენს კაკალს!

— ისიც მოთხარი, ქოქოსის კაკალს რატომ ეძახი?

— ისე ვეძახით. ერთხანს თეთრეული ჩააბარეს ჩვენს ჰოსპიტალში. საწყობის ვასალები ქაპარზე ჰქონდა გამობმული და ისე დადიოდა. მერე შეჩვენებულმა სილვესტრომ ის ვასალები აწაპნა და გაბრიელა მთელი ნახევარი დღე ზვიგენივით გაცოფებულ ატარა. საღამოს ვასალები ეზოში, ქოქოსის კაკალზე გამობმული იპოვა. მის შემდეგ ასე ვეძახით... კეთილი ქალია. თუ რამ გააჩნია, ყველაფერს გიწაღებებს.

— მაგას ვგრძობ.

მაგიდა რომ დაედგი, ახლად გამომცხვარი პურის ისეთი სუნი ვიგრძენი, კეტით გამომჟიდებოდნენ, მაინც არსად წავიდოდნი.

გაბრიელამ თქვა: ვისკი არა მაქვსო და ქოქოსის ლიქიორი დაგვიდგა. ლიქიორს, საერთოდ, ვერ ვეწყობი, მაგრამ ამ კუბური სასმელის ძალა და არომატი ვიცოდი. სწორედ ამიტომ ბოთლს სიამოვნებით ამოვხარახნე საცობი.

გაბრიელამ კიდევ სიეგო მონტერო დაგვიდგა. პირდაპირ მისწრება იყო ახლა ეს მინერალური წყალი.

გაბრიელამ ყველი და ძეხვიც დაგვიტალა და კიდევ ერთი დიდი მოხარშული შავი კარჩხანა მოგვართვა.

ტერეზამ თქვა, დიდებული სუფრა ვვაქვსო.

მე და ტერეზა მაგიდის ერთ მხარეს მოვთავსდით. ჩვენს პირდაპირ გაბრიელა და სანტიაგო დასხდნენ.

გაბრიელამ თქვა: თუ ხვალამდე დარჩებით, დილით ხოსეც ჩამოვავო.

მე ვკითხე, ხოსე ვინ არის-მეთქი? გაიღიმა და ამაყად გადმომხედა.

— სულ ამოწყვეტოი კი არა ვარ, ხოსე ჩემი ვაჟია, ჰავანაში სწავლობს.

— რას ამბობთ?!

— მაშ, რა გეგონათ? მალე დიპლომით დამიბრუნდება. ბატისტას დროს

ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, ნამწველი შვილი გეყოლებო, გიჟად ჩვეტილიდი. ახლა სხვა დრო დადგა... ცხოვრება იცვლება, უმჯობესდება, გზები ყველასათვის გაიხსნა. მუშაობა გინდა — მიდი, იმუშავე. სწავლა გინდა — ისწავლე. — თქვა და ტერეზასკენ შემობრუნდა, — ჩვენი ტერეზაც სტუდენტია, სამ წელიწადში ექიმად გამოგვეცხადება.

— ეგ ვიცი. — ვთქვი მე.

— ჰო, ალბათ გეტყოდით. ასეა, ცხოვრება იცვლება.

— მეუღლე არა გყავთ?

— მომიკლეს. ერთი შვილის მეტი ვერ მოვასწარი, მოკლეს. ჯამუშები დღენიდავ დასდევდნენ. ერთხელ ციხიდან გაიქცა და თავი მექსიკოში აშოპყო. ბატისტას წინააღმდეგ ნამდვილი ომი რომ გაჩაღდა, შინ უკანასკნელად მაშინ მოვიდა: ვნახოთ, მიძინავს. ძილში ნავის თუხთუხი ჩამესმა და გამეღვიძა. შიშით კარს მივასკდი. არეული დრო იყო და კაცის მოკვლა ერთ უბრალო ნიუარადაც არ ღირდა. უცბად მივხვდი, რომ კართან კი არა, ფანჯარასთან უნდა მივსულიყავი.

მთვარიანი გახლდათ. ყველაფერი დღესაგით ჩანდა. ფანჯარასთან დავდექი-თუ არა, სახლისკენ მომავალი ნავი დაინახე, ცოტაც კიდევ და, ხულიოც ვიცანი. ძეგლივით იდგა და მენავეს რალაცას ეუბნებოდა.

იმ ღამით დარჩა. დილით სისხამზე წავიდა და უკან აღარც დაბრუნებულა, ანტილიასთან ბრძოლაში მოკლეს.

საშინლად მწყუროდა და სიეგო მონტეროს წავებტანე. ერთი ჭიქა ბოლომდე დავცალე.

— მოვწონთ? — მკითხა გაბრიელამ.

— კარგი წყალია, ჩვენს ბორჯომს ჰგავს.

— ზედ აწერია კიდევ, ბორჯომის ტიპისაო.

სანტიაგომ გაბრიელას სადღეგრძელო შესვა. მეც მაშინვე შევეხმიანე.

მესამე ჭიქაც რომ დავაყირავეთ, სა-



ნტიავო ადგა და ტერეზასთან მივიდა. თვალბეჭეში უცნაური ცეცხლი ჩაღვამოდა, ილიმებოდა, თითები შავ თმაში შეუღუსრა, დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

ტერეზამ აწეწილი თმა გაისწორა.

— ვითომ ძალიან ვუყვარვარ, რაღა. ისე სულ ჩხუბით მიკვლებს ხოლმე.

— უყვარხარ, — თქვა დიასახლისმა,

— ძალიანაც უყვარხარ. მე ყველაფერი ვიცი.

— არაფერიც არ იცი! — გაცხარდა ტერეზა. წამოხტა და სახლისკენ გაუყვებოდა. ცოტაც და სანტიავოც გაეკიდა.

— კარგი წყვილია, არა? — მკითხა გაბრიელმა.

— შესანიშნავი...

— სანტიავო შერიღვით მიყვარს, სანახევროდ ჩემთან გაიზარდა. პოსპიტალში პირველად რომ მოვიდა, სულ პატარა ბიჭი იყო. დედაც და მამაც ომში დაედღუპა. ხან წყალს მოვატანინებდით, ხან კიდევ საწყობიდან საწყობში დავარბენინებდით. თუ სადმე საწოლი ვათავისუფლებოდა, იქ ეძინა. ყველა პალატა შემოიარა. მერე აქ წამოვიყვანე, ჩემთან ათევედა ღამეს.

— ახლა აღარ მუშაობთ?

— როგორ არა, მაგრამ შვებულება ვიღებ, საქმეები მქონდა. ამ დღეებში ისევ დავბრუნდები.

სანტიავო და ტერეზა რომ შემოგვიერთდნენ, აედგნენ, წასასვლელნი ვიყავით. მზე უკვე ცაში აჭრილიყო. ჩვენ კი ისევ წყალში თევზს ვითვლიდით.

სანტიავომ ნავი ახსნა, ხიდთან თუხთუხით მოაყენა. მე და ტერეზა პირდაპირ ხიდიდან ჩავხტით ნავში და გაბრიელს ხელი დავუქნიეთ.

სანტიავომ ნავი ზანტად შეაბრუნა, მომკრო ყურეს სანაპიროს ნელა ავედევნეთ. გაბრიელს სახლს რომ გავეცდით, ეზოში სანტიავოს მანქანა დავინახე, გამეცინა...

— ეს ჯართი სად იპოვე, სანტიავო? სანტიავომაც გაიცინა.

— ბატისტა რომ ფაციფუციხა გაიქცა, მაშინ ვიპოვეთ. მე კი არა, გაბრიელ-

ლას ეპოვნა და ეზოში უქმად ედგა. მე შევაკეთე, ცოტა ვუწამლე და მის მერე პათოსნად გვემსახურება. შევეჩვიეთ და ვეღარ გადაგვიგდია, მანქანის მოვალეობას, ასე თუ ისე, ასრულებს, მეტი კი არაფერი ეკითხება და...

სანტიავო უცხად გაჩუმდა, უკვე პლავს მივეყვებოდით და ჩემთვის აღარ ეცალა, — დაგემილი მეძებარვით გაჰყურებდა სანაპიროზე გამოფენილ ტიტლივანა გოგოებს.

აღარც მე მეცალა მისთვის. ამიტომ ტერეზამ რაღაც რუმ მითხრა, ვერც კი გავიგონე. ტერეზამ ბეჭე ხელი დამკრა.

— დაყრუვდი?

არა-მეთქი, ვუთხარი და დაბნეულად გავუღიმიე.

— გორაკის შეფენებაზე ხის სახლი რომ დგას, ჩემია...

— რას ამბობ, შენია?

— ჰო, ჩვენები იქ ცხოვრობენ.

მერე ის სახლიც უკან დარჩა და სხვა სახლებიც, პლაჟიც და პალმების ხეივანიც...

ჩვენ უკვე ოკეანეში მივცურავდით. მთელი ორი საათი რომ ვიცურეთ, მარცხნივ მალალი მთა გამოჩნდა. სანტიავომ თქვა, სიერა მავსტრააო.

ტერეზამ დაუმატა: კიდევ ერთი საათის გზა დარჩაო.

ოკეანე ძალიან თვინიერი იყო. დიდი, უშველებელი ლურჯი ზეწარივით გადაფოფინებული. აფროსნების მთელი ქარავანი რომ გამოჩნდა, არ მესიამოვნა.

სანტიავომ წყალში გააპურტყა, ქარი ამოვარდებო, თქვა. ეს მეც კარგად ვიცოდი, მაგრამ ახლა უკან დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ქარი რომ ამოვარდნილიყო, იქ, სიერა მავსტრასთან უნდა შეგვეფარებინა თავი.

მერე ფართო ხეობაც დავინახე და

კრულა ჯანანიძე
მოთხრობები

მდინარე რიო-მაესტრაც, რომელიც სი-
გრძეზე კვეთდა მთელ ხეობას.

სანტიაგომ საჭე ნელ-ნელა შემობა-
რუნდა. ფისით გათხიზნილი ჩვენი ნავიც
ზანტად შებრუნდა და კურსი ხეობის-
კენ ავიღეთ.

სანტიაგო ჩემკენ გადმოიხარა.

— ბავშვობაში, როცა ვერ კიდევ არ
ვიცოდი, რა შხამიანი იყო აფროსანი
მეღელზე, მამამ სათევზაოდ წამიყვანა.
მამინაც ასე გილაფეჯარეთ მათ ქარ-
ვანს. ნავიდან ვადვიხარე, მინდოდა
ამეყვანა. მამამ დაძიძახა: ხელი არ და-
აკარო, — გოცეხული შემოვბრუნ-
დი. წაშინ მითხრა, ვისთანაც ვქონდა
საჭე: შეეხებე და ღამბლა განაღდე-
ბული ვაქვსო.

— ვიცი! — ისე, რა ღამაზია, ყვავი-
ლი გეგონება. — ვუთხარა მე.

ტერეზამ გაიცინა, ბოროტი ყმაფი-
ლიო.

სიერა მესტრას ხეობა ჩემს ოჯალ-
წინ იზრდებოდა და ფართოდგდებოდა,
ბოლოს, როცა ჩვენი დანჯღრეული ნა-
ვი მდინარეში შეთუხალუნდა. უფრო
ნათლად ეიგრძენი ამ მიდამოს სიდიადე
და მშვენიერება.

ცისკენ რომ ავიხედე, კაბადონს გა-
კრული ორი დიდი, შავი ფრინველი
ღაფინახე. ალბატროსებოვით გაშეშე-
ბულნი ზანტად მოძრაობდნენ, მაშინვე
მივხვდი, რომ ხმელეთის ფრინველები
იყვნენ.

სანტიაგოს მზარზე ხელი დეგარტყი.

— ორბებია, ლესი ეძებენ, — მითხ-
რა მან.

ამ დროს ტერეზამაც მიჩურჩულა:
ძალიან ღამაზი ბუნებააო. სანტიაგო
კი უკვე ნავის მისაყენებელ ადგილს
ეძებდა. ბოლოს იპოვა და საჭე მარ-
ჯნივ შეაბრუნა. გარს შემოვფარეთ
ვეებერთელა ლოდს, მდინარეში რომ
ეგდო, მერე სანტიაგო ამ ლოდზე მოხ-
დენილად გადახტა და მეც ჭუტის საბ-
მელი ვესროლე.

სანტიაგომ ბაჭარი იმ ლოდის კონუ-
სურ თავს გამოაბა და ისევ უკან, ნავ-

ში გადმოხტა. ფეხი აუცურდა, მაგრამ
ტერეზამ შეიმაჯრა.

— აბა, მოემზადე! — დამიყვირა მე,
— ეგ შარვალი გაიძვრე, შენი სპორ-
ტული პიჯამო ჩაიცვი, კედებიც არ და-
გავიწყდეს, თორემ ფეხებზე რაც რბი-
ლი ხორცი გაქვს, ბარაკულა ქოქოსის
ჩენჩივით შემოვაფცქვინის.

ბარაკულასთან ხუმრობა რომ ძნელი
საქმე იყო, დიდი ხანია ვიცოდი. ყვე-
ლაფერი ისე გავაკეთე, როგორც ჩემმა
მესტრომ მითხრა. სამზადისს მოვრჩი
და სანტიაგოს გავხედე.

— წყალი ღრმავ?

— არაო, თავი გაიქნია.

— შენ აქ დარჩი, არ ჩამოხვიდე! —
დაუძახა ტერეზას და წყალში ისეუ-
ბა.

ალარც მე დამიყოვნებია, მაშინვე გა-
დავეშვი. ზევით რომ ამოვყურეშემე-
ლავდი, თვალებით სანტიაგო მოვებ-
ნე. წყალში ბუიასავით ჩასობილიყო
და ფეხებით ფსკერზე რალაცას ეძებ-
და, მერე დაიხარა, ცოტა ხნის შემდეგ
წყალზემოთ გამოჩნდა, თან უშველე-
ბელი ვარდისფერი ნიჟარა ამოათრია.
ნავთან მიცურდა და ტერეზას მიაწო-
და.

მეც ზემოდან ერთი დიდი ნიჟარა
შევარჩიე და ჩაყვინთე. ძალიან გამ-
ქვირვალე, კრიალა წყალი იყო, ყვე-
ლაფერი ნათლად ჩანდა. მკლავის სივ-
რძე ბარაკულები აღმა-დაღმა დასრია-
ლებდნენ. პირს რომ აბჩენდნენ, ბას-
რი კბილებით გამოტენილი შავი ღრუ
უჩანდათ. საზიზღარი სანახაობა გახ-
ლდათ. წყალქვეშ ჩამოყრილი შიშველი
თავის ქალები გეგონებოდათ.

ხანდახან ისე მაგრად გამკრავდნენ
ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ნაი-
ლონის სქელი შარვალი მეცვა, მწარე
ჩხვლეტას ვგრძნობდი.

— მოქცევამდე უნდა მოვასწროთ.
— დაძიძახა სანტიაგომ, როცა წყლი-
დან ამოვიყურეშემელავე.

ოკეანისკენ გავიხედე. ისევ წყნარი,
ლურჯი ფონი იყო. ვიფიქრე, აფროსნე-



ბის გამოჩენამ ამინდი შინც ვერ გავვიფუჭა-მეთქი. შემოვბრუნდი და ცურავით ნავისკენ წავედი. ნავთან რომ მივედი, ტერეზა დავინახე. კაბა გაეძრო, ყვითელი საბანაო კოსტუმი ეცვა. ახლა უფრო მომხიბვლელი ჩანდა.

ნიჟარა მივაწოდე და ისევ ჩავყვინთე, — ახალი ნადავლის ძებნას შევუდექი. უეცრად ოკეანის მხარეს მოტორიანი ნავის თუხთუხი გაისმა. კიდევ ცოტაც და, სიერა მაცეტრას მითის ჩრდილიდან ყვითლად შეღებილი კატარლა გამოვარდა. დიდი სისწრაფით მოჭროდა, ოკეანეზე განიერ, თეთრ სვრელს ტოვებდა.

სანტიაგო შებრუნდა. კატარლას ყურადღებით გახედა. დიდხანს იდგა გარინდული. მერე ჩვენკენ გამოიხედა, ტერეზას თვალი შეავლო და ისევ ოკეანის მხარეს შებრუნდა. იმავე წამს ტყვიების ზუზუნიც გაისმა.

კატარლიდან ისროდნენ... ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იმ ნავსაც ცეცხლი უკიდიაო. ტყვიების ნიაღვარი მთელს ხეობას ცელავდა. დაფეთებულმა ორბებმა დაიყრიყინეს და მთებისაკენ გაუტიეს.

ლენიაღორძო

ლენიაღორძო სულ პირველად ბონამ დაინახა. ნახშირით შავი ბონა ლუმელივით ცხელ ქვიშაზე იჯდა და ოკეანისკენ იყურებოდა, თანაც იმ მშვენიერ დღეს იგონებდა, მაშინ კატარეზამ ერთი ტოპრაკი ნამცხვარი რომ ჩაუყარა ხალათის კალთაში. ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. იმ დღეს ბონას ზუსტად ცხრა წელი შეუსრულდა და მაშინ კატარეზამაც იმიტომ მოიფხანა ასე მაგრად თავი.

ჰოდა, იჯდა ბონა ლუმელივით ცხელ ქვიშაზე. ისეთი სიჩუმე იყო, იფიქრებდით, ამ პატარა კუნძულიდან ყველა სულიერი გარკვეულია — არც პალმები სუნთქავდნენ, არც ქოქოსის კაკლის ხეები და არც ოკეანე ბღღენიდა იქაუ-

— კონტრრევოლუციონერების დაიყვრა სანტიაგომ. მაშინვე ტყვიების ჯერმა სწორედ ის დიდი ლოდი ალოკა. ჩვენი ნავი რომ იყო გამობმული. იქით რომ შევებრუნდი, ტყვიებისაგან დაცხრილული ნავი დავინახე, ოღონად გვერდზე გადაქანებულიყო. ტერეზა კი არსად ჩანდა... იქვე ახლოს, ჩემს გვერდით, წყალზე ლოტოსის ყვავილივით იღო სქლად შედგებულ სისხლის ფართო თევში. მის გასწვრივ ბარაკულებს წრე შეეკრათ.

მაშინვე ჩავყვინთე და წყალქვეშ ხმის ჩახლეჩამდე დაიყვირე.

ბარაკუდას ჯგრო რომ გაიფანტა, კრიალა წყალში ტერეზას ბრინჯაოსფერი ტანი დავინახე. თმა აშლოდა და სასროლი ბადესავით მდორედ, ზანტად ირხეოდა. ლამაზ სახეზე ხელები ისე აეფარებინა, იფიქრებდით, პირს იბანსო. მკრთალად ჩანდა რიო-მაცეტრას ხაოიანი ფსკერი და ზედ მიმოფანტული წითელი და ვარდისფერი ნიჟარები.

გამახსენდა, რომ გზაზე აფროსნები ვნახეთ. საცაა, ალბათ ქარიც ამოვარდებოდა.

რობას. ისიც წყნარად იყო, — მისთვის, ჩუმად.

უეცრად ბონას საზარელი სისინი შემოესმა და იფიქრა, ალბათ არმანდო მოდისო. არმანდოსას, საერთოდ, ზომ ვერაფერს ვაიგებ. ხან ტუჟანივით კივის, ხან მაკაოს აჯავრებს, ხანაც გველივით დახოხავს და ისე სისინებს, ნამდვილი ჟარაკაკა გეგონებათ.

ჰოდა, ბონამ იფიქრა, არმანდო მოდისო. ალბათ ამჯერად გველობა აირჩია და ისე მოდისო. მაინც შებრუნდა და მაშინ დაინახა, რაც დაინახა არმანდოს ჯვარი ეწეროს, მისთვის იყოს და, პალ-

გონა დაინახა მოთხრობები



მეგობს ხეივანში ერთი დიდი, რალაც აჩონჩხილი ჯოჯო მოსეირნობდა. სწორედ რომ მოსეირნობდა. წინ პრილა მახვილი ხორთუმევით გაეშალა. ვაკურავდა იქით და ხაპ, პალმა შუაზე იყო გადაჭრილი. გამოჰკრავდა აქეთ და მეორე პალმა ეცემოდა ძირს. არა, ძალიან საოცარი კი იყო, ასე როგორ აწვევდა მიწაზე ამ ბებერ პალმებს. ბიჭი ხარ და ისე, უბრალოდ უყურე ამ სურათს, ნურც აღელდები, ნურც შეშინდები...

ბონა ახლა მიხვდა, რომ არმანდო არც თუ ისე სულელი ყოფილა, მიწაზე გველივით ხოხვა რომ ისწავლა. თვითონაც სილაზე წაწვა და ნამდვილი ქარაკაკასავით გაჩხვდა.

ის ბუმბერაზი ცხოველი კი პალმებს ჰქრიდა და ჰქრიდა. მერე ოკეანესთან მივიდა, ერთი დაიფრუტუნა და წყალმა პირი უყო.

ზუსტად ორი საათის შემდეგ ბიძია ბარტო რომ მოვიდა და პალმის ხეივანი სულ პირწმინდად მოსწორებული დახვდა, ერთი ისეთი შეჰყვირა, მგონი, იამაიკაზეც კი გაიგონეს.

ბიძია ბარტო მალალი, მისული კაცია. ნავს ისე წამოიდებს ზურგზე და ოკეანეში ისე შეათრევს, თითქოს ქოქოსით სავსე ტომარა ყოფილიყოს. ერთხელ შეშველი ფეხი ზღვის ზღარბს დააბიჯა და იმ ჯოჯოს რაც რომ შხამიანი ეკალი ესხა, სულ ბიძია ბარტოს ფეხის გულში დატოვა... იმას კიდევ, არც უყვირია და არც არაფერი, აბა ერთი სხვა ყოფილიყო, ქვეყანას დააქცევდა! ბარტო კი ნაპირზე გამოვიდა, მაჩეტე დააძრო, ფეხისგული თავისი ხელით დაისერა და სულ ღერა-ღერა ამოყარა ის უშველებელი ეკლები. აქ ისიც უნდა ვთქვათ, ბიძია ბარტომ ფეხსაცმელი რა იყო, არ იცოდა და ფეხის გულზე ორი ღუმის სისქის ტყავი ჰქონდა გადაკრული.

ბიძია ბარტოს ყვირილი რომ გაიგონა, ბონა ცხელ სილაზე გამოხოხვდა. ისე იყო შეშინებული, კარგა ხანს თავიც კი არ აუწვია. იქნებ ეს ოყლავი სრულებითაც არ არის ბიძია

ბარტო. შეიძლება ისეც ის სწორედ იყო, კანის გამოცვლა მოისურვა, რა არის, ბონა სამალავიდან გამოიტყუილოს და მერე ისე გადაჭრას შუაში, როგორც ცხელ პურს ჰჭრის ხოლმე მამიდა ტერეზა სენტ პუედროს ქუჩაზე მდებარე პატარა საფუნთუშეში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ მთელი ის თხუთმეტი წუთი, ვიდრე ბიძია ბარტო ყვირილით ქვეყანას აქცევდა, ბონა მიწაზე ხელიკივით იყო გაკრული და კრინტს არ ძრავდა. მერე, როცა მეთევზე ღრიალი დაიღალა და გადაჭრილ პალმასთან ჩამიშხლა, ბონამაც კობრასავით ასწია თავი. მხოლოდ თავი ასწია, სხეულით კი ისევ მიწას იყო გაკრული.

ბიძია ბარტოს საოცარი მხედველობა ჰქონდა, მაშინვე დაინახა მოპირდაპირე მხარეს ისრის მისაწყდენ მანძილზე, ვინც ვაჭროდა მიწას.

— შენ, პეი, ჰინაჰველაჰამიავ, აქ მოდი!

ბონაც ადგა და მივიდა. ისე ახლოს მივიდა, კარგად ესმოდა თუ როგორ ჰქვინავდა მეთევზე.

— აქ იყო ვინმე?
— ჰო, ტყისმჭრელი გახლდათ. მაგრამ ისეთი კი არა, ჯუნგლებში რომ დაეთრევიან. გრძელ კანჭებზე დამდგარ ნიანგს ჰგავდა. სურუტუტუსავით სისინებდა, კბილებში მაჩეტე გაეჩარა და ხეებს ჰქრიდა.

მეთევზე მთლად მიუხევედრელი კაცი როდი გახლდათ, კვირაში ერთხელ იამაიკიდან ჩამოტანილ ვაზეთს კითხულობდა, ჰამის ღროს არ ამთქნარებდა და სიტყვა-პასუხიც ვერაინი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ბონას მაინც ვერაფერი გაუგო, ჩაახველა და სახეზე უფრო დაკვირვებით დააშტერადა.

— როცა ის ცხოველი ამ ხეებს კავავდა, შენ გვიჩინა თუ იდექი და თვალეებს იფშენეტი?

— ვიდექი და ყველაფერს ისე



გხედავდი, როგორც ახლა შენ წელზე მაჩეტეს ვხედავ.

მეთევზემ კვლავ ჩაახველა.

— მერე სად წავიდა ის ცხოველი?

ბონა ოკეანისკენ უსიტყვეოდ შებრუნდა და ხელი ქოჩორა ტალღებისაკენ გაიშვირა.

ბარტო ყველაფერს მიხვდა. თუმცა რას მიხვდა, იფიქრა, ან ბიჭმა გააფრინა, ანდა ციდან სატანა ჩამოვიდა, რომ ეს სამოთხის კუნძული ორ დღეში ნაცარტუტად აქციოსო.

მეორე დღეს საქმე სხვანაირად შეტრიალდა. სისხამზე ბარტო აფრიახნა ხმალოთევაზე სანადიროდ წავიდა. იმ დამით ჩრდილოეთის ქარი უბერავდა, მექსიკის ყურედან უშველღებდა ქარავანი მორეკა და მეთევზემაც იცოდა თავისი საქმე. როგორც კი ირიერაჟა, ადგა და ზღვისკენ გაუყვა. ასეოდე მებრე რომ გაიარა და ზღვის სუნიც იგრძნო, წინ რაღაც საშინელება დაინახა. უზარმაზარი ხორცის გროვა ორ ფეხზე ამალღებულიყო. წინ უცნაური მაჩეტე გამოეშვირა და ერთ ადგილზე ფრუტუნებდა. ადამიანი რომ დაინახა, დაისისინა და ზღვისკენ შებრუნდა. ბიძია ბარტომ მის გრძელ კუდს თვალი გააყოლა. მეტად უცნაური კუდი იყო. მეთევზემ ისიც კი იფიქრა, ამ უშველღებელმა ჭოჯომ საცაა ხუთმეტრიანი ზევაგენი უნდა დაბადოსო.

ცივმა ოფლმა დაასხა. პირველად იგრძნო, თუ რა იყო შიში. ერთ ადგილზე გაქვავდა და ფეხი ვეღარ მოიცივალა. ის ჭოჯო კი ერთხანს სილიანზე მიფრუტუნებდა და წინ ხე თუ შეხედებოდა, მაშინვე სხეპავდა. მთელი ეს სცენა, ყოველი დეტალით ბიძია ბარტოს ცხვირწინ გათამაშდა და იგი მაშინვე მიხვდა, რომ ის, რაც ბონამ გუშინ ვადასხევილ ხეებთან ჩაუკაჯლა, ზუსტი კემშარიტება იყო.

წავიდა ის ჭოჯო და წყალში ჩაიძალა. ბიძია ბარტო მობრუნდა და შინისკენ გაქანდა. ახლა მას სრულებითაც არ ჰქონდა აფრიახნი ხმალოთევაის დარდი.

მესამე დღეს უფრო უარესი ამბავი დატრიალდა. ლენიადრომ ოკეანისპირეთი არ იკმარა. რატომღაც ვადწყვიტა, კუნძულის სიღრმეში შესულიყო და პარადი გუბერნატორის სასახლის წინ მოეყოლა. ეს მოხდა სწორედ შუადღისას, როცა სასახლის დამცველ გვარდიელთა ერთი ჯგუფი შეიცვალა. ის ორი ახალგაზრდა გვარდიელი, ახლა რომ დადგა საგუშაგოზე, ცენტრალურ შესასვლელთან გაჭვინულიყო და შუბლზე ოფლი ასკდებოდათ. სენიორ ხუან ორტეგა — კუნძულის შეუზღუდველი გამგებელი, კაბინეტში ბოლთას სცემდა და სავარძელში ჩასკუპებულ ანტონიო ნავარას (რომელიც მის სამეფოში ერთადერთი ექიმიც იყო, ინჟინერიც, მიწისმზომელიც და კიდევ სხვა ხუთიოდე საქმეც ჰქონდა შეთავსებული) რაღაც მითითებას აძლევდა.

ნავარამ მთელი ღამე ბანქოს თამაშში გაათენა, ახლა გუბერნატორის წინ უცერემონიოდ ამოქნარებდა და არაფერი გაეგებოდა იმ სიბრძნისა, გუბერნატორი თავზე ცივი შხაპივით რომ აფრქვევდა.

აიგნზე გამავალი ერთადერთი კარი მოხურული ვახლდათ. ფანჯრებზეც, სიცხე რომ არ შემოსულიყო, შავი მძიმე ფარდები იყო ჩამოფარებული. ჩარჩოში მინები საერთოდ არც კი იყო ჩასმული. ისე როგორც ეს მეტ წილ ტროპიკულ ქვეყნებში მიღებული.

ერთბაშად ქუჩიდან საშინელი ღრიალი შემოიქრა და გუბერნატორიც იმ სავარძელთან შეჩერდა, სენიორ ანტონიო ნავარა რომ იყო ჩაფლული.

ნავარას ყურიც არ გაუპარტყუნებია, იქდა და ამოქნარებდა.

— არ გესმით, სენიორ? გარეთ, მგონი, ბუნტია!

როდღაც ჩაჩანთიმ მონაზრობები

ანტონიო ნავარამ თვალები დაქ-
ყიტა.

შეიძლება რევოლუციამ. მაშინ
თხუთმეტოდე წუთში თქვენ გადმოვა-
ვლებენ და მაც ტახტზე ახალი გენე-
რალ-გუბერნატორი წამოსკუბდება.

სწორედ ამ დროს კაბინეტში დაფ-
ეთებული გვარდიელი შემოიჭრა.

— ლენიადროს! — დაიღრიალა
მან.

— რაო? — იკითხე ხუან ორტეგამ.

— ქუჩაში ლენიადროს დადის და
პალმებს მიაჩეტეთი ჩხვავს.

ორტეგა არცთუ ისე მხდელი გახლა
დღო, რომ მაშინვე მაგრად დაბეტო-
ნებულ სარდაფში ჩაეკტილიყო, ანდა
დაბნეული ქუჩაში გავარდნილიყო.
მკაცრად ჩათვალეოდა ახალგაზრდა
გვარდიელი და აივანზე გამავალი
ერთადერთი კარისკენ წავიდა.

ამასობაში ნავარამაც იკადრა რბი-
ლი სავარძლის მიტოვება. ისიც გუბე-
რნატორს მიჰყვა.

ხუან ორტეგა ვრცელ აივანზე რომ
გავიდა, ქუჩაში ზღვის მხრიდან მომავ-
ალი ის გიგანტური ჭოჯო დაინახა.
ორტეგას ჭერ უზარმაზარი სპილო
ეგონა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ
ამ საშინელ ჭოჯოს ზრდადასრულებული
სპილო ძუძუმწოვარა შევილადაც არ
შეეფერებოდა. ეს უფრო სხვა იყო
საზარლად აჩონჩხილი, მახინჯი ცხო-
ველი საოცარი ფრუტუნით მიჰყვე-
ბოდა ქუჩას და მარჯვნივ და მარცხ-
ნივ ხეებს სხებდა.

ამასობაში აივანზე ანტონიო ნავა-
რაც გამობრძანდა და თვალბში
ბარე სამჯერ მიანიც ამოისვა ხელები.

— სენიორ, ხისმჭრელია? — იკით-
ხა მან.

— ლენიადროს! — ჩაილაპარაკა
გუბერნატორმა.

იმ საოცარ ხისმჭრელს ქუჩის ორთა-
ვე მხარეს მთელი კუნძულის მოსახ-
ლეობა მოაცილებდა. ერთნი რომ ტა-
მტამებს ახმაურებდნენ, მეორენი სტვე-
ნით იჭაურებდნენ იკლებდნენ. სხვები

ქვეს ისროდნენ, ღრიალებდნენ...
იქით აწყდებოდნენ...

ლენიადროს ის ამბავი, რაც ახლა
ქუჩაში ხდებოდა, თითქოს სრულები-
თაც არ შეეხებოდა, შვეიდად მოფრუ-
ტუნებდა და გზა-გზა რაღაცნაირ მყარ
სუნს ტოვებდა.

გუბერნატორმა კაბინეტში დაყუდე-
ბულ გვარდიელს დაუძახა. გვარდიელი
შიშით გამოვიდა აივანზე.

— შეგიძლიათ, აქედან პირდაპირ
თავში მოახვედროთ? — ჰკითხა ორტე-
გამ.

— დიახ, სენიორ, მაგრამ რომ ავაც-
დინო, უარესი ხომ არ მოხდება?

— მე გეკითხებით, შეგიძლიათ თუ
არა, თავში მოარტყათ?

— შევეცდები. სენიორ, ცული
მსროლელი არა ვარ.

ის გვარდიელი მაშინვე იდაყვებით
დაეყრდნო ზოაჯირს და ოცდაათიანი
წოლების მარჯვენა ვინჩესტერი ჭოჯოს
დაუმიზნა.

თოფმა რომ იტყა, ორტეგა გვარდი-
ელისაკენ შებრუნდა.

— თქვენ ჭერ ფაფას უნდა ჭამდეთ,
სენიორ! — დაიღრიალა მან.

— მოხვდა. ჩემი თვალთ დაინახე
შუბლზე როგორ აკორტნა. რა ჩემი
ბრალია, თუ მას ტყვიანუქალი ჭავ-
შანი აცვია.

თოფი ნავარამ ჩამოართვა.

— ცოტათი გვერდზე მიიწიეთ, სე-
ნიორ! — უთხრა გუბერნატორს და ახ-
ლა ის დაეყრდნო იდაყვებით მოაჯირს.
სულ ორ წუთს უმიზნებდა, მერე ჩახმა-
ხი დაუშვა და თოფმაც დაიჭხა.

ლენიადროს ბუზიც არ აფრენია.
ისევ ისე მოაბოტებდა ქუჩაში...

— სენიორ, — თქვა ნავარამ, — ამ
ურჩხულს ტყვით ვერ მოკლავთ. ეტ-
ყობა, რაღაც განსაკუთრებული ფო-
ლადისგანაა ჩამოსხმული.

— იქნებ მეც მეცადა! — დაიძახა
გუბერნატორმა.

— ტყუილად გაირჩებით, ტყვიას ბე-
ჭედში ვაძვრენ. დარწმუნებული ვარ,
ახლაც თვალს შორის ჩაუჭინე, მა-



გრამ მხოლოდ მტვერი აფხიკა, ვერაფერი დააკლო.

ამასობაში ლენიადორო აივანს გაუ-სწორდა. ბოყინით, საზარელი სისინით და ფრუტუნით ჩაუარა გუბერნატორის სისახლეს და პატარა სკვერში სამიოდე პალმა მოსხიპა.

მეორე დღეს ამ პატარა კუნძულს ქვეყნის ოთხივე კუთხიდან სამასამდე კორესპონდენტი მოაწყდა. სან ხოსეს ქუჩაზე მდებარე სამიო სამი სასტუმროს ჩამოსულებით გაიძეგა. ორმა საქმოსანმა კარგად აულო ალლო შექმნილ მდგომარეობას და საცხოვრებელი სახლები მაშინვე სასტუმროდ აქცია, თანაც ისეთ სასტუმროდ, სადაც ცალკეული ნომრებისათვის არც შხაბი იყო და არც საპირფარეშო. ამას ვინდა დაეძებდა, ოღონდ ღამის გასათევი ყოფილიყო და...

ორი დღის შემდეგ იამაიკიდან ცხელ-ცხელი ვახეთები რომ მოიტანეს, პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით ეწერა:

„17 ივლისს კუნძულ ბალაზე მეთევზეებს უცნაური ცხოველი გამოეცხადათ. იგი სიგრძით ალბათ ოცდაათი მეტრი იქნება. აქვს ჟირაფივით წაგრძელებული კისერი და პატარა თავი მიწაზე ნელა დადის. სხეული ნიანგს მოგავს, პატარა თავის წინ გაუშვენიო უშვილებელი შუბი, რომლითაც ეს უჯჯო ხეებს ჰრის. ეტყობა, ბალახის ქვამელი ცხოველია. არ მოხერხდა იმის დადგენა, ძუძუმწოვარაა თუ არა. ჭერჭერობით არც ადამიანებზე თავდასხმის სურვილი გამოუჩენია.“

გუბერნატორმა ხუან ორტეგამ ავტომატის ტყვიები მიიღია ამ ჯოჯოს, მაგრამ ვერაფერი დააკლო. ცხოველმა კვლავ გააგრძელა გზა.

სპეციალისტები მრავალ ვარაუდს გამოთქვამენ. პიუტესტონში ამ ცხოველზე სანადიროდ შეიქმნა (მას ბალას მცხოვრებლებმა ლენიადორო უწოდეს. ლენიადორო ესპანურად ხის-მჭრელს ნიშნავს) მონხალისეთა დიდი ჯგუფი, რომელიც გემით უკვე დაეშვა

მისისიპიზე და 19 ივლისს კუნძულ ბალას მიაღწევს.“

ადრე კუნძულზე ვახეთს სულ ხუთი კაცი ყიდულობდა: გუბერნატორი ორტეგა, ანტონიო ნავარა, გვარდიელთა უფროსი კაპიტანი მარსელიო დიასი და ის ჩვენი ბიძია ბარტო, ერთხელ მაჩეტეთი ფეხისგულები რომ დაისერა, ვახეთს მიმიდა ტერეზოც ყიდულობდა, მაგრამ უფრო სხვა საქმისათვის, კითხვისა მის არაფერი გაეგებოდა.

ახლა მთელი ტირაჯი თვალის დახამამებაში დნებოდა. ერთმა კორესპონდენტმა, პარი ტომსონმა, ისეთი რამ მოიფიქრა, უკეთესი რომ არ შეიძლებოდა, — სასწრაფოდ გამართა სტამბა და ვახეთის ბეჭდვას შეუდგა. თანაც კორესპონდენტიც თვითონ იყო და რედაქტორიც, ასოთამწყობიც და მბეჭდავიც. ამ მოხერხებულმა კაცმა ფუტკრის მისატყუებლად ვახეთს კარგი თაფლიც წასცხო — „ლენიადორო“ დაარქვა.

მანამდე ამ კუნძულს თავისი ვახეთი არ ჰქონდა. ვახეთები ორ დღეში ერთხელ იამაიკიდან მოჰქონდათ მეთევზეებს. ხანდახან ყოველდღიურადაც მოიტანდნენ ხოლმე, მაგრამ უფრო სწორად ორ დღეში ერთხელ შემოადებდნენ კუნძულზე ვახეთების პატარა შეკრულას. მეტი მაინც არ იყო საჭირო. პარი ტომსონს კოჭი ალხუზე რომ დაუჭდა, მთელი კუნძული ალაპარაკდა, სალაპარაკო მართლაც ბევრი იყო. ტომსონმა სულ პირველად გუბერნატორ ორტეგას ის სურათი დაბეჭდა, ავტომატით ხელში ტყვიის მთელი ჯგრი ლენიადოროს რომ მიაფშვნა. ამას სხვადასხვა სახუმარო ამბებიც მოჰყვა ლენიადოროზე, შემდეგ კიდევ შავი ჯგრით დამშვენებული, დამაქრული ნეკროლოგები და სხვა ათასი რამ...

იქიდან მოყოლებული, რაც რომ კუნძული ეტრნალისტებმა და რეპორტიორებმა დაიპყრეს, ლენიადორო არც

რომანო ნაჩანძი
ეომხროვაბი

ზღვის სანაპიროზე და არც გუბერნატორის სასახლის წინ აღარ გამოჩენილა პირველად ჟურნალისტები მთელი ერთუნიანხმით დაეძებდნენ ამ საოცარ კნოველს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწყვდებოდათ, მაგრამ დრო გადიოდა და ავითრავიც თანდათან მიწყდა.

19 ივლისს, ორშაბათ დღეს, ჰიუგსტონიდან გამოგზავნილი გემი კუნძულს მოადგა. ბალას ნავსადგური არ ჰქონდა და ის გემიც ნაპიროსთან ახლოს დრეიფზე დადგა.

სისხლივით წითელი, გადახურული ნაეი ზღვაში ჩაუშვეს და ნაპირზე გადმოვიდა ოთხი ახალგაზრდა სენიორი, რომლებმაც მაშინვე გუბერნატორის სასახლეს მიამუშრეს.

იმ დღეს კიდევ ერთი ახალი მოვლენაც მოხდა — ჰარი ტომსონმა თავის გაზეთში დაბეჭდა ვინმე მაკლოსის წერილი. გაზეთის მთელი ტირაჟი ნახევარ საათში გაიყიდა. კიდევ კარგა, ტომსონმა წინდახედულება გამოიჩინა და ანაწყობი არ ჩაშალა, ამიტომ სულ ადვილად გამოუშვა დამატებითი ტირაჟი.

მაკლოი გაზეთში წერდა: „კუნძულ ბალას ძვირფასო მცხოვრებნო, აქამდე თქვენს ერთიციქნა მიწას არავინ იცნობდა. ახლა კი მთელი მსოფლიო ალაპარაკეთ ჩვენ დიდი აღმოჩენის წინაშე ედგაგართ. ვიცით, რომ მშობლიურ დედამიწას ჯერ მთლად არ გაუხსნია მკერდი და ჩვენთვის ყველაფერი არ უჩვენებია აქ მინდა გავიხსენო ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიანი წლები, როცა მამაცმა აქვალანგისტებმა მადაგასკარის ახლოს დაიჭირეს ძუძუმწოვარა თევზი — ცელეკანტუსი. ეს უზარმაზარი მოვლენა გახლდათ. ახლა კი შეეხვდით ხელიკოსნების წინაპარს, რომელიც მოულოდნელად გაჩნდა თქვენს მომხიბვლელ კუნძულზე.“

გაუფრთხილდით მას, არაფერი ავნოთ იცოდეთ, მისი დაღუპვით კაცობრიობა დიდად დაზარალდება. მე ვცხოვრობ ახალ ორლენში, მისისიპის ნაპირას, დაუყოვნებლივ ვაპირებდი

ბალაზე გამოქცევას, მაგრამ ავადმყოფობის გამო, ექიმები უფლებამოსილები არ მქონდათ. როგორც კი თავს უკეთ ვიგრძნობ, მაშინვე ბალას მოვაშურებ. თქვენი დიდი მეგობარი, პროფესორი სერ ლინდონ მაკლოი“.

წერილს ბოლოში სარედაქციო მინაწერი ჰქონდა, საიდანაც ჩანდა, რომ სერ მაკლოი უბრალო კაცი არ გახლდათ, ნიუ-ორლეანში დარეინისტთა საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ვარდა ამისა, იყო ცხოველთა დაცვის კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი და კიდევ რამდენიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციას უდგა სათავეში. ყველა ეს ტიტული ამსოფლტუტური სიზუსტითა და თანმიმდევრობით ჩამოთვლილი გახლდათ იმ სარედაქციო მინაწერში. ასე რომ კაცი უყურადღებოდ ვერ ჩაუვლიდა სერ მაკლოსის სტატუსს.

ამ დროს ის ოთხი ჰიუგსტონელი ხუნდ ორტეგას კაბინეტში ჰივანურ სიგარას აბოლებდა და რაღაცაზე გააფთრებული დაობდა. ამ თათბირს არც ერთი კორესპონდენტი არ დასწრებია. თუმცა მსურველი ბევრი იყო, ორტეგამ ყველა ცივი უპირით მოიშორა. ერთი სახურავზე ამძვრალიყო, სხვანი გაეხვრიტა, შიგ მიკროფონი გაეძვრინა და ყველაფრის ჩაწერას აპირებდა.

ჰიუგსტონელმა ყმაწვილებმა ის ცნობისმოყვარე სულ ადვილად აღმოაჩინეს. სხვნიდან ვირთხასავით გამოათრიეს და სიგარძე სიგანედ უქცოეს. მერე კიბეზე დაგორეს და მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს.

ორტეგასთან თათბირი რომ დამთავრდა, კორესპონდენტებმა კიდევ ერთხელ სცადეს გაზეთების მეპატრონეთა გულის მოგება, გუბერნატორს შეუტოეს, პრესკონფერენცია მოითხოვეს. ორტეგა მერე სართულის აივანზე გამოვიდა და საჯაროდ განაცხადა: დედამიწის ზურგზე არც ერთ გაზეთს არ ვცნობო, სულ სისულელეებს ჩმახავთო და არც პრესკონფერენციას ჩავატარებო. მერე მარჯვენა ხელი გაიშვი-

რა და სამი თითის კომბინაცია ქვეყანას დაანახა.

ვილაცამ ქუჩიდან ქვა ესროლა ის ქვა ორტყვამ ჰაერში მარდად დაიჭირა, ერთი მაგრად შეიგინა და ქვა ისევ იქით გასტყორცნა, საიდანაც ესროლეს.

პოუსტონელები ამ დროს მწვეანდ შელებილი ჯიბით ზღვის სანაპიროსაკენ მიჰქროდნენ. სრულებითაც არ ჰქონდათ იმის დარდი, კუნძულის სრულფლებიანი გამგებელი აივინს ქვეშ დამდგარ საზოგადოებასთან როგორ ითამაშებდა აზარტულ ჩოგბურთის უბრალო წახნავოვანი ქვით.

სანაპიროსთან მივიდნენ თუ არა, ჯიბი იქვე დაავდეს და ისევ იმ სისხლისფერ ნაევში გადასხდნენ. მერე ბოლოს და ბოლოს გემზე რომ ავიდნენ, ლუზაც მაშინვე აათრიეს. თუმცა რა ღუზა, ხუთტონიანი ჯართი იყო მალაშე წყალს ისე დაეხრა, ნაპირზე გამოიჩუქული მარჯანი გეგონებოდათ. ასეთი ღუზა უფრო რომელიმე საზღვაო მუზეუმს მოუხდებოდა, სადმე კუთხეში ორმოცდაათიანი წლების ექსპონატების გვერდით რომ მოეთავსებინათ.

კაპიტანი ბუქებში მოხრილი, გამხდარი კაცი გახლდათ, ნიკაბზე თხელი ჭაღარა წვერი სიმინდის ფუჩეჩივით დაჰფენოდა ცივი, ცისფერი თვალები ჰქონდა და ისეთი შემზარავი, ექოიანი ხმა, გვეგონებოდათ, რასაც ამბობს, სულ ცარიელ ქვევრს ჩასძახისო. ამ ტიპს მისტერ ტაფის ეძახდნენ.

პოუსტონელებმა კურსი ბალას იმ სანაპიროსაკენ აიღეს. სადაც ბონამ სულ პირველად დაინახა ლენიადორო. მივიდნენ ნამცეცა ყურესთან და ის ჯართაღქცეული ღუზაც მოისროლეს. მისტერ ტაფიმ ბრძანა, ღუზისთვის ხუთი კბილი ჯაჭვი მიეცათ. ჩიპმა თქვა სამიჯ საკმარისიაო, მაგრამ უფროსი თანაშემწე უფროსი თანაშემწეა და სხვა არაფერი, კაპიტანი კილევ გემის ბატონ-პატრონი გახლავთ. ასე რომ ჩიპმა რაღაც რომ ჩაილაპარაკა, მისტერ ტაფისათვის იმას ნიშნავდა, სპილოს ბუზი დაჯდომოდეს...

ასე იყო თუ ისე, გემი ხუთი კბილის სიგრძის ჯაჭვით იყო ოკეანის ფსკერზე დაბმული. აქ თუ იმასაც გავისხენებთ რომ თითო კბილი ოცდახუთ მეტრს უდრის, მაშინ მიუკერძებლად უნდა ვთქვათ, კაპიტანმა ტაფიმ დიდი წინდახედულება გამოიჩინაო.

21 ივლისს, ოთხშაბათ დილით სისხამზე, მისტერ ტაფიმ განგაში გამოაცხადა. მიუღო ეკიპაჟი აზრიალდა. ერთი საათის შემდეგ ფორშტევენთან დამაგრებულმა ამწემ ექვსტონიანი ბატისკაფი ასწია და ფრთხილად ჩაუშვა ოკეანეში.

ბატისკაფში სამი თავზე ხელაღებული პოუსტონელი მოთავსდა. ერთი მოთვანი სამჯერ იჯდა საპყრობლეში მარბუხანას კონტრაბანდისათვის. ერთი კილევ ამ რამდენიმე თვის უკან გამოცხადდა ტეხასიდან და კარგად არავინ იცოდა, რატომ ჰქონდა მთლად მოტელებილი თავი ჭაში ნახათქნები ვედროსავით ჩაჩეჩვილი.

იმ მესამისას ნურაფერს იკითხავთ, დანას ისე ასობდა ნიშანში, როგორც ძველი მეწაღე წამახულ საღვისს ლანჩაში.

პოდა, ეს სამი აცვენილი ტიპი ერთად ჩაეშვა ოკეანეში კაპიტანი მისტერ ტაფი ამ დროს სამართავ პულტთან იდგა და ტეხასელი რომ ქვესკნელიდან სამსართულიანებს აგზავნიდა, თავისი გრძელი ყურებით ისმენდა. ზოგჯერ ის ტეხასელი გინებას წყვეტდა და საქმიანად გადმოსცემდა: — ძალიან ლამაზი სამყაროა, უამრავი ასთაკვი ჩანს, სულ სხვადასხვა ფერის და სიდიდის. დაცურავენ აგრეთვე ზვიგუნები, ბარაკუნები, ზღარბები და ათასი ძალი და მამაძალი...

ტეხასელი აქ საუბარს წყვეტდა და გინების ხუთწუთიან სერიას იწყებდა. თანაც მამა ღმერთიდან დაწყებული, იმ ცაცებიან ასთაკვიმდე დაუჯილდოებლად არავის ტოვებდა.

როდამ ჩაჩანიმ
მოთხრობები



შენ ჰეი, რომანტიკოსო, ისა თქვი, ლენიადლორო თუ ჩანს! — ჩასძახოდა ზოგჯერ მიკროფონში ანძასავით გრძელი კაპიტანი და ტეხასელიც მაშინვე პასუხობდა.

— ლენიადლორო არ ჩანს.. არავითარი ლენიადლორო არ გვინახავს, უკვე ზღვის ფსკერზე ვართ.

— როგორი გრუნტია?

— გრუნტი კლდოვანია. ყვითელი კლდეების კონტურები ჩანს. თუ ნებას დაგვრთავთ, ცოტაოდენ ხამაწყას წამოვიღებთ, ლუღზე კარგი იქნება.

— რელიეფი კარგად გასინჯეთ, სადმე გამოქვაბული ხომ არა ჩანს?

— მოგახსენებთ, — ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა ტეხასელი, — არავითარი გამოქვაბული. სულ სალი კლდეებია!

ერთი საათის შემდეგ სამივე თავზე ხელაღებული გემბანზე ლეიბებივით გამოამზეურეს. ნახევარი საათი სული მოათქმევინეს და ახლა სხვა ადგილას ჩაუშვეს ბატისკაფი. წყალქვეშალებმა ვერც იქ იპოვეს რაიმე საიმედო და ახლა სულ სხვა ადგილზე გადაიყვანეს ბატისკაფი.

მისტერ ტაფიმ ის იყო სელექტორი ჩართო, რომ ტეხასელის ჩახრჩინწული ხმაც გაისმა.

— სერ კაპიტანო, დიდ მღვიმეს მივავენით. მე და ჯონი გავდივართ ბატისკაფიდან.

— მღვიმე გულდაგულ გასინჯეთ! — უბრძანა კაპიტანმა.

ორმოცი წუთის შემდეგ ტეხასელმა გადმოსცა: „ეჭვი არაა, ლენიადლოროს საცხოვრებელს მივავენითო. ვიპოვეთ უზარმაზარი გაქვავებული ფენა და სხვა ისეთი წვრილმანი, რაც ჩვენს ვარაუდს ადასტურებსო“. მერე ტეხასელმა ხმა ჩაიწყვიტა და ზუსტად ნახევარი წუთის შემდეგ დაიღრიალა:

— სერ კაპიტანო, ლენიადლორო ბრუნდება! სამი ლენიადლორო მოდის — ორი დიდი, ერთი პატარა. ეტყობა, მშობლებს შვილი-საბავშვო ბაღიდან მოსვლით.

ტაფიმ სიგარეტს მოუყვიადა. — თვალყური ადევნეთ, ლენ...
*გაქვავებული
ხამაწყას*

იმავე წუთს ტეხასელმაც უპასუხა. — ლენიადლოროს სამეული მღვიმეში შედის. ჩვენი მოსაზრება დადასტურდა. ჯოჯოთა ბინა ნაპოვნია!

დილით ბატისკაფი კვლავ ჩაუშვეს. წყალქვეშალებმა ამჯერად ძლიერა მოქმედების ნაღმებიც წაიღეს და კიდევ სხვადასხვა მარკის ჯოჯოხეთის მანქანებიც. ტაფიმ ქვემოდან ცნობა რომ მიიღო, ბუნავი ცარიელიაო, მისი დანაღმვის განკარგულება გასცა. წყალქვეშალები სიქის გავარდნამდე მუშაობდნენ და ორ საათში საქმეს მორჩნენ. კაპიტნის განკარგულებით ბატისკაფი ისევ ზევით ამოათრია.

კაპიტანი წინა ერდოზე ჩავიდა და წყალქვეშალებს შეეგება.

— როგორაა საქმე, რომანტიკოსებო?

— ყველაფერი რიგზეა: ნაღმები სიღრმეში დეაწყეთ, სანამ ყველა ლენიადლორო გამოქვაბულში არ შევა, არ აფეთქდებო. მერე იხუცლებს და არც ერთ მათგანს სიცოცხლე აღარ უწერიო.

ტაფიმ ძლივს გაიღიმა.

— დიდებული ბიჭები ხართ. ჩიბ, რომანტიკოსებს ვისკი მორათვით!

უფროსი თანაშემწე კაპიტნის ბრძანების შესასრულებლად წავიდა.

სწორედ ამ დროს გემს ერთი უშნო ნავი მოადგა. იქიდან ჩია მოხუცი ძლივს ამოხობდა ტრაპზე. ერდოზე ფეხი დადგა თუ არა, კაპიტნისკენ გაქანდა.

— სერ, თუ არა ვცდები, კაპიტანს უნდა ველაპარაკებოდე?

მისტერ ტაფიმ თავი ღირსეულად დაიქნია.

— სერ, მე პროფესორი მაკლოი გახლავართ, როგორც გადმომცეს, თქვენ იმ საცოდავი ცხოველების აფეთქებას აპირებთ. გთხოვთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ეს სისულელე.

— სერ, — თქვა ცივად ტაფიმ, — მე სამხედრო ვარ და გემორჩილები თავდაცვის მინისტრს. როგორც ვხე-

დავ, თქვენ გენერლის სამხრეებს არ
გტარებთ. იტალია იტალია —

— საზოგადოების სახელით გიბრძა-
ნებთ, შეწყვიტოთ ეს ბარბაროსული
აქცია! — დაიქუხა მაკლომ.

— სერ, თქვენ ჰიუსტონის მუნიცი-
პალიტეტში არ იმყოფებით, აქ ზღვაა.
საზოგადოება მე და ჩემი ბიჭები ვართ.
— კბილებს შორის გამოსცრა ტაფიმ
და ქიშხ იქით გააპურჭყა.

— თქვენ მართლმსაჯულების წინაშე
წარსდგებით!

— პროფესორო, გთხოვთ დატოვოთ
გემი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძუ-
ლებული გავხდები, დაგაპატიმროთ!

სწორედ ამ დროს გემიდან ორი მი-
ლის დაშორებით ოკეანეში უზარმაზარ
შადრევანი ავარდა და გემიც შეა-
ზანზარა. ეს სანახაობა ძალიან ჰგავდა
ვულკანის ამოფრქვევას.

ტაფი მიხვდა, რაც მოხდა და დამ-
ცინავად გაიღიმა.

პროფესორომა მაკლომ მარჯვენა,
ხის ქუსლი რკინის იატაკს დაჰკრა:

— სერ, თქვენ ჩაიდინეთ საუკუნის
უდიდესი დანაშაული..

მისტერ ტაფიმ ხელები ფართოდ გა-
შალა.

— პროფესორო, თქვენ გავიწყდე-
ბათ ხიროსიმა და ნაგასაყი!

მაკლოს არ უპასუხია, ზღვისკენ გა-
იხედა. აფეთქებისაგან აგორებული
უზარმაზარი ტალღები საღლაც შორს,
ნაპირისაკენ მიისწრაფოდნენ. ლურჯ
წყალზე მუქად ჩანდა ხორცის დიდ-
რონი ნაფლეთები.

ლენიადორო — ჩემი პლანეტის
უნიკალური ცხოველი, უკვე აღარ არ-
სებობდა.



ვაჟა დოღბაძე



ბაღში კვირტების დგას ჟრიაბული,
მიდის ზაფხული ყვავილებით
ვითარცა თამთა.
ელავს მყინვარი —
ბროლის ყელი —
ჩემი მამულის.
და... საქართველო ზაფხულ და
ზამთარ
დგას მსუბუქ ბოლში —
ია-იების.

რწმენის ცა

ჩემს მეგრძოლ დღეებს,
ვით დაცემულ
გმირ ჯარისკაცებს,
მე აღვუმართავ ერთგულების
მაღალ ობელიკს
და მარადიულ ნათელს ვპირდები.
რადგან რწმენის ცა, ჩაუქრობელი
იმედებით და ვარსკვლავებით
კვლავ იკვირტება.

ვაჟ, მამულო!

ახლაც ჩაგვსმის შორეული ხმები
ნალარის,
ეჰა, მამულო! —
მტრის თვალეში ეგდე
ბენჯივით.
აღმოსავლეთით —
დაგტიროდნენ „მთანი
მაღალნი“,
ხოლო დასავლით თმაგანენილი —
იდგა შავი ზღვა, ვითარც შენი
ჭირისუფალი.

აკაცია

საავდრო ღრუბლებს,
ვითარც ყვავ-ყორნებს,
მიერეკება ქარი დასავლით.
დირიჟორივით ცასაც შავი ფრაკი
აცვია.
ომიდან შვილის მომლოდინე
ბერდედასავით —
გათეთრებული, ჩემს ჭიშკართან დგას
აკაცია.

დეკემბერი

დედა-ქალაქში,
ბალებს,
ხეივანებს,
ბერტყავს და ბერტყავს ფამი ბებერი.
ფოთლებს თუ დღეებს —
ცოცხით ხვეტენ იეზიდები.
წელში მოხრილი, ყრუ დეკემბერი,
შემოდგომის მზეს —
დასავლეთით მიეზიდება.

მთათუშეთი

გოდლების ჩრდილში აბჯარაყრილნი
სხედან ომებით
დაქანცული
ს ა უ კ უ ნ ე ნ ი.
მთებს კვლავ ჰკიდია ალაზანი
როგორც მახვილი,
მაგრამ... არ ისმის ცინისმცველთა
გადაძახილი...
და ციხე ფარსმის,
ციხე დანოს,
ციხე დირევის, —
ჟამს მოუგდია მხარზე,
როგორც ნანადირევი.

ჩემს ყვეარ ბიჭებს (ზურაბ და დანი)
თქვენ ახლა მხოლოდ თავისუფალ
სიარულს განივით,
ვით გაუხედნავ,
თვალსაცერა
პატარა ბულებს,
მაგრამ სულ მალე, დიდსა და მძიმეს.
მე საქართველოს სიყვარულის
დაგადგამთ უღელს,
აბა თქვენ იცით, თუ როგორ
გასწევთ.

ჩემი სამშობლოს ლაყვარდოვან
მთებით გადაღლილს,
ჩამეძინება მშვიდი ძილით
კლდეთა კალთაში;
მიმღერონ „ნანა“ ჩანჩქერებმა—
ჩემმა
ძიძებმა...
თქვენ ნუ იდარდებთ...
მერე გვიან,
როგორც ზღაპარში,
მოხუცი მწყემსის სალამურში
გამელვიძება.



მედიაციის

მომანათე, მამულო ჩემო,
 სხივი შენი თაფლისფერ ყანის,
 მომანათე, მამულო ჩემო,
 სხივი შენი პურის და წყალის
 მამულო ჩემო,
 კვლავ დამათვრე ცისარტყელით
 მოქარგულ ზეცით,
 მამულო ჩემო,
 მცან მარტივლად, ვარძიად მცანი,
 მამულო ჩემო,
 დაუბედე ჩემს სტრიქონს დილა,
 მამულო ჩემო,
 გაუნათე ჩემს სტრიქონს ცაი,
 მამულო ჩემო,
 მიბრიალე ყაყაჩონ ფერი,
 დამითვრე მინა იის სურნელით,

მამულო ჩემო,
 გამითენე სისხლი სრულიად!
 ხნულში ჩაფრენილ მარცვლის
 ღიმილით
 შემთმხედე, მამულო ჩემო!
 მამულო ჩემო,
 გვედრები, მამულო ჩემო,
 ყოველის წინაშე ამარიდე მუხლზე
 დაცემას,
 მუხლზე დაცემას ამარიდე, მამულო
 ჩემო,
 ჩემი სისხლი სისხლად გაილე
 და... დროშის, სისხლით მოქარგულ
 დროშის,
 გამითენე დილა ნათელი!

საავადმყოფოს კედლები

(ფიჭვის რეჟისორი)

ნ. ნადირაშვილს

ამ კედლებს იქით ზღვა ხალხი დადის,
 ამ კედლებს რაღაც ფერი არ ადევთ.
 — სარემონტოა, — ვილაცხა ამბობს.
 — საავადმყოფოა, — ვამბობ
 ჩურჩულით.

სარკმლიდან მოჩანს ლილისფერი ცა,
 ლილისფერი ცა—ლურჯი მინდორი...
 თეთრი ფერი აქვს ექიმის ხალათს?
 ექიმის ხალათს ფერი არ ადევს
 და ტკივა შენი რუხი ტკივილი...


.....
 ამ კედლებს იქით ზღვა ხალხი დადის,
 ამ კედლებს რაღაც ფერი არ ადევთ...

დ რ უ ბ ე ლ ი

ცა ჩამოსულა ისრის გაფრენაზე.
 აკაციის მოშავო სხეულს
 ნაყოფივით
 ყვავ-ჩიტი აწხია.
 მოგალობს ღრუბელი ასხიდან.
 მოდი ღრუბელი,

თოვლის ღრუბელი,
 რა გენაღვლებია,
 შენს სიზმრებში
 კვლავ გვაყურყუტე!

 ცა ჩამოსულა ისრის გაფრენაზე.



წკრიალით მოდის ბალახების
 რძისფერი დილა,
 წკრიალით მოდის.
 ჭიამაიასებრ იცქაფება მინდორის
 მკერდი,
 ჭიამაიას ემგვანება მინდორის
 მკერდი.
 ცა რძისფერდება...
 რძისფერდება ფერდობი ამ ცის? —
 ო, უსათუოდ აფრინდება ჭიამაია,
 ო, უსათუოდ აფრინდება მინდორი
 ცაში!

მე მელოდება შენი სინათლე
 და ტყეების ლურჯი კვილი —
 გადაფენილი დედამინის უთბილეს
 მკერდზე.
 მე მელოდება ნიავეით
 მოთამაშე
 აღდგომის დილა,
 მე მელოდება ჩემი ყაბახი —
 უსასრულო და უმკაცრესი.

მე მელოდება შენი ღიმილი,
 მე მელოდება მწვანე ბალახი,
 ბალახი მწვანე,
 რომელიც ერთდროს
 ჩემს საფლავზეც წამოფრინდება
 და გააბნევს სინათლეს ირგვლივ.
 მე მელოდება, ღმერთო, სინათლე
 და ტყეების ლურჯი კვილი
 გადაფენილი დედამინის უთბილეს
 მკერდზე!

ამ ქუჩის მკერდზე დღეს მეათედ
 გადავიარე.
 მე მენვის ტერფი,
 ქუჩას — მკერდი...
 უხილავი ცეცხლის ჭირიმე!

მინანარი ნიგნა
„მალრიგით მავრიყაჟა“

თამაზ ნატროშვილს

ცა მიიცვალა. სისხლის ტალახზე
 ეპ, მერამდენედ აუცურდა ჰაერს
 ფეხები..

ღამის ტყე ჩადგა.

 სისხლის ტალახზე აუცურდა
 ჰაერს ფეხები,

ცა მიიცვალა.
 დრემლმორეულ ცხენის თვლებში ცა ამოლურჯდა სიჩუმის ფსკერზე!



გურამ გიორგობიანი

ჩემი კუთვნილი მატერიიდან,
ვით უსრულესი სხეულთა ფორმა, შეიკრა ბურთი,
მან შეინოვა წმინდა სული და ვიგორე ჟამიდან ჟამში,
ჟამმაც შეფარვით იარა ჩემში და განვმარტოვდი
ტანჯულ ღმერთივით;
და ახლა, როცა შემკრთალი ვფორთხავ სიცარიელის
იმ კონტურებთან,
მთელი სიცოცხლე თვით რომ ვკემსავდი,
მე ჩემთვის ვფიქრობ: ჰეი, თვისტომო,
ჩვენ შევქმენით ნებიერი კომპიუტერები, ტვინის სითხის
გაორება,
მთვარის სიცხადეც კი აღმოხდათ:
„აქ არ იშვის ჟუჟუნა წვიმა და არ ფრინავს ციცინათელა“.

მაგრამ სიცხადე ჩვენივე თავისი?
შეგინდობს კი ყოფიერება? და ვჰყვედრი ჩემს თავს,
თვით ბუნება, ჩვენი მოძღვარი, რომ უარყვავი.
ო, დაკარგულო საზღაურო, მხოლოდ ერთსა გთხოვ,
ამ მომაკვდავებს ფრთები მივაბათ და გავისროლოთ, —
ფიტულეებზე გვიან მაინც დაეცემიან!

ჩემს ყოფასა და ჩემს აღქმაში ყველაფერი იზნიქებოდა
და ბუნებამ თითქოს ინება — სევდის მხარეში
გავთქვეფილიყავ
და კვლავ შეკრული და აკინძული გუმანით ვგრძნობ
ჩემდამი კითხვას:
მოვლენილი ამ ქვეყანაზე რას ვაკეთებდი, —
ვდარდიმანდობდი? ვდიდგულობდი?..
ბორცვებზე მაინც თუ დავდიოდი?
ვინ შემისმენს — მთელი ცხოვრება სიღრმეს ვზომავდი
და არა მწვერვალს!

☉

ჩემი ფიქრები თითქოს სხივებია,
ან ხეზე ამოჭრილი გრავიურები,
ზოგჯერ ქუჩის ბიჭის ამაყი
განცდებია,
ხან ზვიად მთებში ჩაწოლილი
ნისლი, —

.....
ხატოვანი, სრული, კეთილი.

●

ცნობადობის ხე ითხოვს სამკაულს.
ვირჩევ ორხიდეას, —
მასში სინაზება სასწაული.
დიადი სულიც ელის სამკაულს,
ვირჩევ პოეზიას!



სიყვარული

ერთმა ჭაბუკმა
მონდომებით შეკაზმა ველოსიპედი,
ტანი ძველმანით შეიმოსა, ვით
მანანალამ,

აილო ჩანთა,
ჩაილაგა საგზალი მცირე
და გასწია მთის და ბარის
დასალახავად.

გზაზე მიმავალს
ბრბო დასცინოდა, როგორც სჩვევია:
უსტვენდნენ, ენას უყოფდნენ
და უწმანურ სიტყვებს ესროდნენ.

მათ შორის იდგა ერთი ქალწული,
ტურფა და წმინდა,
როგორც მზის სხივში მოციმციმე
ცვარი დილისა.

როცა ჭაბუკი მას გაუსწორდა,
მხოლოდ იმ ერთმა მიაძახა: „გზა
მშვიდობისა!“

აი იმ დღიდან კარებს, რომელსაც
მძიმე ბოქლომი, მედალივით,
მკერდზე ეკიდა, —
უცხო გრძნობამ მიუკაკუნა!

იაიმც დამიტირავდა

ძლიერ მიყვარხართ სუყველა,
ბუნების შევინო, გულითა...
ფრთები მესხმოდა,
არწივი

როცა ცას ცეკვით უვლიდა.
ერთს ვნატრობ:
როცა მოგკვდები,
ნუ დამსჯით თავ-პირ ცემითა:
იაიმც დამიტირებდა
თავის ალალი ცრემლითა;

ჭიუხში შურთხმა ზარი თქვას,
ძმანი შეყაროს ავზედა
და უღრან ტყეში დამმარხონ,
მუხა რომ მედგეს თავზედა!

აოჯი — ღირსი...

ლურჯა ცხენთა პატრონი იყო
ღირსი ტარების
ამ სახელის;
ცივ დღეთა შორი გამოდარების.
სხვამ რა იცის, სად არის ჭკდე
სამოთხის კარების,

ან ალერსის სიმძაფრე მშვენიერი
ქალების.
დიდი თრთოლვის გარეშე
ერთი სიტყვაც არ უთქვამს.
ბოლოს ლურჯა ცხენებით
უშორეს გზას გაუდგა.



ერთეულთა ახირებას შინდოგილი სხოვრება

სემად მოეძალა, აღარც წიგნის კითხვა შეეძლო, აღარც ოცნება, რადიოც ხმაჩაწყვეტილი იყო, სხვა გასართობი კი არ გაჩნდა. ამის ვარდა, ქუჩაც მიწყნარებულყო და მობინადრენიც.

„რა დამაძინებს...“ უნებლიეთ შეაფრჳოლა. ოთახს რატომღაც ვაოცებულნი მზერა მიმოაფლო და ცნობიერებაში ჩვეულებისამებრ გაუსხლტა: „მხდალი ვარ, მხდალი...“

...ეს შხამიანი ეჭვი წლების განმავლობაში უღრღნიდა გულს და გულმოდგინედ უმტკიცებდა თავის თავს, რაც აღაშფოთებდა, სიფიცხეს შემატებდა, ყოველივე ის, თითქოსდა შიშს ჰკვირიდა.

საერთოდ, ზედმეტი ხმაურისა და აყალმაყალის მოძულე გახლდათ. მობაეჭრესთან მშვიდი კილოთი შესიტყვებას ამჯობინებდა, ოღონდ შემდეგ, განმარტოებულს, ის ეჭვი ცნობიერებას დაუსერავდა: „მხდალი ვარ, მხდალი... თორემ ერთხელ მაინც რატომ არ შევუყვირე, მან ხომ აღიმაღლა ხმა... მხდალი ვარ, მხდალი...“

არც ქალიშვილებთან ურთიერთობის დამყარებისას იჩენდა სითამამეს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათ წინაშე იმ ქარავმუტობისა და თავხედობის გამოჩენა არ შეეძლო, რომლის მეშვეობითაც ბევრი ვაჟი გასაოცარ წარმატებებს აღწევს სამიჯნურო თუ სააშოიო საქმეში. აჴაც იმ თავის „სიმხდალეს“ სდებდა ბრალს.

თყო წუთები, როცა იმ ეჭვებით გონებადასეტყვილს ეგონა, ათასგვარ სისულელეს ჩაიდენდა თავისი სიმაჴაე რომ დაემტკიცებინა, მაშინ იქნებ ვინმე ბუმბერაზიც გამოეწვია ჩხუბში, მაშინ იქნებ ვიღაც უცნობი, გამომწვევად მომხიბვლელი ქალიშვილისთვისაც კი მოეხვია ხელი, მაშინ იქნებ... მაგრამ, საბედნიეროდ, იმ წუთებს მამაცურად უმკლავდებოდა.

ერთხელ, სამსახურიდან გვიან ღამით ბრუნდებოდა. ქუჩის გადასახვევთან, ის იყო სახლისაკენ უნდა აელო გეზი, რომ შორიახლოდან ქალის მოკლე, წამიერი შეკივლება მოესმა. მერე ერთ-ერთი შენობის ჩაბნელებულ კუთხეში ვიღაცებს მოჴკრა თვალი.

„ჴმ, შეშინდი, ჴმ, მიიტურწები!...“ ჴიქურ მიაშურა იმ ჩაბნელებულ მხარეს.

— შეჩერდი, საით მიალაჴებ! — შეუძახა ვიღაც მამაკაცმა გულმოდგინედ, როცა იმ საეჭვო ადგილს მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაჴკრა. არც კი მიუხედიო, ისე გაჴანდა წინ და ორ ვაჟს, რომლებიც კედელზე აკრული ქალისათვის სამოსის შემოკლას ღამობდნენ, თავდაუზოგავად ეძგერა, თან ქალს შესძახა:

— გაიქეცი!
მამაკაცებს დამსტარი ქალი, მართლაც გაიქცა, ოღონდ რატომღაც ხმა არ გაუღია.

იგი კი, სამეულის რკალში მოხვედრილი, ვაშმაგებით იგერიებდა დარტყმებს. ბოლოს, ორის მარჯვენა ერთდროულად იგდო ხელთ და იმ ორს მარჯვედ

ჩატარებული ილეთების წყალობით გაქცევა აფიქრებინა.

— შეეშვი რა, ძმა, იმ კახბის გულისთვის მკლავ?! — შესჩივლა მესამემ და სუნთქვაგახშირებულმა, ისე მიიჭლო მკერდზე ხელი, თითქოსდა სულს დაფავდა.

უძალ მიხვდა, მთვრალ კაცთან ჰქონდა საქმე.

— მეორედ არ შემხვდეს!.. — დაუფიქრებლად გააფრთხილა, წესიერად არც კი შეუთვალა იერებია, ისე გაუყვა თავის გზას.

— აგრე, შე კაცო... — დაუმაღლა მან, — რომ იცოდეს ვისთვის იკლავდი თავს...

არ შეპასუხებია.

„შენც ერთი, თავი გამოიჩინე რა...“ აფუსფუსდა გონებაში იმ ეკვის მონათესავე ეკვი, „გულმა გიგრძნო, მთვრალეები რომ იყვნენ... ჰმ, აბა, კახბისთვის თავს ხომ არ გაწირავდნენ. იქნებ ის დედაკაცი წყევლასაც ვითვლის, იქნებ ძალადობას მიჩვეულია, იქნებ სიამოვნებს, როცა...“ დ-ურდებლად გადააფურთხა და თავისთავს შეუქურთხა.

მერე იმ ეკვს სხვა ეკვიც დაემატა. ეკვი, სხვისი სიმხდალის წყალობით მოპოვებულ გვირობაზე.

არა, მშისარა ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ ზედმეტ სახელად, თითქოსდა ალერსით, რატომღაც „მშისოს“ ეძახდნენ.

ახოვანი, მიმზიდველი შესახედაობის ვაჟაკი იყო და განათლებაც საკმაო ჰქონდა, მაგრამ ეკვი, რომელიც იმ ზედმეტი სახელიდან იღებდა სათავეს, ვერასგზით ვერ დაეძლია, რის გამოც ზოგჯერ სხვების დამალულად დამთხვეულივით იქცეოდა.

ზედმეტი სახელი კი... რისი, ან ვისი წყალობით დაისაკუთრა ეგ ზედმეტი სახელი, დღესაც არ იცოდა. უბრალოდ ერთ დღეს სკოლაში მისულს, რომელიც თანაკლასელმა მშისარა დაუძახა, სხვა თანაკლასელმა — მშისო. თავდაპირველად გაოცდა, თანაც იფიქრა, მეხუმრებინაო და გაბრაზება არ

უტოვია, ბოლოს, როცა ამხანაგმა მშისარა გზე მიკრული ფურცელი, რომელზედაც „მშისო-მშისარა!“ მსხვილ ასოებით ეწერა, დემონსტრაციულად ააძრო, ის გაოცება გახელებად ექცა და საეჭვოდ მოხითხითე თანაკლასელი ბიჭი საცემრად გაიმეტა. მერე უმეტესობა ამ სახელს ალერსითა და პატივისცემით ეძახდა. თავად კი ვერასგზით ვერ მიმხედარიყო, რით გამოეცხიდა არჩადენილი სიმხდალე. თანდათანობით ის ეკვი ჩაუბუღდა სულში და დროთა განმავლობაში იმ სახელსაც შეეჩვიდა.

...„დედაც, რომ მშისოს მეძახდა. ბიძაშვილებიც... ალბათ გაკვეთილიდან გაპარვაზე თუ ვთქვი უარო... არა, ნაღდად მხდალი ვარ, მხდალი... ერთი მაგის...“ ძალისძლად ვაგულისდა, მარჯვედ შებრუნდა და საწოლს მიაშურა.

ლოგინში ჩაწოლილს ძალზე სურდა, არაფერზე არ ეფიქრა, უნებურად სიჩუმეს მიუვლო ყური და უცებ მოეჩვენა, თითქოს ოთახში მის გარდა კიდევ იყო ვიღაც.

გაირინდა, სიბნელეს მიაქცერდა.

კართან ადამიანის მსგავსი, ფორმაცვალეზადი სილუეტი დალანდა.

შეცბა, ალბათ შეშინდა კიდევ, ფრთხილად წაიღო ხელი სკამზე გადაკიდებული შარვლის ჯიბისკენ, სილუეტისათვის მზერაძოლუშორებლად ამოიღო საეკვი დანა, ვახსნა და დამთხვეულივით წამოეარდა ზეზე.

დამაბული გვერდივევრდ წავიდა კედლისაკენ, ნაჩქარევად მოქებნა ჩამრთველის დილაკი და სინათლე აანთო.

ოთახში არაეინ იყო, მაინც ვაფაციკებით მიმოათვალეირა იქაურობა, მერე თავისუფლად ამოისუნთქა, გაილიმა, ეს რა მომეღანდაო, — გაიფიქრა და თავი შეაქანა. დანა ისე სწრაფად დაკეცა, თითქოს რაიმე სამხილი მოსპო, მერე სინათლე ჩააქრო და თამამად გააბიჯა, დანა ისევ შარვლის ჯიბეში ჩაიღო, ლოგინში ჩაწვა, საბნის კიდები გულმოდგინედ ამოიკეცა და შეეცადა დაეძინა. ამაოდ, საშინლად ემძიმებოდა თვალების დახუჭვა.



ოთახში ვამეფებულე სიბნელე მო-
რეგსავით ტრიალებდა. ტორტმანებდა
მის წინ, იღუმალეებით მოცული სიჩუ-
მე კი ყურებში შარიშურობდა.

სხეული ნელ-ნელა დაეძაგრა. სუნ-
თქვა წაერთვა, გულისცემაც კვლავ ეჩ-
ვენა, ოთახში მის გარდა, კიდევ იყო
ვიღაც. კვლავ დალანდა კართან აღა-
მიანის სილუეტი. იდაყვებზე წამოიწია
და მიაშტერდა.

„ჩემკენ მოჩოჩავს“, — გაიფიქრა და
შეაძგამა. გაუბედვად წაიღო ხელი
შარვლის ჯიბისაკენ, დანის ამოღების-
თანვე საწოლიდან ვადმოხტა, უკანსე-
ლით წავიდა კედლისაკენ და თან დანა
გახსნა, როცა კედელს ზურგით მიეყრ-
დნო, აზრმიუტანებლად მოჰყვა ზედ
მარცხენა ხელის ფათურს, რათა სინათ-
ლე აენთო. უშედეგოდ... მუხლები
მოეკვეთა, ეგონა, ის ვიღაც, სადაც
იყო, ეძგერებოდა. მალე ალბათ იღრი-
ალებდა... ბედად, თავით ჩამთვევის
ლილაკს მიაწვა.

სინათლე აინთო. ოთახში არავინ იყო.
სწრაფად მიმოავლო თვალი ყველა
კუთხეს. მერე დაიჩოქა, საწოლის
ქვეშ შეიხედა, ოდნავ დამშვიდებული
წამოდგა. „თფუ!“ წამოიძახა, არ გადა-
უფურთხებია ისე. ფეხაკრეფით მივი-
და კართან. ხელი სახელურს მოსჭიდა,
მისწი-მოსწია, კარი დაკეტილი იყო. ახ-
ლა მთელი მკერდით შეეძლო სუნთქვა.

მერე ფანჯარასთან იდგა, ხარბად
ისუნთქავდა სივარეტის კვამლს და
ცდილობდა, იმ მოლანდებზე არ ეფიქ-
რა... სივარეტი რომ თითებშუა ჩაეწ-
ვა, იგრძნო, შეცივებოდა. თანაც მიხვ-
და, ფანჯარას აფარებული სიბნელი-
სათვის თვალის გასწორება უძნელდე-
ბოდა. შებრუნდა და საწოლისაკენ წა-
ვიდა. დანა, რომელიც აქამდე ხელში
ეკავა, დაუკეცავად დადო სკამზე. მერე
რატომღაც შერცხვა, სინათლის გამორ-
თვას რომ არ აპირებდა და გეზი იც-
ვალა.

ლოგინში სიცივისაგან შეწუხებულ
კაცს დაემსგავსა. თავი საბანში ჩაჰყო

და ხელების ორთქვლას მოჰყვა. მე-
რე მარცხნივ გადაბრუნდა და ფეხებზე
სახსავი დაიწყო. გულმოდგინედ ცდი-
ლობდა ეჩვენებინა საკუთარი თავისათ-
ვის, რომ სხეულის გათბობის მეტი
არაფერი აინტერესებდა, მაგრამ მოუ-
ლოდნელად მთელი არსებით შეძრწუნ-
და. ეგონა, ის ვიღაც საცაა ზურგზე
დამაცხრებოდა. ორივე ფეხი მძლავრად
ვაიქნია, გადმოტრიალდა, ხელები საბ-
ნიდან ამოყარა და მარჯვენათი დანას
სწვდა.

მერე წუთზე მეტს იქნევდა აქეთ-
იქით დანიან ხელს და ნახუბარი კაცი-
ვით ქშინავდა. როცა დაცხრა, სიბნე-
ლეს უსწორა თვალი.

....ხანდახან ვეღარ არჩევდა სიბნე-
ლეში სანახევროდ გათქეფილ მთლა-
ნდებს, მხედველობა ენისლებოდა,
ეჩვენებოდა, თითქოს იგი მისკენ მო-
ცოცავდა და დანიანი ხელით „თავდა-
ცვას“ იწყებდა.

მალე გულიანად ხარხარებდა, თან
ცდილობდა, მხედველობიდან დაკარგუ-
ლი სილუეტისათვის მოეკრა თვალი,
ხოლო დალანდა თუ არა, მხიარულად
შესძახა:

— ხელები მალლა!

მოჩვენება გაქრა.

— აჰა, სიცილის შინებია, — კმაყო-
ფილებით თქვა, დანა სკამზე დააგდო
და საბანში შეიფურთხა.

უკვე აღარ აფრთხობდა სილუეტის
დანახვა.

— ხელები მალლა! — ღიმილით შე-
სძახებდა და მოჩვენებაც ქრებოდა.

ჩასთვლიმა.

....ესიზმრა, თითქოს ვიღაც მკერდზე
შეაფრთხობდა, ვეებერთელა ხელები კი-
სერზე მოაქვო და ახრჩობდა. სუნთქვა
თანდათან უჭირდა. ეწადა, ვინმესთვის
საშველად ეხმო, მაგრამ პირიდან ხავი-
ლის გარდა, არაფერი ამოსდიოდა.

ჯანრი გომეზვილი

ეროთულთა ახიზებას მიხედოილი
ცხოვრება

სხეული ვაჟიშვილი და წაწვედილოდ მოემზადა. საკვირველი ის იყო, გრძნობდა, რომ ძინა და ვალეძებაც ცდილობდა... როგორც იქნა, გაახილა თვალი... კვლავ უჭირდა სუნთქვა. მიხვდა, საბნის კიდე ებჯინებოდა კისერზე და ეს ვულავდა. სწრაფად ჩასწია ქვევით და შეება იგრძნო. სუნთქვა დაიწყნარა, სიბნელეს გაბედულად წააშტერდა და როცა კარის პირდაპირ ადამიანის სილუეტი დილანდა, ავღებულად შესძახა:

— ხელები მიღალ!

სილუეტი არ იძვროდა
— ხელები-მეთქი!.. — ძრონიულად გავცინა, — აბა ჩქარა, სანამ საღი ხარ! სილუეტმა ზანტად წამოსწია ხელე-ბი.

— ჩავარდი... — სიცილს უმბატა, — რის გაშტერებულხარ, აბა აორთქლდი, აორთქლდი და მეორედ აღარ დაგინახო. სწრაფად!

სილუეტი უმაღ შებრუნდა, კარი გააღო და ოთახიდან გავიდა.

ფეხის ხმაც ვაიგონა და კარის ვალე-ბისაც, რამაც კიდევ უფროთ ვაამხიარუ-ლა.

„ნეტავ წაიდან იწყება სიზმარი?“.. კვლავ ვულიანად იცინოდი და არც სიმ-არტოვეს გრძნობდი, მით უფრო შიშს. უცებ კარი ისევ გაიღო. სილუეტმა ოთახში დინჯად შემთაბიჯა, ჯიბის ფან-არი აანთო და მისე უუქი პირდაპირ სა-წოლს მიაბჯინა.

დამფრთხალი ერთიანად წამოიმართა, საწოლიდან ვალეძობტა და იმ მხარის კედელს მიაშურა, რომელზედაც ჩამ-რთველი ეგულეობოდა.

— ხელები ზევით! — შესძახა ნათუ-რის ანთებისთანავე.

ვამხდარმა, სახედალარულმა და თმა-გაცვერლომა კაცმა ხელები წამოსწია და აბიბიბოდა.

— ვინ ხარ, აჟ რა გინდა? — რატო-მლაც ალტყინებით თქვა და უცნობისა-კენ თამამად ვაბიბოდა.

— ვერ მიცანი? — სევდიანად ჩაი-ლაპარაკა, — შენ ხომ მშიშო ხარ, თენ-ვიზ დაეითაშვილი.

— ჰო, მშიშო ვარ, მშიშო... მშვიდილდ უბასუხა რაღაცბა კმაყოფილი-მა.

— მშიშო... კარგად ეღერს, არა?, ამიტომ ხომ არ მიგაეიწყდა ნამდვილი სახელი... — ხელეში დაუშვა და თვა-ლები აუციმიმიდა.

არაფერი უბასუხია, უცნობის თვა-ლები ეცნურა და იმათ დააკვირდა.

— გია, როგორ, საიდან?! — უნებ-ლიეთ შეშინებულს დაემსგავსა.

— კიდევ კარგი, რომ ვაგასენდი, მე ხომ სკოლაში ყველაზე შეუმჩნეველ-არსება ვიყავი, ჩუში, სუსტი... — მან უკან დახსია და სკამზე არბეინად დაჯ-და, — ეს მეგრე ვიწყებ დაგროვილი ბოლ-მის ვალეძობთხევა. ალბათ ვაიგებდი, რომ ვიჯექი, რვა წელი სხვადასხვა ციხის კედლები ვხეხე, ალბათ შენმა ცოდვამ მიწია... — მან კვლავ ჩაიხიბითა — ჰმ, მაინც რამხელა თაღლითი ყოფილა. იასონა ნოქარი, რამხელა თაღლითი, რა მოხერხებულად შეგარქვა სახელი-ჯალათი, მეც მოხერხებულად ვამე-ადა თანამზარახველად, ის ფურცელი მშიშარა-მშიშოთი მე მოგაწებე ზურ-გზე. პატარა ბიჭებსაც მე ვასწავლიდი შენთვის მშიშო-მშიშარა დაეძახათ, ეგ იასონმა და მე შეგიჩინეთ სულის მღრღნელი... — რატომლაც სახე გე-ბაღრა, ყოფილი თანაკლასელი ნიშნის-მოგებით შეათვლიერა.

— იასონმა და შეენ?! — გოგნე-ბულს თავადაც ვაეღიმა.

— ჰო, იასონმა და მე... იასონს ჩანაფიქრს მე შევასხი ფრთები, რისთ-ვისაც იგი ათმანეთიანებით მასაჩუქრე-ბდა, სულ ათვერ დამასაჩუქრა ტკი-ვინა ათმანეთიანებით, ასი მანეთი კი მაშინ, წამოყვინჩილბებული ბიჭისთვის, დიდძალი თანხა იყო, ჩემო ძმაო, გასა-კვირია, რატომ გაისარჯა ასე... მახსოვს, ბოლო ათმანეთიანი რომ მომცა, ჩატა-რებული ოპერაციის შედეგით კმაყო-ფილმა ჩაიბურღლუნა — ეგდოს ახლა და ივაეკაცოს, ეგ სახელი ჯალათივით აწამებს, არც მოკლავს და არც დაარ-ჩენს, სიცოცხლეს მოუწყამლავს, და-



ჩაჩანაკებს, ღღინს გააცლისო, მაინც რა ასიამოვნე ეგეთი?... ბოლოს ათმანეთიანებით რომ დავტყვი, თითქოსდა გონს მოვეგე და ვუთხარი, თენგიზ გაბედული ბიჭია და მშიშარა რაზედ შეარქვითეთქი. მე კი არა, შენ შეარქვი, არ გაგიგონ, თორემ ცხემში გიკრავენ თავსო, გამაფრთხილა და დაიქაღნა, იასონი არავის აპატიებს ვაჰამპულუბასო. მაინც რა ასიამოვნე ეგეთი?! იქნებ მამაშენს იყო გადაკიდებულნი?... ჩიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა — ჰმ, ღიდი ფსიქოლოგი და ღიდა სადისტი ყოფილა იასონა ნოქარი. ამ სახელმა-ჯალათმა, ეტყობა, მართლაც ღდინი გაგაცალა — იგი გამომწვევად მიაჩერდა უკვე საწოლზე ჩამომჯდარ ყოფილ თანაკლასელს — მე კი რალაც ჯანდაბად ინტელექტი გამოვდექი... მივხვდი თუ არა, რა გილიოტინა გაგიმზადა იასონმა, მოსვენება დაეკარგე — მან უცებ მოწყვეტით მილულა თვალები და გაიჩინდა.

იგი კი, სანაპიროზე გამორიყული უცხოშიწელივით გონს მოსვლას და ორიენტირებას ცდილობდა.

„იასონა ნოქარი... იასონა ნოქარი...“ ცნობიერება მახსოვრობის ცხრაკლიტულისაკენ მიიღტროდა.

...გაქცეულს როცა წამოეწია, უკვე გვიანი იყო. ბიჭს მოესწრო მითვისებული ფულის დამალვა. მხრებში მონრილი მირბოდა.

— თენგიზ, შეჩერდი! — უთხრა კაცმა, არ უყვირიო.

ბიჭი შედგა და გაბედულად შეხედა — თენგიზ, რატომ გარბიხარ? — ორიოდ ნაბიჯი კიდევ გადადგა კაცმა და შეჩერდა.

ბიჭმა არაფერი უპასუხა.

— რატომ გარბიხარ-მეთქი?

— ისე, მომეხასიათა, — თამამად უპასუხა ბიჭმა და გაუღიმა.

კაცმაც გაუღიმა.

— ჩემგან რამე ხომ არ წამოგიღია? — საეჭვო აღერსით ჰკითხა.

— რა უნდა წამომეღო?! — ფული, ასი მანეთი იღო დახლზე.

— ასი მანეთი?! — გამხდარი სახე დაეძაბა ბიჭს.

— ჰო...

— თვლითაც არ მინახავს, — ბიჭს კვლავ გაეღიმა.

— თენგიზ... — წამოიწყო კაცმა.

— არ ამიღია, — უკმებად უპასუხა ბიჭმა, — არ ამიღია შენი ასი მანეთი!

— აბა, რაზე ვარბოდი?

— ისე, ტყუილად, გაქცევა მომინდა.

— ეეჰ... — ამოიოხრა კაცმა, — იქნებ აიღე, აა?..

— არა-მეთქი...

კაცი მოიხარა და ბიჭს მხარზე მოჰკიდა ხელი. ცდილობდა, რაც შეიძლება, კეთილი გამომეტყველება ჰქონოდა.

— მომეცი და მე თავად მოგცემ. რამდენი გჭირდება?

— არაფერიც არ მჭირდება.

ბიჭი საკმაოდ უკმები იყო, უნდოდა, კაცი გაებრაზებინა, მაგრამ იგი საოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

— მომეცი ფული, არ გრცხვენია...

ბიჭმა გზა ვანაგრძო.

— რაც არ მაქვს, რა მოგცე, — რა მდენი გჭირდება? — მხრები აჩჩეჩა.

კაცს გაეცინა, ბიჭის სერიოზულობამ გააცინა.

ერთხანს უხმოდ მიაბიჯებდნენ. მერე კაცმა უცებ წაავლო ბიჭს მკლავზე ხელი.

— მომეცი, თორემ მილიციამი წაგიყვანს! — შესძახა და ჯიბეები სწრაფად მოუსინჯა.

ბიჭი მშვიდად იდგა და ილიმებოდა, ალბათ უნდოდა, კაცს მოთმინება შემოხარჯოდა.

კაცი ლამის იყო, გაბრაზდა, მაგრამ მაინც წყნარად უთხრა:

— მომეცი ფული!

ბიჭი ისევ ილიმებოდა.

— რამდენი გინდა? — ინტერესით ჰკითხა.

ჯანრი გოგაშვილი
ერთეულთა აზიზებას მიხედობილი
ცხოვრება



— ასი მანეთი.

— მაგდენი არ მაქვს — დინჯად უთხრა ბიჭმა, — მანეთი თუ გეყოფა?

— მასესხებ, არა?.. — კაცი ახარხარდა. მერე უცებ შეწყვიტა სიცილი, — ცუდია, ცუდი... უნდა გრცხვენოდეს... — უთხრა და მსუქანი სახე ამახრზენად დაემანჯა.

— სირცხვილით შენ უნდა გრცხვენოდეს, ფულს შენ ტაცებ ხალხს... — ჩაილაპარაკა ბიჭმა და ნელა გააბიჯა.

მხრები გაშლილად მიჰქონდა, თავი მალლა აეწია.

მაშაყაცი მიხვდა, რისი თქმაც უნდოდა ბიჭს და ერთბაშად აენტო.

— გცემო? — მაჭაში წვდა და შემოატრიალა.

ბაჭმა ზიზღით შეხედა.

ამან კინლამ გააგოეა კაცი.

...მერე მათი საუბარი საშინლად უთავებოლო იყო. ერთი ფულს სთხოვდა. მეორე უარს ეუბნებოდა.

ქუჩაში მოსიარულენი ცოტანი იყვნენ და ხელსაც არაეინ უშლიდათ ეკამათათ. თუ ვინმე დაინტერესდებოდა, კაცი უმალ იცვლიდა საუბრის კილოს და სახის გამომეტყველებას. ეტყოზოდა, მომხდარი ამბის გახმაურებას უფრთხობდა. ბიჭი გრძნობდა ამას და უფრო ემატებოდა სითამამე.

ბოლოს კაცს ნებისყოფამ ულალატა. ხელი ჩაიქნია და წავიდა, წასვლისას კი ბიჭს ღიმილით უთხრა.

— განანებ, ოპ, როგორ განანებ... — მანანე... — ღიმილით შეეპასუხა იგი.

კაცი რომ მოსახვევს მიეფარა, ბიჭმა წელზე შემორტყული ბრტყელი ქამრის ქვემოდან, სამად მოკეცილი, ტკიცინა ასმანეთიანი გამოაძვრინა, რიდიტ დახედა და ჯიბეში ჩაიღო. ქურდის ქურდი ცხონებულთაო, გაახსენდა ვიდაციის ნათქვამი, მაგრამ მაინც შერცხვა. თითქოს ახლა იგრძნო, ფული რომ მოიპარა. მიხვდა, ჩაფიქრებული „არსენობის“ მაგივრად თაღლითობა გამოუვიდა. მიხვდა და შეწუხდა. ჯიბეში ჩადებულ ასმანეთიანს თითებით დაუწყო წვალე-

ბა. ახლა იგი სრულყოფილ იმ კაცთან თავხედურად მოლაპარაკებოდა. თითქოს მოტეხილიყო... „იმას კულტურულ ქურდს ეძახიან...“ გაიფიქრა კაცზე, „მე კი...“, ერთხანს თავი ვეღარ მოაბა აზრს „მე ხომ ფული მის თვალწინ, პირდაპირ დახლიდან ავიღე. ეს იყო, წამით სანაგარიშოს ჩააჩერდა და... მოპარვა სულაც არ მინდოდა, წართმევა, ჰო... მერე შემეშინდა და გამოვიქეცი... ვერც ის მივახალე პირში, წაგართვი-მეთქი, ვერ მივახალე. ვიქურდი...“

თუმცა იმას ათასები მართებს ჩვენნი. ჰო, მაგრამ მეც თუ ქურდის სახელი დამერქვა. დედამ რომ გაიგოს... იქნებ მართლა იქურდაო, რომ დაეკვდიდეს?.. შეწუხდა ბიჭი, ძალზე შეწუხდა. მხატვრული ლიტერატურის კითხვა უყვარდა ბიჭს. სათავგადასავლო ლიტერატურას და ხალხურ ზღაპრებს ყველაზე უფრო ეტანებოდა... დაცხრათაეინ გველემზაჰად არა, მაგრამ იმისდაგვარ ბილწ არსებად კი მიაჩნდა ის კაცი. რაინდობა ეწადა და მისი კლანჭებიდან მშობლის „განთავისუფლება“. „არსენობა“ ეწადა და ქურდობა კი გამოუვიდა. შეწუხდა ბიჭი, ძალზე შეწუხდა. „არა, წავალ და დავუბრუნებ...“ გადაწყვიტა ბოლოს. მაგრამ უმალ გაახსენდა, დედამისი მოშალე ზამთარშიც ძველისძველი, გახუნებული პალტოთი რომ ივლიდა და სიბრაზე მიეძალა. „ორმაგი ფასი რომ არ გადაეხდევინებინა იმ ჩემს მოსწავლის ფორმაში, დედაჩემი თავისთვლსაც იყიდდა რაიმეს... უპ, ეგ წამგლეჯი...“ ცდუნება დიდი იყო ფულის თავისთან დატოვებისა, მაგრამ ბიჭს დაღწევილი ჰქონდა, იმ კაცთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოსულიყო დარაც შეიძლება სწრაფად მოეშორებინა ტკიცინა ასმანეთიანი.

ქუჩის ბოლოს დაბალ სკამზე ნახვრად უსინათლო, შავოსანი დედაბერი იჯდა. წინ მზესუმზირით სახეც პატარა ტომარა ედო. ბიჭი დედაბრის წინ შეჩერდა. რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ სა-

საერთაშად გაუშრა. სიტყვაც ვერ დასძრა. მარჯვენა ხელი ისევ ჯიბეში ჰქონდა, ამიტომ მოიხარა თუ არა, მარცხენა ხელით სწრაფად აიღო ტომარაში ჩადგმული მზესუმზირით სავსე ჭიქა და შარვლის ჯიბეში ჩააპირქვევა.

— ფული! — შესძახა შეშინებულმა დედაბერმა.

ბიჭმა სწრაფად ამოიღო ჯიბიდან მარჯვენა, რომელშიც ასმანეთიანი ჰქონდა მომუჭული, ფული ჭიქასთან ერთად ტომარაში ჩაავლო და გაიქცა.

ბიჭი უკანმოუხედავად მიიზბოდა. ახლა ბევრად უფრო თავგამოდებით მიიზბოდა, ვიდრე მაშინ, როცა კაცი მისდევდა.

— გულბრძო და ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მოყვარული კაცი ყოფილა იასონა ნოქარი... — ისე შვებით ჩაილაპარაკა მოძალებელი განცდების ნეშეგობით, თავის თავში ჩაყურულმა, თითქოს, როგორც იქნა, იმ მახსოვრობის ცხრაკლიტულის ბოლო კარი შეამტვრია.

ღამეული სტუმარი ძალისძალად, არაქათწართმეულივით ახითხითდა.

— მეც ისე დამემართა... ხომ გავიგია, ყველა ბოროტმოქმედი თავის ნაცოდვილარ ადგილს თუ მსხვერპლს მოინახულებს: ციხეში გაგისხენებდი და გული შერეოდა... არადა, ასეთ საქმეს ოხერი გამომძიებელიც ვერ აგვიდებს. კანონით არ სჯიან ასეთი რამისა-თვის. კარგა ხანია გითვალთვალებ, თითქოსდა იასონას ექსპერიმენტს მე ვაგრძელებდი. ადრეც შევნიშნე, შენს თავს რომ აღარ ეკუთვნოდი, მაგრამ ამ ღამით მართლა დამთხვეულივით

იქცეოდი. გავიგე დედა გარდა-გცვლია...

— ჰო, მართოდ ვცხოვრობ...

— უნდა დაქორწინდე. და თუ ამ ქალაქსაც მიატოვებ, არც ის იქნება ცუდი. სანამ გინდა ეგ შედმეტი სახელი ჯალათივით თან დაგყვებოდეს... ეს შემდეგ, ახლა შურისძიების დრო დაგოდვა, იასონი კარგა ხანია იმ ქვეყანას მიზარდა, მხოლოდ მე შეგერჩი, მიდი, ამ ცოდვის მონანიებაც შემაძლებინე...

— რადანაირად სულში დასვეული ექსტაზით წარმოთქვა მან.

თენგიზს გაცვინა. ჯერ კიდევ ეგონა, ღამისეულ ზმანებასთან ჰქონდა საქმე.

— ჰო, ამას მოფიქრება უნდა, და შოშმინდები და რაიმე ორიგინალურს მიძღვნე... — იგი ნელა წამოდგა, — განიტვირთე, განიტვირთე, ღმერთი იყოს შენი შემწე... — ჩაილაპარაკა ღვთის ჭეშმარიტი მსახურივით, თავი დაუქნია და უკან არც კი მიუხედა, ისე გავიდა ოთახიდან.

„იასონა ნოქარი და ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი, დაუჯერებელ ამბავს ჰგავს... ჰმ, ოდესმე ალბათ სამედიცინო კარიერაზე ოცნებობდა...“

— მშიშო... — უნებლიეთ ესიამოვნა ამ სახელის თამამად წარმოთქმა. ფანჯარასთან მივიდა და შავ ფარდასავით ჩამოფარებულ წყვილიაში შეპვრეტა ინდომა.

ახლა ამ ქვეყნიერების შეუცნობელ იდუმალეზაზე ფიქრობდა, „მშიშო, მშიშო...“ გულისძგერა სითბოდ იღვრებოდა და უკვირდა, გულუბრყვილოდ უკვირდა, ეს ცხოვრება რომ შემთხვევითობას და ერთეულთა ახირებას იყო მინდობილი.



სოლომონ სამხარაული

მკურნალი

ცნობილი საწოლ ოთახში შევიდა. ტყუ-
ბად მიღგმულ ტახტზე ბახვა გარდიგა-
რდმო წაპირქვევებულყო, თავი ბალიშ-
ქვეშ წაეყო, საბნის კუთხე ცხვირ-პირზე
წაებურნა და ხერინავდა.

— თუ, მოუსწრია, — ტუჩები აპრუწა
ციცომ: უკან გაბრუნება დააპირა, მაგ-
რამ კარი ღია დატოვა და ყომრატრელი
საბუების ბაკუნით სარკისკენ წავადა.
სარკის სიღრმიდან მისივე ლანდი მოუ-
ახლოვდა.

ციცომ თვალი ველარ მოსწყვიტა მის
მშვენიერებას, თითქოს პირველად ხე-
დავსო, ჯერ თავით ფეხამდე შეათვალი-
ერა, მერე ამოდ მოციმციმე თვალებს
ჩააჯერდა, ხან ერთს მოუსინჯა ჩაბინ-
დული სიღრმე, ხან მეორეს. გული ამი-
თაც ვერ მოიჯერა, შაქრისფერი ყელ-
კისერი წაიგრძელა და სახე ზედ მინის
წინ შეატრიალ-შემოატრიალა. ნაოქის
ან ლაქის ნატამალი არსად ემჩნეოდა. ახ-
ლა ერთი ნაბიჯით უკან დაიწია; მოსას-
ხამის ზედა საკინძე გაიხსნა, ორ-ორი
თითი საყელოს კუთხეებს ჩაავლო და
მზედაუკრავი მკერდი ნელ-ნელა გადა-
იღელა. გადატკეცილ გულისფიცარზე
ფოსო თანდათან ჩაღრმავდა. მის აქეთ-
იქიდან ბურცობის გვერდობები იერყო-
ლებოდნენ. ერთხანს გარინდებული იდ-
ვა. მერე ხელეები ოდნავ გაშლით ჩამო-
უშვა და წარწარა მოსასხამის ქვეშ
წერწერა წელისა და ვადგმული თემო-
ების კონტურს ჩააყთალა თვალი.

ციცო განსაკუთრებით თავისი ფე-
ხებით ამყობდა. მეტადრე მათი ვერ-
დიდან ცქერა უყვარდა. ახლაც შეტრი-
აღდა და ირიბად გახედა თავის ორე-
ულს. კოჭ-სახსრიდან წვივი ზომიერად
მსხვილდებოდა. მუხლისთავები ჩამოქ-
ნილი სანთლის კორძივით ემჩნეოდა.
კუნთოვანა სადრეკთან მდორედ ვიწ-
როვდებოდა... ციცომ მოსასხამის ბო-
ლო ზეგით-ზეგით ააცურა, შემსხვილ-
ებული ბარძაყის დანახვაზე რატომღაც
გაელიმა და სარკიდან საწოლზე გადმო-
კიდებულ ბახვას დაკლარწულ, ბანჯგე-
ლიან ფეხებს გახედა.

— ჩაგისკდეს მუცელი! — ქოქოლა
მიაყარა ტუჩების მანჭვით და ერთბა-
შად შეცბა. როგორ იგრძნო, ამას თეი-
თონაც ვერ გეტყოდათ, მაგრამ მიხედა,
რომ ბახვა გაგუდუღოყო.

— ვაიმე, დავიღუპე! — წამოიკივლა
ციცომ და ქმარს ეცა. საბანი ვადააძრო,
მხარში ჩააფრინდა, როგორც იქნა, გა-
დმოაბრუნა, პალსტუხი მოხსნა, განზე
მოისროლა, ნასწრაფოდ საყელო და
სამაჭურები შეუხსნა...

— ბახვა! — ჩასძახა ვაფოთებულმა
და შეინჯღრია.

ბახვამ ყრუდ ამოიკრუტუნა და სული
ისევ გაკმინდა.

— ბახვა! — უფრო ღონიერად შეინ-
ჯღრია და ლოყაში სილა გაულაწუნა.

ბახვა შეიმშუმუნა. ეტყობა, შვება იგ-
რძნო, ქარი ამოიღო, მერე ღრმად ჩაი-



სუნთქა, რამდენჯერმე ზედიზედ ამოკ-
შინა და სული მოითქვა. ჩახვითქულ
სახეზე თანდათან ფერი დაეწმინდა.
გვერდზე გადაბრუნდა, მოიბუხა და აბ-
უტბუტდა.

ციცომ ყური ტუჩებთან მიუტანა.
— ბორჯომი, ბორჯომი, — ლულუ-
ლებდა ბახვა. კიდევ უფრო მოიღუნა,
მარცხენა ფეხი საწოლზე გადადო, სა-
ბანი მოხვეტა, ლაჯებში ამოიდო და
ხერინვა ამოუშვა.

— მიწა დაგაყრი! — წაიბუზღუნა
ციცომ, სამზარეულოდან დაცვარული
ბორჯომის ბოთლი შემოიტანა, გახსნა
და თვეით დაუღდა.

ოთახში ოფლისა და მოძმარებული
ღვინის ბული დატრიალდა.

ციცომ სული შეიგუბა, ცხვირი აბ-
ზიკა და ხელით დაინიავა.

ისევ სარკესთან მივიდა. ის იყო კუბ-
რად შეღებილი თმა სახეზე გადმოიშა-
ლა, — ვიღაცამ ჭიშკარზე დააკაუნა.

— ეს ვინღა მოჩერჩეტდა, — თმა შე-
ისწორა, საკინძე შეიკრა და მომსვლელს
გახედა.

ჭიშკართან ვიღაც დიდცხვირა ახმახი
იდგა. ჩამომჭენარ სახეზე მიწისფერი
დაპკრავდა, ბრტყელ, სიფრიფანა ყურე-
ბში სინათლე გასდიოდა.

— უკაცრავად, — წაიდუღუნა უცნო-
ბმა, — ეჭიმი მინდა, აქ მომასწავლეს.

ციცოს სახე გაუნათდა. მაგრამ მაში-
ნვე მოიჭუფრა და, ცოტა არ იყოს, კუ-
შტად უპასუხა:

— ეჭიმი ისვენებს. მძიმე ოპერაციი-
დან დაბრუნდა და ეს-ეს არის, ჩაძინა.
ახმახი ჩაფიქრდა. არყის ხის როკიანა
ჯოხი მიწაზე გაუსვა და ნაკვალევს ჩა-
აქტერდა.

— დიდხანს იქნება მოსვენებაში?..
მოვიციდი. — თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— ტყუილად მოვიციდით, გაიღვიძებს
და ისევ ავადმყოფთან არის წასასვლე-
ლი.

ახმახი დაიღრუბლა, თავჩაქინდრული
იდგა. კეფაზე ნაბდის ქუდი წამოედო.
შავი ახალუხი ეცვა, გულზე წყვილი
ჯინით. ილიაში ამოჩრილ სათბილობ-

ელს აქა-იქ ბამბები გამოჩნდა. შარგ-
ლის ტრეტებზე წვივისაკრავები ამოეცვა.
კოსტად ამოსხმულ ქალამნებს ჰკინტა.
კები აქეთ-იქით გადაღრეცოდა.

— გასაგებია? — ჰკითხა ციცომ.
ახმახმა ხშირი წარბების ქვემოდან
გვერდულად გამოჰხედა.

— ძალიან გაჭირვებული ვარ, ეგებ
გააღვიძო.

ციცოს სახე აეტკრია.
— ავი გითხარით, დალილია, ხვალ
მობრძანდით, თუ გნებავთ, დილით ად-
რე, სანამ სამსახურში წავა.

ახმახი ისევ მიწას ჩაშტერებოდა,
ფეხს არ იცვლიდა. მარცხენა ხელი შა-
რელის ჯიბეში ჩაეყო და რაღაცას ჰმუჭ-
ნიდა.

— გასაგებია? — ჰკითხა ისევ ციცომ.
პასუხს აღარ დაელოდა. ნაბიჯი უკან
გადადგა და კუტი კარი სანახევროდ
მოხურა.

ახმახი ზღაზღენით გატრიალდა. ორი-
სამი ნაბიჯი რომ გადადგა, ისევ მობრუ-
ნდა.

— ქალბატონო, ბაყილოვანის გზის
გასაყართან დიდი ცაცხვები დგასო, სა-
იდან გავალ მარჯვედ?

ციცომ კარი გააღო, ახმახს დააცქერ-
და, უყურა, უყურა, თან რაღაცას სახ-
რავდა.

— მობრძანდით, — უთხრა ბოლოს
და გზა მისცა.

ახმახი სახტად დარჩა. ერთბაშად ვერ
მიუხვდა ნათქვამს და შეყოყმანდა.

— მობრძანდით, მობრძანდით
ახმახმა ჯოხი ჭიშკარს უკან მიაყუდა
და მასპინძელს მიჰყვა.

ვარდებჩარიგებული ვიწრო ეზო გა-
დაქტრეს, მარმარილოს ფილებგაპრილე-
ბული კიბე აიარეს და აივანზე ავიდ-
ნენ.

მასპინძელმა სკამი დაუდგა. თვითო-
ნაც იქვე, მუხის ვეება კოდში ჩარგულ,
ყვილიად დახუნძლულ ღმომონის გვერ-

სოლომონ სომხარაული
გაუჩინალი

დით საგარძელში ჩაეშვა, ფეხი ფეხზე
გადიდო და მოღიმარმა ჰკითხა:

— საიდან ბრძანდებით?

— ნარუალიდან გახლავარ.

— მეტყევე ხართ?

— არა, მწყემსი ვარ.

— ოჰ, მწყემსი?! — წამოიძახა ციცი-
ომ, — როგორ მიტაცებს მწყემსების
ცხოვრება. რამდენი რომანტიკაა. უსა-
ზღვროდ მხიბლავს ბუნების პეიზაჟების
ცქერა. განსაკუთრებით აისისა და დაი-
სის. აი, დანდნება მეწამული ფერი ცის
დასალოდრზე და ამ დროს სადღაც შო-
რიდან ისმის სალამურის ღულუნნი...

ახმახი მარმარილოს ფერადი კენჭე-
ბით მოოჰვიღ იატაკს დაჰყურებდა და
თავისთვის ანგარიშობდა: „ამის მასა-
ლებს, დასხმას, მოხეხვას, სულ ცოტა,
ხუთი-ექვსი ძროხის ფასი დასჭირდებო-
და, კიბესაც ამდენივე. ალბათ ცოტა მე-
ტრიც, ამ მოაჯირს... — თვალი გაადევნა
კიბესა და აივანს შემოვლებულ მუცელ-
გაბერილ ლანძეს — ნეტა რა დაჯ-
და ამის გაცემება?.. კობტად კია ნა-
კეთები. ყვავილებიც უხდება, ორი
ოთხი, ექვსი“... — დაუწყო დათვლა
ლანძეის თავზე შემოდგმულ ყვავილის
ქოთნებს:

... — კიდევ რა მაჯადოებს იტით, —
განავრძობდა ციცი. — ტყეში ხეტიალი
შებინდებინას. რა შემზარავია დაბურ-
ლი ტყის ღამეული ხმები...

— ეჰ, — ამოიოხრა ახმახმა, სათბი-
ლობლის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო,
მერე სხვა ჯიბეებიც მოიჩხრიკა, ასა-
თიცი იპოვა. არც კი მოუკიდებია, თავის
ფიჭებში წასული, სადღაც შორს იყუ-
რებოდა და სიგარეტს სრესდა.

ციცი გაჩუმდა. საზურგეზე გადაწვა,
ნეკაში შკლავზე ჩამოდო. ახმახის
ცხვირს უცქერდა და ნელ-ნელა ქანაობ-
და.

— ცოლ-შვილი გყავთ? — ჰკითხა
მოგვიანებით.

— ჰა, მე მითხარი რამე?

— ცოლი ხომ გყავთ-მეთქი.

ახმახმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ღვინობის თვეში ხუთი წელი შეს-

რულდება, რაც დამეღუპა.

— რატომ, რა დავმართა? —
— თირკმლებს იტკივებდნენ, გზა-
ვა საწყალი.

— მერე, მოგეყვანათ ბახვა სავიჩთან,
ყველას არჩენს.

— არჩენს? — გაოცებით გამოხედა
ახმახმა. ასანთი ანთო, სიგარეტს მო-
უკიდა, ძალუმაღ მოქაჩა, თან თვალს არ
აშორებდა ციცოს.

— ჰჰ, აქამდე არ იცოდით? — ქვე-
ყანამ იცის... ერთ შემთხვევას მოგოცე-
ვით, გახმაურებული ამბავია, ახლ ხ-ნ
მოხდა, მაგრამ, რაკი არ ვაგვივით...
ერთ-ერთ ცნობილ ბიროგენებას, გვარის
დასახელება საჭირო არ არის, ნეფრიტი
სტანჯავდა, — თქვენს მეუღლესაც ნეფ-
რიტი ექნებოდა, — სიცოცხლეს უშწარ-
რებდა. ვისთან აღარ იყო, სად არ ია-
რა, — მოსკოვში, ლენინგრადში, კიე-
ვი, საზღვარგარეთ და სად აღარ. უამ-
რავი ნაცნობი ჰყავს და ყველგან უშვე-
ბდნენ. მაგრამ საშველი არა და არ ჩან-
და, ბოლოს, უკიდურეს მდგომარეობა-
ში რომ ჩავარდა, კონსილიუმი დაუნიშ-
ნეს. მოიწვიეს ყველა ცნობილი პრო-
ფესორი, დოცენტი და მათ შორის ბახ-
ვა სავიჩი, როგორც ამ საქმის საუკეთე-
სო სპეციალისტი. სინჯეს, ითათბირეს
და ყველამ აღიარა, ვერაფერს ვუშვე-
ლითო. მაშინ ბახვა სავიჩმა საჯაროდ
განაცხადა: მე მოვარჩინო. ყველა გან-
ცვიფრდა, არავინ დაუჭერა, ბახვამ აე-
იდმყოფი გადმოიყვანა თავის პალატა-
ში, ოპერაცია გაუქეთა და სამ კვირაში
ფეხზე დააყენა.

ახმახს სახე დაეღრუბლა. იდაყვებით
მუხლებზე გადადებულ სათბილობელს
დაეყრდნო.

ციციმ იგრძნო, ზუსტად „დაადო ლა-
შანი“. მენდილურად ჩაიღიმა და განავრ-
ძო: — მთელი რაიონი ამას ლაპარაკობს,
ნუთუ აქამდე არ ვაგვივით... იმის შემ-
დეგ ის პიროვნება ჩემი მეუღლის მზეს
ფიცულობს. ყოველ ცისმარე დღე აე-
რთხავს ან შინ, ან სამსახურში, საჩუქრე-
ბით ვაავსო...

ახმახი კარგა ხანს დასცქეროდა თა-



— დღეს ძალზე რთული ოპერაცია გააკეთა, ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა. გაზარებულ ნათესავეებს რესტორანში წაუყვანიათ, საერთოდ არა სვამს, მაგრამ, ზომიერად, ჩვენი წესი, ერთი ორი კიბა მინც დაუღვინებიათ. ახლავე მოვა.

მოსრდილი ოთახი ავეჯითა და ხელსაწყოებით იყო გამოტენილი. ახმახმა მიიხედ-მოიხედა, რბილი სავარძლების გადასაფარებლები ისე ქათქათებდა, დანჯდომა ვერ გაბედა. უხერხულად იხლაზნებოდა.

დაბრძანდი, დაბრძანდი. — შეაგულიანა ციციმ. ჩვერი აიღო და ეურნალებს მაგიდას გადაუსვა.

პაციენტმა ზეწარი გადასწია და მუშამბავადაფარებულ ტახტს კიდევ ჩამოჭდა. ციციმ რუსული და უცხოური ეურნალებით დაბავებული მაგიდა მიუტურა.

— გადაათვალიერეთ, უკაცრავად. — მოიბოდიშა და ოთახიდან გავიდა. ზღურბლს არ იყო გადაცდენილი, უკან მოიხედა, მის ქალურ მზერას არ გამოპარვია, პაციენტმა დალოკოილი ხელეებით ეურნალები გვერდზე ომ ვააცურა და მაგიდაზე სათბილობელი დადო. ახმახმა თვალი შეასწრო ქალის გამოხედვას, სათბილობელი აიღო და მუხლებზე დაიდო.

ციციმ მალევე მობრუნდა, ხელში ეურნალების დასტა ეჭირა.

— სამედიცინო ეურნალები არც ისე საინტერესოა. აი, გაერთეთ.

მაგიდაზე „მოდა“ და „ჩეხოსლოვაკი“ ფოტო“ დააღაგა.

პაციენტს „ჩეხოსლოვაკი“ ფოტოკენ“ გაეჭა თვალი. ფერადი სურათიდან შიშველი ქალი ეკეკლუტებოდა. ეურნალი გადაფურცლა, შიდა გვერდზე გადაყველგან შიშველი ქალები ეხატა. კარისკენ მიმავალ ციციმს ქურდულად გახედა, ეურნალი დაეცა, გვერდზე გადადო და ოთახს დაუწყო თვალღერება.

ტახტის თავში ოდნავ წააცერებით ეგება მოჩუქურთმებული მაგიდა იდგარა არ ელაგა ზედ: წნევის საზომი,

ფონენდოსკოპი, სხვადასხვა ფეხსაცმელი, ლეფონის ორი აპარატი, ცალკე-ცალკე მარცხენა მხარეს ერთმანეთზე აკოკლებული წიგნები ეწყო, კედლის ძირას ყალზე შემდგარ ორ ლომს საათი ეჭირა, შუაში შავი მარმარილოს ფილა იდო. ფილაზე — გაბრეცილი სამკუთხედი, რომლის აწოწილ წვერზე მზხინავი რაკეტა წამოეცვია. სამკუთხედი მარცხნივ, ქრელთავიანი კალმები ერჭო. მარჯვნივ, დანაყოფებიანი ბურთი ბზინავდა.

ოთახის მარცხენა კუთხეში შემინული კარადა იდგა. ქვედა თაროებზე რალაც უცხადური ხელსაწყოები მოჩანდა; ზემოთებზე კი — დანები, მაკრალები, მომჭერები, შუშისსაკობიანი ბოთლები, უცხოური ჩამოს კოლოფები, საწვევები და კიდე რალა-რალიცები. კარადს აქეთ, კედელზე პირსახანი იყო მოწყობილი, მონიკელებული ოსკანით, და ეიწრო, გრძელი სარკით. ტახტის პირდაპირ კარადა იდგა, თელის მასალისა ჩანდა, სარკესავით პრიალებდა. მის გვერდით, ირმის რქის ჩხაზე თეთრი, ქათქათა ხალათები ეკიდა.

კედლებზე ვილაკ ხნიერი კაცების სურათები დაეკიდათ. ორი წვერმოშვებული იყო, ერთი — მელოტი. მელოტი უფრო ახალგაზრდად გამოეყურებოდა. ახმახმა, ის იყო ტახტის ბოლოში ჩხუტის მაგვარ რალაც დანადგარს დაადგა თვალი — აივანზე კაცის. ფეხის ხმა გაისმა. გვერდზე გადაიხარა და გაიხედა. მალამალალი, თხელი, ოამოც წელს მიტანებული, უჯრა-უჯრა კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი მოდიოდა.

„ალბათ ეს არის“ — გაიფიქრა პაციენტმა და ფეხზე წამოდგა.

ექიმი ოთახში შევიდა. პაციენტისათვის არც შეუხედავს.

— გამარჯობათ! — წაიბუბუნა ოდნავ მძღერი ხმით და ხელით ანიშნა, დაეჭიო. ხალათი ჩაიცვა და საწერ მაგიდას მიუჭდა. პაციენტიც დაჭდა. ექიმმა ეურმილი აიღო. მერე აპარატი ამოჩრილი მონიკელებული თითი დააჩ-

ხაყუნა და ყუბრძინი ისევ თავის ადგილზე დადნულად შლილი ბლოკნოტი მიიცურა, მარმარილოს ფილადან წითელთავიანი კალამი ამოაძრო და რალაცის წერა დაიწყო. ახლად დვარცხნილი შავი, ჯაგარა თმა ისევ სველი ჰქონდა, ქუთუთოები შემუშებოდა. დიდხანს წერდა, თავს არ იღებდა. დროდადრო შეჩერდებოდა, რალაცას მოიფიქრებდა და დაწერდა. მეწამული ფერის პერანგის საყელოზე კრელი, ზოლებიანი ჰალსტუხი მჭიდროდ შემოესალტნა. ჰალსტუხი ფართო იყო, ირიბი, ნაირფერი ზოლები ჰქონდა. კვანძის ძირზე ბრტყელი, ალისფერი ზოლი იწყებოდა, აქეთ-იქიდან ლაქვარდისა და ქარცის წირები დასდევდა, მათ ქვემოთ სამი თითის სიბრტყის ნარინჯოვანი ზოლი დადრადებდა, მერე ისევ ქარცისფერი წირები მეორადებოდა.

— გვარი? — გაისმა ოდნავ გაბზარული ხმა.

პაციენტმა მიიხედ-მოიხედა. მკურნალი თავისი წითელბოლოიანი კალმით ისევ თავჩაღუნული წერდა.

— მე მეკითხები? — ფეხზე წამოდგა პაციენტი.

მკურნალმა თავი ასწია, ბლოკნოტი დაეცა, მაგიდის მარჯვენა, შუა უჯრაში ჩაღო; ზედა უჯრიდან სხვა, უფრო მოზრდილი ბლოკნოტი ამოიღო და გადაფურცლა.

- დიად, თქვენ გეუბნებით!
- უძილაური, წიქა უძილაური, ხუ მარას ძე, მამაჩემს ხუმარა ერქვა.
- მკურნალმა ჩაიწერა.
- დაბადების წელი.
- თორმეტში ვარ დაბადებული.
- რას უჩივით?
- რა ვიცი, ვერა ვარ კარგად.
- გაიხადეთ.

წიქამ სათბილობელი გადაახვია, მიიხედ-მოიხედა, დასადები ადგილი ვერ მოუნახა და იატაკზე დადო.

— ციცი, სათვალე მომიტანე. — წაილაპარაკა მკურნალმა.

ციცი იქვე კარს უჯან მდგარიყო.

— რომელი? — იკითხა და შემოიჭ-

ვიტა. დატოტვილვარდებიანი ხალათი ჩაეცვა, ფარფარა სახელოებით.

— შავი.

წიქა ნელ-ნელა იხსნიდა იღებს. ჯერ საყელო გაიხსნა, ცოტა დააყუვნა და ახლა მაჯებს დაუწყო ჩახუნა.

ციციმ სათვალე შემოიტანა, მაგიდაზე დადო და უკრნალების დალაგება დაიწყო.

წიქა აიბუხა, აღარ იხდიდა.

— დაგვტოვე, — უთხრა მკურნალმა მეუღლეს.

ციციმ უკრნალები იდლიაში ამოიღო, მოკლე ნაბიჯების ბაკაბუჯით და სახელოების ფრიალით გავიდა და კარი გაიხურა. წიქამ პერანგის ვახდა ვერც კი მოასწრო, ისევ შემოიჭვიტა და პლატონიჩმა რომ დარეკოს, რა ვუთხრაო? — ჰკითხა მეუღლეს.

მკურნალი წამით ჩაფიქრდა.

— უთხარი, სავიჩი მზად იქნებათქო და ათი საათისათვის მანქანა აქ იყოს.

ციცი წავიდა, კარი სანახევროდ შემოღებულ იდლოვად.

წიქამ ახალუხი გაიხადა და სათბილობელზე დადო. მკურნალმა სათვალე გაიყვია, წამოდგა, შემინული კარადა გააღო, სპირტიდ მოყვლეულაგებულ ბოთლი აიღო... წიქამ იდლოვად და სათბილობელი ფეხით ტახტქვეშ შეაღწერა. მკურნალმა კისერი მოღრიცა, ჯერ ტახტის ქვეშ შეიხედა, მერე პაციენტს გახედა ეჭვიანად. წიქამ თეთრი პერანგიც გაიხადა, შარვლის მარცხენა ჯიბიდან დაჭმუჭნილი ათმანეთიანი ამოიღო, გაშალა და მაგიდის კიდეზე დადო.

მკურნალმა ბამბის ქულას ფილია მოაგლიჯა. და ისევ ტახტქვეშ შეიხედა. სპირტის ბოთლი და ბამბა მაგიდაზე დადო, ფონენდოსკოპი კისერზე შემოიღო, პაციენტი შეათვალეირა და დაწეკითო, — ტახტზე მიანიშნა.

წიქა წამოწვა.

— გულამა დაწეკითო.

სოლომონ სამხარაული
მავრფალი



წიქა ხენშით გაიშობა გულაღმა და ფეხები ტახტის ბოლოზე გადაჰკიდა. მკურნალმა სკამი მიიდგა, ფონენდოსკოპი ყურებში გაიჭია და გულს მოუ-სმინა.

— ნუ სუნთქავთ, ისუნთქეთ, ღრმად ჩაისუნთქეთ და ისე იყავით, — სინდემში შიგადაშიგ ისმოდა მკურნალის ხმა. ფონენდოსკოპი გულის ფიცარზე მოუტარა.

— მდა! — თქვა და ხელი მხარზე წამოუტყაპუნა — გადაბრუნდი.

წიქა გადაბრუნდა და შუბლით ვეება ხელებს დაეყრდნო.

— გულს მიხედვა უნდა, აღმართებში იღლებით, არა?

— მაშ, დიახ, ამ ბოლო დროს ძლივს დავართევ ფეხებს.

— ჰერის უქმარობა გექნებათ, შიგადაშიგ ჭოშინიც შეგაწუხებთ.

— ჰო. ეგრეა სწორედ!.. — ქვევიდან ამოიხენდა გაკვირებულმა წიქამ.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. — მკურნალმა ახლა ბეჭებზე მოუტარა ფონენდოსკოპი. ხან ღრმად ასუნთქა, ხან ჩაახველებინა, მერე საქამრეს ზემოთ, მთელ ზურგზე თითები უქაჯუნა. მარცხენა ხელის თითებს ნელ-ნელა დააცურებდა და ზედ მარჯვენა ბერათის ურტყამდა.

— მდა! — თქვა ბოლოს და ისევ მხარზე წამოუტყაპუნა, — გადაბრუნდიო.

— „პულმო ნიპილ“, — თქვა თავისთვის. მერე კი ქართულად დაურთო: — ფილტვები სუფთაა!

წიქა გულაღმა დაწვა, ხელები განზე გადაშალა.

მკურნალმა მარჯვენა ფერდზე ფრთხილად დააჭირა თითები, ნეკნების ძირობს ამოჰყვა, მერე ისევ ქვემოთ დაჰყვა.

— მოადუნეთ მუცლის კუნთები, მოადუნეთ. — დააჭერდა მარცხენა ხელის თითებს, ერთბაშად აიღებდა და იმ ადგილზე მარჯვენა ბერათის დაჰკრავდა.

— გტყავთ?

— ნწუ. ისეცა, პოლგონ იმფრეუნსლუი — ასე? არც ასე? — ექვ. კუტისსაბაქმესკა

დება როგორი გაქვთ? წიქამ რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. მკურნალს შეხედა თვალებში.

— კუტისა? — თავი წამოსწია და ახლა მუცელზე დაიხედა.

მკურნალმა ჩაახველა და დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— ისე, რა... მთლად...

— ვასაგებია, წამოჯექით, — მკურნალმა კოფრისტარის მაგვარი პრილა რკინა სპირტიანი ბაშბით გაწმინდა და ხახაში ჩაუყო.

— აა! — გაიმეორე, ააა!

წიქას აზიდებდა, თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა. მკურნალმა ახლა ქუთუთოები ჩამოუჩაჩხა. გუგებს ჩახედა, მერე ხის პატარა ჩაქუჩი აიღო და მუხლებზე მსუბუქად დაჰკრა.

— მდა! — ჩაქუჩი თავის ადგილზე დადო, ფონენდოსკოპი მოიხსნა, დაეცა და კოლოფში ჩადო. ჩაიცვითო, — ჩაილაპარაკა, რამდენჯერმე ჩაახველა და პირსაბანთან მივიდა. დიდხანს იბანდა ხელებს, საპონს დინჯად აქაფებდა, თან სარკეში თავის თავს ათვალავებდა. სახეს ისე ატრიალებდა, ეტყობოდა, თვალში მოსდიოდა. მერე პაციენტსაც ვახედა სარკიდან და გაკვირდა — წიქა ისევ ვახილი იდგა.

— ჩაიცვით, რატომ არ იცმევთ? — ხელები შეიმშრალა, ტილო დაჰკიდა და მაგიდას მიუჯდა. უჯრიდან რეცეპტის ბლანკები ამოიღო.

— როგორც ვითხარით, გულს უნდა მივხედოთ. მე გამოგიწერთ წამალს, უცხოურია, საუკეთესო პრეპარატი. თუ ვერ იშვავით... — მკურნალმა ლურჯთავეანი კალამი ამოაძრო, მარცხენა ხელით სათუალე მოიხსნა და პაციენტს მიაჩერდა, წიქამ ტახტის ქვეშიდან ტანსაცმელი გამოაცურა, ახალუხის მკერდის ჯიბე გახსნა და ოთხად გაეცილი ფული ამოიღო. ახალუხი ისევ სათბილობელზე მიაგდო, ფული გაშალა. სამამნეთიანი და მანეთიანი იყო

მანეთიანი შარვლის ჯიბეში ჩაიღო, სამანეთიანი გასწორა, მაგიდაზე თუმნიანს დაადო და ორთავე მკურნალისაკენ წააცურა.

— ექიმო, კარგად გამსინჯე, შენი მუხლების ჭირიძე,

მკურნალს არაფერი უკითხავს, ისევე დაყინებით უყურებდა.

— აი, აქა მტკიცია, ამ სატილოში, — მუცელზე ხელი დაიდო წიქამ, — ლამის გამათაოს კაცი.

მკურნალმა საყვედურის თქმვ დააპირა, რატომ თავიდანვე არ მითხრაო, მაგრამ უნებლიეთ ჰკითხა:

— დიდი ხანია?

— კარგა ხანია. წინათ დროდადრო წამომივიღია, დამეწებოდა, დამეწებოდა, ლამის კედელზე ამიყვანდა, მერე გადამივიღა და აღარც კი მახსოვდა. ვერ გავიგე, ხან რაზე მემართებოდა და ხან რაზე. მომშიოდა ან გავბრაზდებოდი და მაშინვე ცეცხლს მომივიდებოდა, სიმწრის ოფლს დამასხამდა. ამ ბოლო დროს იგრე ძალიან აღარ მეწებოდა. მიწელდა, მეგონა, გაიარა და ეგ არის-მეთქი, ისე, ცოტ-ცოტა კი, როგორ არა, მტკიოდა, მუღმივიად მალონებოდა. აი, ამეუბნი, — ხელი მოისვა მუცელზე. — რომ გითხრა რა ადგილზე, ვერ გეტყვი. ეს ორი კვირაა, ისე მომიმატა ტკივილმა, გამათავა კაცი.

— მადა როგორი ვაქვით?

— მადა, რა გითხრა, არც ჭამას აქვს მაღლი და არც სმას. ჩალის გემო აქვს ყველაფერს, ხორცი სულ შემეძაგდა.

— სისუსტეს გრძნობთ?

— აკი წელანაც გითხარი, მუხლებს ძლიეს დავათრევე, აღარაფრის ხალისი აღარა მაქვს. ძილითაც უგემურად მძინავს.

— დაწეკით!

წიქა დაწვა, ხრიკა გაიხსნა და შარვალის ცოტა კიდევ ჩაიწია. მკურნალი თავს დაადგა, ხან მუცელზე დააქცქვრდებოდა, ხან თვალეში. კუჭის თავზე ხელს უსვამდა, ადგილ-ადგილ ფრთხილად დააწებოდა, მერე ისევე გაუსვამდა.

— გტკივათ?

— მაინც იმედნად არა, უფრო შეგნით, სადღაც.

— ჩაიცვით, — მკურნალი პირსაბანთან მივიდა, ახლაც დიდხანს აქაფებდა საპონს, მაგრამ სარკეში აღარ ჩაუხედია. ხელები შეიმშრალა, ტილო საკიდ-ქვეშ მიაგდო. მაგიდასთან დაჯდა, რეცეპტის ბლანკები გვერდზე მიაცურა. მაგონდა იდაყვებით დაეყრდნო, ერთმანეთში გადაქცობილ თითებზე ნიკაბი ჩამოღო და ავადმყოფს მიაჩერდა.

წიქა არხინად იცვამდა, ახალუხზე ქამარი შემოირტყა, ჯიბე შეივრა, საყელო გაისწორა, მერე სათბილობელი გადაახვია, ტახტზე, ჩამოჯდა და მუხლებზე გარდიგარდმო გადაიღო. ექიმს რომ შეხედა, მისი დაყინებული მხერა რალაც არ ექაშნიკა. ფოსოჩაღრმავებული თვალეები თანდათან დაეძაბა.

— რას მეტყვი, ექიმო? — ჰკითხა და თვალი თვალში გაუყარა.

მკურნალმა თავი დახარა. რალაცას დაუწყო ძებნა, შუა უჯრა გამოაღო, ქექა-ქექა, მერე რალაც ქალაღლი ამოიღო. — თბილისში უნდა წახვიდეო, საშიში არაფერია, მაგრამ... მიმართავს მოგვებო, ეს იმათი საქმეა, გამოიკვლევინ...

წიქა ჩაფიქრდა, მაგიდის ჩუქურთმას დააშტერდა. წავიდე, მაგრამ სახლ-კარი ვის დავუტოვოო, — გაიფიქრა გუნებაში. მარჯვენა ხელის მტევანი ვაშალა და გადააბრუნ-გადმოაბრუნა. ნათესავ-მეზობლებს გადაავლო გონების თვალი. გაფარჩხულ ხელს გადააბრუნებდა და გადამოაბრუნებდა. საიმედო ვერავინ დაიგულა, ხან ვინ გაიხსენა, ხან ვინ...

— ეს იმათი საქმეა, — გაიმეორა მკურნალმა, — დროზე უნდა წახვიდეო. წიქა გარინდებული იჯდა.

— როგორ წავიდე, — წაიდუღუნა ცოტა. ხნის შემდეგ, — ბალღებს რა ვუყო, ან იქაურობას ვინ მიმიხედავს.

— შინ არავინა გყავთ?

სოლომონ სპაპარაული
მკურნალი

— შეილიშვილები მყავს, იმათა ვზრდი.

— რა ხნისანი არიან?

— გოგო შვიდი წლისაა, ბიჭი ხუთ-სა ვახდებდა გიორგობის თვეში.

მკურნალმა კალმიანი ხელი ნიკაპქვეშ ამოიღო და იდაყვი მაგიდაზე ჩამოდო. უყურა, აუყურა, მერე წამოდგა, კალა-ში ფილაზე მიავლო, მივიდა და ყვრიმა-ლებზე მოუსვა თითები. არაფერი უთქ-ვამს, სპირტიანი ბამბა აიღო, ბოლთას სცემდა, თან ბამბას სრესავდა.

— უნდა წახვიდეთ, რალაც უნდა იღონოთ და წახვიდეთ — დაჯდა და წე-რა დაიწყო.

წიქას ვერაფერი გადაეწყვიტა.

— დედა ხომ ჰყავთ ბავშვებს? — გარედან იკითხა ციციმ. კარი ნელ-ნელა გააღო, ბჭეში ჩადგა, ხელები ჩარჩოს ჩასჭიდა და ზედ ლოყით აეკრა.

— ჰყავთ, მაგრამ... საჩქაროა ქალაქში ჩასვლა? — მიუბრუნდა ისევ მკურნალს. მკურნალი წამოდგა, ციციოს დაა-ქვერდა.

— მოსასწრები არაფერია, თუშკა...

— თქვა ნაყიშად და ახლა წიქას შეხე-და. თვალის გასწორება უჭირდა, მაგ-რამ გაუძლო, — ხომ იცით, საქმეს მი-ტანება უნდა. — მაგიდიდან წიგნები აიღო და ისევ ისე, წყობისად მიალაგა. ციციო გაკვირებული ათვალთვრებდა წიქას

— მერე, დედა არ აქცევთ ყურად-ღებას?

წიქამ თავი გაიქნია და იატაკს დააშ-ტერდა.

— როგორ, დედა არა ზრდის შვალ-ებს, მაშ რას აკეთებს? — ჩააცუნდა ციციო.

წიქამ ისევ დადინჯებით გაიქნია თავი.

— გაქსუვდა, სხვას გაჰყვა და გაქსუ-ვდა. — ამოდერდა მოგვიანებით.

— როგორ თუ გაქსუვდა!

— ჰო, სამი წელიწადი და ოთხ თვე თვალთ არ უნახავართ.

ციციომ ლოყაზე შემოიღო ხელი. ხან ქმარს შეხედა, ხან წიქას. მერე ერთბა-შად გატრიალდა. მოკლე ნაბიჯებს ე-კუნნი ჯერ აივანს გაუყვა, მერე რომე-ლილაც ოთახში მიწყდა. წიქა წამოდგა, სათბილობელი ილღიაში ამოიღო, ქუდი დაიხურა.

— ენახოთ, თუ მოვითავხელე, წავალ, — ჩაილაპარაკა და დაფიქრებული გა-ვიდა აივანზე.

— მოითმინეთ! — მიადახა მკურნალ-მა.

წიქა შემობრუნდა. მკურნალმა მაგი-დიდან ფული აიღო, წვლანდელ ვადა-წერილ ქალაქში გადაახვია და წიქას გულის ჯიბეში ჩაუდო.

— ექიმო! — მაჯა დაუჭირა წიქამ.

— მაშ, როგორც ვითხარით, რალაც საშუალება გამონახეთ და დღესვე წა-დით. აქ წერია ყველაფერი, სად უნდა მიხვიდე. ჯიბეში ღრმად ჩაუჭუჭუნა ქა-ლალი — მაგიდისკენ მიტრიალდა და ისევ წიგნებს დაუწყო წვალება.

წიქა შეტბუნებული იდგა. ჯიბეში ხელი ჩაყო, ვეღარც ფულს იღებდა, არადა, ასე წასვლა ეჩოთიერებოდა. ბო-ლოს რალაცა წაიდუღუნა და გრძელი ნაბიჯებით წავიდა. ჩაიარა კიბე და ის იყო, კუტი კარი გამოაღო, აივნიდან ექიმის ხმა შემოესმა:

— ძიაკაცო!

წიქა სანახევროდ შენობრუნებულა გაჩერდა, კარისთვის ხელი არ გაუშვია.

მკურნალმა კიბე ჩაირბინა, წიქასთან მივიდა და შუბლშეკმუნხილმა ჰკითხა:

— ახლა შინ მიდიხართ?

წიქამ თავი დაუქნია.

— ჰოდა, — მკურნალმა მხარზე ხელი მოუთათუნა, — მაინც იქით უნდა გაი-არო, ზაყილოვანის გასასვლელში დიდი ცაცხვები რომ დგას, ექიმის ლილუაშეი-ლი ცხოვრობს, გამოცდილი კაცია, იმა-საც გაესინჯე...



თამაზ ჩხენკელი

ღამით შთანთინდა გადმოჰქარი

ამ ღამეს მოაქვს მთვარის კრისტალი,
გრილი და წმინდა ჰაერის ჭვირი —
რაღაც უცნაურ ხილვებით სავსე.

ამ ღამეს მოაქვს ჭყეთა სურნელის
სახეშეცვლილი იერი, თითქოს
კაცურ გუმანით შეუცნობელი...

რაღაც — ბავშვობის ძლივგახსენების
თუ უხსოვარი ღრმადგაოცების
მსგავსი ზმანება...

ამ ღამეს მოაქვს
ბურუსიანი იმედის თრთოლვით
ბუძგადასხმული ზეცის კამკამი.

შარისცვალება

ჩემი ხორხოცი, ყეფა, სიცილი
მე გავიხადე როგორც სამოსი,
მე გავიხადე და მივიძინე
თავმიდებულმა ყრუ საღამოზე.

და დამესიზმრა: ცხადის ნაპირზე
პატრონის ნასვლას ჰყეფდა ფინია,

და ვიციოდე ჩემს ჩანაფიქრზე
ისე რომ არც კი გამიცინია.

არ მეშიწოდა ფერის გამოცვლის,
არ ვწუხდი — რატომ ვართქო მძინარე,
და ვჭვრეტდი ჩემი ყოფა-სამოსი
როგორ მიჰქონდა უღრმეს მდინარეს.

კლდეკარის სამხრით,
რკონისაკენ მიმავალ გზაზე,
სადაც მწვანეში
ფანგისფერი წვანან სიბები,
არის სოფელი სამაჭალო
სიკეთით სავსე,
თავის წყაროთი, ბაზილიკით
და სათიბებით.

მყუდრო ბუნაგი წუთისოფლის, —
სიცოცხლის კვამლით
ქვეყნისთვის მსხვერპლის
შემწირველი, —
მაგრამ გვახსოვდეს:
იყო სოფელი სამაჭალო...
ყვილი მამლის
არ გაისმება ამ სოფელში
ალარასოდეს.

არ ჰქონდა დრო და დასაბამი, — მარადიული
იყო ქვეყანა და სიცოცხლეც იყო მარადი.
ყოველდღე ჩვენთვის სიხარულის საგვე კალათით
მოჰქონდათ უხვი შესანიერი, —

არა დღიური

ბინით შესვრილი — უსახური, ბნელი,
არამედ

შეუბღალავი ყოვლისაგან, წმინდა, ღვთიური, —
გაბრწყინებული ლაჟვარდების წრფელი სალამით...
და გარდუვალი მიზანსწრაფვით, ნირშეუცვლელი
უდრტვინველობით მზე მეზობელ სახურავიდან
ამოდით და; და ძველ თუთას ოქროს ფურცლები
ცვიოდა ყოველ შემოდგომას; და ყოველ ზამთარს
თოვლი ფარავდა დედამიწას; და გულით გვწამდა,
რომ ეს ყოველი მომავალ წელს ისევ თავიდან
დაიწყებოდა... ასე იყო და თავის გზაზე
გვეგონა, მუდამ იდინებდა ყოველი ასე—

ან შესანიერად, დროთ დაქცეულ ტაძარში თვითონ —
თვითონვე ვდგავართ სამსხვერპლოს წინ:

მარჯვნივ და მარცხნივ,

ვით საზორველნი, —

და სასტიკი უფალი ითხოვს

ჩვენი სისხლით და ჩვენი ცრემლით ავსებულ ბარძიშს!

აქ უღიმღამო შემოგარე დაგხვდება ისევ:
კედლების ქიმი, მავთულების უაზრო ხლართი.
ეს არის ყური, სადაც იშვე,

ეს არის მქისე

და ყრუ გარემო, სადაც შენი სიცოცხლე გადის...
დააკვირდები როგორც ნიშანს და გამოცანას,
ხილულის წიაღ რომ შეიცნო — უსახო, მკაცრი,
როგორც წინასწარგანჩინება, როგორც ოსანა —
ღრმადდაფარული და ყოველის ამხსნელი აზრი.

ხშით, წამისყოფით, სიტყვით,

ჩურჩულით

ჩვენ ამოვწურეთ ჩვენი სათქმელი,
დაცარიელდა თითქოს ქურჭელი
და დაეხურა თავზე სარქველი.
ყოველი ითქვა, რასაც უჯერებს

კაცი კაცს გულით, თვალით, ყურებით
მაგრამ რაღაცა — დიდად უჯერო
შედეგა ჩვენს შორის ყრუ

დამდურებო, —
სულ ერთი წამით, ვით ნათელ შუქზე
გამოვარდნილი ღამით კურდღელი, —
ბნელი და ვრცელი, მრუში და უგზო,
ჩვენს შორის წამით შედეგა

უთქმელი...
მაგრამ ჩვენ გვახსოვს იგი, რაც
ვნახეთ,
ვით ბავშვობაში სიზმრად ნახული —
ჩვენს არსებაში ღრმად დამარხული
დიდკუზიანის მახინჯი სახე.

გარინდებულა ზღვა უცნაურად
გული ნასვლია თითქოს სინაზით,
გამოურიყავს ნელი ხმაური,
მისვენებულა გამთბარ სილაზე.
ზღვა მხოლოდ ოდნავ, ოდნავ
ჩურჩულებს
ჩუმი და წმინდა ტალღების ჩქამით,
მაგრამ მის გულში სძინავთ
ურჩხულებს,

რომლებსაც ძილი არ უნდათ
ღამით,
როგორც სურვილებს — უზმო
წვალებით
გაფითრებულნი ძლივს რომ
იძვრიან...

მე მომაგონა ამ ზღვამ თვალები,
ჩემთვის ძვირფასი ქალის თვალები,
რომლებიც თურმე მე ვერ მიცნია.

ულამაზესი მარიოტა: მზისა და მთვარის
პირისპირ დგომა, — ბუნიობა შემოდგომისა.
ბიჭვინთის ქალა,
ზღვის ციმციმი და ცის გვირგვინზე,
იმედის შუქით ანთებული მარადისობა...
მაგრამ ნაგავი მაინც ჰყრია: რაღაცის ჩენჩო,
შიშველი ტარო,
გაზეთების დამპალი გვერდი,
დამძორებულთა ბომონივით — საპირფარეშო...
ღვთაებრივ ფიჭვნარს განცვიფრებით დაჰყურებს მთვარე!
გაპარტახებულ ტაძრის მონა, ღამის დარაჯი
მყოფადის ბნელში დასვრილ მუშტით იფარავს სახეს.

იქ, მათი სული გამომწყვდეული
 ვინრო ტიქებში, დიდხანს ბორგავდა
 როყიო სიტყვით, ქშენით, ხმაურით.
 აქ ზღვამ ნაშალა, წარღვნა, წარხოცა
 მათი ყვირილი, —

ქვიშას გარია.

და შა, გვამივით ტივტივებს უკვე
 უმწეო აზრი, უაზრო ღიმი...
 გრილი სინწინდღე მოაქვს ზღვის
 ჩურჩულს,
 მხნე და მკაცრია მშვიდი ზღვაური.

უმსგავსი კაცი

ჭკუანაცვეთი და უწმანური
 აღვირახსნილი ენით მღადელი —
 დაძვრება იგი, ურცხვად ფაცურობს
 და არ ეღლება ყია ქადილით.

მაჭანკლის კვერთხი და შუამავლად
 ცუნცული არის მისი თაური,
 უყვარს ნაპარავ სიღინჯით გავლა,
 ბაქიბუქი და ფუჭი ხმაური.

ყიფით ავსილი ქაქანი უყვარს,
 გადმოლაგება სხვათა აზრების.
 ჭორს მოგიყვება, გაგანდობს უგვანს,
 გულჭიანი და სიტყვის დამსწრები.

პატარა კაცი, უმსგავსი კაცი,
 ყოველთ მსგავსი და მით უკაცური,
 გასიებული შურით და ღვარძლით,
 კაცი კაცთაგან გადანანური.

შენ ყურებამდე გახეულ პირით
 ყირაზე დგები, იცინი, ყვირი...

შენ იღრიჭები მთელი ღღე ურცხვად
 და ამ ორეჭისგან გტკივა ლოყები,
 და ღამე თავი გგონია უცხო,
 თითქოს მიგაბეს სხვაზე თტყებით.

შენ — ბოზრი კაცი — დღეთა ხუმარა
ღამე, მასხრის ჩაჩს თვითონ უმაღავ
ცრემლიან თვალებს დახუჭულს

კუმტად

და სინდისს — ბნელში დაგებულ
მახეს,

და ნილაბიდან გამოდის მუშტად
შეკრული შენი ნამდვილი სახე...

და მკვდარ ლოყებზე მოგორავს

ცრემლი

და გეკიდება მთრთოლავ ნიკაპზე,

და შენი სახის ვეება გრდემლი

ქვნესით ეცემა შენსავ ნილაბზე.

შენ სიმწრისაგან მოკუმულ პირით—
თვალდახუჭული — ნეფხარ და ტირი.

ჰეცენობიარი

და როგორც მხეცი ბუნაგიდან გამოდის იგი
სიხარულივით ბენვაშლილი, ურცხვად მღიმარი,
გამოდის იგი და იშორებს ტანის ცახცახით
აბეზარი და უცნაური ბურანის წვეთებს.

მას აღარ უნდა ბნელი მღვიმე, შავი ჯურღმული,
მას აღარ უნდა ნაპრალებში უხმოდ წრიალი,
და როგორც მხეცი ბუნაგიდან გამოდის იგი
და მზიან ამინდს ეფიცება ზანტი ზმორებით.

ხარბი ჩასუნთქვით ყნოსავს ჰაერს და ბენვს ისნორებს
გალვიძებული, დაძაბული, თავისუფალი...

მას აღარ უნდა საუკუნოდ ბნელ უფსკრულებში
შეუცნობელი, უდაბური, უგონო ძილი.

იყო შენს გულში რაღაც უგონო,
როგორც უკუნი მღვიმეებში უხმოდ მრულავი
და ქარაშოტი უფსკრულებში გარინდებული.

იყო შენს გულში რაღაც ზღაპრულად
დამათრობელი ვებერთელა ყვავილის თესლი,
რომელმაც ხარბად, ერთ ღამეში იცის ამოსვლა.

იყო შენს გულში რაღაც ველური,
ზღუდემოშლილი, უნაპირო,
უბელო ცხენზე გრიგალივით ამხედრებული,
რაღაც უსაზღვრო,

გარდუვალი ვით ზედისწერა,
და კიდევ იყო შენს თვალებში უმწეთ თხოვნა
და უცნაურად განწირული იმედის შუქი,
რომელიც არსად,
არასოდეს იტყოდა უარს...

მე ამოგხაპე და ამოგწურე
ულმობლად, ისე — როგორც არავინ,
როგორც ველურმა მწიფე ქოქოსი, —
როცა სწყუროდა,
როგორც სიმშლით ცნობამიხდილმა
— ზღვის ლოკოკინა.
ეს ვქენი, მაგრამ არ მოვისროლე
შენი სიცოცხლის ურგი ნაჭუჭი,
არამედ ჩემი სინდისის ძაფზე
მძივად ავაგე, რომ მაგონებდეს
ეს უშნო მძივი ჩემს უძღებ სიმშლს,
ჩემს უგვან წყურვილს და
ველურობას...

რომ დამაძინა და არასოდეს
და არასოდეს გამომალვიდა,
რომ ის რაც ვიცი აღარ მახსოვდეს,
რომ ძალა აღარ მქონდეს ნახვისა.
სიცოცხლე რამედ რომ არ
ფასობდეს —
სადმე უდაბურ კუნძულს გამხიზნა,
რომ დამაძინა და არასოდეს
და არასოდეს გამომალვიდა...

მე არაფერი არა ვარ ახლა,
მე ვარ ლოდინი, სიჩუმე, დაღლა.

მე ვარ იგი, რაც აქამდე ვიყავ —
ჩემივე ცეცხლით დამწვარი თიხა.

და იმ თიხაში არც რაშ ტკივილი,
არც ხარებაა, არც სიმძიმეილა.

არაფერი მაქვს, არც მანლავს რამე,
მე ვარ ლოდინი, დუმილი, ღამე.

ჩვენი ბალის აკაციაში ჭრიჭინამ დაიბუდა...
ეს პირველი შემთხვევაა, —
ჩვენს ბალში არასოდეს უმღერია ჭრიჭინას;
აგვისტოს მინურულია,
ცაზე სირიუსი ბრწყინავს
და მე მაგონდება ალკეოსის ნიტყვა:
„აუტანელი სიცხეა. ყველაფერი იღრწობა წყურვილით,
მხოლოდ ჭრიჭინა მღერის და ოქრომხალა ჰყვავის...“
თუმცა წელს გრილი ზაფხული იყო,
ზედმეტად გრილი,
ხოლო ანლა შუალამეა...
როგორც არ უნდა იყოს, ჩვენს ბალში ყოველ საღამოს
ქვითინს იწყებს ეს პატარა მწერი —
ყველა დროის მარტოსულთა მეგობარი,
დუ ფუს ჭრიჭინა, ალკეოსის ჭრიჭინა:
ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავის პანანინა მუმიანა,
რომლის გულში ჯერ კიდევ ღვივის
უსასრულო სამყაროს იდუმალება...

შენ დაინახე ქარებისგან გამოფიტული
კლდეების გული... შენ დაინახე
უკაცრიელი, უნაპირო, უკიდევანო
ველებების სივრცე... შენ დაინახე
წყალდაშრეტილი კალაპოტი მდინარეების...
დაინახე და შეგეშინდა, —
პირი იბრუნე
და უარჰყავი, უარჰყავი ამ უსახური,
ამ უღიმღამო, სევდით გულის შემლონებელი
მიდამოების სიპარტახე...
შენ არ იცოდი,
რომ მათი სახე მოლოდინის ნილაბი იყო.

გინია უკვე სიბერემ, — ნალველს
ველარ იოკებ. ამ ყრუ და მძალე, —
ფუტურო სახლის ნესტიან ღრუში
ლოდივით გადევს უცნობი სახე.
მაგრამ მინიდან ღიმილი მრუში
მინც ამოდის, მინც ამოაქვს
სიზმრების სუნი.. ფანჯარას ალებ,
ამოიოხრებ: რა საღამოა!..

* * * * *
იასამნების სურნელებით სავსეა
ბალი.

ბ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ჯერ კონცხზე გაშენებული ქალაქის ბუნდოვანი
სილუეტი გამოჩნდა,
მერე ნავთით დასვრილი გარეუბნების სიპარტახე:
უბადრუკი სახლები, მაზუთის გუბეები, ქუჭყიანი ღელე...
მატარებელი ზოზინით შედის ქალაქში.
რკინის მოაჯირის გარდიგარდმო
წვრილი დუქნები და მალაზიები.

ბაზარი:
სადგურის მოედანი:
გზაჯვარედინი და... უცებ —
უზარმაზარი ორკაპივით ცაში ამართული
კათოლიკური ეკლესიის მაღალი გუმბათი!..

* * * * *
ამ ეკლესიაში ახლა არქივია.
მაგრამ 1926 წლის აპრილში,
ამ ეკლესიის პატრი დონ გაბრიელი,
რომელსაც ქართულად და ლათინურად მიჰყავდა ხოლმე
წირვა-ლოცვა,
გულმოდგინედ წერდა ჯვარს თავის ძმისწულს — თამარს.
საქმრო იყო დავდაჭერილი, ჭროლათვალებიანი მამაკაცი.
რიტუალი მოთავდა.

ორღანოზე დიდებული საგალობელი სრულდებოდა, როცა
მამაკაცი ოდნავ გადმოიხარა და
სახეგაბრწყინებულ დედოფალს
ხმადაბლა უთხრა:
— ეს ყველაფერი შეიძლება სიზმარი იყოს...

* * * * *
1931 წელს, პატრი გარდაიცვალა (ეკლესია გაუქმდა).
მის ნათლულს, ამ ჯვარდანეროლთა პირიშოს, კარგად
ახსოვს

როგორ ტიროდა დედამისი ვარდისფენობაზე, თბილისში,
ხოლო გავალაკის ქვეშ მღვდელი ვარდიქე საცეცხლურის
ქნევით

ნელ-ნელა მიინევდა ეკლესიის კარიბჭისაკენ...

30 წლის შემდეგ,

იმ გაუქმებულ ეკლესიასთან ანუ არქივთან
თბილისიდან ჩამოსული შეყვარებული ქალ-ვაჟი იდგა.
ვაჟი ქალისკენ გადაიხარა და უცნაური ღიმილით უთხრა:
მამაჩემი სწორედ ჩემი ხნისა იყო, როცა...

(მას უკვე ჰყავდა ცოლ-შვილი).

— როცა... ხომ იცი, როცა... სწორედ მაშინ, როცა...

— ჰოი..

„როცა სიცოცხლეა, არ არის სიკვდილი,
როცა სიცოცხლეა, არ არის სიკვდილი,
არ არის სიკვდილი, არ არის, —
ამენ!..“

ასეთი უნდა ყოფილიყო ორღანოზე შესრულებული
ქორალის სიტყვები.

ორღანო დუმს.

ეკლესიაში არქივია.





შვირსი წერილი...

შვირსი წერილ პოეტის გამგნა,
უნდა მისი რთული ნუაის იქნებ -
უნდა მისივე

უნდა მისივე პურობის რამდენად,
უნდა მისივე პურობის რამდენად.

მისივე,
რამდენად ძველი სხნისა,
ქვენი რთული ნაშრომ-ნაშრომი:
რა უნდა?
რა უნდა?
რა უნდა?
რა უნდა?

უნდა რამ შვირსი
ან უნდა შვირსი
უნდა რამ შვირსი

უნდა მისივე უნდა უნდა
უნდა მისივე უნდა უნდა

რამ უნდა შვირსი
ან უნდა შვირსი
უნდა მისივე


რამ უნდა შვირსი,
უნდა მისივე უნდა უნდა
უნდა მისივე უნდა უნდა

უნდა მისივე,
უნდა მისივე
უნდა მისივე

უნდა მისივე უნდა უნდა
უნდა მისივე უნდა უნდა

ირაკლი

1979



70
წელი

ირაკლი აზაზიძე, ქვემო ირაკლი

თავი მდგომარეობა ჩემი გადის — ანუ უნდა სიმშვიდე შენვე
ყოველ შემთხვევაში, ვინც თვით მრავალწლიანი და სულ უფრო და უფრო
გართობილი მდგომარეობის მდგომარეობაში სულ უფრო და
უფრო მეტი სტილია დროს ამ ტიპის შემოქმედებითის დრო მართალი
სწორად ვადას, მაგრამ ისევე სწორად მოაქვს მის ახალი და ახალი სი-
ლამაზე ამ კაცის ხელით შექმნილი "ზუსტად ათი წლის წინაა, ამავე "ცხ-
კის" ფურცლებზე, მე შევხვალე ჩემს მეგობარ პოეტს, ჩემი იმობის ცხო-
ვლი საბაბო მოდგენს ირაკლი აზაზიძეს. არც იმის გამო, რომ მეგობრის-
თვის სათქმელი სიტყვა შემოხვალდა, არამედ ისევე და ისევე იმ ვარდ-
სულ დროთა მოხატონარად, წესი მოხუცობა, ზუსტად გათვალისწინა
დრო, რასაც მაშინ ახალგაზრდობის დროს ვხედავდი
ირაკლი აზაზიძესთან ჩემს მეგობრობას აღზნო ამ შეიძლება "შე-
მოქმედებითი მეგობრობა" ცნობის მე არსებობს არაფერი დაბნეული მის
მშვენიერ ლექსებზე და მანამ, რამ დიდებული მეგობრობა გვაკავში-

რებს — უხინჯო და უანგარო მეგობრობა. ეს მეგობრობა ასაკითაც არის განმტკიცებული: მე მასზე ოდნავ უფრო ხნიერი „ნამოციანი“ ვიყავი და ირაკლიმაც გადმოაბიჯა ამ მიჯნას, გადმოაბიჯა შემოქმედებითი ენერჯითა და სურვილით სავსემ. ყოველგვარ საიუბილეო თარიღებსა და ღონისძიებებს შე მხოლოდ ერთი გამართლება შემიძლია მოვუნახო: იგი გვაიძულებს, მკაცრი კრიტიკოსის თვალთ გადავხედოთ საკუთარ წარსულს და, რაც მთავარია, გვიმაფრებს პასუხისმგებლობის გრძნობას. ირაკლი აბაშიძეს შეუძლია კმაყოფილი იყოს — იგი ამ დღემდე ხელცარიელი არ მოსულა, მრავალი ღირსასხოვარი ლექსი და საქმე ამშვენებს მის წარსულ ცხოვრებას. სულითა და გულით მივესალმები ჩემს მეგობარს და, დარწმუნებული მის ელვარე ტალანტში, ვუსურვებ, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით გაეხარებინოს მისი მკითხველები, ახლობლები, მთელი ქართველი ხალხი!“

ისღა დამრჩენია, კიდევ ერთხელ მივულოცო ჩემს ძვირფას მეგობარს ის მშვენიერი ლექსები, რაც განვილილ ათ წელში შექმნა, და მასთან ერთად დაველოდო მომავალ ათწლეულს — მე მას, ოთხმოცი წლისას, სიამოვნებით გავუმეორებ ყველაფერს, რასაც მის საამაყო სამოცდაათი წლის იუბილეზე ვუზნებო.

მრავალჯამიერ, ძმაო ირაკლი!

ანდრია ბალანჩივაძე

ხალხის საყვარელი პოეტი

ირაკლი აბაშიძე ჩემზე რამდენიმე წლით უფროსია, მაგრამ, არსებითად, მისი ცხოვრების ყველა საფეხურმა ჩემ თვალწინ გაიარა.

მასსოვს ირას ბავშვობა — ჩვენი მეგობრობა იმ უხსოვარი დროიდან დაიწყო, თითქმის სამოცი წლის წინათ — მაშინ სოფელში ვხვდებოდით ერთმანეთს (ჩვენი ეზოები მეზობლად იყო); დღემდე შემომრჩა ბენდიერების განცდა, რომელსაც მე, ჯერ კიდევ სულ პატარას, მასთან შეხვედრის მოლოდინი და შემდეგ, მასთან ყოფნა მანიჭებდა. საკვირველი შინაგანი სითბო და მომხიბვლელობა ჰქონდა მას ბავშვობიდანვე და, ვინც ირაკლის იცნობს, დამეთანხმება, რომ ეს თვისებები მას დღემდე უცვლელად შერჩა.

თვალწინ მიდგას 1926 წელს უნივერსიტეტში შესასვლელად თბილისში ჩამოსული ირაკლი, ჩვენი შეხვედრის სიხარული. მაშინ ის უკვე წერდა ლექსებს (მე მათი ერთი პირველი მკითხველთაგანი ვიყავი, თუმც არც ერთი არ გამოქვეყნებულა); გატაცებით მესაუბრებოდა თანამედროვე ქართველ პოეტებზე — განსაკუთრებით ჩამრჩა მესხიერებაში, როგორი ალფრთოვანებული ახსენებდა გალაკტიონის „ლურჯა ცხენებს“.

სულ მალე მისი ლექსები დაიბეჭდა კიდევ (მე დიდად ვამაყობდი) და მათ იმთავითვე მიიპყრეს ყურადღება.

რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რამოდენა გზა გამოვიარეთ ჩვენ ყველამ, რა რთული, რამდენი ღირსშესანიშნავი მოვლენით აღბეჭდილი გზა! და რა დიდი, ძნელი და სახელოვანი გზა განვლო თვით ირაკლიმ! „ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი“ არა მარტო ქართული პოეზიის უპირველესთა რიგში ჩადგა, არამედ საერთოდ ქართული ეროვნული კულტურის გამოჩენილ მოღვაწედ გაიზარდა — მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ იცის, რამ-



მისი, როგორც პოეტისა და პიროვნების, პოპულარობა საკვირველია — საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოთ, სადაც არ უნდა ჩამოვარდეს მის შესახებ საუბარი, ყველას სახე უნათღებია, ყველა უღრმესი პატივისცემით იხსენიებს მას, ყველას სწამს, რომ მას „ერის წყვლული აჩნია წყლულად“, მისი „ბედითა და უბედობით“ ედაგვის გული: მისი სჯერათ, მის აზრსა და სიტყვას აფასებენ, ყოველ მის გამოსვლას მოუთმენლად მოელონ.

მისი, როგორც პოეტის ძალაც, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი „არა მარტო ტკბილ ხმისათვის“ არის მოვლენილი ქვეყნად, მისი პოეზია ღრმად შინაარსიანია, ღრმა ნააზრევისა და განცდის ნაყოფია, ყოველი ლექსისა და ლექსთა ციკლის საგანი — წმინდა ლირიკული იქნება ეს ლექსი, თუ მაღალი მოქალაქეობრივი მოტივებისადმი მიძღვნილი — მუდამ მნიშვნელოვანია და არასდროს — ფუჭი. მისი ლექსი თანაბრად ხვდება გულსა და გონებასაც და მუდამ იწვევს მკითხველის შინაგან გამოძახილს.

მე ძალიან ცოტა მეგულება ქართულ მწერლობაში ნაწარმოები, რომელსაც ისეთი საყოველთაო-სახალხო აღიარება ჰქონდეს მოპოვებული, როგორც „პალესტინა, პალესტინამ“ მოიპოვა; მისი ბევრი სხვა თხზულებაც ხომ უკვე „გასულია“ ხალხში.

ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩემი სიყრმის მეგობარს, ირას უკვე სამოცდაათი წელიც შემოეპარა, მით უფრო, რომ მოხუცებულობისა მას არაფერი ეტყობა...

იგი ახლა სულიერი და შემოქმედებითი სიმწიფის ასაკშია და მისგან ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ ბევრს მოველით.

მღელვარებით ვულოცავ ჩემს ძვირფას ირაკლის ამ საიუბილეო თარიღს. მისთვის საუკეთესო ჯილდოა ხალხის სიყვარული, რომელიც მან თავისი შთავგონებითა და მოქალაქეობით მოიხვეჭა.

პანტაზ ბერიძე

„მხოლოდ ახალი, მხოლოდ ახალი“...

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ერთ-ერთ საზეიმო შეკრებაზე ის იყო, დაასრულეს რომელიღაცა ქართული სიმღერა, რომ... პრეზიდენტში ზურგს უკან დაბალი ხმით შესრულებული იგივე სიმღერა შემომესმა — ბ—ნი ირაკლი მღეროდა: ასე უნდა იმღერო ეს სიმღერა და არა ისე, როგორც აგერ ახლა იმღერესო, მიიხრა... მაინც ათასი ზეშთავგონება მაქვს შენახული, ვით ფასეულიო, უთქვამს მას და... მაინც დიდად გოცნებული დავრჩი მისი წკრალა ხმითა და შესრულების თავისებური მანერით, — მისი სიმღერაც იმ საღამოს პირველად მოვისმინე. ჩვენი სიმღერები ლურჯი ბინდებიან, ჩვენი სიმღერები მაღალ მთებს ჰგვანან, ჩვენი სიმღერები პირამიდებია — მათ უკან საუკუნეები დგანან... მაშინვე მომაგონდა მისი ეს სტრიქონები. მართლაც, თავისებურია ირაკლი აბაშიძის ხმა ამ

მგალობელთა შორის, რომელთა „ხატად“ და „სახატედ“ მშობლიური ქვეყნის ცა და მიწა დასახულა მხოლოდ.

ირაკლი აბაშიძის თვალი და გული „ქართულ სუნთქვაში მხოლოდ რუსთველურს“ ეძიებს, „მხოლოდ უმაღლესს, მხოლოდ მშვენიერს!“

ქებაც, ყვედრებაც, კიცხვაც, მადლობაც, წყრომაც, ვარამიც — სიტყვა ვკუთვნის შთამომავლობას, სხვას აღარავას... მომავალიც საკადრისად მოგაგებთ მოსაგებელს, ბატონო ირაკლი!

გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს, დიდხანს იცოცხლეთ და, როგორც შემოქმედი, იყავით „მხოლოდ ახალი, მხოლოდ ახალი, როგორც ენ-გური, როგორც კაშხალი, მუდამ ახალი, მუდამ ახალი, როგორც გელათი, როგორც პარხალი!“

ანა კალანდაძე

პოეტის ბატონი ლელო

„გიორგობა დღეს გავარდა ბურთი“... — ასე იწყება ირაკლი აბაშიძის ერთი ცნობილი ლექსი. მაგრამ ამ ლექსში ძველ ბურთაობაზე — ლელო-ბურთზეა ლაპარაკი. ახალს რაც შეეხება, მე ვიცი, რომ ბატონი ირაკლი ჩვენი დიდი გულშემატკივარია. მეც ვარ მისი გულშემატკივარი, მისი დიდებული პოეზიის მოყვარული. მართო ლექსები კი არ მომწონს მიხი, მისი ატლეთური, ნამდვილად სპორტული აღნაგობაც მხიბლავს. ყოველ ჩემს მეგობარ სწორტსმენს, ვუსურვებ, სამოცდაათი წლის ასაკში შეენარჩუნებინოს სწორედ ისეთი ფორმა, როგორიც გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს და დიდ ქართველ პოეტს ირაკლი აბაშიძეს აქვს შენარჩუნებული. ჩემს გუნდს კი ვუსურვებ, ყოველთვის — ჩემსობასაც და ჩემს მერცხ — მუდამ ისე გაეტანოს ლელო, როგორც ბატონმა ირაკლიმ გაიტანა პოეზიის ლელო.

გილოცავთ, ბატონო ირაკლი, სახელოვან იუბილეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თქვენი საყვარელი ხალხის, ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ, და თუ ჩვენს თამაშებზე დასწრების დრო და სურვილი გაგიჩნდებათ, იცოდეთ, ყოველთვის იქნებით ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტუმარი!

გმადლობთ ყველაფრისათვის!

მანუჩარ მაჩაიძე

სიყვარული სიყვარულის წილ...

თქვენ სიყვარული გითესიათ მთელი სიცოცხლის მანძილზე, ბატონო ირაკლი, სიყვარული მხოლოდ უმაღლესი, მხოლოდ უღრმესი და ულამაზესი. თქვენ სიკეთე გიფრქვევიათ ყველასათვის და მხოლოდ სიკეთეს მსახურებთ დღემდე უღალატოდ და უშეღავათოდ.

თქვენი დიდი კაცური სიტყვა შეიყვარა ხალხმა თქვენს ლექსებში ეგერრიგად სხარტად და ძალუმად განცხადებული, მოყვასმა შეიგრძნო ყად-

რი თქვენი დიდი საქმეებისა, ერისა და ქვეყნის სამსახურში წაყენებულ დიდი საქმეებისა.

თქვენ დიდი კაცი ბრძანდებით, ბატონო ირაკლი. ეს სიდიდე თქვენს უბრალოებაშია, უბრალოება კი თქვენს დიდბუნებოვნებაში. ყველა ეს თვისება ცხოვრების რთულმა გზამ (თქვენ ხომ, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ის თავადი აბაშიძე ხართ, მინები რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა), დიდმა სულიერმა წინაპრებმა და საკუთარ თავში ღრმა რწმენამ მოგცათ.

თქვენს დიდ პოეზიას გვერდით ამოუყენეთ დიდი მოღვაწეობა, მოღვაწეობა, რომელიც მაღალ იდეალებს ემსახურება. ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, თქვენ ბედად გერგოთ ფარაო მასშტაბის საქმეთა კეთება. საქმით თუ ლექსით (ლექსი ხომ ყველაზე დიდი საქმეა თავისთავად) თქვენ ნათელი შარავანდედით შემოსეთ ჩვენი წარსული, თუ დღევანდელი დღის რომანტიკა.

საკუთნებს გაუძღვებს და ქართული პოეზიის ხელი-ხელ საგოგმანებ მარგალიტთა შორის დარჩება თქვენი დიდი სულიერი და შემოქმედებითი (ნეტავ რამ ვაყო სულიერი და შემოქმედებითი?) წვის ბრწყინვალე ნაყოფი „რუსთაველის ნაკვალევზე“ და განა მხოლოდ ეს? მაგრამ მე საგანგებოდ მინდოდა დიდი რუსთველი მესხენებინა, რუსთველი, რომელიც თქვენი სიჭაბუკიდან, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში რუსთველის სახის გამოცხადებიდან მოკიდებული დღემდე თქვენი პოეტური თუ საზოგადოებრივ-მეცნიერული შემოქმედების უზღვავე, ამოუწურავ წყაროდ იქცა.

ბოლოს მინდა გითხრათ უმთავრესზე (უმთავრესის თქმით თუ გადაჭარბება გამომივიდა, გავასწორებ — ერთ-ერთ უმთავრესზე მაინც). ესაა თქვენი დიდი მონადინებითა და მცდელობით ხელდასხმული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის — პირველი ეროვნული უნივერსალური დიდი ცნობარის გამოცემა. თქვენ იშვიათი ბედნიერება (რასაკვირველია უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად) გხვდათ წილად — სათავეში ჩაუდგვით საქმეს, რომელიც დიდ ქართველ მოღვაწეებს, თქვენს დიდ წინაპრებს აუხდენელ ოცნებად გაჰყვათ. უთავეთ მეტად მძიმე და რთულ საქმეს, ქვის მტეხლის შრომას რომ შეადარეს პირველმა ენციკლოპედისტებმა. დიას, მეტად შრომატევად, მაგრამ მადლიერ საქმეს, რომლის პირველ ნაყოფთა გამო დიდ სიყვარულსაც იმკით.

ბატონო ირაკლი!

თქვენს ფართე მხრებზე გადაგებული მეტად ლამაზი შემოქმედებითი ხურჯინის ორივე თვალი არ ყოფილა ლექსებით საგსე, საბედნიეროდ! სწორედ საბედნიეროდ, რადგან თუკი ერთი თვალი დღითა და ღამით დამაშვრალი პოეტური შრომის ნაყოფი იყო, ხურჯინის მეორე თვალი არანაკლებ მნიშვნელოვანსა და ქვეყნისა და ხალხისათვის არანაკლებ საჭირო საგზაღს შეიცავდა. ეს თქვენი დიდი საზოგადოებრივი საქმიანობა იყო. საყმაწვილო თუ დიდ ლიტერატურულ ჟურნალებს რედაქტორი სჭირდებოდა, მწერლებს — თავკაცი, ხალხს — დეპუტატი, უმაღლეს საბჭოს — თავმჯდომარე, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას — მთავარი რედაქტორი; იერუსალიმის ექსპედიციასა და რუსთველის რვაასი წლის იუბილეს — თაოსანი. ამიტომ იყო ხურჯინის ორივე თვალი ერთნაირად მძიმე, მაგრამ თქვენ მისი ტარება არ გაგჭირვებიათ და წელში გამართულმა, სახელიანმა კაცმა ღიმით, გახსნილი შუბლითა და გაბრწყინებული თვალებით მოიტანეთ დღემდე. დღეს კი..



ბატონო ირაკლი!

ვინც თქვენ ერთხელ მაინც შეგაფლებთ თვალს (ყოველდღიურ ურთიერთობაზე არაფერს ვამბობ), ვინც თქვენს ბოლოდროინდელ ლექსებს თუნდაც ზერღელვად გადაიკითხავს, ვინც თქვენ ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციაში განახავთ, მტკიცება აღარ სჭირდება, რომ სამოცდაათი წელი მართლაც და ღრმა შემოქმედებითი სიმშინფის, ახალი გატაცებებისა და პოეტურ შედევრთა შექმნის, საზოგადოებრივი და მეცნიერული საქმიანობის ახალი ჭაბუკური ენერგიით გაშლის ასაკია.

დაბოლოს უფრო ვახსენილად მინდა ვითხრათ ჩემი წერილის მიზეზი — სამოცდაათ წელს გილოცავთ, ბატონო ირაკლი, წინ კიდევ დიდი გზა გაქვთ ღრმად მჯერა, რომ ეს გზა აღსავსე იქნება სიკეთითა და სიყვარულით, შემართებითა და ვაჟკაცობით, ახალი პოეტური სტრიქონების აფეთქებით, ახალი დიდი საქმეებით.

თქვენ სიყვარული ვითესიანთ მთელი სიცოცხლის მანძილზე, ბატონო ირაკლი, დიდი სიყვარული ქვეყნისა და ხალხისა, ადამიანის სიყვარული... და ნუ გაგიკვირდებათ, რომ თქვენც დიდ სიყვარულს იმკით. დიახ, იმკით სიყვარულს სიყვარულის წილ.

რწინ მატრაველი

მაცოცხლე შენთვის, მამოუვა შენთან...

შენაშრ ეპოქაში ვცხოვრობთ, ბატონო ირაკლი! საკმარისია, ერთმა კაცმა მეორეზე 500 გრამით მეტი რკინა ასწიოს, რომ მისი სახელი უმაღლვე შემოირბენს ჩვენს პლანეტას.

უპოპულარესი ადამიანები არიან ტელედიქტორები, ერთდროულად მილიონობით ოჯახში რომ იდიმებიან და გაზეპირებული ფრაზებით რომ გვესაუბრებიან.

ხშირად პოპულარობისათვის ტრიბუნიდან გადმოსროლილი ერთი ვაიპატრიოტული ფრაზაც კმარა ხოლმე.

პოპულარობა ერთია, სიყვარული მეორე. თქვენ ქართველ ერს უყვარხართ, ბატონო ირაკლი, უყვარხართ გამორჩეული სიყვარულით, რადგან ეფემერული როდია თქვენი შემოქმედება და თქვენი საზოგადოებრივი, მამულიშვილური მოღვაწეობა.

ბევრი რამ გააკეთეთ ქართული ლექსისა და საქართველოსათვის, კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელი.

შენ მხოლოდ ერთად,
შენ მხოლოდ ერთად,
არ გნამდა ჩემგან ნაწილ-ნაწილი,
მაცოცხლე შენთვის, მამოუვე შენთან —
მე კიდევ დამრჩა შემოსაწირი.

ამბობთ თქვენ მოკრძალებით, თუმა ჩვენთვის საცხებით ნათელია, რამოდენაა ეს შემოსაწირი.

სამოცდაათმა წელმა არ შეგაკრავთ. სამოცდაათი წელი რა პედენაა, როცა ძარღვებში ახალგაზრდაული ხისხლა ვინქნეთა, როცა თქვენს ლექსს ჭაბუკური ფინი და ვნება არ განელეზია.

ახალგაზრდულად
კვლავ მზეს ვეფუროთ,
წლებსაც —

ჩვენზე რომ ლახვრად დაძრულა.
ახალგაზრდულად, გულო ბებერო!
ცოტაც, სულ ცოტაც, ახალგაზრდულად!

დიდხანს, ძალიან დიდხანს გემოდევანეთ ახალგაზრდულად ქართული
ლექსის, ქართული ენის, ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

გურამ ფანჯიქიძე

არ დაამთავრო ყველა სათქმელი!

ძვირფასო მკითხველო, კანდიდებში ნუ ჩამითვლი და 70 წლის იუ-
ბილარი ჩემი უახლოესი მეგობარია, ირაკლი აბაშიძესთან არაერთხელ
მისაუბრია ლიტერატურულ საღამოებზე და პოეტურ დიალოგებზე, სუფ-
რასთან და უბრალოდ, მანქანაში, მგზავრობისას — მესხეთისაკენ და იმე-
რეთისაკენ, დიას, უფრო რატომღაც აქეთ...

უფრო გულახდილი ირაკლი აბაშიძე საქართველოს მიღმაა, რუსეთში,
უკრაინაში, სომხეთში, უფრო სევდიანია, უფრო დაღლილი, უფრო ნერვი-
ული, მე ამას სიშორეს ვაბრალებ... ირაკლი აბაშიძეს ეროვნული ხასიათი
აქვს, ლხინის კაცია, ხოლო თუ უჭირს, იხტიბარს არ გაიტყვხს.

ბატონო ირაკლი, თქვენივე სიტყვები მინდა გავახსენოთ, მესხეთში
ნათქვამი, შალვა გრძელიშვილთან, კვიკვიტან...

„პოეზია ცით, მოვლენილი ნათელია, სიკეთისა და სილამაზის ოქროს
სხივია გაბმული უფაქიზეს სულამდე. სევდა და ტკივილი, შემფოთება საქ-
ვეყნო ამბების გამო, განდგომა და განწმენდა თუ არ უძევს საფუძვლად
ქუშმარიტ პოეზიას, რა გვეცხოვრება, რას ვმატებთ სულიერ საზრდოდ მა-
მულს მრავალტანჯულს? „ვეფხისტყაოსანი“ ხომ სახარების გვერდით ძევს,
მაშ რას უტოვებ სულის ტაძრად ქართველის სულსა? როგორც ვაჟა ფშა-
ველა იტყოდა „მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი, სახვალიოდაც ბრძოლასა“.

თქვენ დღეს სამოცდაათი წლის პოეტი-აკადემიკოსი ბრძანდებით:
ჩაკეტილი გრიგალი კედლებს ეხეოქება, აღარ გვყავს გალაკტიონი, აღარ
გვყავს გიორგი ლეონიძე, მწუხარე სამოთხეში სძინავთ ტიცინსა და პაო-
ლრს, ვინ ფიქრობს ამ დროს „სახვალიოდაც ბრძოლას?“ ბევრნი, მაგრამ
თქვენ უპირველესად...

მე სიამოვნებით ვიხსენებ, როგორ გამოელაპარაკეთ ღმერთებთან წა-
სულ გალაკტიონს:

„ისფერ თოვლის ვენებინად ხიდიდან ცვენა, შუქი და ბინდი, ცა დამ-
დნარი რთილად და ნაშად...“ ო, ყველაფერი მას ესმოდა მუსიკის ენად,
ო, ყველაფერი მას ესმოდა ერთ გაბმულ გამმად... და იგიც, იგიც ხმებს
უფვარდათ ვიჟ მოსვლა წვიმის, უწყვარდათ ბგერებს, როგორც ბალებს,
მშივრებს და შიშვლებს, მშობლიურ ენას, მან უპოვა თვისება სიმის,
მშობლიურ სიტყვებს კვეთდა როგორც მუსიკის ნიშნებს“.



აზრის და ფერის ესოდენ ლელვა, იშვიათი და სანუკვარი, თუ
 ოლა ყოფილა ღრო და წუთი ქვეყნად როცა მღერის საგანი ყველა.

„ყვავილი მღერის, ცრემლი მღერის, ბილიკი მღერის“.

ერის ცეცხლით დამწვარსა და დაფერფლილს ძველი ღარდის ერთი
 ჟურცელიც კი უხმოდ არ ჩაუკეტია უფრაში „და რადგან მგოსნის სიყვა-
 რულით ყველა, უყვარდა, ეგონა არც ვის, არც რამ ჰქონდა მასთან სადავო“.

ჭეშმარიტ პოეტს ყოველთვის თან ახლავს ხმა გამკიცხავი, ხოლო სუ-
 ლი ნაწვიმი მაინც ლამობს კაცის გულის საიდუმლოს შეცნობას...

იყო სახარება, მაგრამ:

„შენს სილამაზეს, შენს სიმაღლეს,
 შენს სულს საოცარს,
 შენ ქმნიდი როცა აღავლენდი
 „ვეფხისტყაოსანს“.

მილიონი მზე და მილიონი მთვარე ჩაღვრილა მის ფანტაზიაში, გა-
 ფითრებული და მირონცხებული სტრიქონები ანგელოსებივით ფრენენ
 უსასრულობაში.

„ჩვენი ნანგრევები, მაინც ღმერთებია,
 ჩვენი ნანგრევები თან გვდევნენ მუნჯად.
 ჩვენი ნანგრევები აისბერგებია,
 მათ ზღვაში მხოლოდ მწვერვალები უჩანთ“.

სად არის აქ ის ჭარმაგი კაცი, რომლის ლექსს თეთრი უნდა გამოიყო-
 და „მოახლოებულ ზამთრის დასტურად?“

არც ერთი ნაბიჯი გვერდზე, არასოდეს განდგომა, სულის განახჩახე-
 ბული ჭალები გამოსცემენ სულ სხვა ბრწყინვალეობას, ვიდრე ოდესმე.

მრისხანე ცხრაასმორმოცდაერთი, გავლილი ჯოჯოხეთი თუ უმაღ-
 ლესი უღელტეხილი, საქართველოს პირველი ღროშა „ზაპკისი“ თუ კენე-
 სითი შემწრუნებული მამული, ქერჩის ღადარი თუ მოდგმა განახლებული
 ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში ნათქვამია „გულით ლომურით“, „ბოლ-
 მით ლომურით“.

რაც ვერ გითხარი, შემდეგისათვის გადავდე, ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს
 სასაუბრო, მესხეთშიც და იმერეთშიც, კახეთშიც და არაგვისპირზეც, მოს-
 კოვშიც და კიევიშიც, ოკეანეს გაღმაც...

გილოცავთ ჩემო ძვირფასო ბატონო ირაკლი სახელოვან იუბილეს.
 თქვენი ხმა და შეძახილი სჭირდება ხალხს, მაგრად ჰყავდე საქართველოს.

„სტრიქონში სიტყვა სულ არ დასწურო,
 გულს არ აშხადო ყველა სარქველი;
 ლექსი ბოლომდე არ დაასრულო,
 არ დაამთავრო ყველა სათქმელი.“

ხომ სულერთია — შენს ღაღადებას,
 გაცხრის, გაცხრილავს იმ ღვთის საცერი,
 ღმერთი იქ იწყებს, სადაც თავდება
 სტრიქონი, მგოსნის ხელით ნაწერი“.

ჯანსუღ ჩარაქვიანი



„მისი ყრუ ხმა ეცემოდა სადღაც ზემოდან — უზარმაზარი სხეულის სიმაღლიდან“ — მაგონდება ერთი ესპანელის ნათქვამი მეორე ესპანელზე. ირაკლი აბაშიძის ხმაც სადღაც ზემოდან — მაღლიდან ისმის.

მე ბევრჯერ მომისმენია გცდაკრული სიტყვა ირაკლი აბაშიძეზე სწორედ მათგან, ვისაც გულში მოსვენებას არ აძლევს ირაკლი აბაშიძის დაფნა და სიმაღლე, მაგრამ მე არ ვამტყუნებ მათ: რას იზამ, სიმაღლის შიში ავადმყოფობა.

მე მალაღობა ჩინის მოღვაწეთა შემოთავაზებული სახეები და წამხდარი საქციელიც მახსოვს. რამდენადაც ვიცი, ირაკლი აბაშიძემ ერთ-ერთმა პირველმა გაიხედა გვერდზე და ერთ-ერთმა პირველმა აარიდა მზერა იმ სალხს, ვისი აუგის ჩამოსახველელადაც რამდენიმე წელი არ გვეყო.

თვალაწინო პიროვნების ფესტი არასდროს არ შეფასებულა ერთგვაროვნად.

არც ირაკლი აბაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ზომავს და წონის ერთნაირად ყველა, და ამ თემაზე კამათისას არაერთგზის უხსენებიათ გოეთეს ფილისტერული იპოსტასი.

გახსოვთ ალბათ: თავის განთქმულ ციკლს „ზღვა ახმაურდა“ ავტორმა უბრალოდ მიანერა „გალაკტიონი“.

მწარედ გააკრიტიკეს: ეს როგორ — აკაკისავითო? ილიასავითო? ვაჟასავითო?

(სხვათა შორის, ბატონი ირაკლი იმჟამად მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი იყო და ალბათ არ უნდა დაეშვა ასეთი რამ).

რალაც ამის მსგავსი განმეორდა ამ რამდენიმე წლის წინათაც. ირაკლი აბაშიძის ორტიომეულის პირველ წიგნს ყდაზე „ირაკლი“ აწერია, და თუმცა წიგნს სუპერზე გარკვევით აზის ავტორის გვარიც, მაინც გვარიანი მითქმა-მოთქვა ატყდა: ეს როგორო, — აკაკისავითო? ილიასავითო? ვაჟასავითო? გალაკტიონივითო?

არადა, ტროლეიბუსში რომ ასეთ ჟრანსას მოვკრათ ყური: „დღეს ირაკლიმ სასწაულო წლის დაწყება მიულოცა ბავშვებს“, გარწმუნებთ, იმ ირაკლიში ყველანი მხოლოდ და მხოლოდ ირაკლი აბაშიძეს ვიგულისხმებთ, და არა, ვთქვათ, ჩემს ირაკლის, ვისაც ეს სახელი მგონი სულაც თავისი საამაყო ხეხინის გამო დაარქვეს.

ეს რომ ასე ყოფილიყო, ამას ირაკლის მთელი ცხოვრება დასჭირდა — შემოქმედება და მოღვაწეობა: უმშვენიერესი დიპტივი მამაზე, „მცხეთა“, „წმა კატამონთან“...

ირაკლი აბაშიძემ უმაღლეს დონეზე გააკეთა ის, რაზეც სხვებს ოცნება შეგვიძლია მხოლოდ. კი, რუსთაველს არ სჭირდება იმპრესარიო და ვექილი, მაგრამ ბაბილონის გოდლის მსხვრევის ხმაზე გათიშულ ქვეყნიერებას რაც შეიძლება მეტი უნდა ჰყავდეს კეთილი შრწეველი — ვისი პოემა ნაიკითხოს, ვისი რომანი, ვისი ლექსი! იმ დღეებში ირაკლი აბაშიძე ჩვენს თვალში გამოჩნდა, როგორც თანამედროვე ქაჯეთის ციხის შტურმის ერთი ამავი მონაწილე!

ჩვენ გვიყვარს ირაკლი აბაშიძის სიმღერა, იუმორი, სიბრძნე!

მახსოვს, ერთი წიგნის რედაქტორი ვიყავი. „ბრძნული აზრების სამყაროში“ — ასე ერქვა იმ წიგნს. გამომცემლობამ კრებულის შემდგენელს

ურჩია, უცხოელი მწერლებისა და მოწოდებების შიშის და სენსიტი-
ვების გვერდით ნიგნში ქართული მასალაც შეეცანა. შემდგომში დაგვი-
რა. მალე ნიგნიც გამოვიდა. ერთ დღეს ქუჩაში მხედება მწერალი, მანამ-
დე ირაკლი აბაშიძის მეგობარი რომ მეგონა, და სასტიკად მსაყვედურობს,
„ბრძული აზრების სამყაროში“ როგორ გაუშვით ირაკლი აბაშიძის ესა
და ეს ლექსი, რა აქვს ამ სტრიქონებს საერთო სიბრძნესთანო. თქვენთვის
რომ უფრო გასაგები გახდეს, რაზეა საუბარი, მოვიტან სწორედ იმ სტრი-
ქონებს:

„...შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკედეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მენი,
ყოველ ძეგლს, იქნებ დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს, შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს!

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ...
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთან“.

ეს სიბრძნეა ჩემთვის, სილამაზესთან შეერთებული სიბრძნე! მაგრამ მე
არც იმ მწერალს ვამტყუნებ: აკი მოგახსენეთ — სიმალის შიში ავადმ
ყოფობაა.

ოცნება პოეზიის მასალაა.

„მაშ იამაყე, მაშ განიცადე,
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე!“

ირაკლი აბაშიძის ეს სტრიქონები ტრადიციული პოეტური აზრას ან-
ტითეზაა. მოიგონეთ შტეფან გეორგეს „ვგრძნობ სიოს ქროლვას სხვა პლა-
ნეტიდან“, რომელიც უახლესი მუსიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა შიონ-
ბერგმა საფუძვლად დაუდო თავის ერთ-ერთ შედევრს.

სიხარულს, რომელსაც სხვა პლანეტიდან მოდენილი სიოს გამო გან-
ვიცდიდით, ახლა უპირისპირდება აღტაცება იმის გამო, რომ „სიცოცხლე
არის მხოლოდ მიწაზე“.

მართო ირაკლი აბაშიძის დიდი ტალანტის წყალობაა, რომ ამ ლექსის
კითხვისას გვიჩნდება ჭეშმარიტ პოეზიასთან შეხვედრის ილუზია.

სინამდვილეში ამაღლებული და მშვენიერი, რასაც შეიცავს ადამიანის
მადიებელი სულის ლტოლვა მისი მსგავსისა და ხატის საპოვნელად, აქ
შეცვლილია ჩვეულებრივითა და მიწიერით. უფრო სწორედ, ეს ლექსი ჩემი
საყვარელი პოეტისა არის წარუმატებელი (და, პოეზიად აქციოს იმედ-
გაცრუება!

„ღვთაებრივი კარანტინი“, რითაც ერთმა ამერიკელმა კათოლიკე ას-
ტრონომმა სავარაუდო ცივილიზაციებს შორის არსებული მანძილი დაახა-



სიათა, ჩვენი გვართმევეს საშუალებას, კონტაქტი დავამყაროთ მათთან, მაგრამ ეს მდგომარეობა ვერ ნავგვართმევეს იმედს და სურვილს — ეიოცნებოთ მათზე.

 და შავტანისასოსიანები. მეგრების რწმენით,
 ბატონები ყოველ ინაზე ლაპარაკობენ. ბატონები
 ქალს სახისაც შეიძლება იყოს და კაცის სახი-
 საც. თარაშ ემხვარეც ზღვის გადაღმიდან მო-
 ვიდა, მრავალ ენაზე ლაპარაკობდა, თამარის სი-
 ზმრებშიც სულ შავი ჩოხა ეცვა და შავ
 წვერის ატარებდა. ისიც ავსულა მამაკაცი იყო
 ქალების მიმართ“ (სიმთავროვერი ენგაღი“,
 თბ., 1965, გვ. 121).

4. ვაჟის კუღტი. ილიონისო დომო-
 ში“ ენაში ნაყოფიერების და სამშობლოს სიმ-
 ბოლოა. სავარაოებო სიზმრად ხედავს აღდგე-
 ნილ და გაერთიანებულ საქართველოს. უსტო-
 რითიდან მობრუნებულს ყარაშან მინდელი მოუ-
 თხრობს თუ როგორ გაძლიერდა ქართლისათა
 მოღვაწე. სავარაოებო ბატარა ენაში გაიშენა,
 სამშობლოში დასახლდა და ოჯახს მოკვდა,
 ყველას ეუბნება: „ქართული სისხლი სხვაში
 არ გასცვალთ, თორემ ჩემს ენაში წილს არ
 დაგიღებთ“. ამიტომ წარმოდგინება ენაში,
 როგორც ძლიერი საქართველოს სიმბოლო. მა-
 გრამ ეს სიზმრად ხედავს. ცხადში კი სავარა-
 შიმემ ენაში აქრა, რომლის გაშენებას მამამ
 სიცოცხლე შესწირა, მიწები გაჟიდა და უცხო-
 ელში გაემხვებარა. მეს თავისი ტრეტემი ვაჟა-

ამრიგად ირკვევა თარაშის კიდევ ერთი ზი-
 პოსტახი — ბატონები. ბატონები ბორკტ სულს
 ეწოდება, რომელიც ავადმყოფობად ევლინება
 აღამიანს. ბორკტი სული იკვე დემონია. ასე-
 დაც ცნობდება და იხსნება თარაშის დემო-
 ნური ხატ.

თარაშს სძულს თანამედროვეობა. ის ძველი
 საქართველოდან მოდის, შორეთიდან აკვირდ-
 ბა ხადლეისო მოვლენებს. თამარ მეფის სიყ-
 დილის შემდეგ არც ანტიტრენებს ინტორია, რა-
 დგან დება კომმარული ლამე ქართლის ცაზე.
 მაგრამ წარსულს ხელოვანის გზენითაც აკვირ-
 დება. ბატაროტი, მეცნიერი და ხელოვანი ერთ
 ბუნებაშია მოქცეული. ამიტომ მისთვის თამა-
 რის ნაწინავები სიმბოლოა — ძველი ქართველი

სოსო სიგუა
 გვანამ ცხენი



განადგურა... თავი შეიფარა შევებისა და თრობის ღმერთის დიონისოს, მის რელიგიურ რიტუალებსა და მეტამორფოზებს. დიონისოს კულტის მთავარი მოტივი ვაზსა და ვენახს უკავშირდება. ამიტომ ვენახი წარმართობის გამოსატულუბაა, მაგრამ წმინდა ნინო საქართველოში ვაზის ჭრით მოიღის. ვაზი ერთდროული სიმბოლოა მშობლიური წარმართობისა და ნაციონალიზებული ქრისტიანობისა. სავარსამივე ოცნების სფეროში რჩება. ზოლო ვახტანგ კორინთელი კახეთში, კერძოდ გველეისზე ვაზზე, ვაზის უძველესი ქართული კულტურის გავრცელებას ხელმძღვანელობს. ვენახის გაშენებით, როგორც პირდაპირ, ისე სიმბოლურად, სამშობლოს ძლიერებას ემსახურება. სავარსამივეს ოცნება მან რეალობად აქცია. სიხამუკის ზმანება ასე შეიცვალა და აღიჭრელა „ვაზის უვავილობაში“.

ვახტანგი ეთანხმება ნიორთავას და ვარაუდობს, რომ ვაზი და ღვინო მართლაც ქართველებისაგან უნდა წადიოს ბერძენებს. პომეროსი ხომ გვეუბნება „წინწალებისმფრქვეველ“ ღვინოზე“, რომელიც ოდესგან მიაერთა კოლხა მეფის ატაქის დამ — კირკეზ. მიანით, რომ ველური ვაზი მოაშინაურეს და უურძნის წყენისაგან პირველად ღვინო ქართველმა ტომებმა დააყენეს. თვით სიტყვა „ღვინო“ ქართულია, რომლიდანაც იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამიტომაც ანიჭებდა კ. გამსახურდია ესოდენ დიდ მნიშვნელობას ვაზს და მასთან დაკავშირებულ დიონისოს კულტს (ზოგან დიონისო მახუსად იხსენიება).

5. ცხენის კულტი. აღმოსავლეთის ბუღბული, სიმბოლისტთა გედი, ზოდღერის აღბატროსი, ლოტრეაშონის გომბეშო, ბართაშვილის მერანი ლიტერატურაში ისევე არსებობენ, როგორც სრულფასოვანი ინდივიდები. ხელოვანის სულის ქრძლვა მიენდობა მათ. კ. გამსახურდიას საყვარელი ცხოველია ცხენი. მკითხველს აღაშინათა დარად ახსოვს დარდმინანი, არაბია, გუნტერი, ცირა („მთავარის მოტაცება“), ქუჭაი, სკითია („ადვილ აღმაშენებელი“). ხარის და ცხენი ქართველი კაცის ისტორიული თანამგზავრია. პირველი შრომის სიმბოლოა, მეორე — ბრძოლისა. კ. გამსახურდიას მშვიდი ცხოვრება და შრომის პროცესი ნაკლებად აუხამავს. ამიტომ მან, რუსთაველისა და ბართაშვილის კვალდაკვალ, ცხენის კულტი წამოწმია. მიხი ყველა გმირი კარგი ცხენოსანია. ცხენი ისევე განუსყრელია მათი არსებდან, როგორც შინა და წყალი. ცხენი დემონურ ძალთა განსახიერებაა, დიონისური აღაშინის ატრიბუტია, ქართველის რწმენით — მიცვალებულის განუსყრელი თანამგზავრი.

სავარსამივე წითურმა უღაყმა დააინტერესა მორღუმ მეორე დღეს უთხრა, რომ ეს კვიცი გუჯას, მიხი ღღროდ დაღუპული ვაჟის მიერ

სათურქოდან ყოფილა მოყვანილია... კონსტანტინეს ტაიამ გუჯას თმა მოაკვეციან, გაუხედელი წილოური უღაყიც თმა აჩუქა. ამით მორღუმ თითქმის შეიღობს სიკვდილი სავარსამიძესაც გაუხაწილა, შავი ბედი მასაც დაანათლა. მცირე ხანა ვახლო, სავარსამიძე ახსოფმანში უნდა ჩაიყვანოს ფარავი. მორღუმ სთხოვს, რომ გაუხედნავი კვიცი წითელი უღაყი დაიჭიროს და შეაკაშინონ. მას უშლიან, რომ საშუო გზებზე ისიც დამთი, სახიფათოა გაუხედნავი ცხენით მგზავრობა. კონსტანტინემ არ დაიშალა და აბღულა ქამანდით წამოაჩოქეს. ტაიასთხვს, რომ დიღამდე შინაც უნ წავა ახასთუმანს. მაგრამ სავარსამიძე ჭიუტია და ყურს არავის უდებებს, ჭაჭვისფერ ცხენზე ფარავი შესვეს ძობიშვილებმა, ზოლო თავად ურაცხენზე შექდა. გზაში შემოაღამდათ და კოცისპირული წვიმა წამოქნით. ტქტსში არ ჩანს, მაგრამ ეტყობა, ფარავნმა და კონსტანტინემ ცხენებაცაცალებს. წინ მიქრის აბღულაზე მჭდარი ფარავი: „დემონი დემონს აკიღებოდა“. მას მისდებს სავარსამიძის ცხენი, რომელსაც მოსართავები დააწულა. უეცრად ავტომობილის ფარების უეჭმა შემოანათა სახენი და აბღულა ბნელი უფსკრულისაკენ ისყუა. სავარსამიძე ჩაბალახამა მეურმემ იხსნა. ამრიგად აბღულა, რომელიც სიკვდილის მომტანია, მორღუმ სავარსამიძეს ვაღულოცა. ზოლო კონსტანტინემ მასზე ფარავი შეხვა და ამით თავის ღმერთის — ხელმეორედშობილი დიონისოს დაღუქვა იხილა. აბღულა სათურქოდან არის მოყვანილი. ის მტრისთვის წართმეული დავლაა, რომელიც წყველად მოევიღნა ტაიასა და გუჯას, სავარსამიძესა და ფარავს.

არზაყანმა დათმო არაბია, ოღონდ წყუელი ემხვანი თავიდან მოევიღებინა. მაგრამ არაბია თამარს ავონებს არზაყანს, მათ შორის მხვავებებს პოლოლობს. ამიტომ არაბიას დაკარგვით თამარიც დაკარგა. სხვათაშორის, თარაშს პირველსავე ნახვავე არ მიეწონა არაბია და შენიშვნა გამოთქვა, რომ იგი ფეხავეშაა. აღდრე ძიშვილები მარულაზე გაეჭიბნენ ერთმანეთს. მაშინ არაბიაზე არზაყანი იჭდა, ზოლო თარაშს დარდმინაზე.

არაბიას სახელი თავიდანვე სიკვდილთან არის გართმული, ისევე როგორც აბღულასი. არაბიას თავდაპირველი პატრონი არზაყანს შემოაკვდა ჩიპირვის. მთებში. მეორედბა „დიონისოს დიმილის“ ანალოგიური მოდელი: აბღულა — გუჯა — ტაია — კონსტანტინე — ფარავი; არაბია — ჩაბალახანი მტედარი — ლიჩელი — არზაყანი — თარაშ. მკითხველს ისიც უნდა შევახსენოთ, რომ არაბია ჩვეულებრივი ცხენი როდია. ის ბერძნული მითოლოგიის პეჯასია, რომელიც პერსეუსის მიერ მოკლული გორგონა — მეღუზას გვაშიდან შობილი ჭალონსური ცხენია (არაბია ყივილათა მეთაურის ცხენა იყო). აღსანიშნავია, რომ პერსეუსი ზევსისა და



დანავს ვჭყია. არგონის შეფუძნის მიხედვით უწინასწარმეტყველა, რომ დანავს უყოლებოდა ვაჟი, რომელიც პაპას მოკლავდა და ტახტს წაართმევდა. ახალშობილი ზღვაში გადაადგდეს, მაგრამ ზღვისწყარას ვერ გაიტყუნენ, პერსეუსს მართლაც შენაოკვდა პაპა (არწაყანა მოკლა მამა). პერსეუსმა მკვავს ოლიმპოსს; ხოლო არწაყანის არქიტაი და ზაოსტაის ხომ იცნობდა ახლა. პეგასს ზეინაილის ღმერთაღლ ეოსთან აქავიორებდნენ (არწაყანი ხედავს მსგავსებას თამარსა და არაბიას შორის). ყველა მხილველი, მათ შორის ცხენის შესანიშნავი მცნობი გვანჯ აფუჭიქი, მოხიბლულია არაბიას ღვთაებრივი სიმშვენიერით. გვანჯი ცდილობს ცხენის ზღმში ჩადგებას. ძაბული იხე მიტიჩრის მის ნაკვალევს, თიქოს მძა დამპარგოვდეს („და თოვლს უნდოდა კიდემშის გაივსო ქვეყანა“). არაბიას იცნობდნენ მთელს ოლიმპსა და აფხუზეთში. ახლენად არის არაბია მითილოგაზებული და პეგასთან გაგიგებული. ეს ენათესავება ქართული ზღაპრების ჭადოსნურ რაბსაც, რომელიც ფრინავს და საუბრობს (თ. ოქროშიძე).

ღვთომა პაპიმის ბაგრატი IV ცხენის სახელი დააქვა თავის შერანს, რადგან ის წინაპართა ხაოცნებარის აღსრულებას ღმობს. ცხენი წარმართულ სამეგრელოში ტოტემად ითვლებოდა. მის ხორცს არ ჭამდნენ. ცხენის სალოცავს თერობა ერქვა. ლუკაია მართავს ხოლმე ვაცხენების რიტუალს, რომელსაც ესწრება შარვაშიძეთა ოჯახი და თარაშ ემხვარი.

6. შ ვ ვ ა ნ ე ც ხ ე ნ ი. კონსტანტინე გამახურდია ბიბლიური მითებიდან ყველაზე ზშირად აპოკალიპსის ესეხება („იოანეს ვაოცხადება“). ეს წიგნი დაწერილია 67 ივნისს და 68 წლის აპრილის შუა და წინ უსწრებს სახარება ოთხთავსა და ეპისტოლეებს (ფრ. ენგელსი). ჰატიმოსას ქალაქში იოანე ღვთისმეტყველს გამოეცხადა უცნაური და საზარელი ხილვა. მთელი ტექსტი როთული ფანტასმაგორია, რომელიც ერთმანეთს ენაცვლება საკრალური შვიდი, ოთხი ცხოველი — მსგავსი ღომისა, კურსისი, კაცისა და არწივისა. სამუაროს იღვამლება დაბეჭდილია „ბეჭდილია შვილითა“. შდრ — „ტაია შვილიამ ახია ჩემს თვალწინ ბუნების შვილებდენიანი წიგნის პირველი ფურცელი“, ამბობს ხავარსამიძე. თითო ბეჭდის ახსნაზე გამოიღეს თითო ცხენი, ჩერ „სპეტაკი“, შემდეგ „წითელი“, „შავი“, „მწვანე“ და ა. შ. და ხამუაროსთვის მოაქვს ნგრევა, სიკვდილი და სისხლისღვრა. ციცხლა. მაგალითად, მეექვსე ბეჭდის ახსნას მომუვება მოწიხებრა, ქარიშხალი, ვარსკვლავთცქენა და წარღვნა: „და ცა წარიგარგანა ვითარცა წიგნი წარგარგანილი და ყოველი მთანი და ბორცვი ადგილია თვისთავან შეიძრეს“. შემდეგ ჩნდებიან ანგელოსები. ისინი რივრიგობით საუყირს დანცემენ, რახაც მოსდევს თანმიმდევრულად კაცთა, ხეთა, ცხოველთა, შვის, მთვარის, ვარს-

კვლავების შესამედის მოსპობა. შერმე ზღვა დან ამოდის საზარელი მხეცი. მას ათი ტკა და შვიდი თავი აქვს. სახით ვეფხსა მკავს; ფეხებით დათვს, პირით — ღომს. ამ მეციენსახელია ნინე, რაც ნიშნავს „ნეროს“. ტექსტში ვანუყვეტილივ ფიგურირებს საგანთა და არსებათა შვიდეული. „იოანეს გამოცხადება“ არის წინასწარმეტყველება იმ რისხვისა, მეორედმოცხადებისა, რომელიც წარმართებს თავს დაატუღებთ, გადატანით კი ყოველგვარი კატასტროფის არქიტაია.

კ. გამახურდიას ნაწარმოებთა სიუჟეტში ზშირად ერთვის ამ წიგნის სახეები: შარდინ აღშობიაა ლუკაიას სადღეგრძელოში მოიხსნიებენ ვრცელ ციტატს აპოკალიპსურ ვეშაზე; სტუდენტ გივი მეურტინე ითხებს მოაგონებს მეექვსე მოქცევის აპოკალიპსურ ნიშნს და სათანადო ადგილსაც ზეირად ეუბნება; ცოქალა სოსოს მოუთხრობს თუ როგორ მოვა იმეც ნაწარველი ანგელოსის საუყირის ხმაზე, როგორ „აღდგებიან მიცვალებულები“.

ლუკაიას ბნელმეტყველებამ და ნაშრდისფერმა ზღვამ თარაშს აპოკალიპსის სიტყვები მოაგონა: „ზღვა უკვე აღარ იყოფა, რომ დაწერილია“. ლუკაია ხომ აპოკალიპსის ანგელოსია თავად ავტორი შედარების საგნებად იყენებს იმ 12 პატიოსან თვალს, რომელთაც „იოანეს გამოცხადება“ სახელებს ციური იტრუსალიმის შურის დროს: სარდიონი, პაზიონი, ვიაციონი, იასპი, საფრონი, სმარაგდი, ბივრიტი, იაკინთი, ქრიზოლითი, ამეთისტო, აქატი, ქრიზოპრასი, რომლებიც 12 მოციქულის სიმბოლოა. (შ. პილიაევი) გამოთქმა „ძე კაცის მსგავსი“ აქედან არის ნახსენები. ხანაც ხდება გამოცხადებას ახლებური მიმედლირება. აპოკალიპსის ჭარბა გამოყენება იმით უნდა აიხსნას, რომ მის პერსონაჟებს მსოფლიო ომი, რევოლუცია და სამოქალაქო ომი წარმოადგენილი აქვთ იოანეს ნაწინასწარმეტყველებ მეორედმოსვლად. ზოგჯერ ამ წიგნის სახეები რომანის ქვეთავების სათაურად არის გამოტანილი: „პატრონის ქალაქი“, „აპოკალიპსური კურსი“ („დღონისის ღიმილი“), „მწვანე ცხენი“ („მთვარის მოცხადება“), ხანაც უშუალო თხრობაშია გაბნეული.

კონსტანტინე და ჭენტი პარკის ხეივანს მიუყვებიან, შემდეგ ნოტრადამში შეეღუნ. შორმუნენი მწუხრის ღოცვის ისმენენ. ვიწრო და მაღალი ფანჯრის აპოკალიპსურ მოტივებზე მოხატული. შოჩანს პატრონის ქალაქი, „ძე კაცის მსგავსი“ — ქრისტე. მას ხელი უყრია კლიტინი „სიკვდილისა და ჭოჭოხეთისანი“, შარჯენივ შვიდი ვარსკვლავია, შვიდიც ოქროს სახანთელი. მათ მოხდევენ ცხოველები ღომის მსგავსი, კურსის მსგავსი, არწივის მსგავსი, მეოთხეს კაცის პირი აქვს. მათ ორი თვალი და ექვსე-

სოსო სიბუა
მშტანი ცხენი



ესი ფრთა ამკობთ. შემდეგ მოჩანან შთავარან-
გლოზი გაბრიელი, შვილი პოწაუენი, აპოკალიპ-
სის მხედრები, რომელთაც წინ მწვანე ცხენზე
მჭადარი მხედარი მოუძღვის, სავარსამიძე უყუ-
რებს ამ სურათს. მასზე მაგაურად მოქმედებს
„ლოცუვანების ხმადაბალი, კორალური კიბზა-
ჟა“, ლანდების ჩურჩული და ნელი მოძრაობა,
პირათლი იხსტერი და ამითვისიროფერის შუ-
ქი, საკურთხველთან დგას გამხდარი, მალა-
კაცი. იგი აპოკალიპსის სიტყვებს კითხულობს:
„და მივიქცე მუნ ხმენად ხმასა მას, რომელი
მეტყოდა: მე და ვითარცა ვიხილე შვადნი სასა-
ნთლენი ოქროსანი და შორის შვიდთა მას სახა-
ნთლთა მსგავსი ძისა — კაცისა“... იოანეს ჯო-
ჯობოტორი ბილვა სურათსა და სიტყვაში გაბ-
მანდა და შერტოდა. მათ ემატება ქრისტის ხა-
ხელის სხენება. ეს მცირე მინიშნებაა, რადგან
მას იხმენს „ახალქროსტიდ“ წოდებული სავარ-
სამიძე — რელიგიურმა პაროქსიზმმა, მორთოლ-
ვარე ლოცვამ და ტაძრის ბანდუნდამ კონსტა-
ნტინე და ქენტი დაახლოვა და შეაჯამა. სა-
ვარსამიძემ პირველად იგარძნო ამ ღამეს, რომ
„ჩვენ ისევე განუტყრელი ვართ, როგორც ორი
ფრთა ერთი და იმავე სამხრეთისოწურებულ წე-
როსი, ცეცხლა და ღრუბლიან ქვეყნებში რომ
დაყალიბოს და შვეს ეძახის“. აგნებულ სავარ-
სამიძეს ერევენება, რომ ღრუბლები იხე მოჩა-
ნან ტყვიისფერ ცაზე, როგორც „ოთხი აპოკა-
ლიპური ცხოველი“.

ქენტი და სავარსამიძე აპოკალიპსურმა მი-
სტერიათ დაახლოვა. სექში და რელიგია გაერ-
თიანდა. სიუვარულის პირველი ბიძგი მათ გულ-
ში გააღვივა ამ კომპარული ფიგურებში წამო-
სულმა საურათმა, სიტყვებმა და ლოცვამ.
ამით თავიდანვე მინიშნებულა, რომ ეს სიუ-
ვარული ბედნიერების მომტანი ვერ იქნება.
ის აპოკალიპსური რისხვით მობრუნდება გან-
წურებულთა თავზე. მას მოაქვება ხასხლი,
ცრემლი და გლოვა.

კონსტანტინე ტაია შელიას ჯოგში ხედავს
ღვინისფერი და წაბლისფერი კუროების ბრძო-
ლას. ტაია, ოტია, თერაზი და ცაშლეთი ამ დუ-
ელს გულგრილად შეჰყურებენ. ეს მათთვის
ჩვეულებრივი ამბავია. სავარსამიძე კი გაოცბუ-
ლია. ღვინისფერმა კურომ გამოიშვანა ტანკრო-
ნილი წაბლა. ხარის დიონისოს ერთ-ერთი პო-
პოლტახია. თითქოს დიონისოს მართლაც თვით-
მკვლადობით ამთავრებს სიცოცხლეს. მაგრამ
უნდა გავისხნეთ, რომ რომინის ამ თავს მქვია
„აპოკალიპური კურო“, რაც მიგვიანინებს
დიონისოსსა და ქრისტეს ალტეგორიულ ბრძოლა-
ზე. კონსტანტინეს სათაყვანებელი ღმერთი დი-
ონისოს აპოკალიპსმა (ქრისტანონამ) განადგუ-
რა. დღენა აპოკალიპსის ის ცხოველია, რომე-
ლსაც კუროს სახე აქვს და რომელიც ნოტრ-
დამში იხილა სავარსამიძემ. ამით ნაუწყებია,
რომ მთაბლოვდა რისხვის დღე.

აპოკალიპსით არის შთავარებული „საქართველ-
თადაც“

თად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძის ხსენ-
სებმა იოვანეს ხილვის თავისებური ვარიაცია.
განყენებული, ქრისტიანული სიმბოლოების ნა-
ცვლად ლაონსტანის ძველი აზნაური ხედება იმ
ხალხს, რომელთადაც ურთიერთობა სქენია. გა-
დაიარა სამი მიწდორი ისლიანი, სამი ველი გვი-
მრიანი, სამი მთა დაფინანი. ერთ ტაფოსში მთა-
და. ტაფოზე პარავი იდგა. კარავში რაინდი
ესვენა. იქვე კარავი სამი ცხენია გამობმული
— შავი, თეთრი და ენდროსფერი. სავარსამიძემ
შეარჩია მოხსუბარი ხალილები და პერბერტ
შტუდერის. იხინი მძალე გაიფიცნენ. „ხალილ-
თერთაზე შექდა, პერბერტი შავზე და მე ენდ-
როსფერ უდაყს მოვაბტი“. ამ სახეს სიმბოლო-
თა სამი შრე გაანია: ა) აპოკალიპსში თანამი-
დევრულად ჩნდებიან „სებტაკი“, „წითელი“ და
„შავი“ ცხენები, როცა „მე კაცის მსგავსა“ ახ-
ნა პირველი, მეორე და მესამე ბექედ. აპოკა-
ლიპსური მხედრები მიემართებიან კოშკი-
საკენ, რომელშიც ტახტზე წის „დაწმალდი,
უვითრელოლებიანი მონღოლი“. — სლანსკი.
იყუება სასტიკი და არნახული ბრძოლა; ბ) სა-
ვარსამიძე უყვიის მეტოქეს: „სლანსკი ახვიდ-
მები“: ეს ფრაზა უნებლით გვახსენებს კ. ვა-
სახურდიას ტრაგია ANNO, 1917“, რომელშიც
ავტორი მსგებლობს იმ 117 წლის ტანჯვას, რომ-
ელიც გადაიბრუნა ქართველმა ხალხმა მეფის
თვითმპყრობელობის უღელქვეშ („პრომოეთ“,
1918, № 1). ამ წერილში ნათქვამია: „სამფე-
როვანია ჩენი ეროვნული დროშა: შავი, თეთრი
და წითელი. შავნელი იყო ჩენი წარსული, სა-
უკუნეთა უწყველადი სწინათლის ჩირადნითი გვი-
ვლია. ალისფერი სისხლია უყოველგვარი თავისუ-
ფლებისათვის აუცილებელი ვარანთა და ზეარა-
კი. სითერთი სისპეტაკის ემბლემია“. რადგან ნა-
ჩვენებია ჩრდილოეთის მეფის ტახტის დამხობა,
რომელშიც თავად მწერლის თქმით ქართველი
ვლია ბახატე მონაწილეობდა, ბუნებრივია,
რომ სამი ცხენი სამფეროვან ფეოდალურ სა-
ქართველოს დროშას განახავებებს. ყურადღე-
ბა უნდა მივაქციოთ მწერლის იმდროინდელ
მრწამსსაც, რათა ამ ალტეგორიის რეალიზა ვი-
წამოთ. კ) მაგრამ შავი, წითელი და თეთრი ცხე-
ნები შესაბამისად აღნიშნავენ ქართული მი-
თოლოგიის ქვესკნელს (პერბერტი მკვდარია),
შუასკნელს (სავარსამიძე შუასკნელით ქვესკნე-
ლში მიემგზავრება და ლანდების საუფლოში
მკვიდრდება) და ზესკნელს (ხალილები ცოცხ-
ალია), ამრიგად, მწერალმა აპოკალიპსური მხე-
დრების მოტივზე დაყრდნობით მოგვცა სამამი
სიმბოლო: სახეთა და სიმბოლოთა პოლივალენ-
ტობა კ. ვასხაზურდათს ტკილის და მხატვარე-
ული აზროვნების სპეციფიკა. ხოლო თვით ეს
ბრძოლის სურათი სიუჟეტურად განახავებებს
წმ. გიორგის შემშის ურჩხულთან. წმ. გიორგი
ხომ განუზომლად უყვარს სავარსამიძეს, რომ-
ელიც ითარავს საქართველოს. ხოლო ურჩხუ-



ლი სამშობლოს მტერი, ამდენად არის ამ სახელ-
 უში წმ. გიორგი კონსტანტინე.

თამარი წევს და მეზობელი ოთახიდან ესმის
 ბაბუა ტარიელის ხმა, რომელიც აპოკალიპს-
 კითხულობს. ეშინება, რომ მოვიდა დედა და თა-
 ვზე გადაყარა თამარს ხარდიონი და პაპიონი,
 საფირონი და იასპი. ოქროს ჭვარი ეცირა ხელ-
 ში. თამარი წაეპოტინა ჭვარს, მაგრამ უკუიქცა
 დედა, არ უნდა შეიღს გადაღებვის. მისდევს
 თამარი, მიაპობს ისილის ტერს, უტერად ბორ-
 ცვს წამოჭრა ფეხი და ხელთ შერჩა უზარმაზარ-
 ი შავი ხის ჭვარი, დედის საფლავზე აღმართუ-
 ლი. ამ დროს კაროლიამ გააღვიძა.

იმვე საღამოს თარაშ ემგებამ სიუვარული
 გაუშლავა შარავშიძის ქალს. მათი ტრუობაც
 აპოკალიპსთან არის წილსაყარი.

შემდეგ თარაში გადაიქარგა. თამარი დაეად-
 და. ერთბაშად სასაფლაოზე წაიღია. ზმანებანს
 სინამდვილე შეენაცვლა. შეტყუნდა, როცა დე-
 დის საფლავი ნახა, ცაცხვი მოეკრათ, გარდავანი
 აელთო, კიპარისები ქარს დაემსხვრია, ირველავ
 ეყარა საფლავის ნაშენრევი. მიწას ღორები ჩიჩ-
 ქნილდა. „შიწაზე გარდავლილი გრიგალი მი-
 წის ქვეშ ბინადართა თავმოყვარობასაც შე-
 ხებობდა და მიაღწენა აქ უკუიღვივ“. ეს „გრი-
 გალი“ იწვევს აპოკალიპსის ასოციაციას. შემ-
 დგე ეკლესიაში შევიდა თამარი. მის სენას მი-
 სწავა დიაკონის პუტუნი. იგი „იოვანეს გამო-
 ცხდების“ იმ ადრე კითხულობდა, რომელიც
 ბეჭდის ახსნის საშინებლბას გვაშრობს. თამა-
 რი გულმხურვალედ ევედრება გლახაკთა და და-
 ვრდომილთა ღმერთს, რომ სიცოცხლე შეარჩი-
 ნოს მისოსებ ემზავოს. ექსტაზში შესულს თა-
 რაშის სახე დაუღვრა თვალწინ. ამ დროს ხმა
 აღმოაშალა დიაკონმა და თამარს მოეხმა: „და
 რაფას აღალო მეოთხე ბეჭედი; მოეხმა ხმა
 მეოთხისა ცხოველისა, რომელი იტყუა: მო-
 ვედ და ვიხილე და ვიხილე ამა, ცხენი მწვანე
 და ზედა მჭდომარება მას ზედა სახელი მისი
 სიკვდილი“. თამარმა „ცხენი“ და „სიკვდილი“
 გაიგვივა და თარაშს დაუკავშირა. მერმე მოეჩ-
 ვენა, რომ შავი მტრედლებს ვაგვის ეკლესია.
 „სასინელი ხმით შეაკვილა ქალმა, ნესტიან თა-
 ტაკზე დაეცა პირველ“. თამარისათვის „მწვანე
 ცხენი“ სიკვდილის სიმბოლოდ იქცა. მან თარა-
 ში აპოკალიპსურ მხედრად წარმოიადგინა, რო-
 მელსაც მოაქვს სისხლი, ცრემლი და გლოვა.

სიკვდილისწინ თამარი ხედავს შარულას. მწვან-
 ენე ცხენზე შემჭდარა თარაშ ემზავარი. მოკრის
 შავბალახიანი მხედარი. ჰელმოსთან პირველი
 მიიჭრა. წაბალახი აუფრიალა და თარაშის ნა-
 ცვლად მწვანე ცხენზე „კბილდაღრქენილი ჩონ-
 ჩნი შემჭდარა“. „საბელი მისი სიკვდილი“,
 ჭვარს მიუშვებს დედა ამ სატანურ მოჩვენე-
 ბას. თარაში თამარისათვის მწვანე ცხენზე ახტ-
 დრებული სიკვდილშემოსილი რაიუნაა. ანი-
 ტომ ის ერთ-ერთ პლანში აპოკალიპსის მხედარს
 განახახებებს.

თარაშ ემზავარაც ეწვია აპოკალიპსის მსგავ-
 სი ზმანება: დევის ჭვამში შვილი კვარი აუ-
 თია ვიღაცას, რომელიც შვიდ ჰალად, შვიდ სა-
 ნათლედ იქცა. გვირგვინს ჭერი გოტიურ
 ტაძრის თაღებს დაემგვანა. წევს ემზავარი. გო-
 ნება არ ემორჩილება. შემდგარა თავი თუ გამ-
 ჭრალა სადღაც. თვალს იფშენებს და ისევ ჩა-
 ხჩახებს შვილი ოქროს სასანთლედ. აღბათ თუ-
 მურმა თუ აანთო ისინი. ზმანებაში დედა იხი-
 ლა, თმენამოშლილი და ღამინათვი. მას ემზ-
 ვარების ძაძით მოსილი ჭკრივები შემოაყვენენ.
 ისინი გლოვობენ მიცვალებულ მისოუსებს. თუ-
 რმე იმ დღეებში გარდაცვლილა თარაშის დე-
 და და იგი სამარის კარამდე ცირუნისა და ემ-
 ხვარების ჭკრივებს მიეცილებინათ მხოლოდ.
 თარაშის ჩვენებას, როგორც შემდეგ ვიკვებთ,
 მისდევს დედის გარდაცვალება.

ეივრედ მაშინ გამოცხადდა აპოკალიპსური
 ხილვა, როცა ფხალმუნის ანდამერვე ლექსი წა-
 იკითხა. ამჭერად იგი თარაშის დაღმავანს გვა-
 უწყებს. უორნისფერ ცხენზე შემჭდარა თავად,
 ხოლო არზაყანი წიოელ მერანს მოაგვეუცებს.
 ინგრევა ჭვევანი, მიოცვანება მრეში ურჩხული.
 ისმის ლაღუმების გრუსუსი. იქცევა ჭვარი და
 ხეტოცხოველი. აპოკალიპსის დარად ბუკა
 სცემს ლუკაია ლახბუთა. ხედავს თარაში, არ-
 მანის მთაზე აღმართული ორი ქანდაკი უწყ-
 ნოდ ებარძვის ერთმანეთს. ვიდრე ვაშველბანს
 მოასწრება; ორივეს თავი ქვიშზე გაგორდა.
 თარაშმა შეიძინო — იღუმადებათა და წინაა-
 რთა კერპები — ვაც და გაიმ, მას ახალი სამ-
 ყარო წარმოუდგენია, როგორც აპოკალიპსის
 გრიგალგამოვლილი, ხელმეორედ შობილი ჭვე-
 ყანა.

„მწვანე ცხენი“ შემოდის „ღვით აღმაშენე-
 ბელშიც“. ვიდრე მიწა იძვროდეს და ბაგრატი-
 ხელი ცხენი აჭიხინდებოდეს, მახარას მოცხ-
 მის ბერის ქანცმიღებული ხმა: „მოვიდე და იხი-
 ლე და ვიხილე. ამა, ცხენი მწვანე“. ამ სიტყუ-
 ბის წარმოთქმისთანავე შეტორტმანდა დარბაზი.
 „მწვანე ცხენი“ დაუკავშირდა გაქარჩხულ სასა-
 ხლეს და ოცი წლის წინათ კედელზე დახატული
 ბაგრატიხელი საომარი ცხენის ჰიხვის. ამით
 მომავალი დიდი ბრძოლის სიკვდილის გარდუ-
 ვალი ნიშნით არის აღბეჭდილი. მას მოჰყვება
 სისხლი, ცრემლი და გლოვა.

მრავალი წლის შემდეგ მახარა ვარაზიხელ
 გაქარჩხულ სასაღვმისო იხილავს კედელზე გა-
 ცოცხლებულ აპოკალიპსურ შვიდ მხედარს,
 პატრონის ქალაქს და მწვანე ცხენს, აბაღონს —
 უფსკრულის ანგელოზს, წმ. გიორგის, გურდ-
 გულში თავივე დაკიდულ ორ ანგელოზს — თა-
 მუტხა და მაგუტს, შაჰვერა ერისთავებს. მათ
 პირდაპირ გამოხატულია თმაზუქუა შავგერ-
 მანი არტანუჭელი ზურთომოდვარი. ამ სურა-

სოსო სიგუა
 მწვანე ცხენი



ოთხ მხატვარმა ვარზ ერისთავის ოჯახის ამოწვევა მიანიშნა, რადგან „მწვენი ცხენს“ მოქვეს კატასტროფა.

„ამოკალიშის ნაღერი მღვდლანი“ მითოლოგიკული პერსონაჟია. თანამედროვე ულტრარემის ნიოოსურია მოდელი „თანხან გამოცხადებმა“ შიკ“ ნიკიტოვა. კიდევ ერთხელ აშკარადგება იმ აღმანიწინა მსოფლმხედველობა, რომელიც სოციალურ გარდაქმნაშია ქართველი ამოკალიშურ წარდგინდა წმარმოხსახთა.

7. წყლის სტიქია. წყალი სიცოცხლის საწყისია. ბერძნულ მითოსში ყველა ღმერთის საწყისი არის ოცენა. წყლის სტიქიონი. წყალი განმარტებელი და სიკვდილის მომტანი სტიქიაა. ის სამყაროს ღვინობის, წარმავლობის და მუდმივი განსხვავების სტიქია. ამიტომ ერთდგმა თარაში წყალს. უცხო ქალაქში ყოფნისას უყოველივის კითხულობს თუ რა მდინარეა აქ. ბავშვობიდანვე უყვარდა წყალი. ვარაუდობდა თუ რომემ თავის მოკვლა გადაწვევებზე, წყალს — საყვარელ სტიქიონს მივაკითხავო. ერთხელ დგინაში ბანაობდა და კინაღამ დაიხრჩო. მას შემდეგ შესძულდა წყალი. ქართველ კაცს ისტორიულადაც არ უყვარებია ზღვა და მდინარე, მის ოცნებას მუდამ თვებში აიჭივებდნენ, თარაშიაც ამიტომ უყვარს მწვერვალთა დალაშქვრა.

ადრე, ბავშვობაშიც კინაღამ დამხრჩვალა ესტატე მოაკონებს თუ როგორ გამოსტატა ოქუ-მისწყალს თარაში. მეგრამ აღუბა წინარეგმონა. მისი სხეული ენგურის ტალღებში მიიბარა. წყალი სიცოცხლის მდინარების საგნობრივი ემბლემაა. ასე მოედინებთან ენგურა, ალაზანი, ზტყარი. დროს — ბორცობის და კეთილის მოღმა მდგარ უსასრულობას, თანაბრად მოაქვს სისხლი და ცრემლი, ოხვრა და სინანული, სიხარული და ბედნიერება.

ამიტომ უსწრებს თარაშიც დაღუპვას მესტეფეთა მოსვლა. დღეიას განმარტებით „ზღვაში ცხოვრობენ მესტეფნი, შურაგე, კვეწარმავლების ღმერთებია მესტეფნი, გაუფხულოს წვიმები ამოშევიბიან ზღვიდან მესტეფებს.“ მწერალმა მესტეფეთა მოსვლა შემოდგომიდან გაუაფხულზე საგანგებოდ გადმოიტანა.

მესტეფნი ნადირბატონებიც არიან, რომლებიც ძალღებობი დადიან. ეს ძალები ადამიანებს შველიან: (ე. ვირსალაძე). ამიტომაც მოკლა მეფელიცა ენსვარა. მას არავინი დახმარება არ სჭირდებოდა. მითოლოგიურად ძალი სიკვდილის მომასწავებელიც ყოველი (ვ. მილერი). ქართველურ ტომებში ძალის კულტიც არსებულა (ვ. ბარდუღლიძე). კვება გარგანჯა ძაღლების ღმერთს — ალიშინტარს მგავს და მისი ქანდაკების მოედლადაც გამოდგებოდა.

როგორც სავარსამიძის, ისე ემხვარას სიკვდილში ძეგს ბედმეორედ აღორსინება-განახლების მოტივი, რაც მათი მითოურობის ნიშანია. ამას ერთგან თარაში აცხადებს, ხოლო სიკვდილი და

კვლავ გაიცოცხლება. ყველა მითი სტიციოფორია თვისებაა, რომლისგანაც მომდინარეობს ქრისტიანის დასქობის და აღდგომის მისტერია: ამ იდეის მხატვრული ხორცშესხმით მწერალი მიგვიერთებს თავისი გმირების განსაკუთრებულ ბუნებაზე. ისინი ერთგვარად ღმერთკაცებს, ზეცაებს განსახიერებენ. ეს არის მათი ცხოვრების მარადიული ტრანსფორმაციის მაჩვენებელი.

ვახტანგ კორინთელი წყლის სტიქიამ ემხვერბლა. დაუტარებელი წვიმების შედეგად ალაზანი ადიდდა. ვილაცას გველეთის ელსადურსე სამარქალო არხი გადაეშტება და წყალი ბერძნუბში გადმოვარდა. მან სხვებთან ერთად ელრეთი მოაღწია გველეთის შესახედ. ვახტანგ გაიცვლა და გარდაიცვალა. თარაშისგან განსხვავებით კორინთელი საერთო გამიცვების ტანს სოფელთარ არის და თავის უსხაძებლობის მექსინუსს აკეთებს; ალაზანში იხრჩობა ახრია უჭირაული, საკულმურმეო მოძრაობის და უყოველი სიკეთის მტერი, მძიმე მშობიარობის შემდეგ თავსხმა წვიმაში გაიცვდა სუსქია და გარდაიცვალა.

8. გველის კულტი. გველის კულტი მთელ მსოფლიოში ყოფილა გავრცელებული, მათ შორის საქართველოშიც. გველი ყველა თქმულების მიხედვით მონაწილეობდა ხამუაროს წარმოშობა-შექმნაში. გველი და ფეხვი ეკვივალენტური ცხედებია და ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ (ვ. კიკნაძე). მისი მოკვლა ოჯახს რღვევას მოასწავებს, რადგან ამით ადამიანს აღმკვეთება სიბრქნისა და ნაყოფიერების წყარო. გველმა აცდუნა პირველი ქალი ევა, აჭამა ცნობადის სის ნაყოფი და მასში სქენაა გააღვია. პირველი ცოდეა ძვირათა დაუჭირათ აღმხმა და ევას ისინი ღმერთმა სამოთხიდან გააძვდა და მას შემდეგ მათ შთანთქმავლებს საყოფარი შრომით უხებდეს ლუკმა-პურის მოპოვება. ამიტომ გველი სძულს ადამიანს, სძულს იგი ქრისტიანულ მოძღვრებს. მისი სახელის სხენება ზიზღსა და ამაზრზენ შეგრძნებას იწვევს ქართველმა კაცმა გველის სახელს ტაბუ დაადო და უხსენებელი შეარქვა.

ტაია შელია გველების მგეშავია. ამიტომ არ ეშინია სავარსამიძეს უხსენებლისა. ჭენტიც და სავარსამიძე ბარონებს სახსხლემში ცხოვრობენ აქ დედალი გველი მოჰკლეს. ამიტომ კალს ამ ოჯახში გამრავლების უნარი წაერთვა, რადგან „მეფი და გველი დიონისოს ორი სხვადასხვა მიზისტანია“, ე. ი. მოკლულ იქნა დიონისო. მაგრამ ჭენტიც დიონისოდა და ეს იწვევს ბიანგანცვიფრებას. მას სავარსამიძე უკვე ადამიანად აღარ გგონია, არამედ ღმერთკაცი, ახალი ქრისტე, ვინც დაარღვია განგების გარდღეული ნება. მეგრამ ექიმებმა კატეგორიულად მოითხოვეს და ჭენტიცა ოპერაცია გაიკეთა.

მასარც გველებს მგეშავია, მან ასწავლა მეფეს თუ როგორ უნდა გადაუმტკრიო კვიგამხედ.



ვართ შერხემალი, ჩაღვან მათი წურთვნა შეიძლება, ხოლო ბუნების შეცვლა — არა. გველიხადში ორგანი და მოკიდებულება მომდინარეობს წარმართობიდან (გაღმერთობა) და ქრისტიანობიდან (ზოზილ).

არსაყანმა მოკლდა ქორა მახვების ოჯახის მკარველი, მისი ტოტემი მწერი. ამით პატრიარქალურ ხვანეთს და თავად ქორა მახვებს მოულოდლო ცხოვრება შეიჭრა მთაში, რომელსაც გველის კულტი ადარ აინტერესებს. მკველი ქვეყნის ფესვი კომუნისტმა გადაჭრა. მაგრამ თარაშმა ხელი არ ახლო ზოხიმიან „ანგლოზობატონს“, თუმცა მისმა ხილვამ საშინელი შიში მოკვეცა: იმით, რომ იგი ძველ სამყაროს თანაზარია.

იქ შეგანს, რომელზეც ვენახი უნდა გაშენდეს, გველით ჰქვია. მის მიდამოში გველები ბინადრობენ. სოლომონ გულუხაიძე შეეცინა გველის-მგეშავ ლენინერს მათ შეყრობაში, რომელსაც უნდა დიდი გიურჯანს დაქერა. ლენინერს, სოლომონსა და აბრაას ერთხელაც შეეფეთათ გიურჯან აბრია დაფრთხა და გაიქცა. ლენინერმა ორჯერ ეხროლა, დააცილა და თავს უშველა. სოლომონმა მოასწრო ხანჭლის ამოღება. უსუნებელი დაიგრაუნა და მახლობელ გუმბეში მოადინა ზღარათანი. ამ გიურჯანს მიუგდეს ნუნუს ბავშვი. ვახტანგ კორინთელმა მოკლდა იგი და ბატარა მიქელას სიცოცხლე იხსნა. ამით აბრაასა და ძველი ცხოვრების ტოტემი მოსპო. ისევე როგორც ერთდროს არსაყანმა, ძველ საქართველოს უკანასკნელი წერტილი ვახტანგ კორინთელმაც დაღუპა.

სამხრელი სურათის მოწმენი ვახდენ უფლისა და ქიტებსა. საზარალად უშუოდა ლომგულთვანი ძაღლი ოსმანა. ბოტი შედგა, დაფრთხა რაზმდენიმე თახის ცხარი. მამა-შერთი ზედავს, როგორ მოილაკებდა სამხრეთისაკენ თაღები მდინარე, გველებს ქარავანი. უფლისა ამბობს, რომ ეს ცოლის ნიშანია. „ბატონუშობა რომ გადავარადა, სწორედ იმ წელს შეგვეფეთა გველების ასეთი დიდი ქარავანი“. სჩანს, ეს სურათი ჩაფიქრებულმა მომავალი სოციალური ქართველები წინასწარილივად („ზეგლადი“).

სოგის მინდია იგემა გველის ხორცი და ამერიკიდან ყოფისსცოდნედ იქცა. მასში ადამიანური არსებობა დაიძლია და ღვთაებად გარდაიხსნა. მაგრამ აქ გველი ნაყოფიერების მიმნიჭებელი არ არის, არამედ სიბრძნის განმანახიერებელი. ღვთაებრივი ცოდნა ადამიანური არსებობისათვის უპირველი გამოდგა.

გველი ცხენის ადრად კ. გამსახურდას პარკის განუყრელი ძირბობობა. პირველი სიბრძნის განმანახიერებს, მეორე — სიშაგება და დემონურ სწრაფებას. მაგრამ ორივენი ეშაქონა და ბოროტ ბედისწერასთან აბრან წიღებენ. გველისათვის წარმთეული სიბრძნე ბოროტების სასიკეთოდ მოქცევა. კ. გამსახურდა აბერტობულ უბრუნდება ამ მოთვის.

მ. წითელბიბილოვანი მამალი წითელბიბილოვანი მამალი წითელ სენებს, მ. ი. სიცოცხლეს უკავშირდება. ის მითრას ფრინველად ითვლება. ამისთან ერთად სიკვდილის კულტთანაც ყოფილა ასოცირებული. „მის ყოველზე საფლავთან წითელრასიანი მგედარი გამოჩნდება“ (თ. ოქროშიძე). აქ ერთ მწკრივში არის განლაგებული საფლავი, წითელრასიანი მგედარი და მამალი, სჩანს, წითელბიბილოვანი მამალი აერთებდა შუასენებსა და ქვესენებს. მისი ხგანთიადო ყოველი მარადიული გათენების, კოსმოსში გადავიძობის სიგნალადაც უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ღამეთან და სიკვდილთან მებრძოლი მამალი კ. გამსახურდას პარკაში მტწილ სიხობს უთმობს ადგილს, რომელიც განთიადს უხმობს.

ხვანეთი მამლითა და ჩანგის ვლრაილით მიღვან მისცულიბულის სულის მშობელ მხარეში დახაბრუნებლად.

ა) სავარსამიძე ვაცივდა. ციებამ ისევ შეახუნა თავი. ღამით ხაზმრები აწვალდენ, ღლისთ — გრიგოლ ხაძემელის გადაგარებული სახლისკაცებმა, რომლებიც სულ „მელიანა“, „მელიანს“ გაიძაბიან. ძლივს აითრია ნაციები სხუელე, ტუეში წაიღა. შემდეგ რესტორანში შეიარა. ნაშუაღამევს სახლში დაბრუნდა. სტარაიის სანთელი ანთო, ფეხებში რაღაც გაბეღინდა: „წითელი მამლი შემეფეთა. რა უნდა ამ ობერს შუაღამეში? ჩემი ოთახს საქთმულ ხომ არ ვაუხლია ამ წყურველ დედაკაცს? გამოუღდექი მამალს, სინათლისკაც დარტბანებული ფრინველი წაბარბაცდა, ლოგინქვეშ შეგვარა“. „ქალბატონო ხალომე“, „ვეძახი“. სანთელი ჩაუქრა. არც არაენ გამოჩნდა. იძალა დავიწო და ციებამ და იმ ღამე სავარსამიძემ ჭოქოხეთში იმოგზაურა. ამ მისტიკურ შემანებას წინ წითელი მამალი მიუქვდის, რაც ადასტურებს, რომ მართლაც ხავარსამიძის ქვესენელში დაბინადრება ნაგულისხმევი. შემანებლან კარის ჩახუნმა გამოაღებია: „თქვენ ოთახში ხომ არ შემოსულა ჩემი მამალი?“ შემეკითხა ხალომე“.

ამრიგად: წითელი მამლის სიმბოლოით დაიწყო და დასრულდა კონსტანტინეს ჭოქოხეთში მოგზაურობა, რაც რეალური სინამდვილის სიმბოლოეა. მას წითელრასიანობიანი იგებუდა საქართველო, რომელმაც არ მიიღო იგი და მადესისკენ უხიძა.

ბ) თარაშის ერთ-ერთ წერილს, კაროლინასადმი „შავი მამალი“ ჰქვია. მას თვალწინ უდგამევი, სისხლისფერბიბილოვანი მამალი, რომელიც ბავშვობაში რძის ჩაშვე დახატული იწილა პირველად. ეს შავი მამალი თანა ხდებდა მის ცხოვრებას, რომელიც წინაპართა სისხლის ემანაციად ეჩვენება. წინაპართა სისხლი დატვირ-

სოსო სიგუა
მეშანი ცხენი



თულია ხაუკუნეობრივი ცოდვებით. ახლა უკვლავისთვის მისოსტრი აგებს პასუსს. წინაპართა შეცოდებამ შავი მამლის ფრთები შეისხა და მის ცხოვრებას ბედისწერაღ აედევნა. თარაში კანს იცვლის, როგორც ლოფოროტიკა, დევის ქებაში. მაგრამ ის მითოსური პიროვნებაა და განახლებამ მხოლოდ სიკვდილის გზით თუ შეუძლია. თარაში თავის აღსარებას ანდობს გერმანულ ქალს. თითქოს უველაფერი მოინანია, განწმინდა და პატრიარქალურ წილს დაუბრუნდა. მაგრამ შორს, კიუბებში ისევ მკვიდის შავი მამალი, რომელიც ქვესკნელისკენ უზმოზს თავის ზრუნულს. წითელისა და შავის სიმბოლიკა მრავალგან გამოკრთის. თარაშის წმინებაში, რომელშიც დაიმხსრენენ ძველი კერპები გაც და გაიმ, კავასიონის მთები, ციხე-კოშკები, „წითელ ზერანზე“ მგდარი არსაყანი თავს წააცვლის მეზირს. ხოლო ენგურს შავი ზღვისაკენ „შაგრიზიანი მხედარი“ მიაქვს (და არა კოსტუმიანი). ამიტომ წითელიმიზილოვანი შავი მამლის ომბიანი ყვილი მარადიული წყვილიადისკენ ძახილია.

გ) ვლახუნა ავშინიძე — ინიო წევრშედეგილი მეფე გიორგი წეროებზე ნადირობს. მას თან ახლავს კიტეხა, გაბრიელი და არსაყანი თავს ქაბუკი შენიშნეს, რომელიც ნეკერჩხლის ბეზე აძერა, ფრინველი დაიჭირა, უბეში ჩაისვა და მეორე ბორცვის თხემშავე შიადწია. ესტატი მოჰყვა, რომ შინა შეუნიშნავს ვახლუ შაბაოხ წითელ-ყვიოთელით მორთული ქაბუკი, რომელსაც ილითაში წითელი მამალი ამოეჩარა. უმაწვილმა მუხას სამჭერ შემოუარა, სამჭერ აკოცა მამალს და თავი წააცალა, მუხას სისხლი აკურა, მამალი წაიღო და გაუჩინარდა. მეფემ გაიცნო არსაკიძე, გამოკითხა ვინაობა. თურმე არსაკიძეს უკავილი მოეხდა და იმიტომაც შეუწარავს წითელი მამალი ღმერთებისათვის. ერთმანეთს დადებულართა წითელი მამალი, ცაცხლ-შემოგზენებული ეკლესია და სვეტიცხოვლის აგება იდეა, რომლის შესრულებამ იმ დღეს მაინდო მეფემ არსაკიძეს. კონსტანტინეს დალაშქვა ამ ფაქტიდან დაიწყო, მაგრამ აშალდება და გაუკვდავდება მისგან ერგო. სიკვდილმა და სიცოცხლემ ერთად მოიყარა თავი, რაც წითელი მამლით არის სიმბოლიკებული. ისიც ხომ შუასკნელიდან ქვესკნელისკენ ეძახის ადამის ძეს.

10. ს მ ა რ ა გ ღ ი. კ. გამსახურდიასთან ფიგურირებს ორი მთავარი ფერი — მწვანე და ლურჯი. ორივე სამყაროს მარადიული გაზაფხულის ნიშანია. მაგრამ ამ ფერთა შორის ხომ ისტორიულად წაშლილი იყო ზღვარი. ისინი ერთმანეთშია გადახლართული ბუნებასა და ადამიანის აღქმაში. მწვანეა სმარაგდი (წურმუხტი), აქატე, მალაქტი, ქრისტოლით... ლურჯია და ცისფერი — ფირუზი, საფირონი, ამფოვისტო, ლავარდო, ლაპის ლაზული. მათგან კ. გამსახურდი-

ასთვის უმთავრესია სმარაგდი. მარჯამს მტკიცისნი თვლები არა მხოლოდ უბრადის-სუტარების საგანია. ისინი მაგიური ძალით ანათებენ. სმარაგდი იდუმალია და გულისშემძვრელი. ის იყო ისრაელის მეფის ხლომოინის საუვარელი ქვა, მწვანე, სუთოა, ნაზი და მზიარული. მისი ყურება ახლისებს თვალსა და გულს. ის აქარებს სნეულთს, შველის მდღოებულს მტერთა წინააღმდეგ. X საუკუნის ერთ-ერთ ქართულ კრებულში („შატბრადის კრებული“) ნათქვამია, რომ სმარაგდში, როგორც სარკეში, უკვლივე იდუმალი აისახება და შეიცნობა მომავალი. ვინც სმარაგდს ატარებს, მას ავი და მავნე ვერ მიეკარება.

ალი-მირზა ხანი ხლონში მყოფთ მაღამ ღანტაუნში განუცხვდა, რომ ამაღამ მადმუაზელ ლორენცი იმარჩილებს, ოღონდ მამაკაცთა დასწრება აკრძალულია. კონსტანტინე და ხალიოთაშაქოს მოსაწევ ოთახში გავიდნენ ოთო სივარი მოსწრეს და სპარსულ დარბაზში შეიპარნენ. მამაკონის მაგიდასთან მსხდარი ქალები იისფერ შუქში იყვნენ გატყუილი. ხლონის ბნელ კუთხეში ლაპლაკება შეიდანთლიანი შანდალი (იხვე აპოკალიპსი) ლორენცს ოპიუმი მიეღო და მახინჯ სახეზე მისტიური ელფერი დასდებოდა. მარჩიელობა ღამის თორმეტ საათზე დაიწყო. შან ახსენა სარლიონის, აქატის, იაკინთეს, საფირონის, ამფოვისტოს იდუმალება, თანმიმდევრულად ასწრეს ხელები ქალებში. ბოლოს სმარაგდზე შეჩერდა, დიონისი და ქრისტე ახსენა, მეორედმოსვლა მოიგონა და ასე დაამთავრა: „სმარაგდი მანამ ხელზე ექნება ქალს, — ქმრის დასტოვ არ შეუძლია. სმარაგდი აფრთხობს მავნე ლალებს. ვისაც სმარაგდი აღნოაჩენდეს — მონადირეს უფრთხილდეს, ვინაიდან ეროსია პირველი მონადირე.

ვიძახი: სმარაგდი. ჭენეტი გაფთხოდა, სმარაგდისბეჭდიანი თოთრი ბელი დახლო შავს მაგიდაზე“. თითქოს ეს უმნიშვნელო სენასი იყო და დავიწყებას მიეცა. ჭენეტსა და კონსტანტინეს შორის მხოლოდ კეთილგანწყობილება არსებობდა. დრომ განვლო და ისინი დაახლოვდნენ. სავარსაშიძე თავის გულის მდღოებებს აცნობს. ჭენეტი იგონებს გაუხარებლ უმაწვილქალობას, მარადიული სიუვარულის სახელით სმარაგდის ბეჭედი მოიხსნა მარჯვენა ხელიდან: „აქატე, მანამ არ მოგწყინდებაო“. კონსტანტინემ შეშფოცა, რომ სანამ გულწითელა მუნწვარს არ გადაკორტიდა, მისი მწერა არ მოსწყინდებოდა. ჭენეტმა თავისი ფარეში — თვადი პატოოიანი იაკვარსამიძეს არქა. აუბდა მარჩიელის ნათქვამი. ამით შან მეუდლეს უღალატა, ბედნიერება დაჰყავდა და სიმძიმის ეწიარა. ჭოჯოხეთში სავარსამიძემ თევზისთვალისანი დედაკაცი იხილა. მას ნინავისტკივანის ქალი ეუბნება: „ეგებს მახტეველი იყო შენი თვალი“. „მოიტა ჩემი სმა-



რადგან თვალში, ჰქვიან ტანაკონის როკაბი. კონსტანტინე

ვეისკრულს უბრუნდება. სმარაგლისფერო მწველი გულისხმევია სამყაროს მწველით შემოსება სწრაფი ტკნობა. ეშმას პირით დადორწილია სმარაგდი, ის სიკვდილიხა და სიცოცხლის გაწურელი ფერია. მაგრამ აღამაინს არათუ იცავს, არამედ მწვეან ცხენის დარად ღუპავს კიდევ.

ჩენეტი იმიტომ არის ძვეწინთავაღა, რომ იგი ქრისტეს ერთადელია, თავისი თედი ერთ დროს მის ხასტლოდ მიანდა. ხოლო ქრისტეს მიმოსტანს ხომ თევეიც არის. სავარსამიძეს თევეისთავაღა ქალიც ისევე ეჭავრება, როგორც ქრისტე. შემდეგ სმარაგდის ბეჭედი მაღამ ლამის დაუბრუნა ჩენეტის გადახავემად. ახლა ის თავად დარჩა მფარველი ძალის ვარემე. ეს არცა სჭირდებოდა, რადგან ღმერთებს: ისედაც ევედრებოდა ცაში აუყვანას.

მწერალმა რთული და თავისებური, მკაცრად სისტემატიზებული მასალა სეციფიკურ ენობრივ ბირთვად აქცია. მაგრამ სინთეზით მოგვეცა მოდელირების სიმბოლური სახეც. ის არა მხოლოდ აზრებს გვთავაზობს, ვიწუალურ სივრცეს ქმნის, გვასმენინებს ახლადშობილი სამყაროს ვიფურ რიტმებს, არამედ მათი გაერთიანებით ქსოვს ტექსტისმიმა სამყაროს, როგორც ნამდვილ მხატვრულ არსებობას. იგი სიმბოლურ სტრუქტურად იშლება. ცალკეული სიმბოლო ქმნის ვარიაციულ სახესხვაობას და ტექსტში იჭრება როგორც უხილავი ქარის ფრთები. მას მოსდევს მეორე, მესამე... სიმბოლოს მიერ გაშლილი ასოციაციური ველი. სიღრმისეულ შრეში ისინი ერთმანეთს ხედებიან და წარმოშობენ არაცნობიერი ფსიქიკის მსგავს სისტემას, რომლის ქაოსში შეღწევა და რაციონალური სახის ამოცნობა ნიშნავს მწერლის მხატვრული აზროვნების ბერკეტთა წვდომას. მისი ფილოსოფიური შიფრის ამოკითხვას. ამიტომ სიმბოლური მოდელირება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ენობრივი, სიუჟეტურ-კომპოზიციური, სახეობრივი. მოდელირების ამოთხზავი სტრუქტურის საფუძველია ზელოვანის ფსიქია-ცნობიერება და მრავალფერო მასალა— „მე“ და „ჩვე“. ის ეყრდნობა პირველ სამ ფენას. მათ შორის ერთიანობის დარღვევა დაუშვებელია. ამით მხატვრული მეტაქველება იცვლება მხატვრული აზროვნებით.

კონსტანტინეხა და ჩენეტის სიყვარული სმარაგდის ბეჭედი არის დაბეჭდილი.

„ღვისფერი თვალეზი აქვს თამარს, შორენას, ლურჯი — ნუნუს, სუსქიას, კონსტანტინე პორფიროგენეტს, შაბაჰნისფერი მახარას, საფირონისფერი — დავოს. საფირონს უკავშირებენ რწმენას, იმედს, ბედს, ის ანიჭებს დაღლილ სხეულს ძალას, ვაფიქრებს მარადიულ ცხოვრებაზე. სმარაგდისფერია „დიონისოს ღიმილის“ ცა, ვასაკსფერი, მალაქიტისფერი — „მთვარის მოტაკებისა“, ამეთვისტოსფერი — „ღვით აღმაშენებლისა“, ნაშრუდისფერია „ვაზის უვავილობის“ კავკასიონი, სმარაგდისფერია აპოკალიპსის „მწვეან ცხენი“ და ა. შ.

მწვეანდ ასხივებს ბუნება და ლურჯად ეღავეს ცარგავალი. არსებობს მწვეანე, მუქ-მწვეანე, ვაშლა-მწვეანე, მწვეანე-ლურჯი სმარაგდი, ე. ი. ზოგჯერ იგი აერთებს მწვეანე და ლურჯ ფერებს ამიტომ სმარაგდის თვალეზით ანაჟალა ყოველ გაზაფხულს ქვესკნელიდან ახლად ამოსული ჭაბუკი დიონისო. მაგრამ ზოგი თვალი პატრიონანი ხავსებით კარგავს ფერსა და ეღვარებას, ადვილად კვდება (მაგ. ფირუსი). ნაწამები დიონისოც ბუნების ცვლასთან ერთად





შალვა ამიხუჯაშვილი

ტრადიციების მრთავალი კოდი

«Традиция — не чулан с устаревшими вещами...
Традиция — это лучшее, что отстоялось, это все живое,
что осталось жить для нас».

Евг. Винокуров.

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ წერილში ილია ქვეყანაზე საზგახშით აღნიშნავდა, რომ ისტორია თავის გულიანობაზე იჭედებს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას. ეს თუ ასეა, მაშინ მის გულიანობაზე ღრმად უნდა იყოს დაჭედებული თვით პოეტის მრავალსაუკუნოვანი ჯამბარაც, რადგან სწორედ ის გახლავთ ერის ნაქირმავარი სულისა და გულის პირველი მფეთქავი ძარღვი, პირველი მაცნე უხილავი მოძრაობისა.

მრავალსაუკუნოვან ამ დიდ ჯამბარას ხელს არ უშვებს და დარჯაქში გამოვლილ მებრძოლთა ბეჭითად მიხვევება მას პოეტი იოსებ ნონუშვილი. ამის შესახებ იოსებმა ერთხელ საქვეყნოდ განაცხადა კიდევ: ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებისადმი ერთგულება და თანამედროვეობაზე გულისხმიერი საუბარი ჩემს პოეტურ მთავრობაზე მიმართულია. სიმართლესთან ახლოა, ის მართლაც ტრადიციული პოეტი. მისთვის ყოველთვის უცხო იყო და არის დაინერგული ფორმალისტური ძიებანი და ექსპერიმენტული გატაცებანი.

ნონუშვილი თავიდანვე კარგად დაეფუძლა საუკუნეების მანძილზე რელიგიურად გაიყვანათილ, ჩასოფლებულ პოეტურ ტორებებს და ორიენტიზმის მიწით მათ „გადაკეთება-გადმოკეთებაში“ წუთსაც არ ჰქარავს. წერს ღმერთებსად გულის კარნახით, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე მისი იდეურ-მეტატრული პოპოლიტის საოცარი ხაზგარეშე. ვფიქრობთ, პოეტის ორიენტიზმაც სწორედ ამში მდგომარეობს...

ფორმის მხრივ თავისებურად დაწერილი ესეთი ადრინდელი ლექსიც კი, როგორცაა, მაგალითად, „უკუღმა სონეტი შა-აბასს“, თითქმის მთლიანად თავისუფალია შესრულების

ფორმალისტურ ექსპერიმენტულა ზერბებისგან. თავისუფალია, რადგან ელვისებური სისწრაფით აქ ფორმა, შინაარსი და ემოცია ერთსა და იმავე დროს არის დახაზებული. სხვათაგანად არც გამოიყვებოდა ასეთი ცხელი და მთრთოლვარე სტრიქონები:

გრძობდი, შაბობაც განგებოგან რომ
ვერ გიხსნიდი
მაშ რატომ გეღვა ღვინის ჯამთან ჯამი
სისხლისა?!

სონეტს ეპიგრაფად წამდვარებული აქვს შა-აბასისადე პოეტური სტრიქონები: „აახვე ჯამი, მალე ქვეყნად აღარ იქნება აღარც ეგ ღვინო, აღარც მშველი, ზეი მერქიფევი!“, რაც ქართული ლექსის ემოციურ მხარეს უფრო ამძაფრებს: „სიხილიან პოეტს უკუღმართი გული გქონია, შიტომ უკუღმა დაგიწერ მეც ეს სონეტი...“

აქ ჩვენდაუნებურად გვაგონდება იოსების ჰაბუკობისდროინდელი მეორე ლექსიც — „საუბარი ნაძვებთან“, ალბათ შემდგე სტრიქონების გამო: „აი, მე პატარა პოეტი ვახლავართ, მარადემ სუსტი და ფერგად-ლეული“. ამას კი აზიზობდა, მაგრამ შინაგანად ის უკვე საკმაოდ ნომოურებული პოეტი იყო მაშინაც. დიას, მაშინაც, როცა გოგონას შიერ დანიმ მკერდ-დასერილ ნაძვებს მიმართავდა სანუფუშებლად: არც მე დამიწოდ... ამხალა მკერდი და, ზედ გულზე ამომკრა თავისი სახელიო.

სიყვარულის ამ უნაზეს მოტივებიდან ვიდრე შა-აბასის სისხლიანი პორტრეტის პოეტურ მოზაზვამდე, კაცს ეგონება ოცო-ოცდახუთი წელიწადი მაინც არისო გახული, როცა სინამდვილეში ერთიცა და მეორეც ცხრას



ორმოცდარშობა დაწერილი და ერთმანეთობა-
გან ისინი ალბათ ათათუე ჩამოსათყველია დღწე-
ვებით არიან დაწარმოებულინი, იცო კი, რაშიდლა
შენაგანი განსხვავება და ფერცვალებება მით
შორის?!

ჩრდილო ლექსების ეს კრებული, რომელიც
პოეტის დაბადების ხაზოცი წლის ხაზობავე
წერის წინა დღეებში გამოიცა, სახეა მსგავსი
შემოქმედებითი წარმატებებით, მაგრამ იო-
სებ ნონეშვილი ამით არ ეძლეოდა და
დარდადრო კრიტიკული თვლით გადახედვას
ხალხე თავის ნაშაგას: „ვია თუ კარგად ვი-
რა ვიქვი, რაი თქმაც კარგად მსურდა, ჩემი
გრემი და ჯელოი წუ გაიგებენ ცუდად“.
ესეც პოეტის პოეტურ ღირსებაზე შეტყველებს
ულოდ.

ტპილია შოხბლიური სოფლას, შოხბლიურ-
რი ქალაქის, შოხბლიური კუთხის მოგონება.
იგი მუდამ კეთილშობილურ გრძნობებს ზა-
დებს ადამიანის გულში. სწორედ მიწის ამ უმ-
ცირესი მონაკვეთიდან იწყება ხანშობლის სი-
ყვარულიცო, უთქვამთ ათასქერ, ათათასქერ.
ამასვე ამბობს იოსებ ნონეშვილი ლექსში—
„ჩემი სოფელი კარდენახი“, მხოლოდ უფრო
პოეტურად, უფრო მოშიზბულიად.

ბოლოდროინდელ ნამუშევრებში ნაშელოდ
შემოქმედებით წინსვლად უნდა ჩათვალას
დასახლებული ნაწარმოები. იგი მქლავრი
ფერწერული სურათებებით არის შესრულე-
ბული. სურათებს სურათები სცვლიან, ახლა
წარაფების ღვინის სიმაგრეც წედ ემატება, და
აღარ იცო, რომელს მიაჩნეო უპირატესობა.
ძველი ლექსებიდან თავისი ძლიერი სუნთქვითა
და ფართო სიუხვით მას მხოლოდ „შემოდგო-
მა აბილოსში“ თუ შეედრება. მაგრამ ამაზე
ცოტა ქვემოთ. ახლა კი, იმავე თემაზე დაწე-
რილ მეორე ლექსს შევხვით. „ქახეთი“ ასე
შეო ამ ნაწარმოებს.

„ცოვგომორიდან ხომდრით სიცოცხლის გა-
დასახელი, მოსჩანს იოსებრ ნისლებში ქახეთი,
ჩემი ქახეთი!“ — აბეთი ამდრებული სტრი-
ქონებით იწყება შოხბლიური კუთხეზე დაწე-
რილი მეორე ლექსი. იწყება და უქმნიც ხომ-
დრით შედისართ მის მრავალფეროვან ხაყე-
როში, იზარებთ კახელი კაცის გამარჯვებას
ბრძოლასა და შრომის ფრონტზე, ქებას თუ-
ხნებით მის გმირობას. ტყუილად კი არ თქმე-
და: ომი და ღზინი კახისა, მოხაწონია კაცი-
ხასი“, თუმცა ისედაც ნათელია იოსებ ნონე-
შვილის ამ ნაწარმოების პოეტური ჩანაფერი.
იგი თუასი საგმირო, საბრძოლო და საბეგობ-
რო განწყობილებებით ტოლს არ უდებს სა-
ეროოდ კახეთის თემაზე დაწერილ საყუოდ-
სო ქართულ ლექსებს, ალბათ ამიტომაც იქცა
სახალხო ხომდრადა.

„შემოდგომა თბილისში!“ — აი, კიდევ ერ-
თი შეხანიშნავი ლექსი, რომელიც იოსებისე-

ვლი სიტყვის სტოქიაშია მოცეული. თითქმის
ყოველ სტროფსა და ყოველ ტაქსში ფერ-
წეადა ენახდებოდა. აქ ხილთა სიუხვეზე აღ-
რადფრს ელბიანო. ქართული კაცის ზაჩა და
ქართული ნიწის ზარაქა არანალებს არი ნაქე-
ბი თვით ავტორის მიერ. რაღაც განებოთ,
კაცს რაში თბილისში არ ენახოს თავსლდში,
მარტო ამ ლექსის წყაიხვითი მოწინატრება მი-
სი ნახვა. ნაწარმოების რატონისა და საერთო
განწყობილების გაწინაგებმდ მოგვეყვას ერ-
თი ნეზბინეტი სტროფა:

მარტისფერი, ქარვისფერი
ქარმა ერთად არი:
ეს კახების შრილია,
განა მართლა ქარია..

საერთოდ თბილისი იოსებ ნონეშვილის უს-
ყვარლები თემა. მიხი ცა-საფრონი პოეტის
ბოლოდროინდელ ანა ერთხა და ორ ლირი-
კულ ნაწარმოებზეც ბრწყინავს. ბებერი მცხეთის
ღირსეული პირში ჩვენი თბილის-ქალაქი მას
მარადიდელ შეგზაულად ჰყავს წარმოადენილი.
აი ამის გარე, მისივე სიტყვით რაში ვთქვათ.
სხია შექმადლი მფარავს საქართველოს დე-
დაქალაქს. იგი იმდენად არის შეყვარებული
მასზე, რამ დაჭრებულებით ამბობს მტკარის
შესახებ: „განა მართლა წყალია, მოდულუნე
მტკარის, თეთრის ნაგუნინარია, მთვარის თეთ-
რა კვალ!“ თბილისის ცა შირადა მისთვის მი-
რონით სავსე ის ეგება თასია, გაზაფხულის
წვიმებად რაში იცლება და თავს დასხხრადლებს
თბილისელებს.

დედაქალაქის ამგვარი მშვენივით მოიბილუ-
ლი პოეტი კიდევ უფრო იგება შემოქმედ-
ებით ენერგიით და ახლა მთელ საქართველოს
უცხადებს სიყვარულს, თან სხვასაც მოუწო-
ლებს: „გუყვარდეს საქართველო სიცოცხლეზე
შეტადო“. მაგრამ პოეტი ამასაც ამბობს:
„შორს დუნე და გულცივი, უტრებლო, უწე-
ხო, ჩანა რეველუციის. ახალ გმირებს უს-
მობს!“

უხმობს და ძახილი მიხი, მისთვის არის გა-
საგები, ვისაც ძარღვებით ათვადიდებულთა სი-
ხლო უდებლავს, ვისაც მათი კაცურ-კაცობა
ნათლის სეტად ადგას გაშლილ გულზე. შემ-
თხვევით კი არ დასცდენია პოეტს; დიდგორით
დიდი გული აქვს ქართველსო. მას მართლაც
დიდგორი გასულ მეტბოლოდ წარმოუდგენია
ყველა ის ქართველი, ვინც საქართველოს დიდ
მონავალზე ფიქრობს.

ამ სიყვარულით, ამ შემართებით მიზაიჭებს
პოეტი საქართველოს ფარგლებს გარეთაც, რის
საილუსტრაციოდ კარგი იქნება დაიხასილეოთ
რესპუბლიკურ პრესაში ახლახან გამოქვეყნე-

შალვა ამისულაშვილი
ბრადინიების ერთგული კობი



ბული მისი ახალი ლექსი — „ფერადობა“, რომელიც სიუჟეტურად ციმბირის გარდაქმნის თემაზეა გაწვდილი და ეძღვნება ნია-გრუკინ-სკაიას თავდადებულ ახალგაზრდა ქართველ მშენებლებს: „ისე და ამგვარად, ვიხილე ანგარა, ვიხილე ციხეფირი ლენა და ნია. არც ლენა, არც ნია ნაშ ქალებს არ მგებანა, თუმც ლამაზ ახსულთა სახელი ჰქვიათ.“

შერდეკ პოეტს სიამაყეს ჰგერის ის ამბავი, რომ დღევანდლობის დადებულ ძეგლად დარჩება შორეულ ციმბირში მშვენიერი ქაროული აბაბა „ნია-გრუკინსკაია“, რომ ციხეფირ ნიას, როგორც შწითუნაზე გოგონას, ჩვენი კაბუკები მკლავზე გაღვივდნენ, სუსხიან, ველურ ბუნებაზე გამარჯვების ნიშნად...

ველურ ბუნებაზე გამარჯვების ასეთივე რწმენითა და შემართებით მიიპყრება იგი საქართველოს ფარგლებს გარეთ უფრო აღრცე, დაახლოებით ამ ოცდახუთიათე წლის წინათ. გეგუ დანებდება, ნახვენი მიწავეს! — მიმართავდა შუა აზიის უღამნოდ ქვეულ ტრამალს, მიმართავდა, რათა ამერიადან ბაღის სამსახურში ჩამდგარყო ისიც, წალკოტად ქველყოფი, ჰქეყანას გასწვდენოდა მისი ხეცო და ბააკა:

ეპ, რატომ დაჰყარე სიცოცხლის ფარ-ხმალი, გველი, გველბოკერა გულში. რად ჩაიყარე გვერდს გიელის მარეკის ზარისგან

დამფრთხალი

ველის ჩვირანიც — ლამაზი საიკა...

ამ სტრიქონებში პოეტი ეტებდა ჩვენს მარჩენილი მიწის გადაგვარების პირველ მიზეზს და მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ აღამიანთა შური და მტრობა აგვრანებდა ყველაფერს, რომ ამოღებულ დაშინსა და დამიწებულ თოცსა ჰქონდა სახანარგო უპირატესობა ქვეყანაზე, ვიდრე ბარსა და გუთანს.

